საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

თედო უთურგაიძე

გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში

„ქართული ენა“
თბილისი
2001

ნაშრომში უპირველესად განხილულია ქართული ენის ზმნის კატეგორიები, როგორც ცალკე აბსტრაქტული სისტემები; არის ცდა კატეგორიათშორისი სისტემების ანალიზისა, სადაც მიკროსისტემები განიცდიან განსაზღვრულ ცვლილებებს.

კატეგორიები განხილულია დიაქრონიული ასპექტითაც.

რედაქტორები: პროფ. ელენე ბაბუნაშვილი
პროფ. მიხეილ ქურდიანი

© არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN 99928-825-9-X

წინასიტყვაობა

ნაშრომი ქართული ზმნის კატეგორიების შესახებ დამთავრებული იყო 1992 წლის ბოლოსათვის. მაშინ ვერ მოხერხდა მისი გამოცემა. გრამატიკულ მოვლენათა განსხვავებული კვალიფიკაცია ამ ათი წლის განმავლობაში მაინც იყო წარმოდგენილი ჩვენს მოხსენებებსა და სტატიებში; მაგრამ, რა თქმა უნდა, ხდებოდა ცალკეული საკითხების დამატებითი კვლევა, როგორიცაა: სუბიექტური და ობიექტური პირების ნიშანთა ქრონოლოგია, გვარის სახეობათა იერარქია და სხვ. პარალელურად დავიწყეთ კომპიუტერული სისტემების აგება ჩვენი თვალსაზრისის მიხედვით, რაც დღემდე გრძელდება. კომპიუტერული მორფოლოგიური სისტემა გასაღებია კომპიუტერული სინტაქსური სისტემისა. ამათ გარეშე, ვფიქრობთ, ვერ მოხერხდება კომპიუტერული გზით სხვა ენებთან ქართული ენით დაკავშირება.

ნაშრომში გრამატიკული მოვლენები დიაქრონიულადაც განიხილება და სინქრონიულადაც, ამიტომ ხშირად ძველი და ახალი ფაქტები წარმოდგენილია ერთიმეორის გვერდით. ეს ძირითადად ხდება მაშინ, როცა ზმნური კატეგორია ცვლილებას არ განიცდის ზოგად მიმართებათა მიხედვით, ცვლილება მხოლოდ მორფონოლოგიური ხასიათისაა, ანდა ადგილი აქვს ამა თუ იმ კერძო მოდელის განვრცობას, როგორც მოხდა, მაგალითად, ობიექტთა სიმრავლის გამოხატვაში: განივრცო სუბიექტის სიმრავლის წარმოების წესი და თანამედროვე სალიტერატურო ენაში S, O^{d} და O^{ind} აქტანტები ერთნაირად იკეთებენ მრავლობითი რიცხვის ფორმებს -თ სუფიქსით, რომელიც სამწერლობო ენაში კვლავაც განაგრძობს პოზიციების განმტკიცებას.

კატეგორიათა იერარქიაზე დასრულებული მსჯელობა მომავლის საქმეა, აქ იგი ნაწილობრივ არის განხილული. ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული კატეგორიათშორისი სის-

ტემის ელემენტთა ურთიერთობის პრობლემა, იგი მრავალ მნიშვნელოვან საკითხს მოიცავს. საჭიროდ მიგვაჩნია როგორც საკითხთა წრის გაფართოება, ისე უფრო ღრმად შეღწევა ელემენტთა ურთიერთობის კანონზომიერებაში.

დიდ მადლობას მოვახსენებ ძვირფას კოლეგებს: პროფ. ე.ბაბუნაშვილსა და პროფ. მ.ქურდიანს ნაშრომის წაკითხვა-რეცენზირებისა და რედაქციისათვის, საყურადღებო შენიშვნებისთვის.

უღრმეს მადლობას მოვახსენებ არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, პირადად ინსტიტუტის დირექტორს პროფ. გუჩა კვარაცხელიას მეცნიერულ საქმიანობაში თანამშრომელთა ხელშეწყობისთვის, პირადად ჩემთვის კი — წინამდებარე ნაშრომის გამოცემისთვისაც.

თედო უთურგაიძე

გამოყენებული სიმბოლოები

S^{p} – სუბიექტი მრავლობით რიცხვში

O^{dp} – პირდაპირი ობიექტი მრავლობით რიცხვში

O^{indp} – ირიბი ობიექტი მრავლობით რიცხვში

$O^{ind\text{-}up}$ – უბრალო დამატება

init – ინიციატორი

ex || exec – ექსეკუტორი

pat – პაციენსი

ben – ბენეფაქტივი

mal – მალეფაქტივი

G – გენუს „გვარი“

Caus – კაუზატივი: $Caus^{I}$ – პირველადი კაუზატივი

$Caus^{II}$ – მეორადი კაუზატივი

Vers – ვერსია „ქცევა“: $Vers^{n}$ – ნეიტრალური ვერსია

$Vers^{o}$ – საობიექტო ვერსია

$Vers^{s}$ – სასუბიექტო ვერსია

M || G^{m} – მედიუმი „საშუალი გვარი“

Act – აქტივი „მოქმედებითი გვარი“

Pass – პასივი „ვნებითი გვარი“

სიმბოლოთა წაკითხვისათვის

ჯერ იკითხება პირმიმაროი აქტანტი თავისი მახასიათებლით: ინიციატორი, ინიციატორ-ექსეკუტორი, ექსეკუტორი, პაციენსი, შემდეგ მისი რიცხვი, რიცხვის მომდევნოდ – რომელობის ინდექსი, მაგ.: S_3^{p} – ეს-პე-მესამე, S_3^{execp} – ეს-ექსეკუტორ-პე-მესამე; O_3^{indexp} – ო-ინდირექტა-ექსეკუტორ-პე-მესამე; $O_2^{dpatexp}$ – ო-დე-პაც-ექს-პე-მეორე. S^{init} – ეს ინიციატორი, S^{initex} – ეს ინიციატორ-ექსეკუტორი, $S^{init\text{-}pat}$ – ეს ინიციატორ-პაციენსი. O^{dpat} – ო-დე-პაციენსი, O^{dpatex} – ო-დე-პაციენს-ექსეკუტორი, O^{index} – ო ინდირექტა-ექსეკუტორი; $O^{ind\text{-}up}$ – ო-ინდირექტა-ანპერსონ.

ქართული ზმნის კატეგორიები

ზმნა სიტუაციის ამსახველი მეტყველების ნაწილია. სიტუაციას ქმნიან არსებითი სახელები ან მათი მონაცვლე ნაცვალსახელები – ესენი აქტანტებია (მათ სახელად უმჯობესი იქნებოდა **სიტუანტები**).

ვიდრე აქტანტთა ფუნქციებს აღვწერდეთ, რაც აუცილებელია სიტუაციებში გარკვევისთვის, საჭიროა შევეხოთ სიტუაციის ორგვარ სახეობას: იგი შეიძლება დინამიკურად ვითარდებოდეს სივრცეში ანდა სტატიკურად იყოს მასში განფენილი. ეს კარგად ცნობილი ზმნური ჯგუფებია: **დინამიკური და სტატიკური ზმნები.**

ზმნა რომ დინამიკური იყოს, ამისთვის აუცილებელია სუბიექტი მოქმედებდეს პაციენსზე – ეს არის **დინამიკური სიტუაციის საფუძველი: წერს, ხატავს, აჩქარებს, ახარებს, ყრის, ღვრის** და სხვ. – ესენი აქტიური ზმნებია. ყველგან გახაზავენ აქტიური ზმნის დინამიკურობას. **აქტივთა კონვერსიული პასივებიც სრულიად სამართლიანად დინამიკურ ზმნებად მიიჩნევა;** კონვერსიის (აქტივი → პასივი) განხორციელებისას არ იცვლება სიტუაციის სემანტიკა. იცვლება მხოლოდ სუბიექტისა და პაციენსის გრამატიკული მიმართება: პასივში სიტუაცია წარმოდგენილია პაციენსის ასპექტით, აქტანტთა რაოდენობა უცვლელია პრაგმატული თვალსაზრისით, იცვლება მხოლოდ მათი გრამატიკული მიმართება: აქტივის პაციენსი გრამატიკულ სუბიექტად მოიქცევა პასივში, აქტივის სუბიექტი კი პირმიუმართავ აქტანტად იქცევა.

ენათა მიხედვით ზმნებს გრამატიკული კატეგორიების გარკვეული რაოდენობა გააჩნიათ. ქართულში ისინი ყველა თვალსაზრისით ათზე მეტია. მათ შესახებ ცალ-ცალკე ვიმსჯელებთ.

კლასიკური განმარტებით, „მორფოლოგიური კატეგორია ყალიბდება თანაზომიან ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე“

(ა.შანიძე, 1973, §40). „თანაზომიანი ფორმები“ – ეს არის ზმნური პარადიგმატული ერთეულები: ჰომოგენურ ნიშანთა, ანუ ელემენტთა მიკროსისტემა.

უნდა გაირჩეს კატეგორიის (კატეგორიაში შემავალ) ელემენტთა მიმართების ორი სახეობა: (1) ელემენტთა მიმართება ცალკე კატეგორიის მიკროსისტემაში და (2) ელემენტთა მიმართება კატეგორიათშორის სისტემაში. ორივე ზმნაშია წარმოდგენილი. ისიც გასარჩევია, ესა თუ ის კატეგორია ან კატეგორიის რომელიმე ცალკე სახეობა დამოუკიდებლად, ე.ი. განსხვავებულ საფუძველზე არის წარმოქმნილი თუ ერთი კატეგორია ან კატეგორიის რომელიმე სახეობა სხვისგან მომდინარეობს.

კატეგორიებს, რომელთაც ევალებათ ზმნურ ქმედებასა თუ სიტუაციაში ჩართულ აქტანტთა გამოხატვა, ვუწოდებთ აქტანტურ კატეგორიებს, ესენია: პირისა და რიცხვის კატეგორიები.

კატეგორიებს, რომელთაც ევალებათ ზმნური ქმედების დახასიათება: როდის ხდება ზმნური ქმედება (ივარაუდება მარტივი და რთული დროული მიმართებები), რამდენჯერ ხდება, რა მოდალობისაა, საით არის მიმართული, ქმედება დასრულდა თუ არა, ვუწოდებთ ატრიბუტულ კატეგორიებს.

მესამე რიგის კატეგორიები მიუთითებენ აქტანტთა დამოკიდებულებაზე ზმნურ ქმედებასთან და სხვა აქტანტებთან. მათ დეფინიციებს იძლევიან გვარის, ქცევისა და კაუზაციის კატეგორიების აღწერაში. ამათ ვუწოდებთ კონექციურ კატეგორიებს (ლათ. Conexio „კავშირი, ურთიერთობა“).

პირი და პირიანობა ქართული ზმნისა

პირის განსაზღვრა არ არის ერთგვაროვანი, იგი დიონისე თრაკიელიდან მოდის და ხშირად უფრო ბუნდოვანიც ხდება შემდგომ პერიოდში. „ბუნდოვანება“ ეხება პირის, როგორც კატეგორიის, განსაზღვრას.

დიონისე თრაკიელის მიხედვით, „პირი სამია: პირველი, მეორე, მესამე. პირველი პირია, რომლისგანაც მოდის სიტყვა, მეორე პირია – ვისაც სიტყვა მიემართება, მესამე კი – ვის შესახებაც არის სიტყვა“ (ლ.ქაროსანიძე, 1998, 107). მართალია, სამივე პირი ლაპარაკთან არის დაკავშირებული და ამით კატეგორიის ელემენტთა ჰომოგენურობა დაცულია, მაგრამ არ არის საკმარისი პირთა პარადიგმატული დახასიათებისათვის, რადგან „რომლისგანაც მოდის სიტყვა“, ანუ მოლაპარაკე შეიძლება ზმნაში არ იყოს წარმოდგენილი, მაგ., წერს ზმნაში წარმოდგენილი არ არის ის, ვინც მას ამბობს, ანუ „რომლისგანაც მოდის სიტყვა“.

კატეგორიასთან კიდევ უფრო დაცილებულია ა.შანიძის განმარტება პირისა: „პირი გრამატიკაში არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უბნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მიმართვის საგანი, არამედ სხვა“ (ა.შანიძე, 1973, 167). ამ განმარტებაში მესამე პირი პირველ და მეორე პირებთან ჰომოგენურობის თვისებას კარგავს, რადგან დაკარგა კავშირი ლაპარაკთან, რასაც ემატება დიონისე თრაკიელის განმარტების ნაკლიც. დამაკმაყოფილებელია ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონის (ЛЭС) განმარტება: „Лицо... обозначает отношение субъекта действия (процесса, качества) (иногда и объекта) к говорящему лицу“. იგი აკმაყოფილებს კატეგორიის ორივე მოთხოვნას: სუბიექტურობა (resp. ობიექტურობა) უზრუნველყოფს ჰომოგენურობას, ხოლო მოლაპარაკე პირთან მიმართება – პარადიგმატულობას; თუ სუბიექტი თავად მოლაპარაკეა, იგი იქნება სუბიექტური პირველი პირი; თუ სუბიექტი ლაპარაკის ადრესატია, ის სუბიექტური მეორე პირი იქნება და ა.შ., Mutatis mutandis ობიექტური პირველი, მეორე და მესამე პირები.

ე.ბენვენისტმა განასხვავა, ერთი მხრით, I და II, ხოლო, მეორე მხრით, III პირი, როგორც პირები არაპირისგან. ასიმეტრია აქ უკავშირდება იმას, რომ I და II პირთა კვალიფიკაცია ხდება საუბარში მიჩენილი როლის მიხედვით, მე-

სამე პირი კი საუბარში არ მონაწილეობს, საკლასიფიკაციო პრინციპის მიღმა რჩება. იგი არაპირია, ამიტომ, ე.ბენვენისტის აზრით, ეს არის იმის მიზეზი, რომ რიგ ენებში III პირი ზმნის ფორმებში არ არის მარკირებული; მაგრამ ისიც კარგად არის ცნობილი, რომ III პირის მარკირებაც არ არის უჩვეულო (მაგალითად, ქართულში). III პირში ნიშნის ქონა, ე.ბენვენისტის თქმით, სიმეტრიისკენ სწრაფვით აიხსნება (ე.ბენვენისტი, 1974, 263). როგორც ვხედავთ, აქაც პირთა შესახებ მსჯელობა ხდება საუბარში ჩართვის მიხედვით. ამიტომ დიონისე თრაკიელის დებულების დაზუსტებად უნდა ჩაითვალოს.

პირის კატეგორიის შესახებ ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობები არ ეხება პირთა დაყოფას სუბიექტად და ობიექტებად (პირდაპირ და ირიბ ობიექტებად). **ესენი ერთიმეორისგან დამოუკიდებელი კატეგორიებია.** როგორც კატეგორია, სუბიექტი (S) სრულიად განსხვავებულია ობიექტთაგან: ქართულ ენაში სუბიექტი ზმნური ქმედების ინიციატორია, რაც შეუძლებელია ობიექტთათვის; პირდაპირი ობიექტი პაციენსია. იგი შეიძლება იყოს პაციენს-ექსეკუტორი, მაგრამ ვერ იქნება ინიციატორი. ექსეკუტორი შეიძლება იყოს ირიბი ობიექტიც, მაგრამ იგი ვერ იქნება ვერც ინიციატორი და ვერც პაციენსი. ირიბი ობიექტი ბენეფაქტიური (resp. მალეფაქტიური) პირია ფუნქციური ვარიაციებით.

სუბიექტურ, პირდაპირობიექტურ და ირიბობიექტურ აქტანტებს კატეგორიულობას ანიჭებს შიდა სახის მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ ჰომოგენურ ფორმათა დაპირისპირებანი.

სიმეტრიისკენ სწრაფვა, რაზეც ე.ბენვენისტი მიუთითებდა, **არ არის შემთხვევითი.** ამის საფუძველს ქმნის აქტანტთშორისი სისტემა, სადაც ელემენტთა საკლასიფიკაციო ნიშანი იცვლება: **III პირი ჰომოგენურ სისტემაშია ჩართული I და II პირებთან** – თუ კატეგორიის შიდასისტემაში არსებითი იყო ერთი და იმავე აქტანტის როლი საუბარში მონაწილეობის მიხედვით,

აქტანტთშორის სისტემაში არსებითია აქტანტთა თვით ქმედებაში მონაწილეობის ხასიათი: **ქმედების ინიციატორობა, ქმედების პაციენსობა და ბენეფაქტივის როლი ქმედებაში.** თითოეული მათგანი ქმნის მიკროსისტემას (შიდაკატეგორიულ სისტემას) პირთა რომელობის მიხედვით დაპირისპირებული ფორმებით, სადაც **III პირს იგივე მოეთხოვება, რაც I და II პირებს,** ვთქვათ, ინიციატორის გამოხატვა და ა.შ. ამით **III პირის** მეორეულობა საეჭვო ხდება ქრონოლოგიურად.

ჩვენი მსჯელობა რომ ცალსახა იყოს, საჭიროა ტერმინოლოგიურად ერთიმეორისგან განვასხვაოთ ერთი და იგივე აქტანტი განსხვავებულ სისტემებში. ამ მიზნით კატეგორიის ფარგლებში ერთი და იმავე აქტანტის საუბარში განსხვავებული მონაწილეობის აღსანიშნავად ვიტოვებთ ტერმინ პირს. იგი შეიძლება იყოს I, II ან III (მაგალითად: S_1, S_2, S_3; O_1^d, O_2^d, O_3^d და ა.შ.).

კატეგორიათშორის სისტემაში მონაწილე აქტანტებს კი ვუწოდებთ **პირმიმართ** და **პირმიუმართავ** აქტანტებს იმის მიხედვით, მათ ზმნაში საკუთარი ნიშნები აქვთ თუ არა აქვთ. ეს აქტანტები, როგორც ზემოთ ვთქვით, ერთიმეორისგან განსხვავდებიან ზმნურ ქმედებაში მონაწილეობის ხასიათით. პირმიმართი აქტანტებია: S, O^d და O^{ind}. მაშასადამე, რომელიმე ამათგანი, მაგალითად, **სუბიექტი, აქტანტთშორისი სისტემის ელემენტია და სხვა აქტანტებს უპირისპირდება როგორც ქმედების ინიციატორი.** იგი დამოუკიდებელი ზმნური კატეგორიაა, რომელიც ყალიბდება სუბიექტურ პირთა შეპირისპირებით (S_1 ~ S_2 ან S_2 ~ S_3, ან S_1 ~ S_3 და ა.შ.) Mutatis mutandis O_1^d ~ O_2^d, O_2^d ~ O_3^d; O_1^{ind} ~ O_3^{ind} და ა.შ.

შეიძლება დავასკვნათ, I, II, III პირები იდენტური ქცევით ხასიათდებიან კატეგორიათშორისი სისტემის ფარგლებში: თითოეული მათგანი შეიძლება მოგვევლინოს როგორც სუბიექტის, ისე რომელიმე ობიექტის როლში. სწორედ ამან შეაპირობა პირთა სისტემის სიმეტრიულობა.

რადგან ერთი და იგივე აქტანტები მონაწილეობენ ორსავე სისტემაში, ბუნებრივია, სისტემები გარკვეულ შეზღუდვებსაც უქმნიან ერთიმეორეს, კერძოდ: **პირთა მიმართების კანონზომიერებით აქტანტთშორის სისტემაში იკრძალება ერთზე მეტი პირველი ან მეორე პირი**: როგორიც არ უნდა იყოს პირმიმართ აქტანტთა რაოდენობა ზმნაში, მოლაპარაკე მხოლოდ ერთი იქნება (ან S, ან O^d, ან O^{ind}), ისევე როგორც მიმართვის ობიექტი (ან S, ან O^d, ან O^{ind}), III პირი კი შეიძლება რამდენიმე იყოს ერთ ფორმაში, ისინი ხომ განთავისუფლებული არიან მოლაპარაკისა და მიმართვის ობიექტის მოვალეობისაგან, ამიტომ შესაძლებელია სამივე პირმიმართი აქტანტი ერთდროულად მესამე პირში იდგეს (ის მას სურათს უხატავს), მაშასადამე: შეუძლებელია $S_1O_1^d$ ან $S_2O_2^d$; $S_1O_1^{ind}$, $SO_1^dO_1^{ind}$ და ა.შ., შესაძლებელია $S_3O_3^dO_3^{ind}$, $S_3O_2^dO_3^{ind}$ და ა.შ.

თავის მხრივ შეზღუდვა ამა თუ იმ პირის რეალიზაციისა შეიძლება კატეგორიათშორისი სისტემიდანაც მოდიოდეს: თუ ზმნის ფორმაში სამი პირმიმართი აქტანტია, ერთ-ერთი ობიექტი პარადიგმის ფარგლებში მხოლოდ მესამე პირშია წარმოდგენილი – იგი პირუცვლელია, მეორე კი პირცვალებადია, მსგავსად სუბიექტისა, მაგალითად: **დამაშორა** ($S_3O_1^dO_3^{ind}$ – მან მე მას) ფორმაში თავიდანვე განსაზღვრულია კატეგორიათშორისი სისტემით, რომ ირიბი ობიექტი მხოლოდ მესამე პირში იქნება, სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს კი შეუძლიათ პირის შეცვლა (დამაშორე – $S_2O_1^dO_3^{ind}$, დაგაშორა – $S_3O_2^dO_3^{ind}$ და ა.შ.). თუ პირცვალებადს გავხდით ირიბ ობიექტს, მაშინ მესამე პირში უცვლელად იდგება პირდაპირი ობიექტი (დამაშორა მან მე ის; არ შეიძლება დამაშორა მან მე **შენ**, ე.ი. შენი თავი). თეორიულად ორივე აკრძალვა მოულოდნელია; ძველ ქართულსაც არა ჰქონდა ისინი, თუმცა იყო მცდელობა ამ კომბინაციათა გრამატიკული რეალიზებისა („რომელმან მიმცა მე შენ“ ი.19,11C), **მაგრამ მხოლოდ მცდელობა** – ესენი, მიუხედავად მათი რაოდენობისა, ხელოვნური ფორმებია ძველი ქართულისთვის (შდრ. კ.დანელია, 1987, 544; ლ.შალვაშვილი, 1992, 53-63.) ეს მცდე-

ლობა წარუმატებელი აღმოჩნდა, უნდა ვივარაუდოთ, იმიტომ, რომ გამოხატულების პლანის საკუთარი, სხვა კომბინაციებისგან განსხვავებული, ფორმები ვერ შეიქმნა ენაში. ბუნებრივია, არსებითი მნიშვნელობა მიეცემოდა გამოყენებით მხარეს: რადგან ობიექტური აქტანტების I და II პირების კომბინაციები გრამატიკული ფორმიდან გამორიცხავდნენ S_1 და S_2 აქტანტებს, რომლებიც ზმნაში ინიციატორის როლში გვეელინებიან. ამან, ვფიქრობთ, შეაპირობა ვირტუალურობა იმ გრამატიკული ფორმებისა, რომლებიც ერთდროულად შეიცავენ ობიექტურ აქტანტთა (პირდაპირისა და ირიბის) I და II პირთა კომბინაციებს: $O_1^dO_2^{ind}$ (ან პირიქით) კომბინაცია არ დაუშვებს ფორმაში როგორც S_1-ს, ისე S_2-ს; მეორე მხრივ, S_1 ფორმიდან ამოაგდებდა როგორც O_1^d-ს, ისე O_1^{ind}-ს, ასევე S_2 – როგორც O_2^d-ს, ისე O_2^{ind}-ს. რჩება ერთადერთი $S_3O_1^dO_2^{ind}$ კომბინაცია თავისი ვარიაციებით, რომლებშიც იცვლება მხოლოდ ობიექტთა ინდექსები და რიცხვი. ეს კომბინაციები კი ფორმის მიხედვით მთლიანად ემთხვევა $S_3O_1^dO_3^{ind}$-ს ვარიაციებს... ზემოთ მოყვანილი მიმცა მან მე შენ (ი.19.11C) საზიაროა მან მე მას, მან მე მათ, მან მე იგი ან მან ჩუენ იგი კომბინაციებისათვის (მიმცა მან მე მას... მიმცა მან ჩუენ იგი), რომლებიც ჩვეულებრივი იყო ძველ ქართულში. მაშასადამე, თეორიული წინააღმდეგობის არარსებობისას ამ კომბინაციებს შეიძლება ვირტუალურიც ვუწოდოთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, საქმე გვაქვს კატეგორიათშორისი სისტემის (კონკრეტულად აქტანტთშორისი სისტემის) აკრძალვასთან: არ არსებობს კომბინაციები $S_3O_1^dO_2^{ind}$ და $S_3O_1^{ind}O_2^d$ (ობიექტთა ამ კომბინაციებთან გამორიცხულია S_1 და S_2, რადგან მოსაუბრისა და მიმართვის ობიექტის როლები უკვე ობიექტებს აქვთ დაკავებული), მაშინ როცა შესაძლებელია $S_2O_1^dO_3^{ind}$ და $S_2O_1^{ind}O_3^d$... მაშასადამე, O_1, O_2, O_3 ელემენტების ჩანაცვლების შიდაკატეგორიულ წესს აკრძალვა ედება გარედან — კატეგორიათშორისი სისტემიდან, რომლის მოქმედების შედეგად $SO_1^dO_3^{ind}$ ფორმულაში O_3^{ind}-ს ვერ ჩავანაცვლებთ O_2^{ind}-ით, ასევე $SO_1^{ind}O_3^d$-ში O_3^d-ს ვერ ჩავანაცვლებთ O_2^d-ით; ორაქტანტიან ზმნებში

კი ეს ჩანაცვლება ბუნებრივად ხდება: SO_1^d ფორმულაში O_1^d-ს ჩანაცვლება O_2^d-ით ან O_3^d-ით ჩვეულებრივია (და-მ-კარგავს, და-გ-კარგავს, და-ჰ-კარგავს... ძველი ქართულის I სერიის ზმნისწინიან ფორმებში O_3^d-ს ჰ- პრეფიქსი აუცილებელი იყო ისევე, როგორც მ- და გ- პრეფიქსები I და II პირთა ფორმებში. ეს წესი ახლაც მოქმედებს ქართულ დიალექტებში. სალიტერატურო ქართულში ხელოვნურად იქნა უარყოფილი).

განსაზღვრული ურთიერთობა არსებობს ქართული ზმნის პირმიმართ და პირმიუმართავ აქტანტებს შორის. პირმიმართი აქტანტების ჯგუფი (S, O^d, O^{ind}), პირმიუმართავთაგან განსხვავებით, როგორც მათი სახელწოდებებიდანაც ჩანს, ზმნაში მარკირებით არის გარჩეული. საერთოა ის, რომ აქტანტთა ორივე სახეობა სახელებით არის წარმოდგენილი წინადადებაში. მათ აქვთ სპეციფიკური ბრუნვებიც და ერთიმეორესთან საზიაროც, კერძოდ: (ა) მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ სუბიექტს შეიძლება ჰქონდეს, ამავე დროს სუბიექტს არასოდეს ექნება მიცემითი ბრუნვა; (ბ) ზმნათა პირველი სერიის ფორმებთან სახელობითში მხოლოდ სუბიექტი დგას; (გ) სრული პარადიგმის ფარგლებში მიცემით ბრუნვაში ყოველთვის მხოლოდ ირიბი ობიექტი დგას და ა.შ.

ზმნაში აღნიშვნის მიხედვით პირმიმართ აქტანტთა პირმიუმართავთაგან გამიჯვნა **პირობითია** – დამოკიდებულია ზმნურ კატეგორიათა კომბინაციაზე, რომელიც იქმნება კონკრეტულ ფორმაში; ასე მაგალითად: სამპირიან აქტივთა III სერიის პერფექტულ ფორმებში I და II სერიების ირიბი ობიექტი პირმიუმართავ აქტანტად მოიქცევა (ვუხატავ მას, დამიხატავს მისთვის), ასევე პირმიუმართავი აქტანტი შეიძლება მოიქცეს პირმიმართად: აქტივის მეორადი კაუზაციის პირმიუმართავი, მიცემით ბრუნვაში დასმული აქტანტი კონვერსიულ პასივში მოიქცევა ირიბ ობიექტად (დამიხატვინა მას ~ დაუხატვინა მას).

– რას უკავშირდება ზემოთ აღნიშნული გარდაქმნები პირმიმართ და პირმიუმართავ აქტანტებს შორის?

(ა) აქტივთა III სერიის ფორმებში წარმოდგენილია რთული დროული კატეგორია – პერფექტულობა, ანუ წარსული აწმყოში (I თურმეობითი) და წარსული წარსულში (თურმეობითი მეორე), ამასვე წარმოგვიდგენს კავშირებითი III კავშირებით კილოში. ამ ტიპის ზმნებში აუცილებელია პირდაპირი ობიექტის წარმოჩენა, როგორც წარსულში ჩადენილი ქმედების შედეგისა; შდრ. პასივთა III სერიის ფორმები: დაწერილ არს – I თურმეობითი: „დაწერილ“ – ეს არის წარსულში ჩადენილი ქმედების შედეგი; „არს“ კი მიუთითებს შედეგის არსებობაზე საუბრის მომენტში – აწმყოში; ასევე დაწერილ იყო – II თურმეობითი: აქ არის მითითება წარსულში ჩადენილი ქმედების შედეგზე წარსულშივე, რომელიც შედეგის მიღების დროსა და აწმყოს შორის არსებობს, ანუ აწმყოზე წინ, მაგრამ შედეგის მიღების შემდეგ.

თუ პასივში შედეგი სუბიექტით არის წარმოდგენილი, ბუნებრივია, აქტივში იგი პირდაპირი ობიექტით უნდა გამოიხატოს – ეს კონვერსიული მიმართებაა, რომელიც პრინციპულად არის გატარებული აქტივ-პასივთა ურთიერთობაში.

III სერიის ფორმები, ანუ პერფექტული ფორმები სამეცნიერო ლიტერატურაში I და II სერიების ფორმებთან შედარებით გვიან ჩამოყალიბებულად ივარაუდება. III სერიაში I და II სერიების მწკრივთა ფორმებია ნასესხები, რა თქმა უნდა, გრამატიკულად განსხვავებული მნიშვნელობით: II თურმეობითი და III კავშირებითი, ძველი ქართულის მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, მთლიანად II სერიის მწკრივებს ემყარება. არსებობს უმარტივესი წესები I თურმეობითის ფორმათა წარმომაელობის დასადგენადაც.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია გარკვეულია აქტივთა I თურმეობითის ფორმათა წარმომავლობა სტატიკურ ზმნათა აწმყოს ფორმებისგან: მიწერიეს (სტატ., აწმყო) ~ დამიწერიეს (აქტ., I თურმ.) (ნ.ნათაძე, 1955).

სტატიკური ზმნები პერფექტული ფორმებია თავისი ბუნებით. მათ წარსულში დასრულებული ქმედების შედეგი გამოხატული აქვთ სუბიექტით: მიწერიე-ს (მე იგი) – „იგი“ აქტანტის არსებობა ივარაუდება ლაპარაკის დაწყების მომენტამდე, ე.ი. სტატიკურ ზმნათა რთულ პერფექტულ დროში წარსული შემოდის სუბიექტის სახით – იმით, რაც აწმყო დრომდე შეიქმნა.

სტატიკური ფორმები ორპირიანია და მასში, გარდა სუბიექტისა, შესულია ირიბი ობიექტიც მფლობელის სახით – ის ბენეფაქტიური აქტანტია და სტატიკური ვნებითის ნეიტრალური ფორმების საპირისპიროდ სასხვისო ქცევაზე მიუთითებს: ხწერიეს ~ ხუწერიეს (I და II პირებში: მიწერიეს, გიწერიეს). აქტივებმა პერფექტულობის გადმოსაცემად სწორედ აქ აღწერილი მოდელი გამოიყენეს, ოღონდ რიგი ცვლილებებით: ფუნქციათა გადანაცვლებითა და დამატებით, კერძოდ: (a) დაემატა ზმნისწინი (რომლის არსებობა სტატიკურ ფორმებში გამორიცხულია): ხუწერიეს ~ და-ხუწერიეს. ზმნისწინმა შემოიტანა გეზი, რასაც მოჰყვა აქტივთათვის აუცილებელი დინამიზაცია. ეს იყო დინამიზაციის უმოკლესი გზა.

(b) დინამიზაციის შემდეგ იწყება ფუნქციური გადანაცვლებები აქტანტთა შორის: (b_1) აქტივში წარსული ქმედების შედეგის გამოხატვა, რასაკვირველია, უნდა მომხდარიყო პირდაპირი ობიექტით, ამიტომ, როგორც პერფექტულობის საფუძველი – წარსულში განხორციელებული ქმედების გამომხატველი, იგი იკავებს სუბიექტის ადგილს, პერფექტული ფორმის ინიციატორი აქტანტი ხდება; მის გარეშე პერფექტული ფორმა ვერ შეიქმნება, იგი სიტუაციის შემქმნელია. (b_2) სტატიკური ვნებითის მფლობელი ირიბი ობიექტი აქტივის ფორმაში უნდა ამოვარდნილიყო, რადგან ნასესხებ ფორმას ჰქონდა მხოლოდ ორი პირი (მ-იწერიე-ს, გ-იწერიე-ს, ხ-უწერიე-ს), რომელთაგან ერთი – სუბიექტური პირის ნიშანი დაიკავა ყოფილმა პაციენსმა, როგორც ინიციატორმა აქტანტმა, მეორეს კი უნ-

და გამოეხატა აგენსი — ექსეკუტორი აქტანტი, ქმედების ჩამდენი.

ამ გადანაცვლებებით აქტივთა I და II სერიების აგენსისა და პაციენსის როლები შეიცვალა: ინიციატორობის გამო პაციენსი III სერიაში სუბიექტი გახდა, აგენსი კი ობიექტის ნიშნით გამოიხატა.

რაც შეეხება სტატიკური ვნებითის ზმნური ფორმიდან ამოვარდნილ ბენეფაქტიურ ირიბს, იგი ინარჩუნებს ბენეფაქტიურობას, ოღონდ, დაკარგა რა პირის ნიშანი, იქცა პირმიუმართავ აქტანტად და ფუნქცია შეინარჩუნა -თვის თანდებულიანი ფორმით: **დამიწერიეს მისდა** „დამიწერია მისთვის“.

დასკვნა: აქტიუის პარადიგმის III სერიის პერფექტულ ფორმებში ხდება I და II სერიათა აგენსისა და პაციენსის როლების შეცვლა, რასაც, ბუნებრივია, მოსდევს პირის ნიშანთა სათანადო განაწილება. მაშასადამე, **არ ხდება პირის ნიშანთა ინვერსია**: ინიციატორს სუბიექტის ნიშანი გამოხატავს, ობიექტის ნიშნით კი ქმედების შემსრულებელი აქტანტია მარკირებული. ერთიცა და მეორეც ქართული ზმნის კანონზომიერებას მიესადაგება: ა) ქართულ ზმნაში მოქმედი პირი (ექსეკუტორი, იგივე აგენსი) შეიძლება ირიბი ობიექტიც იყოს (და-მ-აწერინა მე) და პირდაპირიც (ა-მ-ატირა მე), ინიციატორი კი ყოველთვის სუბიექტია, გინდ პაციენსადაც იყოს წარმოდგენილი (ეცემინ-ა ის).

(ბ) ახლა დავუბრუნდებით შემთხვევებს, როდესაც აქტივის პირმიუმართავი აქტანტი კონვერსიულ პასივში მოიქცევა პირმიმართ ირიბ ობიექტად.

მეორადი კაუზაციის აქტივებს ქცევა არა აქვთ იმ მარტივი მიზეზით, რომ ირიბი ობიექტი ექსეკუტორია და ფორმაში არ არის რეციპიენტი (მიმღები აქტანტი): **აწერინებს, ათლევინებს** და სხვა.

ანალოგიური ვითარებაა შესაბამის კონვერსიულ პასივებში: აქაც წარმოდგენილია ინიციატორი სუბიექტი (ის ეწერინება) და შემსრულებელი აქტანტი-ექსეკუტორი (ეწერინება

მას); არ არის მიმღები აქტანტი, მაშასადამე, ვერც სასხვისო ქცევა შეიქმნება.

ფორმაში მიმღები აქტანტის შემოსვლა ხდება პირმიუმართავად: დამიწერინა მან მე მას წერილი. მიცემით ბრუნვაში დასმული ორი აქტანტიდან პირმიმართი (O_1^{ind}) რეციპიენტია (დამიწერინა მე, ე.ი. ჩემთვის დააწერინა), მეორე კი — პირმიუმართავი (დამიწერინა მას). ეს პირმიუმართავი აქტანტი ექსეკუტორია.

ოთხვალენტიანი მეორადი კაუზაციის აქტივთა კონვერსიულ პასივში აქტივის პირმიუმართავი აქტანტი ხდება პირმიმართი ირიბი ობიექტი (ჩემი წერილი დაეწერინა მას); რეციპიენტი ირიბი (O_1^{ind} ამ შემთხვევაში) კუთვნილებით ნაცვალსახელად მოიქცევა (მე დამიწერინა ~ ჩემი დაეწერინა).

აქტანტთა ყველა დაშვებულ კომბინაციაში არ არის ისეთი პირი, რომელიც გამოიხატება ყოველთვის; მაგ.: (1) გ-ხატავ ფორმაში არ არის გამოხატული S_1 ; (2) მ-იხატავ-ს ფორმაში არ არის გამოხატული O_3^d; (3)შე-მ-აძულ-ა ($S_3O_1^dO_3^{ind}$ – „ჩემი თავი შეაძულა მას“) არ არის გამოხატული O_3^{ind} და სხვა და სხვა. აღნიშნულ ფორმათა პარადიგმებში მოიპოვება ისეთი სამაქტანტიანი ფორმებიც, რომლებშიც მხოლოდ ერთი აქტანტია მატერიალურად გამოხატული: შე-მ-წირე ($S_2O_1^dO_3^{ind}$) და შე-მ-წირე($S_2O_1^{ind}O_3^d$) და სხვა მრავალი. განხილულ ვითარებაში გადასაწყვეტია ზმნის პირიანობის საკითხი.

პირდაპირი და ირიბი ობიექტები ემთხვევიან ერთიმეორეს გამოხატულების პლანში, თუმცა გრამატიკულად დიდად განსხვავებული პირებია. ის ფაქტი, რომ პირდაპირ და ირიბ ობიექტებს ერთი და იგივე ნიშნები აქვთ პირთა მიხედვით, ავტომატურად გამორიცხავს მათ ერთ რანგში გაერთიანების შესაძლებლობას. ერთი კატეგორიის ელემენტები, რადგან პარადიგმატულად მონაცვლეობენ გამოხატულების პლანში, ვერ იქნებიან იდენტური; ერთნაირი აღნიშვნა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სხვადასხვა კატეგორიის ელემენტებს, რადგან მათი რანგები განსხვავებულია. ასეა, მაგალითად, ჰ- ნიშნად S_2-ის, O_3^d-ისა და O_3^{ind}-ისა. უფრო

დეტალურად ამ საკითხს შევეხებით ქვემოთ. სქემატურად წარმოვადგენთ პირის ნიშნებს. პირის ნიშნები მოცემულია სინქრონიულ დონეზე სამწერლობო ქართულისა და დიალექტთა გათვალისწინებით. ძველ და ახალ სამწერლობო ქართულში, ქართული ენის დიალექტებში პირთა მარკირება ერთი მოდელით ხდება. მათ შორის განსხვავებას მხოლოდ მორფონოლოგიური ცვლილებების ხასიათი და მიმართულება ქმნის.

სუბიექტური პირის ნიშნები

მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი
I	ვ-~Ø-	ვ-~Ø- ——— -თ
II	ჰ-~ს-~ხ-~Ø-	ჰ-~ს-~ხ-~Ø ——— -თ
III	-ს~-Ø~-ა~-ო	-ენ~-ან~-ნენ~-ნ~-ეს

პირდაპირი ობიექტის ნიშნები

მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი
I	მ-	გვ-
II	გ-	გ- ——— -თ
III	ჰ-~ს-~Ø-	ჰ-~ს-~Ø- ——— (-თ)

ირიბი ობიექტის ნიშნები

მხოლობითი რიცხვი		მრავლობითი რიცხვი
I	მ-	გვ-
II	გ-	გ- ——— -თ
III	ჰ-~ს-~Ø-	ჰ-~ს-~Ø- ——— -თ

სქემათა მიხედვით კარგად ჩანს, რომ ზმნურ პარადიგმებში (1) პირი და რიცხვი შეიძლება ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი მორფემებით, გამოიხატოს ან (2) შეიძლება ორივე კატეგორია ერთი მორფემითაც აღინიშნოს.

თუ საქმე გვაქვს პირველ შემთხვევასთან, პირის ნიშნები უცვლელად გადადის მხოლობითი რიცხვიდან მრავლობითში. პირის სიმრავლის გამოსახატავად კი ფორმაში დამატებით ჩნდება ნიშანი, მაგალითად: ვ- —— და ვ- —— -თ (ვ-წერ და ვ-წერ-თ), გ- და გ- —— -თ (გ-წერ და გ-წერ-თ). -თ სუფიქსი ყველა შემთხვევაში მრავლობით რიცხვთან არის დაკავშირებული.

მეორე შემთხვევაში თვით პირის ნიშანი იცვლება რიცხვის მიხედვით, ე.ი. მრავლობით რიცხვში პირისა და რიცხვის გამომხატველია ერთი და იგივე მორფემა. მაშასადამე, მრავლობით რიცხვში გვაქვს პირთა ბიმორფემული აფიქსები, კერძოდ, ასეთია: -ენ, -ან, -ნენ, -ნ, -ეს და გვ- (აკეთებ-ს ~ აკეთებ-ენ, ქრი-ს ~ ქრი-ან, წერდ-ა ~ წერდ-ნენ, აიღო-ს ~ აიღო-ნ, დამალ-ა ~ დამალ-ეს, მ-აქვს ~ გვ-აქვს).

წარმოდგენილ სქემებთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში ლაპარაკია (1) პირთა ინვერსიაზე აქტივთა III სერიისა და ორპირიან მედიოპასივთა I სერიის ფორმებში; (2) პირდაპირ ობიექტზე, რომელიც არ გამოიხატებოდა III პირში. ეს გავრცელებული თვალსაზრისებია, მათ ვხვდებით სასკოლო გრამატიკებშიც. ისინი არაერთგვაროვანია და მოითხოვს დაზუსტებას; (3) ამავე დროს გრამატიკულად ცალსახად უნდა განისაზღვროს სუბიექტიცა და ობიექტთა კონკრეტული სახეობებიც ნიშანთა მიხედვით.

სუბიექტის განსაზღვრა, როგორც ზმნით გამოხატული მოქმედების შემსრულებლისა („ის პირი, რომელიც ზმნის ფორმაში მოქმედების ჩამდენად არის წარმოდგენილი, სუბიექტურია“) (ა.შანიძე, 1973, 170), გავრცელებულია, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში ეს განსაზღვრა არაერთხელ ქცეულა კრიტიკის საგნად (არნ.ჩიქობავა, 1968; ალ.ონიანი, 1978).

სუბიექტური პირის დაკავშირება „მოქმედების ჩამდენთან“ ქართული ენისთვის, სადაც კაუზაციის ორი საფეხური გვაქვს, მოუხერხებელიც არის და არაადეკვატურიც, რადგან ქართულ ზმნაში როგორც კაუზაციის პირველ, ისე მეორე საფეხურზე მოქმედების ჩამდენი გრამატიკულად ობიექტია და არა სუბიექტი, ამიტომ სჯობს სუბიექტური და ობიექტური პირები განისაზღვროს კაუზაციის კატეგორიიის გათვალისწინებით.

ქართულ ენაში ზმნით გამოხატული ქმედების ინიციატორი ყოველთვის სუბიექტის ნიშნით არის გამოხატული, მაგალითად, „ატირებს ის მას“. მართალია, „ტირის“ „მას“ პირი, ე.ი. ქმედების ჩამდენიც ის არის, მაგრამ გრამატიკულად სუბიექტია „ის“ პირი, რომელმაც ქმედებად აღძრა პირდაპირი ობიექტი; ასევე „აკეთებინებს (ის მას საქმეს)“ ფორმაში „ის“ პირია ზმნით გამოხატული ქმედების ინიციატორი, ქმედების ჩამდენი კი ირიბი ობიექტია. სუბიექტის ნიშანი -ს აქვს ქმედების ინიციატორს.

რაც შეეხება კაუზაციურად ნეიტრალურ აქტივებსა და მათგან ნაწარმოებ პასივებს, მათი სუბიექტი ყოველთვის თავისი ნებით მოქმედებს, ე.ი. ბუნებრივი ინიციატივით, რადგან ქმედება არ არის იძულებითი, მაგალითად: წერს, ხატავს, თოხნის... ეწერება, ეგლიჯება, ეთხოვება და სხვა.

ზმნის კაუზაციური ფორმისთვის აუცილებელია, სულ ცოტა, ორი პირი, რომელთაგან ერთი იჩენს ინიციატივას, რათა მეორე პირმა იმოქმედოს; სუბიექტის ინიციატივა შეიძლება განხორციელდეს ირიბი ობიექტის ჩარევით. ეს მიმართება ენაში ხდება სპეციფიკური მაწარმოებლებითა და წარმოებით. ამ საფუძველზე ერთპირიანი ზმნები თეორიულად მოკლებული არიან კაუზაციას – ერთადერთი პირი გამოყვანილია მოქმედადაც და თავისთავად ინიციატორადაც, რადგან სხვა პირი გრამატიკულად გამორიცხულია. თუ ვიტყვით: „შემჭკნარი ყვავილი წყლის მიერ აღივსო ნეტარებით“, წყლის მიერ პირმიუმართავი აქტანტია, გრამატიკულ ფორმაზე გავლენას ვერ ახდენს და, მაშასადამე, ვერც კაუზაციაში იღებს მონაწილეობას, „ყვავილი“ კი გრამატიკუ-

ლად მოქმედიც არის და ინიციატორიც თავისი ქმედებისა – ეს ქმედება გრამატიკულად მხოლოდ ამ პირს უკავშირდება (ყვავილი აღიცსო).

რაც შეეხება პირდაპირ ობიექტს მესამე პირში, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, მას საკუთარი ნიშანი არა აქვს ზმნაში, სალიტერატურო ენის ნორმებიც ამ თვალსაზრისს ემყარება.

ჩვენი აზრით, სადავო არ უნდა იყოს, რომ როგორც სამწერლობო ქართულის, ისე დიალექტთა მიხედვით პირდაპირი ობიექტი ისევე გამოიხატებოდა და გამოიხატება ზმნაში, როგორც ირიბი ობიექტი სამსავე პირში, მაშასადამე, O_3^d-საც იგივე ნიშანი ჰქონდა და აქვს, რაც O_3^{ind}-ს (დ.ბუიძე, 1997).

თუ ხილულ პერიოდში – ხანმეტობიდან მოყოლებული დღემდე მკვლევარნი პირდაპირ ობიექტს მესამე პირში უნიშნოდ მიიჩნევენ, დიაქრონიულად, ა.შანიძისგან განსხვავებით, თ.გამყრელიძე ვარაუდობს, რომ პირდაპირი ობიექტის ნიშანი მესამე პირში იგივე უნდა ყოფილიყო, რაც ირიბისა ამავე პირში – ხ-. ოღონდ ეს მკვლევარიც ძველ ქართულში უკვე დაკარგულად მიიჩნევს მას ირიბ ობიექტთან შედარებით ნაკლები „სიმძლავრის“ გამო, რაც გამოხატულია შემდეგი ფორმულით: /S_3//O_3^{ind}//O_3^d/ → /O_3^{ind}/-R-S-→ხ-R-ს. ფორმულას ახლავს შემდეგი განმარტება: „ერთგვარი განსხვავება იჩენს თავს „სიმძლავრის“ თვალსაზრისით პირდაპირი და ირიბი ობიექტის ამსახველ აქტანტებსა და მათ შესაბამის პრეფიქსულ ნიშნებს შორის. ირიბი ობიექტი ამ მხრივ უფრო „მძლავრია“ პირდაპირ ობიექტთან შედარებით, რამდენადაც მათი კომბინირება წარმოაჩენს ზმნურ ფორმაში მხოლოდ ირიბი ობიექტის პრეფიქსულ ნიშანს“ (თ.გამყრელიძე, 1979, 46). შემდგომ, ამავე ავტორის მსჯელობით, O_3^d-ის ნულთან გათანაბრებას (O_3^d → ∅) სამპირიან ზმნებში ხელი უნდა შეეწყო იმისთვის, რომ ეს პირი აღარ გამოხატულიყო „ისეთ კონსტრუქციებშიც, სადაც იგი არ კომბინირებდა მესამე ირიბ-ობიექტურ პირთან და სადაც იგი ამდენად კანონზომიერად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი /ხ-

პრეფიქსის სახით". მაშასადამე, ჯერ ხ- (O_3^d) დაკარგულა O_3^{ind} პირის ხ- პრეფიქსის გვერდით ნაკლები „სიმძლავრის" გამო, შემდეგ კი დაკარგულა იქაც, სადაც ეს პრეფიქსი O_3^{ind} პირის დაწოლას არ განიცდიდა. ამის შემდეგ **ამოსავალი სისტემა უკვე დარღვეულად ითვლება**: „ამით დაირღვა მანამდე სისტემაში არსებული სტრუქტურული პარალელიზმი პირდაპირ- და ირიბ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველ აქტანტებს შორის, რომლებიც პირველ, მეორე და მესამე პირის ფორმებში მათთვის საეროო /მ-/, /გ-/ /ხ-/ პრეფიქსებით გამოიხატებოდა" (თ.გამყრელიძე, 1979, 47). ამ თვალსაზრისით, ნათელია, საქმე გვაქვს ახალ ენობრივ სტრუქტურასთან: გრამატიკულ ფორმებში არ ხდება O_3^d-ის, როგორც პირის გამოხატვა. ძველი და თანამედროვე ქართული საზიარო სისტემაში, განსხვავებით ამოსავალი რეკონსტრუირებული სისტემისგან, O_3^d ზმნის ვალენტობაში შედის მხოლოდ, როგორც პირი კი აღარ არსებობს. ასე რომ, რომელიმე მწკრივის ფარგლებში, სადაც ორ- და სამპირიან ზმნათა ფორმები მხოლოდ პირთა განსხვავებული რომელობის კომბინირებით არიან გამიჯნული ერთიმეორისაგან, ერთი და იგივე ზმნა პარადიგმის ფარგლებში პირიანობას შეიცვლის: ა.შანიძის ქება ზმნის პარადიგმაში, რომელიც ორპირიანი ზმნის აწმყოს მწკრივში უღლების ნიმუშად არის წარმოდგენილი, ამ თვალსაზრისით, საქმე გვექნება ხან ერთ და ხან ორპირიან ფორმებთან, კერძოდ: (ა.შანიძის მიხედვით 18 ფორმიდან) მხოლოდ რვა იქნება ორპირიანი (S_3-ის კომბინაციები O_1^d-თან და O_2^d-სთან: მაქებს, გაქებს, გვაქებს, გაქებსთ; მაქებენ, გაქებენ, გვაქებენ, გაქებენთ), დანარჩენი კი — ერთპირიანი: გაქებ, ვაქებ, აქებს და სხვ.

ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ლაპარაკი აღარ შეიძლება ერთპირიანი და ორპირიანი ზმნების უღლებაზე — **ასეთი ზმნების პარადიგმა ჯერ არავის აუგია**. ამავე დროს ასეთი მიდგომა მთლიანად ანგრევს არსებულ წარმოდგენებს ენობრივ კატეგორიათა შესახებ, კერძოდ ა.შანიძის გრამატიკულ სისტემაში პირის კატეგორიასთან დაკავშირებით ეს უკვე ვნახეთ; ახლა სხვა მხრივ: ა.შანიძის სისტემაში ზმნურ ფორმებში პირთა რაოდენობის ცვლა დაკავშირებულია

„წარმოქმნის კატეგორიებთან“, როგორიცაა: გვარი, ქცევა, კაუზაცია. ახალი თვალსაზრისით პირთა რაოდენობის ცვლა როგორ შეფასდება ერთ მწკრივში: **ხატავ-ს** და **მ-ხატავ-ს**? — პირველი ერთპირიანია, მეორე კი — ორპირიანი, გვარის საკითხი როგორ გადაწყდება? ა.შანიძის მიხედვით, ერთპირიანი ზმნა არ შეიძლება მოქმედებითი გვარისა იყოს... ან იქნებ პირმიუმართავი აქტანტების გათვალისწინებაა საჭირო რიგ კატეგორიებში, ან საერთოდ? **ასეთი თეორიაც არ არსებობს**...

აქ კიდევ ერთ თვალსაზრისს უნდა შევეხოთ. არნ.ჩიქობავას ვარაუდით, ქართული ენის გარდამავალ ზმნაში ორივე ობიექტის პირი ვერ გამოიხატება: კლასოვანი უღელილების ენებში სახელობითში დასმული ობიექტის მხოლოდ კლასი და რიცხვია გამოხატული, პირი კი ამ ობიექტისა არ გამოიხატებოდაო. მისი აზრით, ქართული ენის პირდაპირი ობიექტი კლასოვანი უღლების ობიექტის შთამომავალია... (არნ. ჩიქობავა, 1968, 013).

ქართული ზმნის პირის ნიშნები კლასის ნიშნებს არ უნდა უკავშირდებოდეს. რაც მთავარია, პირდაპირი ობიექტის პირი და რიცხვი ძველ ქართულში გამოხატულია სუბიექტის პირისა და რიცხვის მარკირების პრინციპით: პირსა და რიცხვს თავ-თავიანთი აღმნიშვნელები აქვთ; მაგალითად: **შე-მ-ი-პყრნ-ა||შე-გუ-ი-პყრ-ნ-ა** (ჩუენ), **შე-გ-იპყრ-ნ-ა** (თქუენ), **შე-ხ-იპყრ-ნ-ა** (იგინი). მაშასადამე, ორპირიანი ზმნები პირდაპირ ობიექტს გამოხატავენ პირშიც და რიცხვშიც. ამას არც არნ.ჩიქობავა უარყოფს. მისი დებულება ეხება სამპირიან ზმნებს, სადაც ორივე ობიექტია წარმოდგენილი. მისი აღწერით, სამპირიან აქტივებში პირდაპირი ობიექტის მხოლოდ მრავლობითობაა გამოხატული, რისთვისაც ეს ობიექტი მიიჩნია „უმცირეს კოორდინატად“ (ზმნას ითანხმებს რიცხვში, ვერ მართავს პირში)...

პირდაპირი ობიექტის პირის ნიშნები და მრავლობითობის ნიშანი სამპირიან ზმნებშიც ისევე კარგად არის წარმოდგენილი, როგორც გარდამავალ ორპირიანებში, მაგალითად: „მაშინ მიგცნენ თქუენ ჭირსა“ (მ.24,9): ამ სამპირიანი ზმნის

ფორმაში გ- არის O_2^d-ის ნიშანი, -ნ სუფიქსი კი მისი სიმრავლის გამომხატველი სუფიქსია (მი-გ-ც-ნ-ე-ნ).

სამპირიან აქტივში არსებითია იმის გარკვევა, რომელი ობიექტია პირცვალებადი და რომელი – პირუცველი. პირცვალებადი ობიექტის ნიშანი უთუოდ იქნება წარმოდგენილი ზმნის ფორმაში. მოვიყვანთ სხვა მაგალითს, სადაც პირცვალებადი იქნება ირიბი ობიექტი და გ- მეორე პირში მისი ნიშანი იქნება და არა პირუცველი პირდაპირი ობიექტისა, რომელიც მესამე პირში დგას და ნულოვანი ალომორფით უნდა გამოიხატოს: „მიგცნე შენ კლიტენი სასუფეველისა ცათაჲსანი“ (მ. 16, 19) – მი-გ-Ø-ც-ნ-ე. კიდევ ერთი მაგალითი ოთხთაეიდან, სადაც O_2^{dp} წარმოდგენილია როგორც პირის ნიშნით, ისე მრავლობითობის ნიშნით: „მიგცნენ თქუენ მამა-დედათა და ძმათა და მეგობართა და ნათესავთა“ (ლ. 21, 16c). „ვეფხისტყაოსანში“ დაჴსნა ზმნის სამპირიან ფორმებში ხან პირდაპირი ობიექტია გამოხატული პირველ პირში და ხან – ირიბი: „დამჴსენ ჩემსა საწუთროსა“ (ვეფხისტყაოსანი, 1966, 574,4) მ- პრეფიქსი O_1^d-ს გამოხატავს (და-მ-ჴსენ); შდრ. „ზენაარ, დამჴსენ სიცოცხლე...“ (ვეფხისტყაოსანი, 1966, 586,3), მ-პრეფიქსი აქ ირიბ ობიექტს გამოხატავს (და-მ-ჴსენ) – O_1^{ind}-ს*.

O_3^d პირის საკითხის დასმისთანავე წარმოვადგინეთ დებულება, რომ, მსგავსად I და II პირებისა, ობიექტურ მესამე პირთა (O_3^{ind}-ისა და O_3^d-ის) **ნიშნებიც იდენტური იყო და არის ძველსა და თანამედროვე ქართულში**. ეს თვალსაზრისი ქვემოთ წარმოდგენილი არგუმენტაციის საფუძველზე, არსებულ მოსაზრებათაგან განსხვავებით, „პირის გამოხატვას“ განსხვავებულ ინტერპრეტაციას აძლევს და ზმნის პირიანობის გაგებაც ამ განსხვავებულ მიდგომას დაემყარება.

---

* იხ. კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი ა.შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობით და გამოკვლევით, 1956, დახსნა.

O_3^d ძველი ქართულის აწმყოსა და მისი ფუძისგან ნაწარმოებ მწკრივთა ფორმებში სისტემებრ არის გამოხატული. ა.შანიძის მიერ გამოყოფილი ქადაგებს და ჰყოფს ტიპის ზმნები წარმოადგენენ მხოლოდ მორფონოლოგიური ცვლილების მიხედვით განსხვავებულ ჯგუფებს: ამ ზმნებს O_3^d ან ჰ- პრეფიქსითა აქვთ გამოხატული, ან მისი ალომორფებით (/ს-/ წინაენისმიერ თანხმოვანთა წინ, /Ø-/ მოსალოდნელია ყველა შემთხვევაში, როცა ზმნა უპრეველრბოა); თუ ზმნა პრეველრბიანია, O_3^d-ის ნიშანი ყოველთვის თავის ადგილზეა ძველ ქართულში როგორც ხანმეტი, ისე ჰაემეტი და მომდევნო ხანის ტექსტებში*. მაშასადამე, არ არსებობს საფუძველი, რომ I სერიის ფორმებში უარვყოთ O_3^d-ის ნიშნად ხ- ან ჰ- პრეფიქსი ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში, ხოლო ჰ- ~ ს- ~ Ø- მომდევნო ხანებში.

O_3^d-ის ნიშნად I სერიაში რეგულარულად ხმარებული ხ- ან ჰ- პრეფიქსი, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, არარეგულარულად გვხვდება II სერიაში. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: **აღხიპყრა, მიხიღო, მიხიყვანის, დახუფარო** (მე იგი), **მოხაქციოს** (მან იგი) და სხვ. (იხ. ზ.სარჯველაძე, 1971, 117). ამათ დაემატება დაჰბადა ტიპის ორპირიანი ზმნები, რომლებშიც ჰ- პირდაპირ ობიექტს გამოხატავს ძველ ქართულში; თუ „პასივის ე- პრეფიქსი" წარმოშობით პირთა რაოდენობას არ უკავშირდება (ლ.ნოზაძე, 1958, 134), მაშინ, რა თქმა უნდა, დახბადა აქტიური კონვერსიული პასივი იქნება ერთპირიანი დახებადა (ერთპირიან დახებადა ფორმაში ხ- პრეფიქსი გვხვდება იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც ეს პრეფიქსი გვაქვს ი'ნიან ენებითში) და არა ორპირიანი დახებადა.

გარდა ზემოთ განხილული ტიპის ფორმებისა, არის კიდევ პირთა განსაზღვრული კომბინაციები, რომლებშიც O_3^d პირი უთუოდ გამოიხატება – ეს ის სამპირიანი ფორმებია, სადაც ირიბი ობიექტი პირუცვლელია, პირდაპირი ობიექტი კი – პირცვალებადი ($SO_1^dO_3^{ind}$, $SO_2^dO_3^{ind}$, $SO_3^dO_3^{ind}$). როგორც წესი, პირუცვლელი ობიექტი ზმნაში მა-

* სათანადო მასალა იხ. ი. იმნაიშვილი, 1971.

ტერიალურად არ არის წარმოდგენილი; ამ კომბინაციებში მხოლოდ პირდაპირი ობიექტის ნიშნებია გამოხატული; მაგ.: მი-მ-ც-ა (მან მე მას), მი-გ-ც-ა, მი-ხ-ც-ა. არ არსებობს რაიმე არგუმენტი იმისთვის, რომ ხ-პრეფიქსი III პირში განეკუთვნოს პირუცვლელ ირიბ ობიექტს (O_3^{ind}-ს), როცა იგი არ იყო წარმოდგენილი I და II პირებში პირცვალებადი პირდაპირი ობიექტის გვერდით ან მის ადგილზე. **ამ პარადიგმაში, სადაც პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი მონაწილეობს, მესამე პირში ხ- პრეფიქსის მიკუთვნება ირიბი ობიექტისთვის ემყარებოდა არარეალურ დებულებას,** თითქოს პირდაპირ ობიექტს მესამე პირში ნიშანი არა ჰქონდა — ეს დებულება არაადეკვატურია რეალური ვითარებისა.

წარმოვადგენთ მიკროპარადიგმებს აწმყოსა და წყვეტილის მწკრივებში იმ სამპირიანი ფორმებისა, რომლებშიც ხან O^d არის პირცვალებადი, ხან კი — O^{ind}.

მიცემა ზმნა, პირცვალებადია O^d

აწმყო

I	მი-მ-ცემ-ს	[იგი მე (O_1^d) სიკუდილსა]*
II	მი-გ-ცემ-ს	
III	მი-ხ-ცემ-ს	

რადგან I სერიის ზმნისწინიან ფორმებში ხანმეტ პერიოდშიც და შემდეგაც O_3^d ყოველთვის გამოიხატებოდა, მესამე პირში ხ-, რა თქმა უნდა, პირდაპირი ობიექტის ნიშანია და არა ირიბი ობიექტისა, რომელიც პარადიგმაში პირუცვლელია, დგას მხოლოდ მესამე პირში და პარადიგმის სხვა კომბინაციებშიც არ არის გამოხატული.

---

* შდრ. სიკუდილსა არაჲ მიმცა მე (ფსკტ., 156,18)

წყვეტილი

I	მი-მ-ც-ა	მი-მ-ც-ნ-ა
	[მან მე (O_1^d) სიკუდილსა]	[მან ჩუენ O_1^{dp} სიკუდილსა]
II	მი-გ-ც-ა	მი-გ-ც-ნ-ა
III	მი-ხ-ც-ა	მი-ხ-ც-ნ-ა

[„მიგცნენ თქუენ კრებულსა“ (მ. 10, 17EC)]

აწმყოს მწკრიეის ანალოგიური ვითარებაა წყვეტილშიც: აქაც ხ- პრეფიქსი გამოხატავს O_3^d-ს, რადგან პარადიგმაში იგი ჩანაცვლებულია მ-, გ- პრეფიქსებთან, რომლებიც, შესაბამისად ინდექსებისა, პირდაპირ ობიექტს გამოხატავენ.

მიცემა ზმნა, პირცვალებადია O^{ind}

აწმყო

I	მო-მ-ცემ-ს	[იგი მე (O_1^{ind}) წიგნსა]
II	მო-გ-ცემ-ს	
III	მო-ხ-ცემ-ს	

წყვეტილი

I	მო-მ-ც-ა	[მან მე (O_1^{ind}) წიგნი]
II	მო-გ-ც-ა	
III	მო-ხ-ც-ა	

აქ არც ერთ ფორმაში მატერიალურად არ ჩანს O_3^d-ის ნიშანი, ისევე როგორც ზემოთ არც ერთ ფორმაში არ ჩანდა O_3^{ind}-ს ნიშანი, რის საფუძველზეც უნდა მივიღოთ დებულება: **სამპირიან ზმნებში მატერიალურად გამოიხატება მხოლოდ პირცვალებადი ობიექტის ნიშნები.** რადგან პირდაპირსა და ირიბს სამსავე პირში საერთო ნიშნები აქვთ, მათი პარადიგმები პირცვალებადობის მიხედვით არ განსხვავ-

დება ერთიმეორისგან. მათ შორის განსხვავება გამოჩნდება მხოლოდ შესაბამის კონვერსიულ პასივებში: **პირცვალებად პირდაპირობიექტიან ზმნათა კონვერსიული ფორმები პასივში წარმოდგენილია სუბიექტური წყობის ფორმებით: მიმცემს ~ მი-ხ-უ-ეცემი; ამათგან განსხვავებით, პირცვალებად ირიბობიექტიან ზმნათა კონვერსიული ფორმები კი პასივში გასაგები ძიზეზის გამო წარმოდგენილია ობიექტური წყობის ფორმებით: მომცემს ~ მო-მ-ეცემ-ი-ს, მოგცემს ~ მო-გ-ეცემ-ი-ს, მოხცემს ~ მო-ხ-ეცემ-ი-ს.** მასალაზე უკეთ თვალის მისადევნებლად ამ ფორმებს წარმოვადგენთ წყვეტილის მწკრივშიც.

(1) პირცვალებადია O^d: **მი-მ-ც-ა ~ მი-ხ-უ-ეც**

მი-გ-ც-ა ~ მი-ხ-ეც (←* მი-ხ-ხ-ეც)

მი-ხ-ც-ა ~ მი-ხ-ეც-ა

(2) პირცვალებადია O^{ind}: **მო-მ-ც-ა ~ მო-მ-ეც-ა**

მო-გ-ც-ა ~ მო-გ-ეც-ა

მო-ხ-ც-ა ~ მო-ხ-ეც-ა

როგორც კი პირცვალებად პირდაპირობიექტიან აქტივთა შემობრუნება ხდება პასივად და ამ აქტივთა პირდაპირი ობიექტის მოქცევა პასივის სუბიექტად, **მაშინვე ირიბი ობიექტი თავის ნიშანს წარმოაჩენს ზმნაში.** რადგან ეს ობიექტი ყოველთვის მესამე პირში იდგა აქტივის ფორმებში, ბუნებრივია, მათ (ამ აქტივთა) კონვერსიულ პასივებში იგი მხოლოდ ხ- პრეფიქსით იქნება წარმოდგენილი ყველგან. ამ შემთხვევაში კონვერსიულ პასივებს სუბიექტური წყობა აქვთ (იხ. ზემოთ).

ჩატარებულ ანალიზთან დაკავშირებით გასარკვევია შემდეგი საკითხები: (1) კონვერსიულ პასივთა მესამე პირში ერთიმეორეს ემთხვევა აქტივთა მიხედვით სხვადასხვა წარმომაველობის ფორმები; **რა მიმართებაა მათ შორის?** (2) მი-ხ-უ-ეც ფორმა და აღდგენილი

*მი-ხ-ხ-ეც რამდენად არის დაშვებული ქართული ზმნის სისტემით? (3) აქვს თუ არა სამაქტანტიან (SO^dO^{ind}) ფორმებს სამი პირი, ე.ი. ისეთი სამაქტანტიანი ზმნები, რომელთაც აქვთ პირდაპირი და ირიბი ობიექტები, შეიძლება ქართულში მივიჩნიოთ სამპირიანებად?

მიხეცა ფორმის კონვერსიული აქტივი ორნაირია: მიხცა (1) და მიხცა (2) (მიხცა პირველი და მიხცა მეორე). პირველ შემთხვევაში მატერიალურად წარმოჩენილია პირდაპირი ობიექტი (გავიხსენოთ, რომ I სერიის მწკრივებში ორპირიან აქტივებსაც უგამონაკლისოდ აღენიშნება O_3^d პრევერბიან ფორმებში, რაც სისტემის მიხედვით ანალოგიურ ვითარებას ვარაუდობს II სერიაში, თუ სხვა პირთა გამოხატვის მიხედვით ვიმსჯელებთ I და II სერიებში), ირიბი კი უნიშნოა; მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ ირიბი ობიექტია მატერიალურად წარმოჩენილი: მიხცა პირველის პარადიგმაში ხ- პრეფიქსი I და II პირებში შესაბამისად ჩანაცვლებულია პირდაპირი ობიექტის მ- და გ- ნიშნებით; მიხცა მეორის პარადიგმაში კი ხ- ირიბი ობიექტის მესამე პირის გამომხატველია და შესაბამისად II და I პირებში მას ენაცვლებიან ირიბისაეე გ- და მ- პრეფიქსები. სრულიად ნათელია, რომ კონვერსიულ პასივებში, სადაც პირდაპირი ობიექტი აღარ შეიძლება არსებობდეს, ხ- პრეფიქსი ირიბი ობიექტის მესამე პირის გამომხატველია, ე.ი. როგორც მიხცა (1), ისე მიხცა (2) იძლევა მიხეცა კონვერსიულ პასივს, რომლის ხ- პრეფიქსი O_3^{ind}-ის მარკერია. ოღონდ, იმის მიხედვით, აქტივის რომელ კონვერსიულ ფორმას უდგას გვერდით, /მიხეცა/-ს /ხ-/-ს კონვერსიულ სისტემაში ექნება განსხვავებული ალომორფები: ერთ შემთხვევაში /Ø-/, როცა მიხეცა მიხცა პირველის პასივად მოქცევით არის მიღებული, მეორე შემთხვევაში კი /ხ-/ უცვლელად არის გადასული ფორმიდან ფორმაში, როცა მიხეცა მიხცა მეორის პასივად მოქცევით არის მიღებული. მაშასადამე, ორპირიან პასივში ირიბ ობიექტს მესამე პირში ხ- პრეფიქსი უჩნდება მაშინაც, როცა იგი კონვერსიულ აქტივში /Ø-/ალომორფით არის გამოხატული. ეს ვითარება კარგად ხსნის პასიურ მიხუეც და მიხეც (←*მი-ხ-ხ-ეც) ფორმებსაც: მი-ხ-/უ/-ეც ფორმაში კონვერსიული აქტივის

O_1^d მოიქცა რა S_1-ად ({მ-} → {ვ-}), პირუცვლელი O_3^{ind} წარმოჩნდა თავისი ნიშნით (ხ- პრეფიქსით), ამიტომ აქტივის ფორმაში იგი შეიძლება /Ø-/-ით გამოვხატოთ: (მან მე მას) მი-მ-Ø-ც-ა ~ მი-ხ-უ-ეც (მე მას). ზუსტად ასეთივე ვითარება გვქონდა **მიხცა** (1)-ის პასივად მოქცევის შემდეგ (**მიხცა** ~ მიხეცა) – რადგან ორივეგან [მიმცა (მან მე მას) და მიხცა(1)] O^{ind} პირუცვლელია და იდგა მხოლოდ მესამე პირში. მაშასადამე, **მიხუეც ფორმა ქართული ზმნის სრულიად კანონზომიერი, მისი კონვერსიული სისტემის მექანიზმით მოთხოვნილი ფორმაა.**

რაც შეეხება პასიურ მიხეც (←* მიხხეც შენ მას) ფორმას, აქ O_3^{ind} /Ø-/ ან /ხ-/ ალომორფებით გამოიხატება, რაც ან მორფოლოგიურად არის შეპირობებული, ან ფონოლოგიურად: თუ ბრძანებითის ფორმასთან გვაქვს საქმე, ძველ ქართულში O_3^{ind} /ხ-/ პრეფიქსით იქნება გამოხატული, როგორც ტრადიციულად მიაჩნდათ, და /ხ-/ **მორფოლოგიურად იქნება შეპირობებული** – ბრძანებითში იმ დროს S_2 არ აღინიშნებოდა; სხვა შემთხვევაში კი, როცა ზმნის კილო თხრობითი იყო, O_3^{ind} წარმოდგებოდა /Ø-/ ალომორფით, წინა პლანზე გამოდის S_2 და /ხ-/-ც მას ეკუთვნის: /Ø-/ ფონოლოგიურად არის შეპირობებული – ორი ხ- პრეფიქსის თავმოყრის გამო დაიკარგა O_3^{ind}-ის /ხ-/ ალომორფი ფონეტიკურად (შემდეგში იგივე დაემართა ამ /ხ-/-ს S_1-ის ვ-ს გვერდით).

მიუხედავად იმისა, რომ ძველ ქართულში {ხ-ვ-} ($O_3^{ind}S_1$) პირის ნიშანთა ფუნქციონირება ეჭვს არ იწვევს, გამოითქვა ვარაუდი, რომ ფუნქციათა ასეთი დანაწევრება მეორეულია, წინა პერიოდში (მაგ., საერთოქართველურ დონეზე) ხუ- S_1-ის გამომხატველი ერთიანი, დაუშლელი პრეფიქსიაო. ასეთი თვალსაზრისის ძირითად არგუმენტად იყენებენ იმას, რომ S_1 და O_3 აქტანტთა ნიშნების ერთიმეორის გვერდით განლაგება თეორიულად არ არის დაშვებული. აი, ორი მოწმობა ლიტერატურიდან: (1) „...ქართველურ ენათათვის... არ არის დამახასიათებელი ორი სხვადასხვა პირის მორფემათა პრეფიქსული სეგმენტური წარმომადგენლების ერთმანე-

თის გვერდით თავმოყრა“ (ალ.ონიანი, 1978, 157); (2) „პირის პრეფიქსული მორფემები ძველი ქართული ზმნის სტრუქტურაში, როგორც წესი, მხოლოდ ერთ უჯრედს იკავებენ, რომელიც მოთავსებულია ქცევის, კაუზატივისა და ვნებითის მაწარმოებელ პრეფიქსთა უჯრედის წინ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეფიქსული პირის ნიშნები სტრუქტურულად შეუთავსებელია ერთმანეთთან პრეფიქსულ მორფემათა მიმდევრობაში“ (თ.გამყრელიძე, 1979, 44). პირთა გამოხატვის რეალური ვითარება, რომელიც ძველ ქართულშივე დასტურდება, ციტირებულ ორსავე ნაშრომში მიჩნეულია მეორეულ ფაქტად – რეინტერპრეტაციის შედეგად. ასეთი დასკვნა, ავტორთა მტკიცებით, დამყარებულია ენის სტრუქტურაზე – ამა თუ იმ კონკრეტულ უჯრაში ჩაისვას განსაზღვრული რანგის მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. რადგან პირი მიჩნეულია ერთ კატეგორიად, მას ერთი რანგი ეძლევა ზმნის ფორმაში, კერძოდ: პრეფიქსულ პოზიციაში, ზმნისწინსა და ქცევის ან კაუზაციის ნიშნებს შორის, შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირის ნიშნის ჩასმა; შდრ. „В одном слове может встретиться только один аффикс каждого порядка“(ჰ.გლისონი, 1959, 164). „სტრუქტურული შეუთავსებლობა“ ვარაუდობს ერთი კატეგორიის ნიშნების შეუთავსებლობას (მათ შორის მხოლოდ ჩანაცვლებაა შესაძლებელი), მაგრამ **როცა საქმე გვაქვს სამ კატეგორიასთან, შეუთავსებლობა მოხსნილია**: სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი ერთიმეორისგან სრულიად განსხვავებული კატეგორიებია და თითოეული მათგანი საკუთარი ნიშნებითაც არის გამოხატული. ბუნებრივია, რანგთა სისტემაში ყოველ მათგანს თავისი ადგილი აქვს, ე.ი. სამპირიანი ზმნის ფორმაში მათთვის სამი რანგი უნდა გამოიყოს, ამიტომ ძველი ქართულის ის ზმნური ფორმები, რომელთაც ერთიმეორის მიყოლებით გამოეხატებათ პრეფიქსული ნიშნები (ხ-უ-ეტყჳ, მი-ხ-უ-ეც, შე-ხ-უ-აბ-თ...), ბუნებრივია ქართული ზმნისთვის. ამასთან ერთად სამპირიან ზმნებში გასათვალისწინებელია ნულოვანი ალომორფებიც, რომელთაც ქმნიან პირუცვლელი პირდაპირი და ირიბი ობიექტები. შეხუაბთ გრამატიკულად ჩაიწერება ასე: შე-ხ-უ-Ø-აბ-თ, სადაც

ნულოვანი ალომორფით გამოხატულია O_3^d (პირუცვლელი აქტანტი). ნული აქ შეპირობებულია ფონოლოგიურად: *შე-ვ-ხ-ხ-აბ-თ → *შე-ვ-ხ-Ø-აბ-თ → შე-ხ-უ-Ø-აბ-თ; ეს ფონეტიკური ცვლილებები გამოწვეულია იმით, რომ ქართულ ენაში იკრძალება ერთი და იმავე ნიშნით წარმოდგენილი ორი აფიქსი (ხ-ხ→ხ); ფონოლოგიურად არაბუნებრივი ვ-ხ თანამიმდევრობა კი შეიცვალა ბუნებრივი ხ-უ თანამიმდევრობით ([ხ]-ს მომდევნოდ [ვ] გადაიქცევა წყვილბაგისმიერ [უ] თანხმოვნად).

მორფემათა გაჩენა და ფონეტიკური ცვლილებები გრამატიკულ ფორმათა შიგნით სიმულტანური პროცესებია: უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართულში არასოდეს ყოფილა *შე-ხ-ხ-აბ-თ ან *მო-ვ-ვალ, ან *ვ-ხ-ეტყვ... ფორმები: აქ ფონეტიკური ცვლილებები თანმიმყოლი უნდა ყოფილიყო მორფოლოგიურ ელემენტთა გაჩენისა. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს ხელოვნურ ფორმებს სამწერლობო ტრადიციების მქონე ენებში. მათ შესახებაც გვექნება მსჯელობა თავის ადგილზე.

ახლა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ დასკვნითი დებულებები: (1) ქართული ზმნის ერთ ფორმაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი რომელობის სუბიექტი, ასევე ერთი რომელობის პირდაპირი ობიექტი და ერთი რომელობის ირიბი ობიექტი; (2) რადგან I და II პირები ყოველთვის კონკრეტულია, გრამატიკულად იკრძალება ამ რომელობის აქტანტთა – სუბიექტისა და რომელიმე ობიექტის ან ობიექტების კომბინაციები, ესენია: $S_1O_1^d$, $S_2O_2^d$; $S_1O_1^{ind}$, $S_2O_2^{ind}$; $S_1O_1^dO_1^{ind}$, $S_1O_1^dO^{ind}$... $S_1^pO_1^d$, $S_2O_2^{dp}$ და ა.შ.

პირველი დებულების გათვალისწინებით, გასაგებია, რომ ერთი და იგივე კონკრეტული პირი ვერ იქნება ზმნაში ერთდროულად წარმოდგენილი სუბიექტადაც და ობიექტადაც, გინდ რეალურად ასეც იყოს, მაგალითად, ეცემინა კაუზატივში სუბიექტი ინიციატორ-პაციენსია, მაგრამ ზმნაში გამოხატულია მხოლოდ როგორც სუბიექტი; (3) რადგან III პირი არაკონკრეტულია, შესაძლებელია ერთ ფორმაში $S_3O_3^dO_3^{ind}$, $S_3^pO_3^dO_3^{ind}$ და ა.შ. S_3, O_3^d და O_3^{ind}

სხვადასხვა მესამე პირებია, მე და შენ (I და II პირები) კი ყველგან თითო პირია, არ არსებობს სხვა „მე“ და სხვა „შენ“ – ისინი ყველგან ერთი და კონკრეტული არიან.

პირველ, მეორე და მესამე დებულებებზე დამყარებით ქართულ ენაში გამოიყოფა დაშვებული და დაუშვებელი კომბინაციების მკაცრად განსაზღვრული რაოდენობები. ამ კომბინაციებში თითოეული პირი ინარჩუნებს თავისთავადობას, რის გამოც ნებისმიერ წინადადებაში უშეცდომოდ გამოიყოფა მისი შესაბამისი აქტანტი.

დავუბრუნდეთ პირებს. S_1^P გამოიხატება ვ- —— -თ აფიქსებით (ვ-წერ-თ, ვ-ხატავ-თ), სადაც პრეფიქსი გამოხატავს პირს, სუფიქსი ამავე პირის მრავლობითობას; S_2^P პირიც ამავე წესით იწარმოება (ხ- ~ ჰ- ~ ს- ~ Ø- — - თ), მაგალითად: ხ-არ-თ, ჰ-კანკალებ-თ და სხვა. მაშასადამე, თუ ზმნის ფორმაში I ან II სუბიექტურ პირთა მრავლობითობის -თ გაჩნდა, უნდა ველოდეთ სათანადო პირის ნიშანსაც, რადგან -თ სუფიქსი უკვე გამოხატულ პირს უჩნდება (მრავლობითი რიცხვის ფორმები მეორეულია).

S_1-ის ნიშანი წარმოდგენილია O_3-სთან (შე-ხ-უ-აბ-თ, მი-ვ-ს-წერე-თ...), მაგრამ არა გვაქვს O_2-სთან (გ-ხატავ, გ-აბამ...); S_2-ის ნიშანი არ არის წარმოდგენილი O_1-თან (მ-ხატავ, მ-აბამ...); იმ ფორმებში, სადაც გვაქვს კომბინაცია S_2O_3, მხოლოდ ერთი პირის ნიშანია წარმოდგენილი ფონოლოგიური მიზეზით: მათი ნიშნები მატერიალურად იდენტურია, ქართული ენისთვის კი ფონეტიკურად იდენტურ მორფემათა კომბინაცია არაბუნებრივია, ამიტომ თხრობით კილოში ერთ-ერთი პირის ნიშანი ნულოვანი ალომორფით იქნება წარმოდგენილი (ბრძანებით კილოში S_2-ის ნიშანი, როგორც წესი, ძველ ქართულში იკარგებოდა; S_2-ის ნულოვანი ალომორფი იქ მორფოლოგიურად იყო შეპირობებული). (მე) მო-მ-წერე-თ და (შენ) მო-გ-წერე-თ ფორმებში -თ სუბიექტის მრავლობითობის ნიშანია: მო-მ-წერე-თ (თქვენ) და მო-გ-წერე-თ (ჩვენ შენ), ამიტომ უნდა ვიფიქროთ, სუბიექტური პრეფიქსების გაუჩინარება მორფონოლოგიური მიზეზით ხდება. ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ ვ- გვხვდება O_3-სთან

კომბინაციაში (მაშასადამე, მოსალოდნელი იყო O_2-სთანაც; ასევე S_2-ის პრეფიქსი სავარაუდებელია O_1-თან). ამ საფუძველზე მორფოლოგიურად რეკონსტრუირდება S_1O_2 პირთა კომბინაცია ვ-გ- *ვ-გ-წერ, *ვ-გ-ხატავ და ა.შ. /ვ-/ფონოლოგიურად დაუშვებელია /გ/-ს წინ, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ /ვ-/ პრეფიქსის დაკარგვა ამ ფორმებში მისი გაჩენის სიმულტანური პროცესია, ე.ი. ყოველთვის და ყველა საფეხურზე ენის განვითარებისა ამ პოზიციაში ნულოვანი ალომორფი ივარაუდება (შდრ. ვედ და ვალ ფუძეები, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ მატერიალურად გამოხატული S_1-ის ნიშანი ფონოლოგიური პოზიციის გამო, ამიტომაც აქ /Ø-/ ალომორფი უნდა ვწეროთ); ასეთივე მსჯელობით რეკონსტრუირდება S_2O_1 ფორმები (*მო-მ-ხ-წერე, და-მ-ხ-ხატე...), რომელთა S_2-ის ნიშანი ამ პოზიციაში ნულით არის წარმოდგენილი, **რაც აგრეთვე შეპირობებულია ფონოლოგიურად** (მო-მ-Ø-წერე, და-მ-Ø-ხატე).

II სერიის ფორმებში, სადაც შესაძლებელია მრავლობით რიცხვში გამოიხატოს როგორც სუბიექტი, ისე პირდაპირი ობიექტი, ძველ ქართულში და თანამედროვე ზოგ დიალექტშიც ამ პირთა მრავლობითობის სუფიქსები ერთ ხაზზე ლაგდებიან უშუალო თანმიმდევრობით (რაც ერთხელ კიდევ გახაზავს ამ პირთა ცალკე რანგებად გამოყოფის სისწორეს): და-ვ-ხატ-ენ-თ (ჩვენ იგინი), და-ვ-მალ-ენ-თ (ჩვენ იგინი) და სხვა. მოგვიანებით /ნთ/ კომპლექსის არაბუნებრიობის გამო მასში გაჩნდა თანხმოვანთა გამყარი ი (დავხატენით, დავმალენით).

კომბინაცია $S_2{}^{P}O_1{}^{dp}$ ასეთი სახისა იყო: და-გუ-ხატ-ენ-თ ‖ და-მ-ხატ-ენ-თ; $S_1{}^{P}O_2{}^{dp}$: და-გ-ხატ-ენ-თ (გვიან – დაგხატენით)... -თ სუფიქსი ყველგან სუბიექტის მრავლობითობას გამოხატავს, -ენ კი – პირდაპირი ობიექტისა, რომლის პირის ნიშანიც წარმოდგენილია ფორმაში; S_1 და S_2 კი აქ ნულოვანი ალომორფებით არიან წარმოდგენილი.

საყურადღებოა $O_3{}^{dp}$ სამპირიანი აქტივების ისეთ პარადიგმაში, სადაც იგი პირუცვლელ აქტანტად არის წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ფონოლოგიური მიზეზით არ გამოიხა-

ტება O_3^d-ის პირი, გამოხატულია მხოლოდ O_3^{ind}-ისა და სუბიექტის პირები, მაგრამ O^{dp}-ს -ენ სუფიქსი თავის ადგილზეა, რადგან ხმოვნიანია და ადვილად ქმნის რეალიზაციისთვის საჭირო პოზიციას. ასეთ შემთხვევაში პირიც უნდა გამოიხატოს გრამატიკულად. სანიმუშოდ ავიღოთ დახუწერენ (მე მას წიგნი). ამ ფორმის მორფონოლოგიური ცვლილებების გზა ასეთია: *და-ვ-ხ-ხ-უ-წერ-ენ → *და-ვ-ხ-უ-წერ-ენ → *და-ხ-უ-უ-წერ-ენ, რაც გრამატიკული ფორმულით ასე უნდა გამოიხატოს: და-ხ-Ø-Ø-უ-წერ-ენ, სადაც ნულოვანი ალომორფები წარმოადგენენ O_3^d-ისა და S_1-ის ნიშნებს; თუ ამ ფორმაში S_1-ს ჩავანაცვლებთ S_2-ით, რომელსაც აგრეთვე ხ- პრეფიქსი გამოხატავდა, ფორმულა მიიღებს ასეთ სახეს: და-ხ-Ø-Ø-უ-წერ-ენ ($S_2O_3^{ind}O_3^{dp}$). ფონეტიკური გარდაქმნები ადვილად იხსნება: (1) სხვადასხვა ფუნქციის ხ- პრეფიქსთა უშუალო თანამიმდევრობაში მკაცრი მორფონოლოგიური წესით მხოლოდ ერთი ხ- პრეფიქსი რჩება ფორმაში; (2) $S_1O_3^dO_3^{ind}$ *ვ-ხ თანმიმდევრობაში ვ-ს მეტათეზისი გარდაუვალია, თუ არ დაიკარგებოდა; ძველ ქართულში სწორედ მეტათეზისი ხდება, როგორც ა.შანიძე ვარაუდობდა; მეტათეზისის შედეგად ხ-ს მომდევნოდ [ვ] გადადის [უ] წყვილბაგისმიერ თანხმოვანში, რომელიც ასევე მკაცრი წესით იკარგება სასხვისო ქცევის უ-ს წინ.

როგორც ვნახეთ, არ არსებობს სტრუქტურული შეზღუდვა, რომელიც ძველი ქართულის სუბიექტურ და ობიექტურ ნიშანთა კომბინაციას მეორეულად მიგვაჩნევინებს პრეფიქსულ თანამიმდევრობაში. აქვე იკვეთება პირთა მარკირების მკაფიო სურათი მათი ურთიერთკომბინირების ფონზე: ზოგ კომბინაციაში პირები წარმოდგენილი არიან მატერიალურად, ზოგში კი ნულოვანი ალომორფებით, რომლებიც შეპირობებულია ფონოლოგიურად. ნათქვამი თანაბრად ეხება სუბიექტურ და ორივე სახის ობიექტურ პირებს. ქვემოთ წარმოვადგენთ პირის ნიშნებს სხვადასხვა კომბინაციაში.

ქართული ენის ზმნაში სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ნიშნებს მე-17 საუკუნის პირველ ნახევარშივე მიაგნო ფრანჩესკო მარია მაჯომ. ამ დროიდან მოყოლებული ქართულ

გრამატიკებში თანდათანობით სდება მათი კონკრეტიზაცია როგორც ფუნქციურად, ისე ეტიმოლოგიურად (ზ.შანშოვანი, ანტონ I, ნ.მარი). ნ.მარმა მიუთითა პირის ნიშანთა ნაცვალსახელურ წამომაველობაზე (ნ.მარი,1925, §111).

ა.შანიძის, არნ.ჩიქობავას, თ.გამყრელიძის, ალ.ონიანის, მ.დამენიასა და სხვათა ნაშრომებში გარჩეულია პირის ნიშანთა კომბინირების საკითხები, რომელთა შესახებ ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა მსჯელობა ზმნის პირიანობასთან დაკავშირებით. პირთა კომბინაციების ფორმულების დადგენამდე საჭიროდ მიგვაჩნია, რომ უფრო დეტალურად შევეხოთ იმ აქტანტთა გრამატიკულ ფუნქციებს, რომლებიც ზმნაში პირის ნიშნებით არიან წარმოდგენილი.

I. სუბიექტი

ქართულ ენაში სუბიექტი ყოველთვის ინიციატორია ზმნით გამოხატული ქმედებისა, მაგრამ ინიციატივა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა გრამატიკული პოზიციიდან. ამის მიხედვით ქართულში გამოიყოფა სამი სახის სუბიექტი: (1) სუბიექტ-ინიციატორ-ექსეკუტორი – $S^{init-ex}$ „ინიციატორ-შემსრულებელი სუბიექტი“. მაგალითად: წერ-ს ის, ხატავ-ს ის და ა.შ. ამ ფორმებში სუბიექტი თავისი ნებით (ინიციატივით) ასრულებს რაღაც ქმედებას;

(2) სუბიექტ-ოდენინიციატორი – S^{init} „მხოლოდ ინიციატორი სუბიექტი“; მაგალითად: აწუხებ-ს ის, აწუხებინებ-ს ის და სხვა. ამ ფორმებში სუბიექტი მხოლოდ მიზეზია ქმედებად აღძრისა – ოდენ ინიციატორი, მოქმედებას კი სხვა პირი ასრულებს (პირდაპირი ობიექტი ან ირიბი ობიექტი);

(3) სუბიექტ-ინიციატორ-პაციენსი – $S^{init-pat}$ „ინიციატორ-სამოქმედო სუბიექტი.“ ამ ფორმებში სუბიექტი ინიციატორიც არის და სამოქმედოც, მაგალითად, პასიური დაეხატვინ-ა ის და აქტიური დაუხატავ-ს ის (თურმ. I); დაეხატვინა ფორმით კარგად ჩანს, რომ სუბიექტის ნიშნით გამოხატული აქტანტი ქმედების ინიციატორიც არის და ქმედების ობიექტიც. ეს ვითარება კარგად არის ფიქსირებული სამეცნიერო ლიტერატურაში. რაც შეეხება დაუხატავ-ს (ის) ფორმაში -ს სუფიქსით გამოხატული აქტანტის მიჩნევას სუბიექ-

ტად, იგი სადავო გახდება, თუ არ გავითვალისწინებთ III სერიის აქტიური ზმნური ფორმების პერფექტულობას. **დაუხატავ-ს ის — „ის“ აქტანტის არსებობა, როგორც შედეგისა, წინა პირობაა ზმნური ქმედების გამოხატვისა,** რის გამოც „ის“ ხდება ინიციატორი და ზმნაშიც ამავე მიზეზით ყოველთვის სუბიექტის ნიშნით არის წარმოდგენილი; შემთხვევითი არ არის III სერიის ფორმათა **რეზულტატიური ბუნების** გახაზვა სამეცნიერო ლიტერატურაში: აქტივებში შედეგი (რეზულტატი) პაციენსის სახით არის წარმოდგენილი, **მისი არსებობის გათვალისწინებით იქმნება ზმნის ფორმა და ეს მოაქცევს მას ქმედების ინიციატორ აქტანტად,** შესაბამისად ამისა სუბიექტური პირიც ხდება.

II. პირდაპირი ობიექტი

პირდაპირი ობიექტიც სამი სახისაა: (1) პირდაპირობიექტ-პაციენსი — $O^{d\text{-}pat}$ „პირდაპირობიექტ-სამოქმედო“, მაგალითად: **და-მ-ხატა მე, და-გ-ხატა შენ, და-Ø-ხატა ის** და ა.შ. ამ პირებში ობიექტი ისეა წარმოდგენილი, რომ უშუალოდ მასზე გადადის მოქმედება; (2) პირდაპირობიექტ-ექსეკუტორი — $O^{d\text{-}ex}$ „პირდაპირობიექტ-შემსრულებელი“, მაგალითად: **და-გ-იხატავს შენ** (თურმ.), **და-მ-იმალავს მე** (თურმ.) და ა.შ. ზმნური ფორმის პერფექტულობის გამო სუბიექტად მოიქცევა პაციენსი, როგორც ზემოთ გამოხატული ქმედების ინიციატორი (იხ. ზემოთ), ობიექტი კი — შემსრულებელ აქტანტად: ასეთი ობიექტი გვხვდება მხოლოდ პერფექტულ ფორმაში, რომელიც შედეგის მიხედვით იქმნება; (3) პირდაპირობიექტ-პაციენს-ექსეკუტორი — $O^{d\text{-}pat\text{-}ex}$ „პირდაპირობიექტ-სამოქმედო-შემსრულებელი“; მაგალითად: **მ-ატირა მე, შე-გ-აწუხა შენ, Ø-აწვალებს მას** და სხვა. — ეს პირველადი კაუზატივის ფორმებია, სადაც პირდაპირი ობიექტი ქმედების ობიექტიც არის და შემსრულებელიც.

III. ირიბი ობიექტი

ირიბი ობიექტი ორი სახისაა: (1) ობიექტ-ბენეფაქტივ-მალეფაქტივი – $O^{ind\text{-}ben/mal}$ – ეს ის აქტანტია, რომლის სასარგებლოდ ან საზიანოდ ხდება მოქმედება, მაგ.: მო-მ-იტეხა მე (მჭადი); მო-მ-ტეხა მე (მხარი) და სხვა; (2) ირიბობიექტ-ექსეკუტორი – $O^{ind\text{-}ex}$ „ირიბობიექტ-შემსრულებელი“. ეს ობიექტი მხოლოდ მეორად კაუზატიურ ფორმებში გვხვდება, მაგალითად: მ-აწერინებს მე, გ-ახატვინებს შენ, Ø-ახატვინებს მას და სხვა.

დიაქრონიული თვალსაზრისით პირებთან დაკავშირებით დგება რამდენიმე კითხვა: (1) რატომ აქვთ სუბიექტურ მეორე პირსა და ობიექტურ მესამე პირს (S_2-ს, O_3^d-სა და O_3^{ind}-ს) ერთი და იგივე ნიშანი (ხ- პრეფიქსი ხანმეტობის პერიოდში, ჰ- – ჰაემეტობისას, უფრო გვიან ჰ- და ს- თავისი ვარიანტებით. ეს ეითარება საერთოა ქართული სამწერლობო ენისა და ყველა დიალექტისთვის; (2) რატომ აქვთ იდენტური ნიშნები O^d-სა და O^{ind}-ს. ეს კითხვები სხვა კითხვებსაც აღძრავს, რომელთა გარკვევას მნიშვნელობა აქვს ზმნურ კატეგორიათა სისტემის შეცნობისთვის.

ზემოთ აღინიშნა ე.ბენვენისტის დამსახურება პირის კატეგორიის განსაზღვრაში. მართალია, პირის დიონისე თრაკიელისეულ განმარტებაში მესამე პირისთვის მონახულია ისეთი ნიშანი, რომელიც მას აკავშირებს დიალოგთან (მესამეა პირი, „ვის შესახებაც არის სიტყვა“ – „გრამატიკის ხელოვნება“, ლ.ქაროსანიძე, 1998, 107), ე.ი. სემანტიკური თვალსაზრისით პირის კატეგორია განისაზღვრა დიალოგით და მესამე პირის მნიშვნელობად გამოცხადდა დიალოგის საგნად ყოფნა (დიალოგის საგნის გარეშე დიალოგი ვერ შედგება!). დიონისე თრაკიელის განმარტება ინტუიტურია, რადგან ვერ აგვიხსნის, რატომ არა აქვს მესამე პირს ნიშანი მრავალ ენაში, როცა იქ მარკირებულია I და II პირები, ე.ი. ლაპარაკის ობიექტად ყოფნა არ არის აუცილებელი პირობა ამ ობიექტის მარკირებისათვის, მაშინ როცა დიალოგში მონაწილეობა სრული გარანტიაა მარკირებისა. ეს იმაზეც მიგვითითებს, რომ, მიუხედავად მარკირება-არამარკირებისა, სუბიექ-

ტის მესამე პირი ქრონოლოგიურად არ შეიძლება I და II პირებზე გვიანდელი იყოს. მესამე პირის მარკირების საკითხს სუბიექტის კატეგორიის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი არ უნდა მივანიჭოთ, რადგან III პირი მარკირებულ I და II პირებს შეიძლებოდა სწორედ უნიშნობით დაპირისპირებოდა; მაგ., წოვა-თუშურში (ბაცბურში), სადაც პიროვან-კლასოვანი უღლებაა ჩამოყალიბებული, III პირის სუბიექტი I და II პირებს სწორედ უნიშნობით (ნიშნის არქონით) უპირისპირდება: აᲔლ'ნ-ას „ვ-თქვი“, აᲔლ'ნ-აჰა „ს-თქვი“, ალ'ინ „თქვ-ა“. წოვა-თუშურის I და II პირებში მესამე პირის უნიშნო ფორმაა გამოყენებული, რომელსაც ფონეტიკური ცვლილებები განუცდია ნაცვალსახელთა დართვის შემდეგ: ალ'ინ-ას > აᲔლ'ნ-ას, ალ'ინ-აჰა > აᲔლ'ნ-აჰა; ას „მე“ (ერგატივში), აჰა „შენ“ (ერგატივში). პარადიგმატული მიმართების ეს სახეობა სრულიად ბუნებრივია. რა თქმა უნდა, არც მესამე პირის მარკირებაა გამორიცხული, ოღონდ ნაკლებ ეკონომიურია.

ე.ბენვენისტის მიდგომა ექსპლიციტურია: მკაცრად გამიჯნავს დიალოგში მონაწილე პირებს არამონაწილისგან, ოღონდ ე.ბენვენისტი კონკრეტულად არა მსჯელობს „სიმეტრიისაკენ მისწრაფების“ საფუძველზე, რამაც III პირს ნიშანი გაუჩინა. ზემოთ ჩვენ სიმეტრიისაკენ სწრაფვის საფუძვლად მივიჩნიეთ არაპირისთვის ისეთი ფუნქციების მინიჭება, რომელიც აქვთ I და II პირებს, ესენია: ინიციატორობა, პაციენსობა და ადრესატობა, ამათ საფუძველზე მოხდა S_3-ის, O_3^d-ისა და O_3^{ind}-ის მარკირება ქართულში, შესაბამისად რიგისა.

სუბიექტური მესამე პირის მარკირება მოხდა ისეთი ნიშნებით, რომლებიც მანამდე არ იყო გამოყენებული, ამიტომ ამჯერად ეს პირი ჩვენს ინტერესს არ იწვევს, ობიექტმა კი მესამე პირში გამოიყენა სუბიექტური II პირის ნიშანი. ნიშნის განმეორება სხვა ფუნქციით ნიშნავს ახალი ელემენტის შექმნას სხვა კატეგორიის ფარგლებში. ერთი კატეგორიის ფარგლებში ნიშნის განმეორება დაუშვებელია. ნიშნის განმეორება სხვა ფუნქციით ქართული ენისთვის უცხო არ ჩანს: სუბიექტი სხვა შემთხვევაშიც ამარაგებს ნიშნით ობიექტებს,

კერძოდ: (ა) ძველ ქართულში ირიბ ობიექტს სიმრავლის ნიშანი არა ჰქონდა II და III პირებში; როცა გაიჩინა, პირდაპირ გადაიღო სუბიექტის -თ სუფიქსი; (ბ) ძველ ქართულში პირდაპირ ობიექტს სიმრავლის ნიშნად ჰქონდა {-ენ} მორფემა /-ენ/~/-ნ/ვარიანტებით. პირდაპირმა ობიექტმა ეს ნიშანი გადააგდო მრავლობით რიცხვში და სუბიექტისგან გადაიღო სუფიქსი -თ. მაშასადამე, ძველ ქართულზე უფრო ადრე, საერთოქართველურშივე, ობიექტს მესამე პირის ნიშნად გადაუღია სუბიექტური მეორე პირის ნიშანი — გზა, რომელიც გვიან წარმოჩნდა მრავლობითი რიცხვის მარკირებაში, უფრო ადრე გამოყენებული ყოფილა პირთა მარკირებაში.

თუ ამოვალთ აქტიურ~ინაქტიურ და ტრანზიტულ~ინტრანზიტულ დაპირისპირებათა დიაქრონიული ჯაჭვიდან, როგორც ეს ენათა აქტიურობის თეორიაშია (თ.გამყრელიძე, ვ.ივანოვი,1984; გ.კლიმოვი, 1977), უნდა ვიფიქროთ, რომ ქართულ ზმნაში პირდაპირი ობიექტის აღნიშვნა წინ უსწრებდა ირიბი ობიექტის მარკირებას; ხსენებული თეორიით პირდაპირი ობიექტის შემოყვანა ზმნის ფორმაში ხდება ტრანზიტულობის ჩამოყალიბების პერიოდში. ამ საფეხურზე ირიბი ობიექტისთვის ზმნაში როლი არ ჩანს, არსებითია სუბიექტი და პაციენსი, რომელთა განსხვავებულმა მარკირებამ ჩამოაყალიბა ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციები.

ირიბი ობიექტის — ბენეფაქტიური აქტანტის გაჩენა დაკავშირებულია პირდაპირი ობიექტისა და შედარებით გვიან სუბიექტის განკუთვნებასთან — დიათეზასთან, რომლისგანაც ქართულ ენაში ჩამოყალიბდა ქცევის კატეგორია. ამ გარდაქმნებიდან ჩვენთვის არსებითია ის, რომ ზმნაში პირდაპირი ობიექტის, როგორც კატეგორიის, შესვლა წინ უსწრებს ირიბი ობიექტის შესვლას. ენობრივი სისტემის ლოგიკითაც ბენეფაქტიური აქტანტი ვერ გაჩნდება პაციენსის არსებობის გარეშე, მაშასადამე, პირდაპირი ობიექტის ნიშნები გადაულია შედარებით გვიან გაჩენილ ირიბს.

აქტივის ქცევის მოდელი შემდეგ გამოიყენა პასიურმა ზმნამაც და იმავე წესითა და იმავე ნიშნებით სუბიექტი

განაკუთვნა ირიბ ობიექტს. ყველა ამ ფორმალურ ინოვაციებში გამოყენებულია სუბიექტის ფორმალური მახასიათებლები.

ზმნურ გარდაქმნებს თუ მთლიანობაში წარმოვიდგენთ, მედიუმი პირველადი სახეა ზმნისა. აქტიურ~ინაქტიურ პერიოდში მედიუმს მხოლოდ სუბიექტი აქვს: S^a ან S^{in} და ისინი ქმედების შიგნით მოიაზრება (ე.ბენვენისტი, 1974, 188); მეორე საფეხური ზმნის ხასიათის ცვლაში დაიწყო აქტიურ ზმნებში S^{in}-ის შეყვანით. ზმნაში შეყვანილი და მარკირებული S^{in} გახდა ტრანზიტული ზმნის პაციენსი; ამ დიათეზას მოჰყვა გვარის კატეგორია (მედიუმი ~ აქტივი); ტრანზიტულ ზმნებში ირიბი ობიექტის შეყვანას მოჰყვა ქცევის კატეგორია მოქმედებით გვარში, რომლის კონვერსიული პასივები სარგებლობენ აქტივთა მოდელით ქცევის წარმოებისას.

სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი და ირიბი ობიექტი როგორც დამოუკიდებელი კატეგორიები

ზოგადად პირის კატეგორია იქმნება რომელობის მიხედვით დაპირისპირებული ჰომოგენური ფორმებით. **ჰომოგენურობის საფუძველს** ქმნიან სუბიექტობა, ირიბობიექტობა და პირდაპირობიექტობა: სუბიექტობის სემანტიკა არის **ინიციატორობა**, პირდაპირობიექტობისა – **პაციენსობა**, ირიბობიექტობისა – **ადრესატობა**. ესენი პირმიმართი აქტანტებია – მათ აქვთ საკუთარი სემანტიკა და ფორმალური გამოხატულება, ამიტომ მივიჩნევთ ქართული ზმნის სუბიექტს, პირდაპირ ობიექტსა და ირიბ ობიექტს დამოუკიდებელ კატეგორიებად (იხ. ზემოთ).

არ არსებობს საფუძველი იმისთვის, რომ S~O (სუბიექტი ~ ობიექტი) დაპირისპირება კატეგორიად მიგვიჩნიოთ, რადგან მაშინ დაუძლეველ წინააღმდეგობას წავაწყდებით ქართულ ენაში, კერძოდ: კატეგორიას რომ S~O დაპირისპირება ქმნიდეს, შეუძლებელი იქნებოდა პირდაპირი და ირიბი ობიექტების საერთო ნიშნით

გამოხატვა. ასეთი რამ დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა O^d და O^{ind} სხვადასხვა კატეგორიებია.

იმ გაგებით, რაც ზემოთ არის წარმოდგენილი, ისეთი ზმნები, რომელთაც სამივე განხილული აქტანტი აქვთ, სამპირიანებად ჩაითვლება, მიუხედავად იმისა, ეს პირები მატერიალურად არიან წარმოდგენილი თუ ნულოვანი ალომორფებით, რაც ქართული ენის ფონოტაქტიკურ წესებს უკავშირდება არსებითად, მაგალითად, რომელიმე უშენებ ($S_2O_3{}^dO_3{}^{ind}$) გრამატიკული სიმბოლოებით გადაიწერება შემდეგნაირად: Ø-Ø-Ø-უ-შენ-ებ, სადაც ნულოვანი ალომორფები გამოხატავენ $S_2O_3{}^dO_3{}^{ind}$ კომბინაციას სამპირიან ზმნაში (იხ. ზემოთ).

აქტანტური კატეგორიები სავარაუდებელია საერთო-ქართველურ დონეზე (ეტიმოლოგიურ დონეზე თითქმის ყველა არის რეკონსტრუირებული). ქართული ენის ცვლილების ყველა ქრონოლოგიურ დონეზე გასათვალისწინებელია დროის შესაფერისი მორფონოლოგიური ხასიათის გარდაქმნები. წარმოდგენილ თვალსაზრისში დამატებით ძიებას მოითხოვს $O_3{}^d$-ის რეკონსტრუქცია წინარექართველურში, რადგანაც იგი არ არის მარკირებული მეგრულსა და სვანურში. საკითხი დგას ასე: ამათ $O_3{}^d$-ის ნიშანი დაკარგეს თუ არ განვითარებიათ იმ დროიდან, როცა $O_3{}^d$ ჯერ კიდევ არაპირი იყო.

ჩვენი ვარაუდით, რადგან სვანურში მარკირებულია $O_3{}^{ind}$, უთუოდ მარკირებული იქნებოდა $O_3{}^d$-ც. მისი მარკერის გაქრობა მორფონოლოგიური პროცესების შედეგია (ეს პროცესი მეგრულში უფრო ინტენსიურად წარმართულა — $O_3{}^{iind}$-საც შეეხო). ეს თვალსაზრისი ემყარება იმ წინაპირობას, რომ ირიბი ობიექტის მარკირებას წინ უსწრებდა პირდაპირი ობიექტის მარკირება. ამ უკანასკნელის ნიშნები გამოიყენა ირიბმა ობიექტმა (იხ. ზემოთ).

შესაძლებელია, სადავოდ ჩაინდეს S, O^d და O^{ind} კატეგორიებში დაპირისპირებულ ელემენტებად რომელობის მიხედვით განსხვავებულ ფორმათა მიჩნევა, რადგან პირთა რომელობის მიხედვით დაპირისპირება ჩვეულებრივია კონექტურ კატეგორიებშიც (გვარი, ქცევა, კაუზაცია), მაგრამ კატეგო-

რიის ელემენტებად არ არის მიჩნეული სხვადასხვა რომელობის პირთა ფორმები...

კონექტურ კატეგორიათაგან განსხვავებით, აქტანტური კატეგორიები იზოლირებულია – ამათი სიმრავლის ელემენტები ერთი კონკრეტული აქტანტის ფარგლებს ვერ გასცდებიან, ამიტომ სიმრავლეებს იქმნიან საკუთარი რომელობის ელემენტთა დაპირისპირებით. კონექტური კატეგორია კი იქმნება განსხვავებული რაგვარობის აქტანტთა ურთიერთობის სპეციფიკურ სახეობათა მიხედვით. კონექტური კატეგორიების სიმრავლის ერთეულთა დაპირისპირება ხდება სპეციფიკურ სახეობათა შიგნით, როგორიცაა, მაგალითად, კუთვნილებითი ურთიერთობა აქტანტთა შორის (ქცევა), იძულებითი ზემოქმედება (კაუზაცია) და სხვა, კერძოდ ქცევის კატეგორიაში ერთიმეორეს უპირისპირდება განსხვავებული მიმართულებით განკუთვნილი ფორმები: სასხვისო ~ სათავისო ($O^{ind.}$-სთვის განკუთვნილი ~ S-ისთვის განკუთვნილი). აქ წარმოდგენილია ქმედებები, რომლებშიც უთუოდ ერთზე მეტი აქტანტი უნდა იღებდეს მონაწილეობას.

შეიძლება დავასკვნათ: S, O^{d}, O^{ind} კატეგორიები ხასიათდებიან საკუთარი სემანტიკითა და ამ სემანტიკის მქონე დაპირისპირებული ელემენტებით, რაც განხორციელებულია პირთა რომელობის ფარგლებში დაპირისპირებით. ატრიბუტულ კატეგორიათაგან ამ ტიპისაა, მაგალითად, გეზი, რომლის სემანტიკას ქმნის ქმედების მიმართულება სივრცეში რომელიმე პუნქტისკენ, დაპირისპირებულ ელემენტებად კი წარმოდგენილია იგივე მიმართულებები განსხვავებული სივრცული მდებარეობის პუნქტებისკენ.

აქვე უნდა შევეხოთ კონვერსიის საკითხსაც, რამდენადაც კონვერსიის პროცედურაში არსებითია სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ურთიერთობა ზმნურ ქმედებასთან. ზემოთ ვნახეთ, რომ არც სუბიექტია მუდამ ერთნაირი და არც პირდაპირი ობიექტი. კონვერსიულ გარდაქმნაში აგრეთვე არსებითია მოქმედი და სამოქმედო აქტანტების ურთიერთმიმართება მნიშვნელობის მიხედვით ეკვივალენტურ წინადადებებში.

საერთოდ მიღებული თვალსაზრისით, კონვერსიაში „აქტივის სუბიექტის დაკარგვის შემდეგ პირდაპირი ობიექტი მოიქცევა პასივის სუბიექტად". ეს წესი ქართულ ენაში კარგად ესადაგება I და II სერიის აქტივ-პასივთა ურთიერთობას, მაგრამ ირღვევა III სერიაში, სადაც კონვერსიის პროცედურაში არ იკარგება სუბიექტი, მსგავსად ირიბი ობიექტისა, პირდაპირ გადადის პასივში; მაგალითად: **დამიწერია წერილი ~ წერილი დაწერილა** აქტივისა და პასივის ფორმებში სუფიქსი **-ა** ეკუთვნის ერთსა და იმავე S_3-ს (წერილი); ახლა განვიხილოთ კაუზაციური ფორმები: **დაუწერინებია მისთვის წერილი** (I სერიაში: **აწერინებს მას წერილს**) ~ **დასწერინებია მას წერილი**. „წერილი" ორსავე ფორმაში სუბიექტია, პირმიუმართავი „მისთვის" და პირმიმართი „მას" შემსრულებელი აქტანტებია. თუ ამ ვითარებას გავითვალისწინებთ, აქტივი → პასივი კონვერსიის წესი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: კონვერსიაში აქტივის სამოქმედო აქტანტი მოიქცევა პასივის სუბიექტად. „სამოქმედო აქტანტი" აერთიანებს $O^{d\text{-}pat}$-ს, $S^{init\text{-}pat}$-სა და $O^{d\text{-}pat\text{-}ex}$-ს. წარმოვადგენთ თითო მაგალითს შესაბამისად „სამოქმედო აქტანტისა": **წერს წერილს ~ იწერება წერილი; დაუწერია წერილი ~ დაწერილა წერილი და აატირებს ბავშვს ~ ატირდება ბავშვი.**

როგორც წესი, ირიბი ობიექტი ან მისი მონაცვლე პირმიუმართავი აქტანტი ადრესატის ფუნქციით (**მეგობრისთვის დაუწერია**), პასივში ყოველთვის პირმიმართ ირიბ ობიექტად გადადის (**მეგობარს დასწერია**).

პერფექტული აქტივის სუბიექტი რომ კონვერსიის შემდეგაც სუბიექტად რჩება, ეს ბუნებრივია, რადგან აქტივის პერფექტული ფორმა იგება შედეგის (I და II სერიების პირდაპირი ობიექტის) მიხედვით: „წერილი დაუწერია"-ს მიხედვით ცხადია, რომ წარსულში ჩადენილი ქმედების შედეგი მთლიანად განსაზღვრავს ზმნურ სიტუაციას — ზმნური ქმედება შედეგის არსებობით ხდება საცნაური, ამიტომ ეძლევა ინიციატორის როლი შედეგს და, შესაბამისად ამისა, სუბიექტის ნიშანსაც იღებს. ამ მიზეზით ვუწოდეთ მას $S^{init\text{-}pat}$ (იხ. ზემოთ). სადაც მოქმედი პირი და სუბიექ-

ტი, აგრეთვე სამოქმედო პირი და პირდაპირი ობიექტი ემთხვევიან ერთიმეორეს, იქ კონვერსია ერთნაირად ხორციელდება ძველი პრინციპითაც და ახალი პრინციპითაც. ახალი პრინციპი კონვერსიას აწესრიგებს იმ შემთხვევაში, როცა პერფექტულ ფორმებში (აქტივთა III სერია) ჩნდება $S^{init\text{-}pat}$ და $O^{d\text{-}ex}$, რაც დიამეტრალურად ცვლის კონვერსიის შედეგს ძველ პრინციპთან მიმართებით და ცალსახად ატარებს ახალ პრინციპს ყველა სერიაში. სანიმუშოდ განვიხილოთ ორპირიანი აქტივი და მისი კონვერსიული პასივი ძველი პრინციპით.

ა წ მ ყ ო — **ის კარგავს ჩანთას ~ ჩანთა იკარგება**

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი — **მან დაკარგა ჩანთა ~ ჩანთა დაიკარგა**

თ უ რ მ . I — **მას დაუკარგავს ჩანთა ~ დაკარგულა ჩანთა**

III სერიაში, ა.შანიძის თეორიით, პირდაპირი ობიექტის ადგილს იჭერს ირიბი (ა.შანიძე, 1973, 196: „...ვამბობთ: ინვერსიის დროს სუბიექტურ ნიშნებს ირიბ-ობიექტური პირის ნიშნები ენაცვლებაო"). მოვლენის ასეთი გაგება დიდ უხერხულებას უქმნის კონვერსიის საერთოდ მიღებულ თვალსაზრისს, რომელსაც ა.შანიძეც იზიარებს (იხ.იქვე,გვ.282 და შემდეგ), კერძოდ: ირიბი ობიექტი კონვერსიის დროს აქტივიდან პასივში უცვლელად გადადის, აქ კი ზმნა კარგავს ირიბ ობიექტს, რომელიც „პირდაპირი ობიექტის ადგილს იკავებს." გამოდის, ორპირიან აქტივში იკარგება ირიბი ობიექტის ნიშნით წარმოდგენილი აქტანტი და რჩება სუბიექტის ნიშნით წარმოდგენილი აქტანტი. კონვერსიის ა.შანიძისეულ მიმართებებში არა გვაქვს ცალსახა ურთიერთობები, ისინი იცვლება სერიების მიხედვით...

სუბიექტთა და ობიექტთა შესაძლო კომბინაციები ქართულ ზმნაში

1. როცა ზმნაში წარმოდგენილია $S^{init\text{-}ex}$, მის გვერდით შეიძლება იყოს O^{pat} ან $O^{pat}O^{ben/mal}$, ე.ი. ვიღებთ შემდეგ

კომბინაციებს: (ა) $S^{init\text{-}ex}O^{pat}$ – „ის წერს წერილს“; (ბ) $S^{init\text{-}ex}O^{pat}O^{ben/mal}$ – „ის უწერს წერილს მას“.

2. როცა ზმნაში წარმოდგენილია S^{init}, მის გვერდით შეიძლება იყოს $O^{dpat\text{-}ex}$, $O^{dpat\text{-}ex}$ $O^{indben/mal}$, $O^{dpat}O^{ind\text{-}ex}$ ან $O^{dpat\text{-}ex}O^{indben/mal}$, ან $O^{dpat}O^{ind\text{-}ex}$, ე.ი. ვიღებთ შემდეგ კომბინაციებს:

(ა) $S^{init}O^{dpat\text{-}ex}$ – „ის ატირებს მას“;

(ბ) $S^{init}O^{dpat\text{-}ex}O^{indben/mal}$ „ის უწუხებს მას გულს“ და (გ) $S^{init}O^{dpat}O^{ind\text{-}ex}$ „ის აწერინებს მას წერილს“.

3. როცა ზმნის ფორმაში წარმოდგენილია $S^{init\text{-}pat}$, მის გვერდით შეიძლება იყოს $O^{d\text{-}ex}$; ამას დაემატება სამვალენტიანი -თვის თანდებულიანი ბენეფაქტიური/მალეფაქტიური ობიექტის (ანუ სასხვისო ქცევის მქონე) ფორმები. ვიღებთ შემდეგ კომბინაციებს: (ა) $S^{init\text{-}pat}O^{d\text{-}ex}$ „მას დაუხატავს სურათი“, (ბ) $S^{init\text{-}pat}O^{dex}O^{indben/mal}$ -თვის „მას დაუხატავს სურათი მისთვის.“

S \ O	1	2	3	1^P	2^P	3^P
1		12	13		12^P	13^P
2	21		23	21^P		23^P
3	31	32	33	31^P	32^P	33^P
1^P		1^P2	1^P3		1^P2^P	1^P3^P
2^P	2^P1		2^P3	2^P1^P		2^P3^P
3^P	3^P1	3^P2	3^P3	3^P1^P	3^P2^P	3^P3^P

სქემა პირველი

პირველი სქემის S რიგში ვერტიკალურად წარმოდგენილია სუბიექტური პირები (1 – „მე“, 1^{P} – „ჩვენ“ და ა.შ.), O რიგში ჰორიზონტალურად – ობიექტური (ან პირდაპირი, ან ირიბი) პირები, მათ კვეთაზე კი წარმოდგენილია პირთა კომბინაციები. ეს ცხრილი იძლევა ორპირიან ზმნათა (აქტივების ან პასივების) პირების ყველა შესაძლო კომბინაციას.

სამპირიან ზმნათათვის აიგება ოთხი სქემა, რომლებშიც ორპირიან ზმნათა სქემებს დაემატება მესამე პირი: (1) თუ მეორე სქემის შიგნით წარმოდგენილი იქნება SO^{d}, გარედან მას სქემაში დაემატება O_{3}^{ind} (როცა პირცვალებადია პირდაპირი ობიექტი, ირიბი მხოლოდ მესამე პირში იქნება); (2) მესამე სქემაში O_{3}^{ind}-ის ადგილს დაიჭერს O_{3}^{indp}; (3) მეოთხე სქემაში შიგნით იქნება პირცვალებადი ირიბი ობიექტი, გარეთ გამოვა O_{3}^{d}; (4) მეხუთე სქემაში $O^{d}3$-ს შეცვლის O_{3}^{dp}. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ მხოლოდ მეორე სქემას.

S \ O^{d}	1	2	3	1^{P}	2^{P}	3^{P}
1		12	13		12^{P}	13^{P}
2	21		23	21^{P}		23^{P}
3	31	32	33	31^{P}	32^{P}	33^{P}
1^{P}		$1^{P}2$	$1^{P}3$		$1^{P}2^{P}$	$1^{P}3^{P}$
2^{P}	$2^{P}1$		$2^{P}3$	$2^{P}1^{P}$		$2^{P}3^{P}$
3^{P}	$3^{P}1$	$3^{P}2$	$3^{P}3$	$3^{P}1^{P}$	$3^{P}2^{P}$	$3^{P}3^{P}$

$+O_{3}^{ind}$

სქემა მეორე

ქვემოთ ორპირიან აქტივებში ჰორიზონტალური რიგების (12, 13, 12P...) მიხედვით ფუძესთან ერთად, რომელიც გამოხატულია st სიმბოლოთი (stem), წარმოვადგენთ პირის ნიშნების კომბინაციებს:

I	12	–	$S_1O_2^d$	–	Ø-ბ-st
	13	–	$S_1O_3^d$	–	ვ-ჲ-st‖ვ-Ø-st
	12P	–	$S_1O_2^{dp}$	–	Ø-ბ-st-თ
	13P	–	$S_1O_3^{dp}$	–	ვ-ჲ-st‖ვ-Ø-st
II	21	–	$S_2O_1^d$	–	Ø-ძ-st
	23	–	$S_2O_3^d$	–	Ø-ჲ-st‖Ø-Ø-st
	21P	–	$S_2O_1^{dp}$	–	Ø-ბვ-st
	23P	–	$S_2O_3^{dp}$	–	Ø-ჲ-st‖Ø-Ø-st
III	31	–	$S_3O_1^d$	–	ძ-st-ს
	32	–	$S_3O_2^d$	–	ბ-st-ს
	33	–	$S_3O_3^d$	–	ჲ-st-ს‖Ø-st-ს
	31P	–	$S_3O_1^{dp}$	–	ბვ-st-ს
	32P	–	$S_3O_2^{dp}$	–	ბ-st-თ
	33P	–	$S_3O_3^{dp}$	–	ჲ-st-ს‖Ø-st-ს

IV	1P2	–	$S_1PO_2^d$	–	Ø-გ-st-თ
	1P3	–	$S_1PO_3^d$	–	ვ-ჰ-st-‖ვ-Ø-st-თ
	1P2P	–	$S_1PO_2^{dp}$	–	Ø-გ-st-თ-Ø
	1P3P	–	$S_1PO_3^{dp}$	–	ვ-ჰ-st-თ‖ვ-Ø-st-თ
V	2P1	–	$S_2PO_1^d$	–	Ø-მ-st-თ
	2P3	–	$S_2PO_3^d$	–	Ø-ჰ-st-თ‖Ø-Ø-st-თ
	2P1P	–	$S_2PO_1^{dp}$	–	Ø-გვ-st-თ
	2P3P	–	$S_2PO_3^{dp}$	–	Ø-ჰ-st-თ‖Ø-Ø-st-თ
VI	3P1	–	$S_3PO_1^d$	–	მ-st-ენ
	3P2	–	$S_3PO_2^d$	–	გ-st-ენ
	3P3	–	$S_3PO_3^d$	–	ჰ-st-ენ‖Ø-st-ენ
	3P1P	–	$S_3PO_1^{dp}$	–	გვ-st-ენ
	3P2P	–	$S_3PO_2^{dp}$	–	გ-st-ენ(‖გ-st-ენ-თ)
	3P3P	–	$S_3PO_3^{dp}$	–	ჰ-st-ენ‖Ø-st-ენ

წარმოდგენილი მიმართებანი აკმაყოფილებს ორპირიან აქტივებს I და II სერიებში, თუ ფუძედ (st) მივიჩნევთ ზმნის იმ ნაწილს, რომელიც მოთავსებულია პირისა და რიცხვის პრეფიქსებსა და სუფიქსებს შორის.

III სერიაში თავს იყრის პერფექტული ფორმები, სადაც ინიციატივა პაციენსზე გადადის, როგორც შედეგზე, რის გამოც ხდება როლების გაცვლა სუბიექტსა და ობიექტს შორის, როგორც ინვერსიის თეორიაში განიხილება.

ამის გამო III სერიაში ზემოთ წარმოდგენილი ცხრილი შებრუნდება. ე.ი. 12 წაიკითხება როგორც 21 და ა.შ.

I	21 –	$S_2O_1^d$ –	მ-ი-sl(/-R)-ი-ხარ
	31 –	$S_3O_1^d$ –	მ-ი-sl-ხ/(-ი-ა) ანდა მ-ი-R-ი-ა
	2P1 –	$S_2P O_1^d$ –	მ-ი-st (/-R) -ი-ხარ-თ
	3P1 –	$S_3P O_1^d$ –	მ-ი-sl-ხ (-ი-ა) ანდა მ -ი-R-ი-ა
II	12 –	$S_1O_2^d$ –	გ-ი-st (/-R) -ი-ვარ
	32 –	$S_3O_2^d$ –	გ-ი-sl-ხ (/-R) -ი-ა
	1P2 –	$S_1P O_2^d$ –	გ-ი-st (/-R) -ი-ვარ-თ
	3P2 –	$S_3P O_2^d$ –	გ-ი-st-ხ/(-ი-ა) ანდა გ-ი-R-ი-ა
III	13 –	$S_1O_3^d$ –	ვ-უ-st (/-R) (-ი)-ვარ
	23 –	$S_2O_3^d$ –	Ø-უ-st (/-R) (-ი)-ხარ
	33 –	$S_3O_3^d$ –	Ø-უ-st-ხ (ი-ა) ანდა Ø-უ-R-ი-ა
	1P3 –	$S_1P O_3^d$ –	ვ-უ-st (/-R) (-ი)-ვარ-თ
	2P3 –	$S_2P O_3^d$ –	Ø-უ-st (/-R) (-ი)-ხარ-თ
	3P3 –	$S_3P O_3^d$ –	Ø-უ-sl-ხ(/ი-ა) ანდა Ø-უ-R-ი-ა

IV	$2I^{P}$ –	$S_2O_1^{dp}$ –	გვ-ი-st (/R) (-ი)–ხარ
	31P –	$S_3O_1^{dp}$ –	გვ-ი-st-ს/ (-ი-ა) ანდა გვ-ი-R-ი-ა
	$2^{P}1P$ –	$S_2{}^{P}O_1{}^{dP}$ –	გვ-ი-st (/-R) (-ი)ხარ-თ
	$3^{P}1P$ –	$S_3{}^{P}O_1{}^{d}$ –	გვ-ი-st-ს (-ი-ა) ანდა გვ-ი-R-ი-ა
V	12^{P} –	$S_1O_2^{dp}$ –	გ-ი-sl (/-R) (-ი)-ვარ-თ
	32P –	$S_3O_2^{dp}$ –	გ-ი-st-Ø-თ ანდა გ-ი-R-ი-ა-თ
	$1P2P$ –	$S_1{}^{P}O_2^{dp}$ –	გ-ი-st (/-R) (-ი)-ვარ-თ
	$3^{P}2P$ –	$S_3{}^{P}O_2{}^{dP}$ –	გ-ი-st-Ø-თ ანდა გ-ი-st(/-R)-ი-ა-თ
VI	13P –	$S_1O_3^{dp}$ –	ვ-sl (/-R) (-ი)-ვარ
	23P –	$S_2O_3^{dp}$ –	Ø-უ-sl (/-R) (-ი)-ხარ
	33P –	$S_3O_3^{dp}$ –	Ø-უ-st-Ø-თ ანდა Ø-უ-R-ი-ა-თ
	$1P3P$ –	$S_1{}^{P}O_3^{dp}$ –	Ø-უ-sl (/-R) (-ი)-ვარ-თ
	$2P3P$ –	$S_2{}^{P}O_3^{dp}$ –	Ø-უ-st (/-R) (-ი)-ხარ-თ
	$3P3P$ –	$S_3{}^{P}O_3^{dp}$ –	Ø-უ-sl-Ø-თ / Ø-უ-sl(/-R)-ი-ა-თ

სამპირიან ზმნაში პირუცვლელი ობიექტი (პირდაპირი ან ირიბი) ყოველთვის ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი. პირუცვლელი ობიექტი ყოველთვის მესამე პირია, მისი ადგილი არის პირცვალებადი ობიექტის ნიშნის მომდევნოდ, რადგან „უფროსია“ პირცვალებად ობიექტზე. ი.იმნაიშვილმა ძველი ქართულის მასალაზე დამყარებით აღნიშნა, რომ ობიექტთა შორის ნიშანი ყოველთვის „უმცროსსა“ აქვს (ი.იმნაიშვილი 1971, 319); რაც შეეხება უფროსი პირის (ე.ი. რი-

ცხობრივი ინდექსით მეტი: $O_1^d O_2^{ind}$ კომბინაციაში O_1^d უმცროსია, O_2^{ind} კი – უფროსი, რადგან 1 < 2) ადგილს, ჩვენ მას ვათავსებთ უმცროსის მომდევნოდ, რაც იმას ემყარება, რომ გვიან გაჩენილ ფორმებში, როგორიცაა: წარ-მ-ს-ტაც-ა, მ-ს-თხოვ-ს (ი.ჭავჭავაძე), მო-მ-ს-ჭრი-ან (თ.სახოკია) O_1^{ind}-ის ნიშანი წინ უძღვის O_3^d-ის ნიშანს. უფროს-უმცროსობის მიხედვით ადგილთა განაწილება გამოხატულების პლანში შეიძლება განივრცოს სუბიექტისა და ობიექტთა თანამიმდევრობაზეც, როგორიცაა: მი-ვ-ს-წერე, მი-ვ-ჰ-ყიდე და სხვა. ძვ. ქართულის შეხუაბთ, ხუეტყჳ... ტიპის ფორმებში, როგორც ა.შანიძემ აღნიშნა, ადგილი აქვს მეტათეზისს პირის ნიშანთა შორის *შე-ვ-ხ-აბთ→შეხუაბთ... ეს უთუოდ სწორი ვარაუდია, ოღონდ მოითხოვს დასაბუთებას. ჩვენი თვალსაზრისით, მეტათეზისი ძველ ქართულში ხდება ფონოლოგიური მოთხოვნილებით: *ვ-ხ-ეტყჳ ფორმაში ვ- ფონოლოგიურად შეუთავსებელია ხ-ს წინ, იგი ან უნდა დაკარგულიყო, ან გადამჯდარიყო ხ-ს მომდევნოდ, რაც მოხდა კიდეც: თანამედროვე მი-ვ-ჰ-ყიდე, მაშასადამე, წარმოადგენს პირის ნიშანთა განაწილების ქართული მორფოლოგიური მოდელის პირდაპირ რეალიზაციას (დიალექტებში იძებნება მეტათეზისის შემთხვევები ამ კომბინაციაში: შ-ჭ-ვ-ამ (< ვშ-ჭამ), შჩვეჩ (< ვშ-ჩეჩ) „ვჩეჩავ“ (თუშ., იმერხ.)). ასეთ განაწილებას მხარს უჭერს მო-მ-ი-ხ-ვალ ფორმაც, რომელშიც O_1^{ind}-ის მ- წინ უძღვის S_2-ის ხ- პრეფიქსს, რომელიც ზმნის ფორმაში გარჩენილია ხანმეტობის პერიოდიდან (ჰაემეტ ტექსტებშიც ხარ და ხუალ იხმარება და არა ჰარ და ჰუალ). მაგრამ ეს ისეთი მოწმობა მაინც ვერ არის, როგორიც სხვა შემთხვევებში გვქონდა, რადგან ხ- გაქვავებულ ფორმაშია, თუმცა თავის ფუნქციას მაინც ყოველთვის ინარჩუნებდა და ამიტომ დღემდე არ ქცეულა ფუძის ნაწილად; ამავე მიზეზით ძვ. ქართულის თანაწარ-ჰ-ხ-უალ ფორმაში ხ- ადგილიდან არ იძვრის და გაქვავებულობის გამო მოსდევს მასზე უფროს O_3^{ind}-ს.

ზმნის სტრუქტურას თუ წარმოვადგენთ რიცხვითი ინდექსებითა და დეფისით, რომელიც უთითებს აფიქსთა პოზიციაზე, მაშინ პირველი რანგის პრეფიქსის სიმბოლო იქნება 1-, ხოლო პირველი რანგის სუფიქსისა იქნება +1...

პირთა რანგები ქცევის (ან კაუზაციის) უჯრის წინ განლაგდებიან რიცხვითი ინდექსების მიხედვით — მარცხნივ ყოველთვის შედარებით დაბალი ინდექსის („უმცროსი“) მქონე პირი იქნება (1-2-3-, ე.ი. მე-შენ-ის).

თუ სამივე პირმიმართი აქტანტის ინდექსი 3 (სამი) იქნება, დაგეჭირდება მხოლოდ ობიექტურ პირთა რანგების განსაზღვრა, რადგან S_3-ის ნიშანი სუფიქსია. **ორი O_3-იდან წინ (მარცხნივ) მოექცევა პირცვალებადი ობიექტის რანგი, რადგან I და II პირებში წინ უძღვის მეორე ობიექტს**, რომელიც მუდამ III პირშია, მაშასადამე, რანგთა განსაზღვრა ამ შემთხვევაში ხდება უღლების რეალური პარადიგმიდან ამოსვლით.

ზემოთ პირთა კომბინაციებში მიმდინარე მორფონოლოგიური პროცესები განვიხილეთ ნაწილობრივ (იხ. გვ. 30 და შემდეგ),. ქვემოთ მათ შევავსებთ უფრო სრულად წარმოდგენის მიზნით: S_1 ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი /ო, უ/ ხმოვანთა წინ. უ- ძირითადად სასხვისო ქცევის ნიშანია, ო კი ყოველთვის ფუძისეულია. ამ შემთხვევაში /Ø-/ შეპირობებულია ფონოლოგიურად. ძველ ქართულში მორფონოლოგიური ცვლილება მართლწერაშიც იყო ასახული (იხ. ი.იმნაიშვილი, 1971, 11). ქართული ენის თანამედროვე დიალექტები ახლაც ამ წესს მიჰყვებიან, სალიტერატურო ენაში კი ვ- პრეფიქსი S_1-ის ნიშნად ხელოვნურად შემოღებული ნორმით იხმარება (იცავდა რა სალიტერატურო ნორმებში ხალხური ნორმების პრიმატს, ილია ჭავჭავაძე 80-იანი წლების მიწურულამდე არც ხმარობდა ვ- პრეფიქსს უ-ს წინ).

პირმიუმართავი აქტანტის რიცხვი არ გამოიხატება ქართულ ზმნაში, $S_1{}^PO_2$ კომბინაციაში სუბიექტური პირის სიმრავლის -თ უთუოდ წარმოდგენილია (ჩვენ გ-ხატავ-თ შენ), რაც საფუძველია *ვ-გ-ხატავ-თ ფორმის რეკონსტრუქციისა მორფოლოგიური სისტემის დონეზე, მეტყველებაში კი ეს რეალიზებულია გხატავთ სახით მორფონოლოგიური ცვლილების საფუძველზე (იხ. ზემოთ). საკითხის ასეთ გადაწყვე-

ტას, როგორც აღვნიშნეთ, მხარს უჭერს S_1O_3 კომბინაციის სამეტყველო ფორმებიც (იხ. ზემოთ).

S_2-ის პრეფიქსი მორფოლოგიური სისტემის კანონზომიერებით გრამატიკულად დაშვებულ კომბინაციებში იმავე წესებს უნდა იცავდეს, რასაც S_1-ის აღმნიშვნელი. ხანმეტ ძეგლებში S_2-ის ხ- პრეფიქსი თანხმოვნების წინაც გვხვდება და ხმოვნების წინაც და პარადიგმებში, სადაც I პირში {ვ-} პრეფიქსია, II პირში {ხ-} არის წარმოდგენილი. ერთპირიანი ზმნები რაიმე გართულებას არ ქმნიან. რაც შეეხება ორპირიან აქტიევებსა და პასივებს, აქ რთულ ფონეტიკურ ვითარებასთან გვაქვს საქმე: S_2-ის ხ- პრეფიქსი ხვდება O_1-ისა და O_3-ის ნიშნებს (კომბინაციები: მ-ხ და ხ-ხ). ეს კომბინაციები ძველი ქართულის ზმნებში არ დასტურდება, ვერ შევხვდებით ვერც მ-ხ-გუემ და ვერც ხ-ხ-გუემ ტიპის ფორმებს. ფონემატური თვალსაზრისით ეს სრულიად ბუნებრივი ცვლილებაა, რადგან ქართული ენისთვის ბუნებრივი არ არის სონორი ჩქამიერთა წინ, ერთი მხრით, და თანხმოვანთა გემინაცია, მეორე მხრით; მაგრამ სრულიად ბუნებრივია ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე მ-გუემ-თ (თქუენ მე) ტიპის ფორმები, სადაც -თ S_2-ის მრავლობითობის ნიშანია, მრავლობითობის ნიშანი კი მხოლოდ პირმიმართ აქტანტებს უჩნდებათ. მაშასადამე, მგუემთ ($S_2PO_1^d$) მორფოლოგიურად ასე ჩაიწერება: მ-Ø-გუემ-თ, სადაც /Ø-/ არის {ხ-} მორფემის პოზიციური ვარიანტი; შდრ. ხ-დეგ-თ (თქუენ), სადაც S_2 პირისა და სიმრავლის ნიშნები სახეზეა.

ძველ ქართულში დასტურდება იშვიათი ფორმები, როგორიცაა: თანა-წარჰხუალ, თანა-წარხუალ, თანა-წარჰუალ, თანა-წარმვალთ. ამათგან უძველესია თანა-წარჰხუალ, რომელიც იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ერთიმეორის გვერდით წარმოგვიდგენს ირიბი ობიექტის მესამე პირის ჰ- პრეფიქსსა და სუბიექტური მეორე პირის ხ- პრეფიქსს. წარჰხუალ X ს. ძეგლშია (ოშკის ბიბლიაში). იგი ჰაემეტობის დროს არის გაჩენილი, როცა ხუალ ფორმა უკვე გაქვავებულია II პირში. „გაქვავებას“ იმიტომ ვხმარობთ და იმ გაგებით, რომ S_2 ჰაემეტობის დროს ჰ- პრეფიქსით გამოიხატებოდა ზმნებში, მხო-

ლოდ ორმა ფორმამ (ხარ, ხუალ) შეინარჩუნა თავისი ხანმეტური სახე, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ფორმები დაუნაწევრებლად ატარებენ განსაზღვრულ გრამატიკულ მნიშვნელობას. ასეთ ვითარებაში სჯობს ვიხმაროთ ფორმის გაქვავება და არა ხ-ს შეხორცება ძირთან ან ხ-ს გადასვლა ძირში (შდრ. ი.იმნაიშვილი, 1971, 317), რადგან ძირში გადასული აფიქსი კარგავს თავის ფლექსიურ მნიშვნელობას, ან ძირის რიგით შემადგენლად იქცევა, ანდა იძენს დერივატიულ მნიშვნელობას (ასეთი მაგალითებით სავსეა ქართული ენა).

აბსოლუტური ზმნის მეორე პირის ფორმის გაქვავებას თავისი პირვანდელი ფორმით და მნიშვნელობით შედეგად მოსდევს ის, რომ იგი ამ სახით — დაუნაწევრებლად შედის უფრო რთულ ორპირიან ფორმებში, სადაც მისი მონაწილეობა აუცილებელია (შეიცავს S_2-ს), ასეთებია ამ შემთხვევაში თანა-წარ-ჰ-ხუალ „გვერდს აუვლი შენ მას“ და თანა-წარ-მ-Ø-ვალ (ნულოვანი ალომორფით გამოხატულია /ხ-/)„მე ამივლი გვერდს შენ“, რომლის რეკონსტრუირებული ფორმა მორფოლოგიური სისტემის დონეზე იქნება თანა-წარ-მ-ხ-უალ. სწორედ ამ ფორმის მემკვიდრეა დღევანდელი წამიხვალ, ოდნავ მნიშვნელობაგადაწეული. წა-მ-ი-ხვალ ფორმაში ქცევის ი- პრეფიქსი გაჩენილია იმ ფორმათა წესით, რომლებშიც სუბიექტი ნულოვანი ალომორფით იყო წარმოდგენილი (მ-Ø-ი-წერ, Ø-გ-ი-წერ). მაშასადამე, *წარმხუალ ($O_1{}^{ind}S_2$) ფორმის დაშვების საფუძვლად ვიღებთ იმას, რომ (1) სულა/სლვა ზმნამ ხანმეტობის შემდგომ S_2-ის ნიშანი შემოინახა გაქვავებულ ფორმაში; (2) წარჰხუალ ფორმაში რეალურად არის დადასტურებული კომბინაცია $O_3{}^{ind}S_2$. $O_3{}^{ind}S_2$ და $O_1{}^{ind}S_2$ კი ერთი და იმავე მოდელის კომბინაციებია.

წარმხუალ ფორმიდან წამიხვალ ფორმის წარმოქმნა კი ემყარება იმას, რომ ხვალ გაქვავებული ფორმაა და ამიტომ ქცევის ნიშანი ამ გაქვავებული ფორმისა და ობიექტური პირის ნიშნის შუაზე ჩაჯდა ენაში უკვე გამოყენებული წესის მიხედვით (ქცევის ნიშანი წინ უძღვის ფუძეს, მოსდევს პირის ნიშანს).

პირის კატეგორია არსებითად უკავშირდება ზმნის სხვა კატეგორიებს, როგორიცაა: ორიენტაცია, გვარი, ქცევა, კაუზაცია. ქვემოთ თანამიმდევრულად შევეხებით მათ ამ კავშირთა მიხედვით.

ზმნისწინთა ფუნქციისათვის ზმნის პირებთან მიმართებით

ზმნისწინებით ქართულ ენაში გამოიხატება ორი ძირითადი კატეგორია: გეზი და ორიენტაცია. ზმნურ ფორმებში მათ განსხვავებული მაწარმოებლები აქვთ, შესაბამისად მათი ფუნქციებიც განსხვავებულია. მართალია, ორივე დაკავშირებულია ზმნური ქმედების მიმართულებასთან, მაგრამ კატეგორიებს შორის განსხვავებას ქმნის ზმნური ქმედების მიმართულების დამოკიდებულება ამბის გადმომცემთან. ორივე კატეგორია კარგად არის ცნობილი ქართულ საგრამატიკო ლიტერატურაში და ამბის გადმომცემი მოხსენიებულია „მოუბარი პირის", „მომთხრობი პირის" სახელით (ა.შანიძე, 1973, §306). ამის მიხედვით ვუწოდოთ მას მთხრობელი (იგივე ინფორმატორი).

„მთხრობელი" ტერმინის შემოტანა საჭიროა, რადგან (1) პირი, როგორც ტერმინი დაკავებულია; (2) თუ მთხრობელი საერთოდ არ მონაწილეობს ზმნურ ქმედებაში, პირის სახელით ვერ მოვიხსენიებთ; მაგალითად: გააცურა, გამოაცურა, შეაცურა და სხვ. ჩამოთვლილ ფორმებში მთხრობელი არ არის პირით გამოხატული.

დიაქრონიულად თუ თავდაპირველად მივიჩნევთ გეზის კატეგორიას, როგორც ზმნურ ქმედებათა მიმართულებების უფრო მარტივ სახეობას, იმ საფეხურზე გათვალისწინებული არ იქნებოდა მთხრობლის პოზიცია, ზმნური ფორმები შეპირისპირებული იქნებოდა მხოლოდ განსხვავებული მიმართულებებით: დის ზევით, შიგნით, გარეთ და სხვა. შესაბამისად ამათ შექმნეს ოპოზიციები გეზის მიხედვით: ადის ~ შედის ~ გა-

დის... შედარებით გვიან, ქმედების მიმართულებაში მთხრობლის პოზიციის გათვალისწინების შემდეგ, გაჩნდა ახალი რიგის ოპოზიციები: ადის ~ ამოდის, შედის ~ შემოდის, გადის ~ გამოდის... რის შედეგადაც ორიენტაცია გაუჩნდა ადის ~ შედის ~ გადის... გეზის მიხედვით შეპირისპირებულ ელემენტებსაც; ყველა ესენი გამოხატავენ საიქთო ორიენტაციას და ენაში ჩამოყალიბდა ადის ~ ამოდის, შედის ~ შემოდის, გადის ~ გამოდის... ორიენტაციის მიხედვით შეპირისპირებული ფორმები.

ასეთი დიაქრონიული სურათის მიხედვით ორიენტაციის მო- ზმნისწინი მეორეულია. მო- ზმნისწინმა ზმნურ ქმედებას სივრცეში შეუხამა მთხრობლის პოზიცია: ადის ~ ამოდის. გეზი იგივე დარჩა, დაემატა მთხრობლის პოზიციაზე მითითება. ადის ფორმა დასაწყისში საიქთო ორიენტაციას არ ვარაუდობდა. ეს გაგება მან მიიღო ამოდის ფორმის გაჩენის შემდეგღა. ზმნისწინთა რიგიც ა-მო, ანუ გეზი+ორიენტაცია, დროში მათ უწინარესობა-შემდგომობაზე უნდა მიუთითებდეს. ამოდის ~ ადის პრივატული ოპოზიციაა: მო- ზმნისწინის არქონა საიქთო ორიენტაციის გამოხატულებად იქცა, ამიტომ მო- ~ მი- დაპირისპირებაში (მო-დის ~ მი-დის) მი- უფრო გვიანდელ ელემენტად უნდა მივიჩნიოთ: **მო- ზმნისწინით ორიენტაციის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ საჭირო გახდა ამ უკვე დამოუკიდებელი კატეგორიის გამოხატვა იქაც, სადაც გეზზე მითითება არ ხდებოდა ან საჭირო არ იყო**, ე.ი. გეზის მიხედვით ნეიტრალურ ფორმებში, როგორიცაა, ფრინავს, ხტის, დის, ქრის და სხვა, რათა დაფიქსირებულიყო მთხრობლის პოზიცია უგეზო ფორმებში: მიქრის ~ მოქრის...

ამ უგეზო ზმნებს აერთიანებს სტატიკური ბუნება, რომელიც განსხვავებულად არის რეალიზებული სხვადასხვა ჯგუფში, კერძოდ: (1) სტატიკურ ვნებითებში (სწერია, სჩრია, ჰკიდია...) და მედიოპასივებში ზმნით გამოხატულ სიტუაციაში უმოქმედო აქტანტებია წარმოდგენილი სიტყვის პირდაპირი გაგებით, მაგალითად: წევს, მიწევს; მიყვარს, მძულს; მაქვს, მყავს და სხვა. ამ ზმნებთან გამორიცხულია

როგორც გეზის, ისე ორიენტაციის კატეგორია, რადგან უძრაობას მიმართულება არა აქვს; ამ ზმნათა სუბიექტიცა და მფლობელი ირიბი ობიექტიც, თუ აქვთ, უმოქმედოა — სიტუაციაში სტატიკურად არიან ჩართული. შესაძლებელია მხოლოდ ფიქსირებული სტატიკური მდგომარეობის სხვადასხვა დროში გადაყვანა: მიყვარს (ახლა) და მეყვარება (ხვალაც); სწერია (ახლა) — ეწერება (ხვალაც) — ეწერა (გუშინაც). დროის მიხედვით განსხვავებულ ფორმებში სტატიკურობა არ ირღვევა.

სწერია ტიპის სტატიკურ ზმნებს უწყვეტლის მწკრივი არა აქვთ, ხოლო მიყვარს ტიპის ზმნებს — წყვეტილი. მიყვარდა, მჭონდა ტიპის ზმნებში მითითებულია სტატიკური მდგომარეობის შენარჩუნება წარსულ დროში საუბრის მომენტამდე: მიყვარდა „სიყვარული მქონდა“... (2) მეორე ჯგუფს ქმნიან მედიოაქტივები: ბარბაცებს, ტორტმანებს, ზოზინებს, ჩქეფს, ჭუხს (მდინარე), ჭრის, იჩქარის, ილტვის, ისწრაფვის და სხვა. ამათ არა აქვთ გეზი, გუობენ მხოლოდ ორიენტაციას; ამათ გვერდით დგანან ამავე თვისების მქონე ე- პრეფიქსიანი მედიუმები: ეჩქარება, ელტვის, ესწრაფვის...

ეჩქარება გარკვეული ფსიქოლოგიური მდგომარეობის ამსახველია. ზმნის ამ ფორმას ორიენტაცია უჩნდება იმიტომ, რომ გადაადგილების შემთხვევაშიც პიროვნებას ეს მდგომარეობა არ ეცვლება — ხდება სტატიკური მდგომარეობის შენარჩუნება გადაადგილებისას — „მიდის ისე, რომ ჩქარობს“. ასეთივეა ი/ელტვის, ი/ესწრაფვის (მიეჩქარება ~ მოეჩქარება, მიელტვის ~ მოელტვის) და ა.შ.

რომელიმე მიჩქეფს ~ მოჩქეფს ორიენტაციის მქონე წყვილშიც „ჩქეფ“ ვითარების, რომელიც გარკვეული ტიპის ხმაურს აღნიშნავს, გადაადგილება ხდება ისე, რომ თვით „ჩქეფ“ ვითარება უცვლელია, ე.ი. „ჩქეფით მიდის (მდინარე)“. სწორედ ამიტომ ამ ტიპის ზმნებს ორიენტაცია აქვთ, მაგრამ არა აქვთ გეზი (მიჩქეფს ~ მოჩქეფს (მდინარე), არ არის შე-ჩქეფს, გა-ჩქეფს, ა-ჩქეფს).

გეზი გრამატიკულად დინამიკასთან ჩანს დაკავშირებული. გეზის ეს თვისება გამოყენებულია აქტივთა III სერიაში, სა-

დაც სწორედ ზმნისწინით ხდება სტატიკური ფორმების დინამიზაცია: მიწერია (სტატ.) ~ დამიწერია (დინ.), მიკიდია ~ დამიკიდია...

დიაქრონიულად უნდა გამოვყოთ გეზის მეორეული ელემენტი. ამისთვის გასათვალისწინებელია კატეგორიის თვისება, რომლის მიხედვითაც მისი (კატეგორიის) შიგნითა ელემენტები პარადიგმატულ მიმართებაში არიან ერთიმეორესთან: მათ შეუძლიათ ჩაენაცვლონ ერთიმეორეს, მაგრამ ვერ განლაგდებიან ერთ ხაზზე ცალკეულ ფორმებში (ასე მაგალითად: ყოველად დაუშვებელია ერთიმეორის გვერდით S_1-ისა და S_2-ის ნიშნები ერთ ფორმაში ან S_2-ისა და S_3-ის, ასევე, ვთქვათ, სასხვისო და სათაისო ქცევის ნიშნები ერთი ფორმის ფარგლებში), რაც ნიშნავს იმას, რომ ამა თუ იმ გრამატიკულ ფორმას შეიძლება ჰქონდეს გეზის მხოლოდ ერთი სახეობა და, ბუნებრივია, ასევე ორიენტაციის ერთი სახეობა.

როგორ შეიძლება გაჩნდეს ახალი ელემენტი გეზის ან ორიენტაციის კატეგორიაში? — იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება ახალი მიმართულება სივრცეში. გეზის უფრო გვიანდელი სახეობაა ძვ. ქართულის შთა- ზმნისწინი, რომელიც ახალ ქართულში ჩა- ზმნისწინის სახით გვაქვს. შთა- ←შე+და (ა.შანიძე, 1973, 245). თუ შე- გამოხატავდა გეზს გარედან შიგნით, და- კი მიმართულებას ზემოდან ქვემოთ რაიმეს ზედაპირზე, შთა- ახალი მიმართულებაა: ზემოდან ქვემოთ, სიღრმეში, მაშასადამე, და-სგან დარჩა ზემოდან ქვემოთ მიმართულება, შე-სგან — გარედან შიგნით, ახალი ნიუანსია სიღრმეში, რასაც არ ითვალისწინებდა არც შე- და არც და-; შდრ. შევარდა ~ დავარდა ~ შთავარდა. უზოგადესი წესი — გეზის ელემენტთა სინტაგმატური გაერთიანება აკრძალულია — შე-და კომბინაციას აძლევს ახალ მნიშვნელობას, განსხვავებულს უკვე არსებულ მნიშვნელობათაგან, და ამის შემდეგ თავისუფლად ხდება ფონეტიკური გარდაქმნა მორფონოლოგიურად დაშვებულ ფარგლებში (*შე-და→*შდა→შთა), რის საფუძველზეც შთა- იქცა გეზის ახალ პარადიგმატულ ერთეულად: (1) ის შეიძლება ჩაენაცვლოს გეზის სხვა ელემენტებს, მაგრამ კომბინაციაში ვერ შევა

მათთან: (2) კომბინაციაში ისევე შედის ორიენტაციის მო- ელემენტთან, როგორც სხვა ელემენტები გეზისა.

დიაქრონიულად საკვლევი დარჩა *შე-და თანამიმდევრობაში ე-ს დაკარგვა. რა კანონზომიერებებს ემორჩილება ეს პროცესი, ჯერაც ასახსნელია.

ორიენტაციის კატეგორიაში გვიან წარმოქმნილი მიმო- ელემენტი (მიმო-ბრუნდა, მიმო-ყარა, მიმო-იხედა და სხვა) შექმნილია მი- და მო- ელემენტების შერწყმით და კომპონენტთა მნიშვნელობების ჯამისგან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს. რა თქმა უნდა, სხვანაირად შეუძლებელიც იყო კატეგორიის ელემენტთა შიდა მიმართების წესით: მიმო- ნიშნავს არა მთხრობლისკენ და მის საპირისპიროდ, არამედ ირგვლივ, გადატანითი მნიშვნელობით „ყველგან“ (მიმო-ქადაგებდეს მ. 9,31).

ახალი მიმო- ზმნისწინი უპირისპირდება ორიენტაციის მი- და მო- ელემენტებს და არა გეზის ზმნისწინებს, ამიტომ ჩაითვლება ორიენტაციის სისტემის ელემენტად.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ: კატეგორიის პარადიგმატულ ელემენტთა სიმრავლეში ახალი ელემენტის მიღება შესაძლებელია ცალკეულ ელემენტთა ურთიერთშერწყმითაც, თუ ახალ ელემენტს მიეცემა განსხვავებული მნიშვნელობა, რომელიც არ უდრის კომპონენტთა მნიშვნელობების ჯამს. ახალი ერთეული კატეგორიის რიგითი ელემენტია და აკმაყოფილებს ჰომოგენური მიკროსისტემის ელემენტის ყველა მოთხოვნას.

მთხრობლის მიმართება ზმნურ აქტანტებთან საკმაოდ ნიუანსებით, რაც ქართულ ზმნაში ორიენტაციის ელემენტთა განაწილების განსხვავებული წესებით გამოიხატება. საკითხი სპეციალურ ძიებას საჭიროებს. ამჟამად შევეხებით ზოგიერთ წესს: (1) თუ ერთპირიან მედიუმში ან ორ- და სამპირიან აქტივებში, რომელთაც პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი აქვთ, წარმოდგენილია I პირის სუბიექტი (S_I) ან პირდაპირი ობიექტი (O_I^d), მო- და მი- ზმნისწინების ხმარება უკავშირდება აჭ და იჭ ტიპის ზმნიზედებსა და ნაცვალსახელთა

დეიქტურ ხმოვნებს, რადგან მთხრობელი პირველი პირი თავის თავთან ორიენტაციის მიმართებას ვერ ამყარებს, მაგალითად, ფორმაშია S_1: **მო-ვ-ჭრი ~ მი-ვ-ჭრი, მო-ვ-ცურავ ~ მი-ვ-ცურავ; მო-ვ-იტანე ~ მი-ვ-იტანე, მო-ვ-იყვანე ~ მი-ვ-იყვანე**. ფორმაში არის O_1^d: **მო-მ-ახეთქა** (მას) ~ **მი-მ-ახეთქა** (მას), **მო-მ-ამაგრა** (მას) ~ **მი-მ-ამაგრა** (მას). ხშირად ამ დაპირისპირებას თან სდევს დეიქტური ელემენტების გაჩენა ნაცვალსახელებში: **მომახეთქა ამას** და **მიმახეთქა იმას**. ეს ნაწილაკები ასრულებენ ზმნიზედის როლს (შდრ. აქ-იქ): **იქით მიმახეთქა ~ აქეთ მომახეთქა**.

განხილულ ფორმათა პარადიგმების მეორე და მესამე პირები უკვე მთხრობელთან მიმართებით ირთავენ საორიენტაციო ელემენტებს: **მოცურავ ~ მიცურავ, მოცურავს ~ მიცურავს**... ქმედების ორიენტაცია განსაზღვრულია მთხრობლის პოზიციით.

(2) თუ ერთ- ან ორპირიან გარდაუვალ ზმნაში წარმოდგენილია S_1, ვითარება ისეთივეა, როგორც ზემოთ გარდამავალ ორპირიან ზმნებთან გვქონდა: **მი-ვ-ჩანჩალდები ~ მო-ვ-ჩანჩალდები, მი-ვ-ასკდები ~მო-ვ-ასკდები... მი-ვ-ეკედლე ~ მო-ვეკედლე, მი-ვ-უვები ~ მო-ვ-უვები** და სხვა. პასივის ფორმებში ირიბი ობიექტი III პირში იდგა.

თუ ზმნაში არის პირცვალებადი ირიბი ობიექტი, **მო-** და **მი-** ზმნისწინთა განაწილება მასთან დაკავშირებით ხდება: I და II პირებს ესადაგება **მო-**, III პირს (O_3^{ind}) კი – **მი-**; მაგალითად: **მო-მ-ვარდა** (მე), **მო-გ-ვარდა** (შენ), არ შეიძლება **მიმვარდა, მიგვარდა; მი-ვარდა** (მას), არ შეიძლება **მო-ვარდა** (მას), თუ ნაცვალსახელს არ დაერთო დეიქტური ნაწილაკი: **მო-ვარდა ამას; მო-მ-ეხეთქა, მო-გ-ეხეთქა ~ მი-ეხეთქა**... **მო-მ-ამაგრა** (მე ის), **მო-გ-ამაგრა** (შენ ის) ~ **მი-ამაგრა** (მას ის).

მი- და **მო-** ზმნისწინთა ხმარების ამ და სხვა წესებს სინქრონიულ და დიაქრონიულ დონეზე იხილავს რ.ლიპარტელიანი (რ.ლიპარტელიანი, 1999, 50).

როგორც ჩანს, **მო-~ მი-** ელემენტთა განაწილების წესთა ჩამოყალიბებისას მხედველობაში მისაღებია ისიც, O_3^{ind} ბე-

ნეფაქტივია თუ მალეფაქტივი. ამის საბაბს იძლევა მო- ~ მი- დაპირისპირების მოშლა მომაცილა (ღობე), მომაშორა (მარჩენალი), მომაჭამა (ფეხი), მომაკლო (სახარჯო), მომაჭრა (თავი) ტიპის მალეფაქტიურ ფორმებში, მაშინ როცა ბენეფაქტიურ ფორმებში მი-~მო- დაპირისპირება აუცილებელიც კი ჩანს: მომცა~მისცა, მომიტანა~მიუტანა, მომიყვანა~მიუყვანა...

თავისი სპეციფიკით ყურადღებას იმსახურებს ისეთი ფორმებიც, სადაც O_1^{ind} პირთან იხმარება მი- ზმნისწინი, ე.ი. მოსალოდნელი სააქეთო ორიენტაციის ნაცვლად გვაქვს საიქეთო ორიენტაცია; მაგალითად: „წიგნი შინ მიმიტანეთ!“ „სტუმარი სახლამდე მი-მ-იცილეთ“ და სხვა. ბუნებრივია, O_2^{ind}-ის ჩასმა შესაძლებელია O_1^{ind}-ის ადგილზე ისე, რომ ორიენტაცია ანალოგიური იქნება: „წიგნი შინ მი-გ-იტანეს“ და სხვა.

ამ ფორმებში მ- (O_1^{ind}) ახორციელებს მფლობელ ობიექტს, გეზი კი წესისამებრ გამოხატულია მთხრობელთან მიმართებით, ანუ ქმედება მიმართულია იქით, სადაც არ იმყოფება O_1^{ind}.

ზმნისწინებისა და პირის ნიშნების რანგებისათვის ქართულ ზმნაში

ენის სისტემური აღწერა ვარაუდობს მეტყველების ნაწილთა გრამატიკული კატეგორიების დადგენასა და შესაბამისი მარკერების გამოყოფას. კატეგორიის ფარგლებში ელემენტთა მიმართება პარადიგმატული ხასიათისაა: იქმნება სიმრავლე, რომლის ელემენტთა მხოლოდ ჩანაცვლებაა შესაძლებელი, რის გამოც იკრძალება მათი განლაგება ერთიმეორის გვერდით, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მივიღებთ ენის „თანაზომიან ფორმათა შეპირისპირებას“, როგორც ა.შანიძე განსაზღვრავს ელემენტთა მიმართებებს კატეგორიის ფარგლებში (ა.შანიძე, 1973, 34). ამის ილუსტრაცია ქართულში შეიძლება, მაგალითად, გვარის კატეგორიის ფარგლებში: კაუზაციის

მააქტივებელი ა- ელემენტის (ა-შენებს, ა-წვალებს, ა-გებს...) გვერდით დაუშვებელია პასივის ი- და ე- პრეფიქსები; თავის მხრივ პასივის ი-, ე- და -ენ~-ნ~-დ ერთი სიმრავლის ელემენტებია და ერთიმეორის გვერდით არ გვხვდება. რადგან კატეგორიის ფარგლებში ფორმათა დაპირისპირება აუცილებელია, ერთი სახეობის მარკერებს ვერ შევხვდებით ერთიმეორის გვერდით, ე.ი. ერთდროულად ფორმა შეუძლებელია იყოს მოქმედებითი და ამავე დროს ვნებითი გვარისა ანდა პრეფიქსიანი ვნებითიცა და სუფიქსიანიც. თუ ეს წესები დაირღვა, საქმე გვექნება რომელიმე მარკერის ფუნქციის მოშლასთან ან კატეგორიალური სიმრავლის ახალ წევრთან, რაც იმას ნიშნავს, რომ შეერთებულ ელემენტთა მნიშვნელობა ახალია და არ უდრის შემადგენელი ელემენტების მნიშვნელობათა ჯამს.

რანგთა სინტაგმატურ ფორმულაში პარადიგმატულ ელემენტთათვის ადგილის მიჩენა აზუსტებს მორფოლოგიურ წესებს, ამიტომ გასაგებია ის დიდი მნიშვნელობა, რაც ეძლევა გრამატიკული ელემენტების რანგთა ფორმულებს ენის სისტემის სქემატურ დახასიათებაში — რაც უფრო არაწინააღმდეგობრივია რანგთა ფორმულა, მით უფრო ადეკვატურად იქნება აღწერილი ენის სისტემა.

წინამდებარე კვლევა ეხება ზმნისწინისა და პირის ნიშნების ასახვას ქართული ზმნის რანგობრივ ფორმულაში, კერძოდ ამ საკითხებს: (1) აღნიშნულ ელემენტთა სახით რამდენ კატეგორიასთან გვაქვს საქმე და (2) როგორია კატეგორიათა მარკერების განლაგება რანგთა ფორმულაში.

რადგან ზმნა ზმნისწინით იწყება, მას ფორმაში უკიდურესი მარცხენა ადგილი უკავია. ზმნისწინები ქართულ ენაში ორი სახისაა: მარტივი და რთული. მიუხედავად სიმარტივე-სირთულისა და გრამატიკული განსხვავებულობისა (იხ. ქვემოთ), ზმნისწინებს სამეცნიერო ლიტერატურაში ერთი და იგივე რანგი ეძლევა (მ.დამენია, 1982, 46; თ.გამყრელიძე, 1979, 44).

ზმნისწინთა რანგის განსაზღვრა უნდა მოხდეს მას შემდეგ, როცა გაირკვევა კატეგორია ან კატეგორიები, რომელ-

საც ან რომელთაც ზმნისწინები გამოხატავენ. მარტივი ზმნისწინები გეზისა და ორიენტაციის კატეგორიებს გამოხატავენ. გეზის ნიშნებია: გა-, და-, ჩა- ... (ისინი კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურიდან და სახელმძღვანელოებიდან), ორიენტაციისა: მო- და მი-. გეზი ზმნით გამოხატული ქმედების მიმართულებას გამოხატავს სივრცეში მდებარე სხვადასხვა პუნქტებისადმი, ორიენტაცია კი ზმნით გამოხატული ქმედების მიმართულებას მოუბარი ან არამოუბარი მესამე პირისკენ (ა.შანიძე, 1973,238). გეზის კატეგორიაში არ არის გათვალისწინებული ორიენტაცია, ისევე როგორც ორიენტაციის კატეგორიას არ ეხება გეზი, ანუ ქმედების მიმართულება „სხვადასხვა პუნქტებთან" მიმართებით.

რაც შეეხება რთულ ზმნისწინებს, ისინი მიიღება გეზის ელემენტებზე ორიენტაციის მო- ელემენტის დართვით. ისინი სხვადასხვა კატეგორიებს ემსახურებიან, ამიტომ მათი ყოფნა ერთიმეორის გვერდით ბუნებრივია. ა.შანიძის განცხადება შემთხვევითი არ არის: „ზმნისწინს ქართულში დაკისრებული აქვს ოთხგვარი სამსახური: (1) აღნიშნოს მიმართულება (ანუ გეზი – თ.უ.) და, ამასთანავე, 2) ორიენტაცია..." (ა.შანიძე, 1913, 239). ამას ისღა უნდა დაემატოს, რომ გეზისა და ორიენტაციის ზმნისწინები მუდამ გამიჯნულია ფუნქციათა მიხედვით: ყოველ ზმნაში, სადაც მარტო მო- და მი- ზმნისწინები გვაქვს, მხოლოდ ორიენტაცია გამოიხატება; ყოველი რთული ზმნისწინი, რომელშიც მონაწილეობს მო- (შემო-, გამო-, ჩამო-...), მისი საშუალებით მხოლოდ ორიენტაციას გამოხატავს; რთული ზმნისწინის მო-ს წინ განლაგებული ნაწილი კი მხოლოდ გეზზე მიუთითებს.

რთულ ზმნისწინებში საიქეთო ორიენტაციის მი- არ ჩნდება. პრივატული ოპოზიციის საფუძველზე გეზის გამომხატველი ყველა ელემენტი ამავე ელემენტების მო-ზმნისწინიანი ფორმების საპირისპიროდ (შე ~ შემო-, გა- ~ გამო-...) არასააქეთო ორიენტაციას, ანუ საიქეთოს გამოხატავს.

ზმნამ შეიძლება გეზი არ გამოხატოს და მასში წარმოჩენილი იყოს მხოლოდ ორიენტაცია – ეს ზმნები გეზის მი-

ხედვით ნეიტრალურია, ორიენტაციის მიხედვით კი — მარკირებული (მო-იყვანს ~ მი-იყვანს, მო-სწერს ~ მი-სწერს...); ასევე ზმნას შეუძლია მხოლოდ გეზის გამოხატვა ისე, რომ ორიენტაციის მიხედვით ნეიტრალური იყოს (მდინარეები ზღვაში ჩა-დიან, და- ზმნისწინთან საერთოდ აღარ იხმარება ორიენტაციის მო- ზმნისწინი: და-ვარდა, და-იწია და სხვა).

ორიენტაციის კატეგორიის გამომხატველი ელემენტების მო- და მი- ზმნისწინების გვერდით დგას მესამე ელემენტიც — ეს არის რთული ზმნისწინი მიმო-. მართალია, იგი შედგება მი- და მო- ზმნისწინებისგან და ამით არღვევს ერთი სიმრავლის ელემენტთა ურთიერთობის კანონზომიერებებს (ისინი სინტაგმატურ ურთიერთობაში არ შედიან. იხ.ზემოთ). ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ მიმო- სემანტიკურად არ წარმოადგენს მის კომპონენტთა მნიშვნელობების ჯამს: მიმო- ნიშნავს „ყოველ მხარეს“ — როგორც მოლაპარაკისკენ და არამოლაპარაკე მესამე პირისკენ, ისე ამათ ჯვარედინადაც, სწორედ ამიტომ მასთან ხშირად იხმარება ირგვლივ, გარეშემო ზმნიზედები: ირგვლივ მიმოიხედა; გარეშემო მიმოიფანტა და სხვა.

შეიძლება დავასკვნათ: მიმო- მიღებულია უკვე არსებული ელემენტების შეერთებით, ოღონდ ახალი მნიშვნელობით, რის გამოც ის ხდება მი- და მო- ელემენტთა სიმრავლის სრულუფლებიანი წევრი, ამიტომ მას აქვს უნარი ჩაენაცვლოს თავის სიმრავლის სხვა წევრებს და არ შევიდეს სინტაგმატურ ურთიერთობაში მათთან.

ანალოგიური გზით მოხდა ახალი ელემენტის შემატება გეზის კატეგორიის ელემენტთა სიმრავლეში: ორი ელემენტის შეერთებით მივიღეთ იმავე სიმრავლის ახალი ელემენტი, რომელიც არ წარმოადგენს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს. ეს არის შთა-, შემდგომში ჩა- ზმნისწინი, იგი მიღებულია შე- (გარედან შიგნით) და და- (ზემოდან ქვემოთ რაიმეზე) ზმნისწინთა შეერთებით (ა.შანიძე, 1973, 245) და აქვს ქმედების სიღრმისკენ მიმართვის გამოხატვის ფუნქცია (შთავარდა, ჩავარდა; შთააგდო, ჩააგდო...). ახალი ელემენტი ემორჩილება იმავე წესებს, რაც მის გაჩენამდე ჰქონდათ მისი

სიმრავლის სხვა ელემენტებს: აქვს უნარი პარადიგმატული ჩანაცვლებისა გეზის სხვა ელემენტებთან და არ შედის მათთან სინტაგმატურ ურთიერთობაში.

შეაღწია, დააღწია, გააღწია ფორმებში თითქოს დარღვეულია სინტაგმატური ურთიერთობის წესი ერთი სიმრავლის ფარგლებში – გეზის ორი ნიშანი არ უნდა იყოს ერთიმეორის გვერდით, როგორც არა გვაქვს, მაგალითად, შეაღვიდა, შედავარდა და სხვა. ეს „დარღვევა“ ადვილად აიხსნება: აღ აღწევს ზმნაში აღარ არის ზმნისწინი, იგი ფუძის ნაწილად არის გადარიცხული და ბუნებრივად იტანს გეზის სიმრავლის ელემენტებს.

ქართულ ზმნაში ზმნისწინს მოსდევს პირის ნიშანი; რადგან ქართულ ზმნაში ისინი მარკირებულია სუბიექტისა და ობიექტის ნიშნებად, ბუნებრივად დადგა პირის ნიშანთათვის სათანადო რანგის ან რანგების გამოყოფის საკითხი. იგი სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებულად არის გადაწყვეტილი: მ.დამენია პირის ნიშნებს ანაწილებს ორ რანგში. მის სქემაში ზმნისწინს მოსდევს სუბიექტის რანგი, ხოლო ამის შემდეგ, მარჯვნივ, დგას ობიექტის რანგი (მ.დამენია, 1982, 46); თ.გამყრელიძე კი პირთა პრეფიქსულ ნიშნებს აერთიანებს ერთ რანგში, მიუხედავად იმისა, სუბიექტის გამომხატველია იგი თუ ობიექტისა, იცავს რა პრინციპს – „В одном слове может встретиться только один суффикс каждого порядка “ (ჰ.გლისონი, 1959, 164). ამიტომ ძველი ქართულის იმ ფორმებში, სადაც ერთ ზმნაში ერთიმეორის გვერდით წარმოდგენილია სუბიექტისა და ობიექტის ნიშნები, მაგალითად, შე-ხ-უ-აბთ „შევაბით“ ($S_1PO_3^{ind}O_3^{dp}$), წარმოშობით ჩაითვალა ერთ ნიშნად – ხუ (S_1), რომელსაც მხოლოდ სუბიექტის გამოხატვა ევალებოდა. თ.გამყრელიძის აზრით, *ხუ- (S_1) პრეფიქსის ორ ნიშნად გაგება (ხ-უ – O_3^{ind}-S_1) მეორეულია. დიაქრონიულად ასეთი ცვლილების დაშვების შემთხვევაში ასახსნელი რჩება ერთი რიგის ანუ ერთი სიმრავლის ნიშანთა ერთიმეორის გვერდით განლაგება თვით ძვ. ქართულში...

რანგთა გამოყოფა აქაც უნდა დაემყაროს კატეგორიალურ პრინციპს: ცალკე კატეგორია ცალკე რანგით უნდა გამოიყოს სქემაში. სუბიექტურ პირებს ვერ გავაერთიანებთ პირდაპირობიექტურ და ირიბობიექტურ პირებთან, რადგან პირთა წარმოდგენილ სახეობათაგან თითოეულის კატეგორიალური დანიშნულება განსხვავებულია დანარჩენთაგან: S გამოხატავს ინიციატორს, O^d – პაციენსს, O^{ind} კი – ბენეფაქტივს (/მალეფაქტივს).

S-ის (ინიციატორის) კატეგორიის ფარგლებში გაერთიანებულია პარადიგმატულად დაპირისპირებული S_1, S_2, S_3 (პრეფიქსულ რანგებზე მსჯელობიდან გამოირიცხება S_3 და S_3P, რადგან ისინი სუფიქსებია.); შესაბამისად ასეთივე დაპირისპირება გვექნება O^d-სა (O_1^d, O_2^d, O_3^d, O_1^{dP}) და O^{ind}-ს (O_1^{ind}, O_2^{ind}, O_3^{ind}, O_1^{pind}) კატეგორიებში.

S სიმრავლის ელემენტები ადვილად გამოირჩევა ობიექტთა (O^d და O^{ind}) სიმრავლეების ელემენტთაგან. უფრო ძნელია O^d და O^{ind} სიმრავლეების ელემენტთა გარჩევა ერთიმეორისგან, რადგან თითოეულის ჯგუფის (ანუ სიმრავლის) ელემენტები გამოხატულების პლანში იდენტურია (მ- ~ მ-, გ- ~ გ-, ჰ- ~ ჰ-). მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ენის მოქნილ სისტემაში მათი გარჩევა სრულებითაც არ ჭირს: (1) ორპირიან პასიევებში, სუბიექტის გარდა, მხოლოდ O^{ind}-ს ელემენტებია წარმოდგენილი; (2) ორპირიან აქტივებში კი – მხოლოდ O^d-ს ელემენტები; (3) სამპირიან აქტივებში O^d და O^{ind} პირთა ნიშნების გარჩევა ხდება პირცვალებადობის მიხედვით: ობიექტის ყველა ნიშანი სამპირიან აქტივში ეკუთვნის პირცვალებად ობიექტს, პირუცვლელი კი, რომელიც ყოველთვის III პირშია, გამოხატულია ნულოვანი ალომორფით. ასეთ ვითარებაში ისინი – S, O^d, O^{ind} ერთიმეორის გვერდზე განლაგდებიან პრეფიქსულ მონაკვეთში, ე.ი. წარმოდგენილი იქნებიან სამი რანგით.

სანიმუშოდ ავიღოთ სამპირიანი ზმნა გამომაყოლე, რომელიც შეიძლება ორნაირად გავიგოთ: (1) გა-მო-მ-აყოლე შენ მე მას (2) გა-მო-მ-აყოლე შენ მე ის. პირველ შემთხვევაში პირცვალებადია O^d, რომელიც წარმოდგენილია მ- პრე-

ფიქსით (O_1^d) (შდრ. გამო-გ-აყოლა მან შენ მას, სადაც გ-O_2^d -ის პრეფიქსია); მეორე შემთხვევაში კი პირცვალებადია O^{ind} – ახლა მ- ეკუთვნის O_1^{ind}-ს და ა.შ.

პირთა შორის ფუძესთან უფრო ახლოს დგას პირუცვლელი ობიექტის რანგი, მის წინ, მარცხნივ, დგას პირცვალებადი ობიექტის რანგი; პირთა შორის მარცხენა უკიდურესი რანგი ექნება სუბიექტს.

გამომაყოლე (1) გრამატიკულად ასე ჩაიწერება გა-მო-მ-Ø-Ø-ა-ყოლ-ე, სადაც -1 რანგი ექნება კაუზატივს, -2 ექნება ირიბ ობიექტს, -3 ექნება სუბიექტს, -4 ექნება პირდაპირ ობიექტს, -5 ექნება ორიენტაციას, -6 კი ექნება გეზს. ეს ყოველივე სქემატურად ასე წარმოიდგინება: -6, -5, -4, -3, -2, -1- R...

მაშასადამე, ძველსა და თანამედროვე ქართულში სხვადასხვა რანგის პირთა სინტაგმატური ჯგუფი სრულებითაც არ არის მოულოდნელი, პირიქით, ყველა ორ- და სამპირიან ზმნაში მოსალოდნელია პირთა მაწარმოებლების შეხვედრა. თუ არა გვხვდება ეს კომბინაციები, ეს მორფოფონემატური ცვლილებების შედეგია.

კონექტურ კატეგორიათათვის ზოგადად

პირმიმართი და პირმიუმართავი აქტანტების ორი ჯგუფი განსხვავებულად წარმოდგება ქართულ ზმნაში: (1) პირმიმართი აქტანტები, რომლებიც განსაზღვრული ფორმის ამა თუ იმ ზმნასთან დაკავშირებულ სახელებს წარმოადგენენ წინადადებაში, თვით ზმნაშიც გამოხატული არიან საკუთარი მორფემებით; (2) პირმიუმართავი აქტანტები, რომლებიც აგრეთვე ზმნასთან არიან დაკავშირებული სპეციფიკური ფორმით, განსხვავებით პირმიმართთაგან, ზმნაში არ გამოიხატებიან სპეციალური ნიშნებით.

ზმნის პირიანობა ემყარება აქტანტების ფორმალურ გამოხატვას ზმნაში. ამ საფუძველზე, რა თქმა უნდა, ქართულ ენაში არის სამპირიანი ზმნაც, როცა მას შეეწყობა სამი

პირმიმართი აქტანტი (იხ. ზემოთ). ის ფაქტი, რომ რომელიმე აქტანტი ან აქტანტები ზმნურ ფორმაში შეიძლება ნულოვანი ალომორფებით წამოდგეს, ჩვენს დებულებას ვერ შეცვლის: ნულოვანი ალომორფი, რომელიც მატერიალურად განსახიერებულია განსხვავებულ კომბინაციაში ან პოზიციაში, აგრეთვე რეალური გრამატიკული ელემენტია ენაში; ასე მაგალითად: შე-მ-აძულ-ა (მან მე მას — $S_3O_1{}^dO_3{}^{ind}$) და მო-მ-წყვიტ-ა (მან მე მას — $S_3O_1{}^dO_3{}^{ind}$) სამპირიან ზმნებში $O_3{}^{ind}$ გამოხატულია ნულოვანი ალომორფით (შე-მ-Ø-აძულ-ა), რომელიც აღნიშნულ ზმნათა კონვერსიულ პასივებში მატერიალური ალომორფით წარმოჩნდება, როგორც კი აქტივის $O_1{}^d$ პასივში სუბიექტად მოიქცევა: შე-ვ-ს-ძულდი, მო-ვ-ს-წყდ-ი. არ იქნება სწორი, რომ სამპირიანი ფორმების ნულოვანი ალომორფი მათემატიკურ ნულად მივიჩნიოთ, როცა ის დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაშია ირიბი ობიექტის მესამე პირის /ს-/ ალომორფთან სხვა კომბინაციაში. აღნიშნული ნული გრამატიკული ნულოვანი ალომორფია*.

რომელიმე შე-მ-აძულე (შენ მე მას — $S_2O_1{}^dO_3{}^{ind}$) ფორმის ერთპირიანად მიჩნევა იმის გამო, რომ მასში მხოლოდ $O_1{}^d$ არის მატერიალურად წარმოდგენილი, დიდ გართულებას და, რაც მთავარია, არაადეკვატურ მსჯელობას იწვევს, რადგან პარადიგმაში /შე-მ-აძულე/ დგას /შე-მ-აძულ-ა/ ფორმის გვერდით: გამოვა, რომ ზმნა პირთა რაოდენობას იცვლის ერთი მწკრივის ფარგლებში პირთა რომელობის ცვლასთან დაკავშირებით. პირთა რომელობის ცვლა ზმნის პირიანობას არ ცვლის. იგი მხოლოდ ზმნაში წარმოდგენილ პირთა და მათ მარკერთა განსხვავებულ კომბინაციებს ქმნის. ესა თუ ის პირი რომელსამე კომბინაციაში წარმოდგენილია მატერიალურად, განსხვავებულ კომბინაციაში კი — ნულოვანი ალომორფით. ამიტომ მიიჩნევა ერთიმეორესთან დამატებითი დისტრიბუციით დაკავშირებული ალომორფები ერთი მორფემის ვარიანტებად — ამ შემთხვევაში

---

*იგი სულია სხეულის გარეშე, როგორც ბოდუენ დე კურტენე იტყოდა.

ერთი პირის გამომხატველად, მიუხედავად იმისა, მატერიალურად არის წარმოდგენილი თუ ნულოვანი ალომორფით.

აქტანტური კატეგორიები ზმნის პირებთან არის უშუალოდ დაკავშირებული. პირთა სახით საქმე გვაქვს ავტონომიურ მორფოლოგიურ სისტემასთან მორფონოლოგიურ ცვლილებათა საკუთარი მექანიზმით.

კონექტური კატეგორიები იქმნება აქტანტთა ფუნქციების განსხვავებული კომბინირებით. სანიმუშოდ აქ მხოლოდ რამდენიმე თეზისით დავკმაყოფილდებით: თუ ზმნის ირიბი ობიექტი შემსრულებელი აქტანტია, ამ ფორმაში სასხვისო ქცევა არ დაიშვება; თუ ზმნის რომელიმე ობიექტი ქმედების შემსრულებელია, იმ ფორმაში სუბიექტი მხოლოდ ინიციატორია (საქმე გვექნება კაუზატივებთან); თუ სუბიექტი შემსრულებელ-ინიციატორია, ზმნის ფორმა კაუზაციის მიხედვით ნეიტრალურია და ა.შ.

ცალკეული კატეგორიების განხილვამდე საჭიროა შევეხოთ პირთა ურთიერთობებს კონვერსიის ასპექტითაც. საქმე ეხება ისეთ სამპირიან აქტივებს, რომლებიც შეიწყობენ როგორც პირცვალებად პირდაპირ ობიექტს, ისე პირცვალებად ირიბ ობიექტს, და ამათ კონვერსიულ პასივებს. სანიმუშოდ ვიღებთ ა.შანიძის მიერ მოხმობილ დამავიწუეს ზმნას. ეს ფორმა გრამატიკულად ორი მნიშვნელობით იხმარება: დამავიწუეს ($S_3{}^pO_1{}^dO_3{}^{ind}$) და დამავიწუეს ($S_3{}^pO_1{}^{ind}O_3{}^d$). ა.შანიძე ამათ განსასხვავებლად მიმართავს კონვერსიას (ა.შანიძე, 1973, §351): დამავიწუეს ($S_3{}^pO_1{}^dO_3{}^{ind}$) ~ პას. დავავიწუდი და დამავიწუეს ($S_3O_1{}^{ind}O_3{}^d$) ~ პას. დამავიწუდა. კონვერსიულმა პასივებმა მკვეთრად განასხვავეს აქტივები გრამატიკულ მნიშვნელობათა მიხედვით.

კონვერსიული წყვილები გამოყოფილია კონვერსიის პრინციპთა სრული დაცვით, დავას იწვევს ამის მიმყოლი მსჯელობა, კერძოდ: პასივის ფორმები ა.შანიძემ განაკუთვნა ერთ პარადიგმას, რაც იმას ნიშნავს, რომ სემანტიკურად დავავიწუდი და დამავიწუდა ერთია; აქტივები კი განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებად მიიჩნია, ანუ დამავიწუეს მიჩნეულია პოლისემიურ ფორმად. იგი წერს: „... ამ ზმნების თავისებუ-

რება ის არის, რომ ენებითში ისინი ერთი ზმნის ფორმებად ითვლებიან (რადგანაც, მაგ., დავავიწყდი და დამავიწყდა ერთმანეთისგან მხოლოდ პირთა ურთიერთობით განსხვავდებიან), სათანადო მოქმედებითის ფორმები კი ორი სხვადასხვა ზმნის კუთვნილებაა, რომლებიც, რამდენადაც იხმარებიან, ფორმობლივ ერთმანეთს ემთხვევიან, პოლისემიური ფორმებია" (ა.შანიძე, 1973, 285).

პასივთა ერთ პარადიგმაში მოქცევა თავისთავად განაპირობებს ანალოგიურ მიდგომას აქტივებისადმი, რადგან, „პირთა ურთიერთობის მიხედვით განსხვავება" პასივებში (დავავიწყდი, დამავიწყდა) აქტივთაგან მოდის, რომლებშიც, შესაბამისად პასივებთან კონვერსიისა, სწორედ პირთა კომბინაციების მიხედვით განსხვავდებიან $O_1{}^dO_3{}^{ind}$ და $O_1{}^{ind}O_3{}^d$ ($S_3{}^p$ ერთი და იგივეა ორსავე აქტივში, იხ. ზემოთ), ე.ი. $S_3{}^p$ პირის ჩაერთვნის შემდეგ აქტივის $O_1{}^dO_3{}^{ind}$ იძლევა პასივის $S_1O_3{}^{ind}$ კომბინაციას, ხოლო აქტივის $O_1{}^{ind}O_3{}^d$ – პასივის $S_3O_1{}^{ind}$ კომბინაციას. მაშასადამე, პასივში ადეკვატურად არის ასახული კონვერსიულ აქტივში არსებული პირთა ურთიერთობები. სწორედ ამის გამოა, რომ აქტივი → პასივი გარდაქმნის დროს რაიმე ლექსიკური ცვლილება არ ხდება, კერძოდ, ამ კონკრეტული შემთხვევის აქტივში ($S_3{}^p$ $O_1{}^dO_3{}^{ind}$) „მე" ($O_1{}^d$) დაავიწყეს „მას" ($O_3{}^{ind}$-ს), იგივე ხდება პასივში ($S_1O_3{}^{ind}$) – სუბიექტური პირველი პირი (S_1 ← $O_1{}^d$) ავიწყდება იმავე ირიბ ობიექტს ($O_3{}^{ind}$-ს). განსხვავება აქტივისა და კონვერსიული პასივის ფორმებს შორის გრამატიკულია – განსხვავება მყარდება კაუზაციის მიხედვით, რომელიც აქტივში საგრძნობია, პასივში კი არ იგრძნობა (დამავიწყეს ~ დავავიწყდი).

სუფიქსიანი პასივები საერთოდ პირველად კაუზატივთა კონვერსიული ფორმებია და სავარაუდებელია დიაქრონიულად კაუზაციური გაგება მათაც ჰქონდათ, როგორც, მაგალითად, სძულდება პასივს, როცა „ის" „მას" აძულებს თავს, ანუ „ის" თვითონ სძულდება მას. ამის შესახებ მსჯელობას აღარ განვაგრძობთ, ოღონდ აუცილებელია აქვე ითქვას, რომ კაუ-

ზაციაც, ისევე როგორც სხვა ზმნური კატეგორიები, ლექსიკურ მნიშვნელობასთან არ არის კავშირში.

კაუზაციის კატეგორია ენაში მარკირებულია, როცა ზმნაში არის მითითება მოქმედების ინიციატორსა და შემსრულებელზე. ზმნაში ორივე პირი გამოხატულია. შესაძლებელია კაუზატიურ ზმნაში მესამე აქტანტიც იყოს წარმოდგენილი წმინდა პაციენსის სახით.

ქართულ ენაში განსხვავებულია კაუზატივთა პირველადი და მეორადი წარმოების ფორმები, ორივე კი — კაუზაციურად ნეიტრალური ფორმებისგან.

ინიციატორი აქტანტი კაუზაციურ ზმნაში ყოველთვის სუბიექტია, შემსრულებელი აქტანტი კი რომელიმე ობიექტი: ორპირიან პირველად კაუზატივებში პირდაპირი ობიექტი შემსრულებელიც არის და სამოქმედოც; თუ ზმნა სამპირიანია, ასეთ კაუზატივში პირდაპირი ობიექტი წმინდა პაციენსია, შემსრულებელ პირად კი ირიბი ობიექტია გამოყოფილი.

ზმნურ კატეგორიათა შესახებ საერთოდ უნდა ითქვას, რომ ისინი სპეციფიკური გრამატიკული ურთიერთობების გამოხატვისთვის არიან შექმნილი და სახელებსაც ამ სპეციფიკის მიხედვით ატარებენ.

ზმნური ყველა კატეგორია დაკავშირებულია ზმნის აქტანტებთან. ზოგი ამ აქტანტებისა პირმიმართია, ზოგი — პირმიუმართავი. ისინი ზმნათა ფორმაცვალებისას შესაძლოა შეენაცვლნენ ერთიმეორეს, ე.ი. პირმიმართი გადაიქცეს პირმიუმართავად და, პირიქით, პირმიუმართავი — პირმიმართად: სამპირიანი ზმნის ირიბი III სერიაში მოიქცევა -თვის თანდებულიან პირმიუმართავ აქტანტად, ხოლო ოთხვალენტიანი დამიხატვინა ტიპის ფორმათა მიცემითში დასმული (მას) პირმიუმართავი აქტანტი პირმიმართად მოიქცევა კონვერსიულ პასივში (და-ე-ხატვინა მას ის...).

ზმნურ კატეგორიათა დაყოფა უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად არაადეკვატურია. ზმნის ყველა კატეგორია „უღლებისაა“. თეორიულად გამორიცხულია, რომ ზმნურმა კატეგორიამ ლექსიკური მნიშვნელობა უცვალოს ზმნას, რადგან კატეგორიის ფარგლებში და კატეგორიათშო-

რის სისტემაში აგენსი ქმედების ერთსა და იმავე სახეობას ეწევა. ამიტომ ქმედების ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა შეუძლებელია; მაგალითად: წერს, უწერს, აწერინებს, ეწერინება, ეწერება, იწერება და სხვ. ფორმათა აგენსები ერთსა და იმავე ქმედებას უნდა ეწეოდნენ (კონკრეტულად ამ შემთხვევაში — „გამოპყავდეთ ანბანის ნიშნები — ასოები"), რათა საერთო ლექსიკური მნიშვნელობით ერთი პარადიგმის წევრებად დარჩნენ.

ზემოთ ჩამოთვლილ ფორმათა გრამატიკულ სპეციფიკას ქმნიან აქტანტთა განსხვავებული ურთიერთობები, აქტანტებს კი, როგორც პირებს, კავშირი არა აქვთ ლექსიკურ მნიშვნელობასთან: ის ხედავს, ის ჩანს, ის შლის... „ის" აქტანტის ბუნებიდან არ გამომდინარეობს „ხატვა", „გამოჩენა", „დაშლა"... „ის" ამ ცხოვრებისეულ მოვლენათა ინიციატორ-შემსრულებელია; „ის"-ის ჩანაცვლება შეუძლია ნებისმიერ სახელს პირდაპირ ან მეტაფორულად, რაც გრამატიკულად ერთი და იგივეა.

ამ ზმნათა პაციენსებიც (ხედავს მას, შლის მას) არ არიან ლექსიკურ კავშირში ზმნებთან: მათი ჩანაცვლებაც შესაძლებელია ნებისმიერი სახელით, რადგან ეს ვითარებები — ლექსიკური მნიშვნელობები: „დანახვა", „დაშლა" ზმნებისა ერთიმეორესთან მიმართებით, როგორც ქმედებათა კერძო სახეობები, იძენენ განსხვავებულობას და არა ამ ქმედებათა ინიციატორებითა და პაციენსებით, რომელთაც პრაგმატული პოზიციიდან მიემატნენ ბენეფაქტივ-მალეფაქტივები. ყველა ესენი აქტანტებია, რომლებიც სჭირდება ნებისმიერ ზმნას გრამატიკულ მნიშვნელობათა შესაქმნელად. ამ აქტანტთა სახეობების განსხვავებული კომბინაციები ქმნიან ზმნურ პარადიგმატულ მიმართებებს.

ზემოთ ზოგადად შევეხეთ კაუზატიურ ფორმათა აქტანტებს. სხვა კატეგორიებშიც იგივე აქტანტები მონაწილეობენ, ოღონდ განსხვავებული ურთიერთობებით, მაგალითად, ქცევის კატეგორიის შინაარსს ზმნა იძენს მასში წარმოდგენილი შემსრულებელი აქტანტის — აგენსის სხვისთვის ან თავისთვის გარჯის საფუძველზე: ეს ორი

აქტანტი – აგენტური და ბენეფაქტიური (resp. მალეფაქტიური) აუცილებელი პირობაა სასხვისო ქცევისა; თუ ერთი და იგივე აქტანტი შემსრულებელიც იქნება ქმედების და ამ ქმედების შედეგის მიმღებიც, საქმე გვექნება სათავისო ქცევასთან, ე.ი. ბენეფაქტიური აქტანტი კორეფერენტული ხდება სუბიექტისა. სამპირიან ზმნაში, რომელსაც არაშემსრულებელი ირიბი ობიექტი აქვს, უთუოდ გამოხატული იქნება კუთვნილებითი ურთიერთობა; თუ ირიბი ობიექტი სამპირიან ზმნაში შემსრულებელი აქტანტია, ამ ფორმით სასხვისო ქცევა ვერ გამოიხატება, ასეთია, კერძოდ, მეორადი კაუზაციის სამპირიანი და სამვალენტიანი ფორმები, როგორიცაა: **აწერინებს, ახატვინებს, აჭრევინებს** და სხვ.

ბენეფაქტიური და მალეფაქტიური ურთიერთობები ქცევის ზოგად გაგებას ვერ ცვლიან, ისინი სასხვისო ქცევის კერძო სახეებია. ამ კატეგორიას ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით.

გვარის კატეგორიაშიც იგივე აქტანტები მოქმედებენ. მათ ურთიერთობაში სპეციფიკურია მოქმედების გამიზნულობა: (ა) მოქმედება უმისამართოა: გამოდის სუბიექტისგან, მაგრამ უადრესატოდ; (ბ) სუბიექტისგან გამოდის და გადადის პირდაპირ ობიექტზე; (გ) მოქმედება მიმართულია სუბიექტისკენ. კატეგორიად ჩამოყალიბებამდე ივარაუდება უადრესატო ქმედებათა ფორმები; შემდგომ ამ ზმნებში სხვადასხვა გზით იწყება პირდაპირი ობიექტის შესვლა (იხ. ქვემოთ, გვ.117): წინადადებაში, სადაც ეს ზმნებია შემასმენლად, ხდება ზმნური ლექსემების დაკავშირება წინადადების წევრებთან. საქმე გვაქვს ტიპურ დიათეზასთან. ამიტომ აქ შესაძლებელია სხვადასხვა ფორმები ერთპირიანი და ორპირიანი ზმნებისთვის, როგორიცაა: **ტირის ~ ტირის, მღერის ~ მღერის, გალობს ~ გალობს** და სხვა. მათ შეიძლება განასხვავებდეს მხოლოდ ობიექტის ნიშნები ორპირიან ფორმებში. ეს ამავე დროს არის დაპირისპირება მედიუმისა აქტივთან; **გვარის კატეგორიის მორფოლოგიური დაპირისპირება კი ქართულ ენაში დაკავშირებულია პასივის სპეციფიკური – მორფოლოგიური მარკერის მქონე ფორმების გაჩენასთან. დიაქ-**

რონიული იერარქია აქ ასეთია ფორმათა წარმოებაში: მედიუმი → აქტივი → პასივი. კატეგორია დაპირისპირებას იწყებს მედიუმისა და აქტივის დაპირისპირების დონეზე წინადადებათა მიხედვით; გვარის მორფოლოგიური კატეგორია კი ყალიბდება პასივთა გაჩენის შემდეგ. პასივთა მარკერებმა ეს ფუნქცია გვიან შეიძინეს. ისინი სხვა კატეგორიათა რეინტერპრირებული აფიქსებია.

პასიურ ფორმათა შექმნა განვითარებული გონების ნაყოფია — ეს არის ქმედების წარმოდგენა ობიექტის ასპექტით.

ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობა კაუზაციის, ქცევისა და გვარის კატეგორიათა შესახებ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ: **ზმნური კატეგორიები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან არა აქტანტებით, არამედ ამ უკანასკნელთა სპეციფიკური ურთიერთობებით ცალკეულ კატეგორიათა ფარგლებში.**

ზმნური გრამატიკული კატეგორიების გლობალურ სისტემაში, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ **კატეგორიათშორის სისტემას**, კატეგორიათა ფუნქციონირება ურთიერთშეპირობებულია — ადგილი აქვს განსაზღვრულ დაშვებებსა და შეზღუდვებს, რომელთა განხილვა აუცილებელია უღლების სისტემის სრული აღწერისათვის. ჯერ განვიხილავთ გრამატიკულ კატეგორიათა ა.შანიძისეულ კლასიფიკაციას უღლების სისტემაზე ორიენტაციით.

ზმნურ კატეგორიათშორის სისტემაში ა.შანიძე სამ საფეხურს გამოყოფს: პირველ საფეხურზეა ზმნის პ ი რ ი და რ ი ც ხ ვ ი, მეორეზე — მწკრივები, რომლებიც რთული კატეგორიალური წარმონაქმნებია — ზეკატეგორიები; მესამე საფეხურზეა წ ა რ მ ო ქ მ ნ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი.

სქემატურად ეს საფეხურები შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

უღლების კატეგორიები: { I. პირი და რიცხვი
II. მწკრივი (დრო, კილო, გერობა, აქტი, თანამდევრობა)

წარმოქმნის კატეგორიები: { გვარი, ქცევა, კონტაქტი, ასპექტი, გეზი, ორიენტაცია, სიტუაცია

გრამატიკულ კატეგორიათა ა.შანიძისეული დაყოფა საფეხურებად ემყარება ზმნურ კატეგორიათა უღლებისა და წარმოქმნის ჯგუფებში მისეულ დახარისხებას. პირისა და რიცხვის კატეგორიები უღლების კატეგორიათა ჯგუფიდან ცალკე გამოიყო, რადგან მწკრივის შექმნაში არ მონაწილეობენ.

უღლების კატეგორიები: დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა მწკრივებს ქმნიან სხვადასხვა კომბინაციით ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის შეუცვლელად; წარმოქმნის კატეგორიები: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი, სიტუაცია მწკრივთა შექმნაში არ მონაწილეობენ, ოღონდ, ა.შანიძის აზრით, ისინი ზმნას უცვლიან ლექსიკურ მნიშვნელობას: „მოდიფიკაციას უშვრებიან ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას...“ (ა.შანიძე, 1973, 165).

ა.შანიძე პრინციპულ მნიშვნელობას აძლევს მწკრივთა გამეორებას უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიათა გასარჩევად: „წარმოქმნის ფორმა ზმნაში იმით განსხვავდება უღლების ფორმისაგან, რომ ის ზმნას ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას უცვლის და ახალს აძლევს. მაგრამ ეს ახალი ხშირად ისე ახლო დგას ძირეული ზმნის მნიშვნელობასთან, რომ ძნელია მისგან გამორჩევა. ამიტომ უნდა მონახულ იქნეს ისეთი ნიშანი, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნება უღლებისა და წარმოქმნის ფორმათა გარჩევა. ეს ნიშანია მწკრივის გამეორება (ხ.ჩ., თ.უ.)“ (ა.შანიძე, 1973,236).

გვარის მიხედვით დაპირისპირება: წერს ~ იწერება მწკრივიდან მწკრივში გადადის (დაწერს ~ დაიწერება, დაწე-

რა ~ დაიწერა და ა.შ.), ამიტომ გვარი წარმოქმნის კატეგორიაა ამ თეორიის მიხედვით. კარგად ჩანს, რომ საქმე გვაქვს ექსპლიციტურ ცდასთან, მოინახოს ზმნურ კატეგორიათა ორ ჯგუფად დაყოფის პრინციპი – ეს არის მწკრივის განმეორება.

ამ კლასიფიკაციით არ ჩანს, რატომ დარჩნენ უღლების კატეგორიებში პირი და რიცხვი. ისინი მწკრივის შექმნაში არ მონაწილეობენ, როგორც წარმოქმნის კატეგორიები, ამავე დროს „იმეორებენ მწკრივებს", ე.ი. მათი (პირთა) დაპირისპირება გადადის მწკრივიდან მწკრივში, რის გარეშეც შეუძლებელია ზმნის უღლება (ვაკეთებ ~ აკეთებ ~ აკეთებს; ვაკეთებდი ~ აკეთებდი ~ აკეთებდა და სხვ.). ასევე მწკრივთა მიხედვით მეორდება დაპირისპირება რიცხვის მიხედვით (ვაკეთებ ~ ვაკეთებთ, ვაკეთებდი ~ ვაკეთებდით და სხვა). ბოლოს მწკრივიდან მწკრივში გადადის დაპირისპირება სუბიექტური და ობიექტური წყობის ფორმებისა:

აწმყო: **ვწერ ~ მწერს**

უწყვეტელი: **ვწერდი ~ მწერდა**

მყოფადი: **ჩავწერ ~ ჩამწერს**

წარმოდგენილი შეპირისპირებით გამოდის, მწკრივებში გადაყოლის გამო პირთა წყობაც წარმოქმნად უნდა გამოცხადდეს და ა.შ. ა.შანიძე კი სრულიად სამართლიანად ზმნის პირისა და რიცხვის კატეგორიებს უღლებისად, ანუ გრამატიკულად მიიჩნევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „უღლებისა" და „წარმოქმნის" ა.შანიძისეული კატეგორიების გასარჩევად „მწკრივის განმეორება" ვერ გამოდგება თვით მისი სისტემის ფარგლებში.

უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიებად ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლასთან დაკავშირება რომ არაადეკვატურია, ეს ჩანს ა.შანიძის სხვა დებულებების მიხედვითაც, რომლებიც იმავე ნაშრომშია წარმოდგენილი, საიდანაც ციტირებულია ზემოთ მოყვანილი დებულებები „წარმოქმნის" სამტკიცებლად. „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლების" ბო-

ლოში ეკითხულობთ: „საწყისი ზიარი კატეგორიაა მოქმედებითისა და ვნებითისათვის, იგი ერთია ორივე გვარისათვის, ე.ი. თანაბრად განეკუთვნება ორივე გვარის პირიან ფორმებს“(ა.შანიძე, 1973, 559).

გვარი რომ წარმოქმნის კატეგორია იყოს, ე.ი. გვარის შეცვლა რომ ზმნის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლას იწვევდეს, ყოველად შეუძლებელი იქნებოდა ერთი საწყისი ჰქონოდათ გვარის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს. იგივე შეიძლება გავიმეოროთ სხვა კატეგორიების მიმართაც, რომლებიც წარმოქმნისად მიიჩნევიან გვარის გვერდით.

მწკრივთა მიხედვით ზმნური ფორმაცვალების ტიპების გამოყოფისათვის საჭიროა **ერთდროულად განისაზღვროს** გვარის, ქცევისა და კაუზაციის სახეები, არ კმარა მხოლოდ ერთ-ერთის განსაზღვრა, ასე მაგალითად, თუ დასახელებულია მხოლოდ მოქმედებითი გვარი ქცევისა და კაუზაციის კონკრეტულ სახეობათა გარეშე, ჯერ კიდევ დაუდგენელია ზმნის ფორმა; ასეთივე ვითარება იქმნება ცალკე ქცევისა და კაუზაციის რომელიმე სახეობის დასახელებისას.

ზმნის ფორმამ რომ კონკრეტული სახე მიიღოს, საჭიროა განისაზღვროს სამივე კონექტური კატეგორია (სიტუაცია ნეიტრალური ქცევის სახეობაა), კერძოდ, ამ კატეგორიათა კონკრეტული სახეობები მოცემულ ზმნაში, ზმნათა მოცემულ ტიპში; მაგალითად: მოქმედებითი გვარი, ნეიტრალური ქცევა, უშუალო კაუზაცია — ეს უკვე იძლევა კონკრეტულ ფორმებს, როგორიცაა: წერს, აშენებს, კვეთს და ა.შ. ამის შემდეგღა შეიძლება თითოეული მათგანის უღლება მწკრივთა მიხედვით. მხოლოდ გვარის ან ქცევის, ან კაუზაციის დასახელება არ კმარა, რადგან ერთ-ერთი მათგანის დასახელება ავტომატურად არ იძლევა დანარჩენებს, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა ზმნის კონკრეტული ფორმის გამოყოფა.

აუცილებელია მწკრივის გვერდით შემოვიღოთ პარადიგმის ფარგლებში კონექტურ კატეგორიათა ურთიერთობის გამომხატველი ტერმინიც, რომლითაც განისაზღვრება კონკრეტული პარადიგმის ფარგლებში საუღლებელი ზმნების ნე-

ბისმიერი კერძო ფორმა. ასეთ ტერმინად გამოდგებოდა სერი. ქართულ ენაში იგი გამოხატავს ისეთ ნიშანს, რომელიც სიმრავლეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან გამოარჩევს თითოეულს. კონკრეტული სიმრავლის ყველა წევრი გაერთიანებულია ამ ნიშნით და ამითვე უპირისპირდება სხვა სიმრავლეთა ფორმებს. ყოველ სიმრავლეს, მაშასადამე, თავისი სერი აქვს. საერთო სერის მქონე სიმრავლე გრამატიკაში უდრის პარადიგმას. კონექტური კატეგორიების დასახელებით, რომელთა ჩამოთვლა აუცილებელია, იქმნება ზმნის პარადიგმატული სერი. ასეთია, მაგალითად, მოქმედებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის ნეიტრალური ქცევა და სხვა.

კონექტურ კატეგორიათა ყველა სახეობის გათვალისწინებით შექმნილ პარადიგმას (მაგ. მოქმედებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის ნეიტრალური ქცევა) ვუწოდებთ მცირე პარადიგმას. სერში შემავალ ნიშანთა რაოდენობის შემცირება პარადიგმას უფრო დიდ მომცველობას მისცემს, რადგან სერი უფრო ზოგადი გახდება; მაგ., სერად თუ ავიღებთ მხოლოდ ვნებით გვარს, იგი გააერთიანებს ამა თუ იმ ზმნის ქცევისა და კაუზაციის იმ ფორმებს, რომლებიც ამ გვარს განეკუთვნებიან; ასევე სერად თუ ავიღებთ მეორად კაუზაციას, პარადიგმა მაშინ გააერთიანებს სხვადასხვა გვარისა და ქცევის მხოლოდ იმ ფორმებს, რომლებიც კაუზაციის ამ სახეობას განეკუთვნებიან და ა.შ. ამ ტიპის პარადიგმას ვუწოდებთ დიდ პარადიგმას.

პარადიგმის მესამე სახეობად გამოვყოფთ სრულ პარადიგმას, რომელიც მოიცავს ამა თუ იმ ზმნის გრამატიკულ ფორმას შეუზღუდავად გვარის, ქცევის ან კაუზაციის კონკრეტულ სახეობათა მიხედვით.

ამ პარადიგმატული მოდელების არსებობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ეძლევა ენის სისტემის აღწერაში: შეიძლება შემოწმდეს კატეგორიათა ამა თუ იმ კომბინაციის რეალურობა ტექსტთა მოცემულ კორპუსში, დადგინდეს სინთეტურ და ანალიტურ ფორმათა მიმართება სხვადასხვა დონის

პარადიგმის ფარგლებში რომელიმე კონკრეტული მწკრივის მიხედვით და ა.შ.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პარადიგმებში მხოლოდ ერთი ზმნის რამდენიმე ათეული ათასი ფორმაა გაერთიანებული, განსხვავებული პირის, რიცხვის, პირთა წყობის, მწკრივის; გვარის, ქცევის, კაუზაციის სახეობათა, გეზ-ორიენტაციის და სხვა კატეგორიათა მიხედვით, პარადიგმათა ასეთი ტიპების გამოყოფა მეტად სასარგებლო იქნება ენობრივი სისტემის სხვადასხვა ასპექტით სრული ანალიზის ჩასატარებლად და მის შესასწავლად.

შეიძლება მოვათაოთ მსჯელობა მწკრივთა და სერთა შესახებ, ოღონდ უნდა განვიხილოთ მწკრივი და სერი კატეგორიულობის თვალსაზრისით — ისინი გრამატიკული კატეგორიებია თუ ტექნიკური ტერმინები?

ა.შანიძემ მწკრივი ზეკატეგორიად გამოაცხადა იმის გამო, რომ მასში გაერთიანებულია არანაკლებ ორი კატეგორიისა. მწკრივის გრამატიკულ კატეგორიად გამოცხადების მიზეზი, რა თქმა უნდა, სპეციფიკური ფორმა იყო, რომლითაც მწკრივები ერთიმეორისგან განსხვავდებოდნენ. მწკრივი უთუოდ გრამატიკულ კატეგორიად უნდა იქნეს მიჩნეული. ამას განაპირობებს ფორმალური დაპირისპირება მწკრივებს შორის, რაც შეპირობებულია განსხვავებული გრამატიკული მნიშვნელობებით. სპეციფიკური ფორმა მწკრივს წარმოგვიდგენს არა მასში შემავალ კატეგორიათა უბრალო ჯამად, არამედ დამოუკიდებელ კატეგორიად (ყოველგვარი ზე- ხარისხის გარეშე).

ავიღოთ თანამედროვე ქართულის ფორმები ი-წყ-ებ-ს და ი-წყ-ებ-ა — ორივე აწმყოა მწკრივის მიხედვით, მაგრამ S_3 ერთ შემთხვევაში -ს სუფიქსით არის გამოხატული (აქტივში), მეორე შემთხვევაში კი -ა სუფიქსით (პასივში); ამ -ს და -ა სუფიქსთა მიხედვით ხდება ი- პრეფიქსის კვალიფიკაცია: თუ -ს სუფიქსს ებმის ი- პრეფიქსი, ფორმა აქტივისაა, თუ -ა სუფიქსს — ფორმა პასივისაა. სწორედ ეს კომბინაციები -ებ სუფიქსთან (რომელიც აწმყოს ფუძის შემცველ მწკრივებშიც გვაქვს: ნამყო უწყვეტელში, მომავალში) იძლე-

ეა აწმყოს მწკრივის სპეციფიკურ ფორმებს. ფორმათა შედგენა მწკრივის მოთხოვნით ხდება. იგივე ფორმა ამ შინაარსით სხვა მწკრივებში არ განმეორდება, Mutatis mutandis სხვა მწკრივთა მიმართ.

სერი განსაზღვრავს მწკრივში ან მწკრივთა მიხედვით საუღლებელ ფორმას კონექტური კატეგორიების მიხედვით. იგი ტექნიკური ტერმინია, მიუთითებს განსხვავებული მომცველობისა და განსხვავებული დანიშნულების პარადიგმაზე მწკრივთა ფარგლებში. საჭიროების მიხედვით ერთი მწკრივის პარადიგმის აგებაც შეიძლება სერის ზემოთ წარმოდგენილი მასშტაბებით (ვთქვათ: გვარის ან ქცევის, ან კაუზაციის ცალკეულ სახეობათა მიხედვით; ქცევის ყველა სახეობის მიხედვით ერთი სახეობის გვარის ფარგლებში; კაუზაციური ფორმების მიხედვით გვარის ამა თუ იმ კონკრეტული სახეობის ფარგლებში და სხვ. და სხვ.).

მწკრივთა რაოდენობის შესახებ II სერიაში და გრამატიკულ ფორმათა რაოდენობისა და ფორმალურ-სემანტიკური ურთიერთობის შესახებ მწკრივის ფარგლებში

ბოლო დროის სამეცნიერო ლიტერატურაში II სერიიდან ამოიღეს ბრძანებითის მწკრივი, ძველი ქართულის II ბრძანებითის თანამედროვე ფორმა (ა.შანიძე, არნ.ჩიქობავა...). მიზეზად დასახელებულ იქნა მწკრივის საკუთარი ფორმის უქონლობა, მაგრამ გამოკვლევების (მაგალითად, ა.შანიძე, თანამედროვე ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I) მიხედვით გარკვეული წინააღმდეგობა ჩნდება, კერძოდ: ქართული ენის კილოს კატეგორიაში ერთ-ერთ კერძო სახედ დასახელებულია ბრძანებითი კილო (წართქმითი და უკუთქმითი), მწკრივებიდან კი არც ერთი არ შეიცავს ამ კილოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ზმნათა უღლების პარადიგმაში არა გვაქვს არც ერთი ფორმა, რომელსაც ბრძანებითი კილო ექნება. ამ ვითარებიდან ამოსვლით a priori შეიძლება ასეთი

ალტერნატიული დასკვნები გამოვიტანოთ: ქართულში ან ბრძანებითი კილო არ არსებობს, ან დაკლებულია ის მწკრივი, რომელსაც ეს კილო აქვს.

რადგან ბრძანებითი კილოს უარყოფა ქართულ ენაში შეუძლებელია, უნდა აღვადგინოთ (resp. მოვძებნოთ) ამ კილოს შემცველი მწკრივის გრამატიკული ფორმები. გრამატიკული ფორმები კი უნდა განხილულ იქნენ პარადიგმის ტერმინებში.

გრამატიკული ფორმა ქართულში საკუთარ გრამატიკულ შინაარსს ატარებს და აქვს ამ შინაარსის გამომხატველი სპეციფიკური ფორმა. გრამატიკული ფორმა ჩვეულებრივ წარმოდგენილია ერთი სიტყვის ფარგლებში; არის ისეთი შემთხვევებიც, როცა გრამატიკული ფორმა სცილდება სიტყვის ფარგლებს შინაარსის ან ფორმის მხრივ.

გრამატიკულ ფორმათა შინაარსს ქმნიან გრამატიკული კატეგორიები, რომელთაც უმეტეს წილად აქვთ თავიანთი მარკერები: სახელებში — ბრუნვათა და რიცხვის ნიშნები, ზმნებში — ზმნურ კატეგორიათა (პირის, დროის, გვარის და სხვ.) ნიშნები.

ქართულში შესაძლებელია ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია წარმოდგენილი იყოს სპეციფიკური მარკერის გარეშე, რაც არ ნიშნავს იმას, რომ გრამატიკულ შინაარსს აღარ ექნება თავისი სპეციფიკური ფორმა, ასე მაგალითად, „უნიშნო ვნებითის“ არც ერთი კომპონენტი პასივის მარკერად არ არის მიჩნეული (სახელადაც ამიტომ უწოდეს „უნიშნო ვნებითი“), მაგრამ ამ ტიპის ზმნათა კომპონენტების ერთობლიობაა სპეციფიკური; ასევე აქტიურ ზმნათა პირველადი ფორმებიც არამარკირებულია გვარის მიხედვით. ამ შემთხვევაშიც ფორმათა სპეციფიკურობა გამოდის კატეგორიის მარკერის როლში.

გრამატიკული ფორმები თავის სტატუსს იღებენ პარადიგმის ფარგლებში. პარადიგმაში შემავალი თითოეული ფორმა უთუოდ განსხვავდება დანარჩენი წევრებისგან გრამატიკული შინაარსით; რამდენადაც ეს ფორმები წარმოადგენენ ერთი პარადიგმის წევრებს, მათ ასევე აუცილებლად ევარაუ-

დება საზიარო გრამატიკული კომპონენტი, რომელიც კრავს პარადიგმას, აწესებს მკაცრ საზღვრებს სხვადასხვა რიგის ფორმათა შორის. ჩვენ მას ზემოთ ვუწოდეთ პარადიგმატული სერი.

ახლა დავუბრუნდეთ ბრძანებითის მწკრივს II სერიაში. ჯერ კონკრეტულად იმ მიზეზების შესახებ, რის გამოც ბრძანებითის მწკრივი ამოიღეს უღლების სისტემიდან: ბრძანების გამომხატველი ფორმები ან წყვეტილს ემთხვევა (მეორე პირის ორსავე რიცხვში), ან კავშირებით მეორეს (I პირის მრავლობით და მესამე პირის ორსავე რიცხვში), არა აქვს I პირი მხოლობით რიცხვში.

— არის თუ არა საკმარისი გამოხატულების პლანის ფორმალური დამთხვევა იმისთვის, რომ განსხვავებული კატეგორიების შემცველი გრამატიკული ფორმებიდან რომელიმე ამოვაგდოთ სისტემიდან?

გამოხატულების პლანის ფორმათა ფიზიკური დამთხვევები ხშირი იყო ძველ ქართულში და არც დღეს არის იშვიათი, მაგალითად: ძვ. ქართულის -ოდ სავრცობიანი პასივების I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები ემთხვეოდა სამსავე პირსა და ორსავე რიცხვში; პირთა კომბინაციების განხილვის დროს ა.შანიძე სპეციალურად მსჯელობს ფორმათა დამთხვევის შესახებ ერთი მწკრივის ფარგლებში დღეს (ა.შანიძე, 1973, 229).

ერთი და იგივე ფორმა გაქებთ შეიძლება დღეს ოთხჯერ განმეორდეს ერთი მწკრივის ფარგლებში,

მაგალითად:

I	მე თქვენ	($S_1O_2^P$)	გ-ა-ქ-ებ-თ
II	ის თქვენ	($S_3O_2^P$)	გ-ა-ქ-ებ-თ
III	ჩვენ შენ	($S_1^PO_2$)	გ-ა-ქ-ებ-თ
IV	ჩვენ თქვენ	($S_1^PO_2^P$)	გ-ა-ქ-ებ-თ

არც ერთი მორფემა არც აკლდება, არც ემატება, მორფემათა განაწილებაც უცვლელია, თუმცა გრამატიკული მნიშ-

ვნელობა პირთა ან მათი რიცხვის მიხედვით თითოეულ ფორმას თავისი აქვს და არ ემთხვევა დანარჩენ სამს. ასეთ შემთხვევაში ლაპარაკობენ ფორმათა დამთხვევაზე.

გრამატიკულ ფორმათა დამთხვევა პრინციპულად გამორიცხულია პარადიგმატული კანონებით, ამიტომ დავაზუსტოთ ჩვენი გამოთქმა: დამთხვევა ხდება გამოხატულების პლანის ბგერობრივი სახეებისა (რაც, ბუნებრივია, წერილობითაც დამთხვეულია ქართულში).

გრამატიკულ ფორმებს თუ მივუბრუნდებით, განსხვავებას მათ შორის უთუოდ ვნახავთ, კერძოდ, I და II შემთხვევებში -თ სუფიქსი გამოხატავს ობიექტური პირის სიმრავლეს, II და IV შემთხვევებში კი — სუბიექტური პირის სიმრავლეს. ამიტომ ამ ორი ჯგუფის გრამატიკულ ფორმათა დამთხვევაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

რაც შეეხება ჯგუფთა შიგნით სხვაობას: I და II გრამატიკულ ფორმებს შორის (I ჯგუფი) განსხვავება გვაქვს როგორც მორფემულ დონეზე, ისე დისტრიბუციულად. რიგით მეორე ფორმა გაქებთ ($S_3O_2^P$) გადაიწერება ასე — გ-ა-ქ-ებ-Ø-თ, სადაც /-Ø/ არის S_3-ის {-ს} სუფიქსის ალომორფი ინტერკონსონანტურ პოზიციაში (ბ — თ), რომელიც მიუღებელია /ს/ ფონემისთვის. დიალექტებში შევხვდებით გაქებსთ ფორმასაც, სადაც -თ სუფიქსის გაჩენის შემდეგ (ძვ. ქართულს არა ჰქონდა, გაჩნდა საშუალ ქართულში) ჯერ კიდევ არ მომხდარა მორფონოლოგიური ცვლილება. მაშასადამე, II ფორმაში -თ (O_2^P) დგას S_3-ის შემდეგ, რაც დანარჩენ სამ ფორმაში არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს, რადგან მათ S_3 პირი საერთოდ არა აქვთ.

მეორე ჯგუფის III და IV შემთხვევებში -თ ეკუთვნის S_1^P-ს. ისტორიულად იგი მუდამ გამოიხატებოდა და არასოდეს დაკარგულა პოზიციურად. ამ საფუძველზე მეოთხე ფორმაში O_2^P ნულის სახით არის წარმოდგენილი S_1^P-ს -თ სუფიქსის წინ, ფორმა გადაიწერება ასე: გ-ა-ქ-ებ-Ø-თ. რადგან O_2^P პირველ და მეორე შემთხვევებში -თ სუფიქსით არის გამოხატული, ნულოვანი ალომორფი IV შემთხვევაში აქ პოზიციურად არის შეპირობებული. ეს ნული მესამე ფორმაში

არ ივარაუდება, რადგან აქ ობიექტი მხოლობით რიცხვშია. რაც შეეხება O_2^p-ს ნულოვანი ალომორფის ადგილს მეოთხე ფორმაში, იგი ემყარება იმ წესს, რომლის მიხედვითაც ობიექტის სიმრავლის ნიშანი წინ უსწრებს სუბიექტის სიმრავლისას (ასე იყო ძვ. ქართულში და ასეა დღევანდელ ზოგ დიალექტში: შევაქ-ენ-თ // შევაქ-ენ-ი-თ...).

წარმოდგენილი მსჯელობის მიხედვით ნათელი ხდება, რომ ორპირიან და და სამპირიან ზმნებს ექნებათ 28 გრამატიკული ფორმა მწკრივის ფარგლებში (36-8=28). გრამატიკულ ანალიზში „ფიზიკური" დამთხვევა მხედველობაში არ მიიღება, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჩვენ ე.წ. „დამთხვეულ ფორმებს" საჭიროების მიხედვით წარმოვქმნით ცალ-ცალკეც და ერთიმეორის გვერდითაც (მაგალითად: „გაქებთ მე, გაქებთ ის, გაქებთ ყველანი..."). სინტაქსურად ყველაფერი ნათელი ხდება ტექსტში. მორფემები ხომ სწორედ სინტაგმატურ ურთიერთობათა განმახორციელებელი ელემენტებია ენისა. ისინი თავიანთ ფუნქციას ასრულებენ აქტანტებთან მიმართებით და როგორც მოლაპარაკე, ისე მსმენელი ადეკვატურად არჩევს გრამატიკულ ფორმებს.

რადგან უარვყავით გრამატიკულ ფორმათა დამთხვევა პარადიგმის შიგნით, ეს იმას ნიშნავს, რომ, ბგერობრივი დამთხვევის მიუხედავად, წყვეტილისა და კავშირებითი II მწკრივთა ფორმები ვერ შეცვლიან ბრძანებითი მწკრივის ფორმებს: ამ უკანასკნელთ სერში აქვთ ბრძანებითი კილო, რომელიც არ შეიძლება ჰქონდეს წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმებს. ბუნებრივია, რომ განსხვავებულ გრამატიკულ ფორმებს შორის სხვაობა თავს იჩენს სინტაქსურ ურთიერთობებში, ასე მაგალითად: თუ წინადადებაში არის **რომ, როცა**... კავშირები, მათთან დაკავშირებული ბრძანებითისა და კავშირებითის „დამთხვეული ფორმები" გრამატიკულად მხოლოდ კავშირებითი კილოს ფორმებია, მაშასადამე, განეკუთვნებიან II კავშირებითის მწკრივს (რომ გააკეთოს, როცა გააკეთონ... რომ არ გააკეთოს, რომ არ გააკეთონ და სხვა); რომ, როცა კავშირების გარეშე (შეიძლება კიდევ რომელიმე სხვა კავშირის გარეშე, მაგ., თუ კავშირის გარეშე) ეს

ფორმები ეკუთვნის ბრძანებითის მწკრივს: გააკეთოს, გააკეთონ... არ გააკეთოს, არ გააკეთონ და სხვა. მაშასადამე, ბრძანებითი, როგორც ცალკე მწკრივი, უნდა აღდგეს II სერიაში და შემუშავდეს ის მექანიზმი, რომელიც გამოარჩევს მის ფორმებს წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმებისგან. სრულ პარადიგმატულ სისტემაში ბრძანებითისა და მასთან დამთხვეული წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმები სრულიად განსხვავებულ კონვერსიულ ფორმებს იძლევიან, რაც დადასტურებაა მათი ფორმალურ-გრამატიკული განსხვავებულობისა (იხ. ქვემოთ).

ბრძანებითის მწკრივი იმითაცაა თავისებური, სხვებისგან განსხვავებული, რომ მის პარადიგმაში, რომელსაც თავისი სერი აქვს, გაერთიანებულია სხვადასხვა მწკრივებთან ბუნებრივად დამთხვეული ფორმები, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს დებულებას, რომ ესა თუ ის გრამატიკული ფორმა თავის სტატუსს კონკრეტული პარადიგმის ფარგლებში იღებს და გადამწყვეტი არ არის მისი გამოხატულების პლანი: პარადიგმას შეუძლია მარკერის გაუქმებაც, მისთვის ფუნქციის შეცვლაც (სხვა პარადიგმასთან მიმართებით) და ბოლოს სპეციფიკური ფორმების შექმნა, სადაც კატეგორიალურ მარკერთა როლში ენობრივ ელემენტთა თავისებური დისტრიბუცია გვეელინება... ამ თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა აქტივთა III სერიის ფორმები, სადაც I და II სერიის გრამატიკული ელემენტები სერიოზულ პარადიგმატულ ცვლილებებს განიცდიან.

ჯერ განვიხილოთ ზმნურ პირთა ინვერსია, როგორც გრამატიკული მოვლენა, შემდეგ კი – III სერიის ფორმები პარადიგმატულ იერარქიაში.

ინვერსია

ქართული ზმნის უღლების სისტემის სრული ანალიზი შეუძლებელია პირთა ინვერსიის სათანადო კვალიფიკაციის გარეშე. ვრცელ მსჯელობას არ გავმართავთ ამ მოვლენის

შესწავლის ისტორიაზე, შეეხებით მხოლოდ ძირითად დებულებებს, რომლებიც წამოყენებული იყო საკითხის განხილვისას სამეცნიერო ლიტერატურაში: (1) ინვერსია ვარაუდობს ზმნის სუბიექტის გამოხატვას ობიექტის ნიშნით და, პირიქით, ობიექტისას – სუბიექტის ნიშნით. (2) სუბიექტად და ობიექტად გაგება პირებისა ემყარება ქართული ენობრივი კოლექტივის ინტუიციას: **მაქვს, მყავს... მიყვარს, მძულს... მიმაქვს, მიმყავს...** ფორმებში ქართულად მოლაპარაკენი მოქმედად მიიჩნევენ ობიექტური პირის ნიშნით გამოხატულ პირს; ასევე **ვაშენებ, ვაკეთებ... ვაშენე, ვაკეთე...** ფორმების გვერდით, სადაც ვ- პრეფიქსი „მოქმედ პირს“ გამოხატავს, **ამიშენებია, გამიკეთებია** ფორმებში ამავე პირს ობიექტის ნიშანი გამოხატავს... (3) ინვერსია ახასიათებს ორპირიან მედიოპასივებს ყოველთვის და აქტივებსა და მედიოაქტივებს მხოლოდ III სერიის მწკრივებში.

იმის მიხედვით, ზმნური აქტანტი მოქმედებს თუ არ მოქმედებს, ქართულში გამოყოფილია ერთი სუბიექტური პირი (მოქმედების ჩამდენი) და ორი ობიექტური პირი (პაციენსი და ბენეფაქტივი/მალეფაქტივი), შესაბამისად ამისა, გამოყოფილია სათანადო ზმნური აფიქსები სამსავე პირში და ორსავე რიცხვში, რომელთაც ეწოდება პირის ნიშნები – სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნები.

რამდენადაც გრამატიკულ ლიტერატურაში სრული ერთგვარობა არა გვაქვს სუბიექტის მოქმედად, ხოლო ობიექტის სამოქმედოდ გაგებაში, საჭიროა ამ ცნებათა მკაფიოდ ჩამოყალიბება, რათა გასაგები იყოს ჩვენი შემდგომი მსჯელობა პირთა ინვერსიასთან დაკავშირებით.

ა.შანიძის განმარტებით, „ის პირი, რომელიც ზმნის ფორმაში მოქმედების ჩამდენად არის წარმოდგენილი, სუბიექტურია, ხოლო ის პირი, რომელიც ფორმაში გამოხატულია, მაგრამ მოქმედად არ არის გამოყვანილი, ობიექტურია“ (ა.შანიძე, 1973, § 208). ეს განმარტება ვერ გამოდგება „შუალობითი კონტაქტის“ ფორმებისთვის, სადაც „რეალურად მოქმედებს არა ერთი პირი, არამედ ორი: პირი, რომელიც ხელმძღვანელობს მოქმედებას, და პირი, რომელიც

უშუალოდ მოქმედებს და პირადად ასრულებს ხელმძღვანელის დავალებას“ (იქვე, §421). „შუალობითი კონტაქტის“ ფორმებში, პირთა ადრე წარმოდგენილი განმარტებით, ძნელი გასარჩევია, რომელია სუბიექტური პირი „რეალურად მოქმედი ორი პირიდან“. თუ სუბიექტურ პირად მივიჩნევთ „მოქმედების ჩამდენს“, მაშინ „ააშენებინა მან მას ის“ წინადადებაში „შენება“ ქმედების ჩამდენია „მას“ პირი, მაშასადამე, ზემოთ წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, ეს პირი უნდა მიგვეჩნია სუბიექტად, ზმნის ფორმაში კი „მას“ პირი გრამატიკულ ირიბ ობიექტადაა მიჩნეული, სუბიექტად კი წარმოდგენილია „ის“ პირი, რომელიც მოქმედების ჩადენას ხელმძღვანელობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტური და ობიექტური პირების განსაზღვრისას თავიდანვე უნდა იყოს გათვალისწინებული ისეთი ფორმებიც, რომლებიც პირველად წარმოდგენილ წესს არ მიჰყვებიან.

ავიღოთ კიდევ ასეთი წინადადება: „მეფე სტუმარს ანადირებს, გაახარებს გულით“. ქმედების ჩამდენი წარმოდგენილ ზმნებში უთუოდ სტუმარია ქართული ენობრივი ინტუიციით (სტუმარი ნადირობს, სტუმარი ხარობს), მაგრამ გრამატიკულად სუბიექტად გამოხატულია მეფე (მეფე ანადირებ-ს, გაახარებ-ს). აქ წარმოდგენილი იყო კაუზაციის პირველადი ფორმები.

თუ ზემოთ განხილულ შემთხვევებს სრულად გავითვალისწინებთ, სუბიექტურია ის პირი, რომელსაც ზმნით გამოხატული ქმედება მიეწერება ან როგორც უშუალოდ მოქმედს, ან როგორც ქმედების ორგანიზატორს, როცა შემსრულებელი ობიექტური პირია. მეორე შემთხვევაში ჩვენ არც კი ვიცით, თვით ორგანიზატორი რა მოქმედებას ეწევა (ის აწუხებს მას — ზმნით გამოხატული ქმედება „წუხილი“ არის „მას“ პირის ქმედება. არ ვიცით, „ის“ პირი როგორ აღწევს ამას, ვთქვათ, „ის“ პირს უყვარს და სწორედ ეს აწუხებს „მას“ პირს თუ, პირიქით, „ის“ პირს არ უყვარს და სწორედ ეს აწუხებს მასზე შეყვარებულ „მას“ პირს და სხვა და სხვა).

სუბიექტურ და ობიექტურ პირთა ბოლო განსაზღვრა იმით არის ალეკეატური ენობრივი ვითარებისა, რომ სუბიექტისა და ობიექტის ნიშნებად გამოყოფილი აფიქსები ცალსახად ნაწილდება სუბიექტურ და ობიექტურ პირებს შორის. განვიხილოთ სხვა შემთხვევები:

აწუხებინებ-ს (ის მას მას) — S პირი მოქმედების ორგანიზატორია.

აშენებინებ-ს (ის მას მას) — S პირი მოქმედების ორგანიზატორია აქაც.

ამ ორ ზმნას შორის მაინც გვაქვს განსხვავება პირთა მოქმედებაში ჩართვის თვალსაზრისით: **აწუხებინებს** ფორმაში ირიბი ობიექტი არ ასრულებს ზმნით გამოხატულ ქმედებას — „წუხილს"; ირიბი ობიექტი სუბიექტის ინიციატივის გამტარებელია, მოქმედება კი სრულდება პირდაპირი ობიექტის მიერ: „აწუხებინებს ის თამარს მეზობელს", შდრ. „შეაწუხებინა მან თამარს მეზობელი" — ორსავე შემთხვევაში „წუხილი" პირდაპირი ობიექტის — „მეზობლის" — მიერ ხდება. ზმნის მიხედვით არც კი ჩანს, სუბიექტი და ირიბი ობიექტი — ორგანიზატორი და ორგანიზატორის ინიციატივის გამტარებელი პირი — მედიატორი რა ქმედებას ეწევიან, რომ პირდაპირი ობიექტი შეწუხდეს; **აშენებინებ-ს** (ის მას მას; შდრ. აშენებინა მან მას ის) ფორმაში **ირიბი ობიექტია „შენება" ქმედების ჩამდენი**, პირდაპირი ობიექტი კი სამოქმედო აქტანტია.

წარმოდგენილი მაგალითების მიხედვით ჩანს, რომ „მოქმედების ჩამდენი" სუბიექტის განსასაზღვრად ვერ გამოდგება ყველა შემთხვევისთვის, სადაც სუბიექტური პირია ზმნაში წარმოდგენილი, რადგან „მოქმედების ჩამდენი" შეიძლება სუბიექტიც იყოს და, არც თუ იშვიათად, პირდაპირი ან ირიბი ობიექტი. ამიტომ სჯობს სუბიექტი განიმარტოს მოქმედების ორგანიზაციის გათვალისწინებით: უშუალო კაუზაციის ფორმებში სუბიექტი იქნება მოქმედების ჩამდენიცა და ბუნებრივი ინიციატორიც, რადგან ზმნის ფორმით არ ჩანს, რომ სუბიექტს ვინმე აიძულებდა მოქმედების ჩადენას; თუ მოქმედებაში წარმოდგენილია ორგანიზატორი (შუალობითი კაუზაციის

ფორმა). სუბიექტური პირი სწორედ ეს ორგანიზატორია; თუ მოქმედებას ჰყავს ორგანიზატორი და მისი ინიციატივის გამტარებელი, მაშინაც სუბიექტი ორგანიზატორი იქნება.

წარმოდგენილი მსჯელობის კვალობაზე პირთა ინვერსია გვექნება იმ შემთხვევაში, როცა ქმედების ინიციატორი გამოხატული იქნება ობიექტის და არა სუბიექტის ნიშნით და, პირიქით, პაციენსი გამოიხატება სუბიექტის ნიშნით. ამ თვალსაზრისით განვიხილოთ მიუვარს, მაქვს ტიპის მედიოპასიუები და დამიწერია, ამიშენებია ტიპის აქტივები, რომელთაც მიიჩნევენ ინვერსიულ ზმნებად.

ზმნით გამოხატული ქმედებისა და უბნობის მომენტთა მარტივი მიმართების (ისინი ემთხვევიან ერთიმეორეს ან ერთი უსწრებს მეორეს) გვერდით ენაში არსებობს შედარებით რთული მიმართებაც, როდესაც ზმნის ფორმით მითითება ხდება იმაზე, რომ წარმოდგენილი ქმედება დამოკიდებულია რაღაც სხვა, ზმნის გარეშე არსებულ, მოვლენაზე (ან ქმედებაზე). ქართულ ენაში ეს სხვა რეალიზებულია ობიექტით — ეს არის წინა მოვლენის დამადასტურებელი აქტანტი, კერძოდ: უყვარს, სძულს... ჰყავს, აქვს ტიპის ზმნებში (გრძნობათა და მქონებლობის ზმნები), რომელთაც ე.ბენვენისტმა „ლექსიკური პერფექტები“ უწოდა, ქმედებისა და უბნობის მომენტთა შეფარდების გარდა, არსებითია რაღაც ან ვიღაც, რომლის არსებობაც ზმნით გამოხატულ მოქმედებამდე იყარაუდება, უფრო ზუსტად: ის ხდება მიზეზი მოცემული ზმნით გამოხატული ქმედების წარმოქმნისა. აქ იქმნება აქტანტთა თავისებური ურთიერთობა: ის აქტანტი, რომლის გარეშეც გრძნობასა და ქონებაზე ლაპარაკი შეუძლებელია, ვის გამოც წარმოიქმნება გრძნობის ან ქონების გამომხატველი ქმედება, ზმნით გამოხატული ქმედების ინიციატორად გვევლინება და, მაშასადამე, სუბიექტის ნიშანიც მას ექნება; იმავე ზმნაში წარმოდგენილი სხვა პირი კი, ბუნებრივია, მიესადაგება ობიექტს. მიუვარს ზმნა აქტანტთა ურთიერთმიმართების არსით უთანაბრდება მაწუხებს, მახარებს ტიპის ზმნებს. ავიღოთ ასეთი წინადადება:

„მისი მდგომარეობა მე მაწუხებს, ერთი მხრით, მაგრამ, მეორე მხრით, მახარებს კიდეც“. ენის თვალსაზრისით სრულიად ნათელია, რომ ყოფილა რაღაც, რაც იწვევს „მე“ პირის „შეწუხებასაც“ და „გახარებასაც“. ე.ბენვენისტის კვალობაზე ლექსიკურ პერფექტებს ქართულში შეიძლება ვუწოდოთ ლექსიკური კაუზატივები, ასეთებია: მიყვარს, მძულს, მაქვს, მყავს და სხვა. კაუზაცია აქ იმ მხრივ არის, რომ სახელობითში დასმული აქტანტი მიზეზია ზმნით გამოხატული მოქმედებისა.

მიყვარს ტიპის ზმნებმა გარკვეული ცვლილება განიცადეს გრამატიკულად ძველი ქართულიდან დღემდე: თუ ძველ ქართულში ამ ზმნის ობიექტს, როგორც მიცემით ბრუნვაში დაყენებულ აქტანტს, არ შეეძლო ზმნის რიცხვში შეთანხმება, ახალ ქართულში ჩვეულებრივია მათ Ø-უყვარ-თ წარმოება. ამ შემთხვევაში, განსხვავებით ძველი ქართულისგან, სადაც მხოლოდ სუბიექტის სიმრავლე აღინიშნებოდა (მიყუარან, გიყუარ-ან) აქტივობას იჩენს ობიექტი და მოქმედების ჩამდენად გახდომას ლამობს, მაგრამ ზემოთ უკვე ვთქვით, **რომ სუბიექტისთვის აუცილებელი არ არის მოქმედების ჩამდენად ყოფნა, არსებითია ინიციატივის ქონა ქმედებაში; ქართული ენის ბუნებით კი ქმედების ორგანიზაცია მიეკუთვნება იმ პირს, რომელიც თავისი არსებობით მიზეზი ხდება ამ ქმედებისა.** ეს გააზრება ამ ზმნებს დღესაც არ დაუკარგავთ, მიუხედავად ობიექტის გააქტიურებისა.

რაც შეეხება გრამატიკულ ცვლილებებს (ობიექტის რიცხვის გამოხატვა, სუბიექტის რიცხვის გამოხატვის უგულებელყოფა), ეს განსახილველია უღლების მთლიან სისტემაში, სადაც ანალოგიური ცვლილება ხდება დინამიკურ პასივებშიც (მათ გული გრძნობით ევსებათ, ეწვებათ და სხვა). ამ თვისების მიხედვით არც ის ჩანს შემთხვევითი, რომ ორპირიანი მედიოპასივები ფორმებს ორპირიან ე'ნიან პასივთაგან სესხულობენ (უყვარს ~ ეყვარება; სძულს ~ ეძულება...). აქ სხვა რიგის ცვლილებებიც ხდება, მაგრამ ამჯერად ჩვენ ინვერსიის საკითხებს ვარჩევთ მხოლოდ.

ისიც უნდა ითქვას უთუოდ, რომ ორპირიან მედიოპასივებს, მსგავსად პირველადი კაუზატივებისა, შეუძლიათ კაუზატიურ ფორმათა წარმოება: უყვარს — აყვარებს, სძულს — აძულებს, ჰყავს — აყოლებს (შდრ. აწუხებს — აწუხებინებს). ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორადი კაუზაციის (შუალობითი კონტაქტის) წარმოების აყვარებს ტიპი უძველესი ჩანს (შდრ. ძველი ქართულის ატყუებს (მრ.7,37), ხანმეტურად — ხატყუებს „ალაპარაკებს“).

ვფიქრობთ, აქტივთა მესამე სერიის ფორმათა პერფექტული ბუნების გამო, რაც კარგად ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურიდან, ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს სახელობით ბრუნვაში დასმული აქტანტის სუბიექტის ნიშნით გამოხატვა: **ზმნა იგება სახელობითში დასმული აქტანტის არსებობის ფაქტზე დამყარებით** — „ამიშენებია მე ის“ — აქ ზმნის ფორმა ემყარება „ის“ პირის არსებობას; თურმეობითობაც ხომ იმაზე მიუთითებს, რომ ზმნა იწყება რეალურად არსებული აქტანტიდან, რომელიც ორიენტირია ზმნით გადმოცემული მოქმედებისთვის და ამდენად ინიციატორიც ამ ქმედებისა.

ინვერსიასთან დაკავშირებით განსახილველია სხვა საკითხებიც: (1) რატომ არა აქვთ აქტივებს III სერიაში სამპირიანი ფორმები (I და II სერიის ფორმების ირიბი ობიექტი იმავე პარდიგმის III სერიაში პირმიუმართავ აქტანტად მოიქცევა); (2) რას წარმოადგენს I და II სერიების პირდაპირი ობიექტი III სერიაში; (3) ქცევა აქტივთა ინვერსიულ ფორმებში რიგ „შეუსაბამობას“ გვიჩვენებს: (ა) აქვთ ქცევის ნიშნები ამ ფორმებს, მაგრამ ვერ გამოხატავენ კუთვნილებით მიმართებას, (ბ) III სერიაში გამოყოფენ ორპირიან პასივს სასხვისო ქცევით, მაგრამ გვერდით არ ჩანს კონვერსიული სამპირიანი აქტივი ამავე ქცევით, რაც გვარის კატეგორიას აუქმებს და, მაშასადამე, არც ორპირიან პასივზე შეიძლება ლაპარაკი...

ინვერსიის გაგებაში, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, აქტივთა III სერიის ფორმათა კვალიფიკაციისას თითქმის სრული თანხმობაა. განსხვავებაა ორპირიან მედიოპასივ-

თა ინვერსიულ გაგებაში: არნ.ჩიქობავამ, მიიჩნია რა ისინი ინვერსიულად, ამ ტიპის ზმნებისთვის შემოიტანა რეალური სუბიექტისა (RS) და რეალური ობიექტის (RO) ცნებები, რითაც მიუთითებდა გრამატიკულ პირთა ინვერსიაზე ქართული ენობრივი ინტუიციის აუხსნელად. ა.შანიძემ RS და RO არ მიიღო, როგორც არაგრამატიკული ცნებები და მიუვარს, მაქვს ტიპის ზმნები ობიექტური წყობისად გამოაცხადა, სადაც სუბიექტს გამოხატავს სუბიექტის ნიშანი, ხოლო ობიექტს – ობიექტის ნიშანი. მან გამონაკლისი მაინც დაუშვა: მომაქვს და მომყავს ფორმები ქართულ ენობრივ ინტუიციაზე დამყარებით ინვერსიულად აღიარა.

იღებენ რა ა.შანიძის თვალსაზრისს, რომლის მიხედვით აქტივთა III სერიაში ირიბი ობიექტია სუბიექტის გვერდით და არა პირდაპირი ობიექტი, ნაწილობრივ განსხვავებულად განმარტავენ აქტივთა III სერიაში ინვერსიას ალ.ონიანი და მ.მაჭავარიანი.

ალ.ონიანი III სერიის ფორმებს მიიჩნევს არამოქმედებითად და არავნებითად. არამოქმედებითად იმის გამო, რომ პირდაპირი ობიექტი არა აქვთ, არავნებითად იმ მიზეზით, რომ მათი ვნებითად მიჩნევა შეუძლებელია, თუ კონვერსიულ აქტივს ვერ დაეუყენებთ გვერდით. აღნიშნულ დებულებათა საფუძველზე ალ.ონიანი აქტივთა III სერიის ფორმებს მიიჩნევს „მაქვს“ ტიპის ფორმებად. ერთიცა და მეორეც ჩათვლილია მიცემითკონსტრუქციიან ზმნებად (ალ.ონიანი, 1978, 19-56). მ.მაჭავარიანი სუბიექტისა და ირიბი ობიექტის რანგების შეცვლას ხსნის მან-ის რიგის აქტუალიზებითა და, შესაბამისად ამისა, ვინ-ის რიგის ნეიტრალიზებით, რაც ემყარება ამ განსხვაცებულ პირთა განსაზღვრულ ოპოზიციებს, კერძოდ, აქტივთა III სერიაში ინვერსია ემყარება აგენტური მოქმედებისა და შედეგობითი, არააქტუალური, უნახავი აქტის ოპოზიციას (მ.მაჭავარიანი, 1987, 81-85).

უპირველეს ყოვლისა, დავსვათ კითხვა: აქტივთა III სერიის ფორმები ცალკე პარადიგმას ქმნიან თუ ერთ პარადიგმაში შედიან I და II სერიათა სათანადო ფორმებთან? ა.შანიძეცა და არნ.ჩიქობავაც, ტრადიციის მიხედვით, მათ აერთია-

ნებენ თავისივე ფუძის აქტივთა I და II სერიის ფორმებთან ერთ პარადიგმაში. ასეთ მიდგომას, ვფიქრობთ, კონსტრუქციის შეცვლაც, რაზეც ალ.ონიანი უთითებს, ხელს ვერ შეუშლის, რადგან ერთი და იმავე პარადიგმის ფარგლებში აქტივები კონსტრუქციას იცვლიან I სერიიდან II სერიაში გადასვლის დროსაც. III სერიის ფორმები რომ I და II სერიის ფორმათა პარადიგმაშია წარმოდგენილი, უთუოდ ბუნებრივია: შდრ. კაცი ხატავს სურათს (I სერია), კაცმა დახატა სურათი (II სერია), კაცს დაუხატავს სურათი (III სერია). სამივე სერიაში ერთსა და იმავე მოქმედ აქტანტზეა ლაპარაკი და ერთსა და იმავე სამოქმედო აქტანტზე. ზმნის გვარი, მაშასადამე, არ შეცვლილა და ქცევაც სამივეგან ნეიტრალურია — მათ საერთო სერი აქვთ. თუ III სერიაში პირდაპირი ობიექტი შეიცვლება ირიბით, რა თქმა უნდა, III სერიის ფორმები ვეღარ გაერთიანდება I და II სერიის ფორმებთან ერთ პარადიგმაში.

ოდენ პირდაპირობიექტიანი ფორმა ამა თუ იმ ზმნისა სხვა არის და ოდენ ირიბობიექტიანი — სხვა. ისინი ერთიმეორეს უპირისპირდებიან როგორც აქტივი ~ არააქტივი. ეს არსებითი ორიენტირია აქტიური ფორმის გასარჩევად არააქტივთაგან, ანუ პასივთა და მედიუმთაგან, რომელთაც გარდა სუბიექტისა, შეიძლება ჰქონდეს ირიბი ობიექტი.

პარადიგმატული თვალსაზრისით წინააღმდეგობრივი ვითარება შექმნა დებულებამ, რომლის მიხედვითაც პირდაპირ ობიექტს III პირში ნიშანი არა აქვს, რომ ამ პირში ნიშანი აქვს მხოლოდ ირიბ ობიექტს, რომ III სერიის აქტივთა ფორმებში ობიექტური პირი უთუოდ ირიბია, რადგან ნიშნით არის წარმოდგენილი. სწორედ ამ საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ინვერსიის დროს შეცვლა მოხდა სუბიექტისა და ირიბი ობიექტის ნიშნებისა სათანადო აქტანტებს შორის (ა.შანიძე, 1973, 196). ეს თვალსაზრისი მიუღებელია იმ საფუძველზე, რომ მიცემით ბრუნვაში დასმული ობიექტი ქართულ ენაში მისი წერილობითი არსებობის დასაწყისიდან დღემდე მესამე პირში ყოველთვის იყო გამოხატული სათანადო ნიშნით, მიუხედავად

იმისა, ირიბი იყო თუ პირდაპირი და ნიშანიც ამ ობიექტებს საერთო ჰქონდათ, ისევე როგორც I და II პირებში (იხ. ზემოთ, გვ.24).

გასათვალისწინებელია, რომ III სერიის აქტივებს სასხვისო ქცევის ფორმა აქვთ, გაგება კი – ნეიტრალური ქცევისა. ზმნური აქტანტები უთუოდ ამ თვალსაზრისითაც უნდა განვიხილოთ. აქტივთა არაკაუზატიურ ფორმებში სასხვისო ქცევას ირიბი ობიექტი ქმნის (დაწერა მან ის → დაუწერა მან ის მას) – სუბიექტის ქმედება პირდაპირ ობიექტზე განკუთვნილია ირიბი ობიექტისთვის; ორპირიან პირველად კაუზატიურ ფორმებში მოქმედების შემსრულებელია პირდაპირი ობიექტი – ზმნა მის ქმედებას გამოხატავს (ის ატირებს მას), სუბიექტი ქმედების მხოლოდ ინიციატორია, ზმნას ირიბი ობიექტი არა აქვს, ამიტომ განკუთვნებაც ვერ გამოიხატება; ამავე დროს არ ხდება სუბიექტისა და ირიბის კორეფერენცია (ატირებს, აწუხებს და სხვა). პირველად კაუზატივებს რომ სასხვისო ქცევა გაუჩნდეს, ისევეა საჭირო ირიბი ობიექტის შემოყვანა, როგორც ეს ხდება არაკაუზატიურ ფორმებში (გაახარა მან ის → გაუხარა მან ის მას; შდრ. დაწერა მან ის → დაუწერა მან ის მას).

განსხვავებული ვითარებაა სამპირიან აქტივთა მეორად კაუზატიურ ფორმებში: აქ ირიბი ობიექტი უთუოდ შემსრულებელი პირია (ექსეკუტორი): დააწერინა მან მას ის, ამიტომ თეორიულად გამორიცხულია მას რაიმე განეკუთვნოს. შემსრულებელ პირს რომ რამე განეკუთვნოს, მაშინ „სასხვისო“ ავტომატურად გამოირიცხება. ამ მიზეზით ირიბ ობიექტს მეორად კაუზატივებში, სადაც ის შემსრულებელი აქტანტია, არ შეუძლია იყოს ბენეფაქტიური პირი, რომლისთვისაც ხდება მოქმედება.

სამპირიანი მეორადი კაუზატივები, განსხვავებით არაკაუზატიური და პირველადი კაუზაციის სამპირიანი და სამვალენტიანი ფორმებისგან (უწერს; გაუხარებს), არა აქვთ რა ბენეფაქტიური აქტანტები (აწერინებს ის მას მას), ნეიტრალური არიან ქცევის მიხედვით.

იმისათვის, რომ მეორადი კაუზაციის ფორმებმა გამოხატონ სასხვისო ქცევა, ფორმაში უნდა ივარაუდებოდეს ბენეფაქტიური აქტანტი და შემსრულებელი აქტანტი. ამათ გარეშე სასხვისო ქცევა ვერ შეიქმნება – აუცილებელია ერთი (შემსრულებელი) იღვწოდეს სხვისთვის (ბენეფაქტიური აქტანტისთვის). მეორად კაუზატივებში ეს ხდება პირმიუმართავი აქტანტის შემოყვანით: გამიკეთებინა მან მე ბეჭედი ოქრომჭედელს. „ოქრომჭედელს" პირმიუმართაკი აქტანტია, „მე" კი – ბენეფაქტივი. ვიდრე პირმიუმართავი აქტანტი არ დაუკავშირდება მეორად კაუზატივს, „მე" ვერ იქცევა ბენეფაქტიურ აქტანტად (მაგ.: გამაკეთებინა ფორმაში „მე" მხოლოდ შემსრულებელი პირია). ა.შანიძე ამ შემსრულებელი ობიექტის შესახებ მეორად კაუზატივებში (მისი ტერმინოლოგიით შუალობითი კონტაქტის ფორმებში) წერს შემდეგს: „რაც შეეხება ფორმის გადაყვანას უშუალო კონტაქტიდან შუალობითში, ეს ასე ხდება: სამივე პირი უშუალო კონტაქტისა თავ-თავისი ნიშნებით უკლებლივ გადადის შუალობითში, სადაც ემატება იმის გაგება, რომ მოქმედება სხვისი შუალობით არის გაკეთებული. შემსრულებელი პირი ჩვეულებრივ ზმნის ფორმაში არ ჩანს, ოღონდ წინადადებაში შეიძლება ერიოს სიტყვა, რომელიც შემსრულებელს, ანუ მეშუალეს (ეგზეკუტორს, მედიატორს) გულისხმობს (ა.შანიძე, 1973, 366; ხ.ჩ. – თ.უ.). აქ უნდა დავსძინოთ: მიუხედავად იმისა, ეს მითითებული სიტყვა ერევა თუ არ ერევა წინადადებაში, იგი მაინც ივარაუდება, რადგან შემსრულებელი პირი აუცილებელია ქცევაში. ეს ის აქტანტია, რომელიც სხვისთვის მოქმედებს, ბუნებრივია, მის გარეშე ვერ დადგინდება ქცევითი მიმართება „სხვისთვის"; ა.შანიძე იქვე წინადადების მიხედვით არჩევს ვაჟასეულ ერთ ფორმას: „დამღუპე, ათის წლის სარჩო წამიხდენინე ჯორებსა" და განმარტავს: „წამიხდენინე" სამ პირს შეიცავს (შენ მე იგი), „მაგრამ ამასთანავე ერთად აქ თეორიულად თითქოს მეოთხე პირიც უნდა ივარაუდებოდეს, ეგზეკუტორი, რომელსაც წინადადებაში „ჯორებსა" სიტყვა ეფარდება. მაგრამ ეს მეოთხე პირი არაფრით არ არის წარმოდგენილი ზმნის ფორმაში. ამიტომ

მისი გაგება მკრთალია“ (ა.შანიძე, 1973, 368). ამ აქტანტის („ჯორებსა“) გაგება ქცევის თვალსაზრისით მკრთალი ვერ იქნება, რადგან სასხვისო ქცევის არსებობა მასზეა დამოკიდებული — შემსრულებელი პირის გარეშე არ არსებობს სასხვისო ქცევა (დაწვრილებით იხ. ქვემოთ — ქცევა კაუზაციის სახეობათა მიხედვით).

აქვე გავიხსენოთ მეორად კაუზატივთა პასივის ფორმები, როგორიცაა: წაეხდენინა (ყანა ჯორებს), დაეწერინა (ლექსი პოეტს). ეცემინა (ძაღლი პატრონს), დაეხატვინა (მგელი ნატურალისტს)... ამ ზმნებში სუბიექტი, გარდა იმისა, რომ ინიციატორია, სამოქმედოცაა. დავარქვათ მათ წმინდა სუბიექტური და სუბიექტურ-სამოქმედო აქტანტები: აწერინებს ის მას წერილს — აქ გვაქვს სუბიექტური („ის“) აქტანტი. Ø-ეწერინება ის მას — აქ გვაქვს სუბიექტურ-სამოქმედო აქტანტი („ის“). არაკაუზატიურ ფორმებში სუბიექტი ინიციატორ-შემსრულებელია: წერს ის, უწერს ის და სხვა.

III სერიის ფორმებში (დაუხატავს, დაუწერია...) სუბიექტი მეორად კაუზატივთა პასივის სუბიექტის ტიპისაა — სუბიექტ-სამოქმედო. ეს მსგავსება შემთხვევითი არ არის. როგორც ადრე ვთქვით, III სერიის აქტივთა ფორმებში სახელობით ბრუნვაში დასმული აქტანტი ქმედების ინიციატორია და ამიტომ არის სუბიექტი. ეს აქტანტი ინიციატორია იმიტომ, რომ მისი (I და II სერიების პაციენსის) არსებობის კონსტატაციის შემდეგღა იწყება პერფექტული გაგების შეტანა ზმნურ ფორმაში. ახლა განვიხილოთ აწერინებს ~ ეწერინება გვარის მიხედვით დაპირისპირებული ფორმები ქცევის თვალსაზრისით: თუმცა აქტივს აქვს ირიბი ობიექტი, მაგრამ იგი შემსრულებელი ობიექტია, სასხვისო ქცევის არსებობისთვის კი საჭიროა ბენეფაქტივიც. ამავე დროს ერთსა და იმავე აქტანტს არ შეუძლია სასხვისო ქცევაში შემსრულებელიც იყოს ქმედებისა და ბენეფაქტიურიც. ეწერინება პასიურ კაუზატივში ირიბი ობიექტი ისევ შემსრულებელი პირია და არა აქვს გვერდით ბენეფაქტიური აქტანტი, ამიტომ ეს აქტივ-პასიური წყვილი ნეიტრალურია ქცევის თვალსაზრისით, ე.ი. ეს ფორმები ქცევას ვერ გამოხატავენ.

აქტივთა III სერიის დაუწერია ფორმაში სუბიექტ-სამოქმედო პირის გვერდით დგას ობიექტ-შემსრულებელი პირი, მსგავსი პირველადი კაუზატივებისა (მატირებს მე ის – „მე“ ობიექტ-შემსრულებელია, ზმნით გამოხატულ მოქმედებას „მე“ ასრულებს, სუბიექტი მხოლოდ ინიციატორია). არც აქ ჩანს ბენეფაქტიური აქტანტი, ამიტომ ქცევის გაგებას აქტივთა III სერიის ფორმებიც მოკლებულია პირთა ურთიერთობის მიხედვით. მაგრამ მესამე სერიის ფორმებმა შეიძლება შეიძინონ ქცევის გაგება პირმიუმართავი აქტანტების შეგუებით, როგორც ეს ხდებოდა სამპირიანი მეორადი კაუზაციის (შუალობითი კონტაქტის) მქონე სასხვისო ქცევის ფორმებში (წამიხდენინე შენ მე ყანა ჯორებს), კერძოდ, თანდებულიანი ირიბი ობიექტის შემოყვანით ზმნის ვალენტობაში: დამიწერია მისთვის (ამხანაგისთვის), შენთვის და სხვა.

ახლა იმის შესახებ, რატომ დაკარგეს ირიბი ობიექტი III სერიაში I და II სერიების სამპირიანმა ზმნებმა. აქტივთა პერფექტივაციისას I და II სერიების O^d აუცილებლად უნდა იქნეს შენარჩუნებული – მან უნდა წარმოადგინოს წინა ქმედების შედეგი, რომელზე დამყარებითაც იგება მოცემული პერფექტული ფორმა, რომელშიც წინა ქმედების O^d ამ ნიადაგზე ინიციატორი ხდება და სუბიექტის პირის ნიშანსაც იღებს; I და II სერიების სუბიექტი პერფექტულ ფორმებში შემსრულებელი ობიექტის როლშია, I და II სერიების ირიბი ობიექტი კი უბრალო ობიექტად მოიქცევა.

თუ I, II და III სერიის ფორმებს ერთი პარადიგმის წევრებად მივიჩნევთ (წერს – დაწერა – დაუწერია), ეს გარდაქმნები აქტივთა ფუნქციებში პერფექტულობისათვის აუცილებელი იყო: ცნობილია, რომ III სერიის პერფექტულ ფორმათა საწარმოებლად გამოყენებულ იქნა სტატიკურ ენებითთა მოდელი, რომელიც ხასიათდებოდა პერფექტულობით (ნ.ნათაძე, 1955; ბ.ჯორბენაძე, 1975; ი.კორტავა, 1981). აქტივთა მიერ ნასესხებ ამ მოდელში წარმოდგენილი იყო ორი პირი: სიტუაციის გამომხატველი სუბიექტი (უკიდია ის) და მფლობელი ობიექტი (უკიდია მას). აქტივში მოხდა ამ სტატიკური მოდელის დინამიზაცია ზმნისწინთა საშუალებით

(და-მიკიდია, შე-მიკიდია...) და სტატიკური ფორმის სუბიექტის ადგილი დაიჭირა არაპერფექტული აქტივის ფორმის პირდაპირმა ობიექტმა, რათა თავისი არსებობით პერფექტულ ფორმაში მიეთითებინა წინა ქმედების შედეგზე და ამით გამოეხატა სიტუაცია, რამაც ის მოაქცია ზმნური ქმედების ინიციატორად და, როგორც ასეთი (ინიციატორი), სუბიექტურ პირადაც. არაპერფექტული ფორმის სუბიექტი კი ნასესხებ პერფექტულ მოდელში მოიქცა შემსრულებელ ობიექტად (შემსრულებლობა არაპერფექტული ფორმიდან გადმოჰყვა); არაპერფექტული ფორმების I და II სერიების ირიბი ობიექტი პირად ვეღარ გაფორმდა III სერიის პერფექტულ ფორმებში — მისთვის, როგორც პირისთვის, მოდელში ადგილი არ იყო და არც შემდეგ გამოძებნილა, რადგან პერფექტულობისთვის აუცილებელი კომპონენტები ზმნაში უკვე იყო წარმოდგენილი. იგი ირიბ ობიექტს არ საჭიროებდა.

რაც ითქვა აწმყოს მწკრივის სტატიკური ვნებითებისა და აქტივთა I თურმეობითის ფორმათა ისტორიული მიმართების შესახებ, იმავე მოდელით სტატიკურ ვნებითთა წყვეტილისა და II კავშირებითის ფორმებს მიემართებიან II თურმეობითისა და III კავშირებითის ფორმები (იხ. ნ.ნათაძე, 1955; მ.მაჭავარიანი, 1983).

პერფექტული გაგება აქვთ ზოგადი აწმყოს ფორმებსაც (მწერალი წერს, მხატვარი ხატავს...). რაც შეეხება II თურმეობითისა და III კავშირებითის ფუძეებში მომხდარ ცვლილებას წყვეტილისა და II კავშირებითის სტატიკურ ფუძეებთან შედარებით, ეს გეიანდელი ცვლილებებია და უნდა აიხსნას ანალოგიით I თურმეობითის ფუძეებთან, რომლებიც თავის მხრივ ზოგადი აწმყოს ფუძეს ემყარებიან.

სტატიკური ვნებითების ფორმებში ქცევის ნიშნები ნაკლებად იყო წარმოდგენილი (უპყრია, ძვ. ქართულით უპყრიეს), უფრო გავრცელებული იყო უხმოვანპრეფიქსო ფორმები (ჰგიეს, სწერიეს, ჰმარხიეს...). სტატიკურ ზმნათა წარმოების ამ ორი სახეობიდან (მკიდია || მიკიდია) III სერიის აქტივთა პერფექტული ფორმებისთვის ენამ გამოიყენა მაქცევრიანი ფორმები (დამიკიდია, დაგიკიდია, და-Ø-უკი-

დია), მაგრამ მაქცევრებმა დაკარგეს ფუნქცია აქტიეში ბენეფაქტიური პირის გაუქმების გამო. თუ ამ პირის შესაბამის აქტანტს აღვადგენთ, როგორც უკვე ვთქვით, ქცევაც აღდგება (მაგალითად, დამიწერია მისთვის...).

გვარისა და ქცევის კატეგორიები III სერიაში

კატეგორიებს არსებობის თავისი პირობები აქვთ, რომელთაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ნებისმიერ პარადიგმატულ სისტემაში, სადაც ისინი მოქმედებენ სხვა კატეგორიების გვერდით. კატეგორიათა ურთიერთობა სისტემის ფარგლებში ამავე დროს ვარაუდობს კატეგორიალური ავტონომიების მკაცრად დაცვასაც. აქტივთა III სერიის ფორმები ამ მხრივაც საჭიროებს დამატებით ანალიზს.

საენათმეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, III სერიაში აქტიური და პასიური ფორმების დაპირისპირება ძალაში რჩება, მაგრამ ქცევის მიხედვით მხოლოდ პასივები უპირისპირდებიან ერთიმეორეს (ნეიტრალური ~ სასხვისო), აქტივები კი ქცევის გაგებისგან დაცლილად მიიჩნევა საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ზმნებს ქცევის კატეგორია არა აქვთ ამ სერიაში.

თუ გავითვალისწინებთ აქტივ-პასივთა კონვერსიულ მიმართებას, რაც აუცილებლობით გამომდინარეობს გვარის კატეგორიის არსიდან, შეუძლებელია III სერიის ნეიტრალური ქცევის პასივს არ ჰქონდეს კონვერსიული ნეიტრალური აქტივი, ხოლო სასხვისო ქცევის პასივს გვერდით არ ედგეს ამავე ქცევის აქტივი, ე.ი. თუ გაუზრდია ~ გაზრდილა აქტივისა და პასივის წყვილია ნეიტრალური ქცევით, პასიურ გაჰზრდია სასხვისო ქცევის ფორმას აქტივის რა ფორმა დაუდგება გვერდით? ა.შანიძის თვალსაზრისით, ამ ზმნას ასეთი ფორმა არ უპირისპირდება: გაჰზრდია „უცალოა“ კონვერსიული მიმართების მიხედვით, მაგრამ ეს ფორმა თურმე მაინც არ კარგავს თავის პასივობას: „...გაჰზრდია“-ს პასივობას იმით ვგრძნობთ,

რომ მას კავშირი აქვს I და II სერიის სათანადო ფორმებთან, სადაც მათი პასიურობა საპირისპირო ფორმების ქონების გამო მკაფიოდ გამოხატული მოვლენაა“ (ა.შანიძე, 1973, 294). როგორც ვხედავთ, **დაირღვა კატეგორიის არსებობის ძირითადი პრინციპი**: საპირისპირო ფორმის უქონლობის შემთხვევაშიც გვარის კატეგორია არსებობს. **გაჰზრდია** ვნებითია მიუხედავად იმისა, რომ არა აქვს კონვერსიული აქტივი! მიზეზად დასახელებულია მისი კავშირი I და II სერიის სათანადო ფორმებთან, მაგრამ არ არის ახსნილი, როგორ ხორციელდება ეს კავშირი.

სხვა შემთხვევაში დარღვეულია პირთა რაოდენობრივი მიმართების პრინციპიც, მაგალითად: **შეუწერია ~ შესწერია**. ეს წყვილი (სხვებიც არის) III სერიის კონვერსიულ წყვილად ითვლება გვარის მიხედვით; ქცევა ორივეს სასხვისო აქვს. ა.შანიძე წერს: „შეიძლება რომ ორ-პირიან ვნებითს ორ-პირიანი მოქმედებითი შეეფარდებოდეს და არა სამიანი, მაგრამ ამას მხოლოდ III სერიაში აქვს ადგილი... აქ ორ-პირიანი ვნებითი ორ-პირიან მოქმედებითს საპირისპირო ფორმათა სისტემის მიხედვით უკავშირდება...“ (ა.შანიძე, 1973, 295). როგორ ხორციელდება კავშირი სისტემის მიხედვით, არც ამ შემთხვევაშია ახსნილი.

თუ ამ დებულებებს გავიზიარებთ (ჩვენთვის ისინი მისაღებია სათანადო არგუმენტაციით, რომელსაც ქვემოთ წარმოვადგენთ), ერთი წინააღმდეგობა მოსახსნელია უთუოდ, კერძოდ: კონვერსიის ერთ-ერთი პრინციპით ირიბი ობიექტი უცვლელად რჩება აქტივის პასივად მოქცევისას, III სერიაში კი აქტივი სწორედ ამ პირს კარგავს. ეს ის პირია, რომლისთვისაც არის განკუთვნილი მოქმედება როგორც აქტივში, ისე პასივში (II სერია: დამპყრობმა ხარკი შეაწერა ვასალს ~ ვასალს შეეწერა ხარკი; III სერია: დამპყრობს ხარკი შეუწერია ~ ვასალს ხარკი შესწერია). რადგან პასივში თავის ადგილზე შემორჩენილი ირიბი ობიექტი აქტივში აღარ არის, აქ კონვერსიაზე მსჯელობა მიღებული პრინციპებით შეუძლებელია. სხვა გამართლება უნდა მოეძებნოს აქტივისა და პასივის ამ მიმართებას. სამწუხაროდ, და-

მატებით ა.შანიძე აღარ მსჯელობს ამ ფორმათა მიმართებაზე. ამ თვალსაზრისით საკითხი არც სხვათა მსჯელობის საგანი გამხდარა.

სწორი ჩანს გაჰზრდია ფორმის ვნებითად გაგება და ამის გვერდით იმავე III სერიაში შეუწერია ~ შესწერია აქტივ-პასივის კონვერსიულ წყვილად მიჩნევა, ოღონდ ამ დებულებათა მისაღებად საჭიროა I და II სერიის ფორმათა კონვერსიული მიმართება გადაებას III სერიის სათანადო ფორმებს ძირითად პრინციპთა დაურღვეველად.

სამპირიან აქტივთა I და II სერიებში ირიბი ობიექტი მარკირებულია პრეფიქსებით სამსავე პირში; III სერიაში ეს ობიექტი პირმიუმართავი ხდება ზმნური ქმედების პერფექტულობასთან დაკავშირებით. პირის ნიშნებს დანარჩენი ორი აქტანტი ინაწილებს. III სერიაში, როგორც ზემოთ ვთქვით, შეუძლებელია ირიბი ობიექტის მარკირება. ზემოთ ისიც ითქვა, რომ ნებისმიერ სამპირიან აქტივში ჩვეულებრივ ან პირდაპირია მარკირებული, ან ირიბი (უმეტეს შემთხვევაში). ერთდროულად ორივეს გამოხატვა მატერიალურად ქართულ ზმნაში, როგორც წესი, არ ხდება. ოღონდ ხაზგასმით უნდა ითქვას: III სერიაში სამპირიანი აქტივის ირიბი ობიექტი არ იკარგება, იგი აქტანტადვე რჩება პირიმიუმართავად, ე.ი. რჩება სპეციალური მარკირების გარეშე. ამ ტიპის მიმართება ქცევის მიხედვით შეიძლება I და II სერიებშიც იყოს, მაგალითად, ბუნებრივია როგორც უშენებს, ისე მისთვის აშენებს; როგორც მიშენებს, ისე ჩემთვის აშენებს და სხვა. ასეა განსაკუთრებით კითხვით წინადადებაში: ვისთვის აშენებს? „ვის უშენებს?“ შენთვის აშენებს? „შენ გიშენებს?“ და სხვა. სწორედ ასეთი აღწერითი ფორმებია გამოყენებული იმ შემთხვევებში, როცა III სერიაში პირდაპირი ობიექტის გვერდით შეუძლებელი ხდება ირიბის მარკირება.

წარმოდგენილი მსჯელობის საფუძველზე ადვილი მისახვედრია, რომ გაჰზრდია პასივს ქცევის მიხედვით უპირისპირდება მისთვის გაუზრდია აღწერითი აქტივი. შესაძლოა

გაჰზრდია ფორმაც აღწერით გამოიხატოს, მაშინ მივიღებთ ასეთ წყვილს: მისთვის გაუზრდია ~ მისთვის გაზრდილა.

სამპირიან აქტივს III სერიაში მხოლოდ აღწერითი ფორმა აქვს (მისთვის გაუზრდია), ამის კონვერსიულ პასივს კი ორი: სინთეტური და აღწერითი (გაჰზრდია და მისთვის გაზრდილა) ფორმა აქვს.

აქტიუთა სასხვისო ქცევის აღწერითი ფორმები იყენებენ ნაიტრალური ქცევის ფორმას თანდებულიანი აქტანტით, რომელიც წარმოდგენილია არსებითი სახელით ან მესამე პირის ნაცვალსახელით (ააშენა შვილისთვის/მისთვის, დახატა ბავშვისთვის/მისთვის და სხვა). რადგან პასივებს პირდაპირი ობიექტი არა აქვთ, მათ ფორმებში არც ხდება ობიექტური პირების შეხვედრა, ამიტომ აღწერითი ფორმები აქ იშვიათია.

აღწერით შეიძლება იწარმოოს სათავისო ქცევის ფორმებიც, მაშინ გამოყენებულია ან კუთვნილებითი ნაცვალსახელი თავისთვის, ან სხვა კუთვნილებითი ნაცვალსახელები, შესაბამისად ზმნის პირთა რომელობისა: ჩემთვის, შენთვის, ჩვენთვის და სხვა (ამიშენებია ჩემთვის, აგიშენებია შენთვის, აუშენებია თავისთვის); თუ ზმნის პირი და კუთვნილებითი ნაცვალსახელის პირი არ ემთხვევა, მივიღებთ სასხვისო ქცევას (ამიშენებია შენთვის/მისთვის...).

შეიძლება დაუსკვნათ: გაჰზრდია პასივია, მაგრამ არა უცალო (უცალო პასივი თეორიულად გამორიცხულია), მას კონვერსიულ აქტივად ექნება აღწერითი გაუზრდია მისთვის (მისთვის უდრის „მას“ პირს, რომელიც ივარაუდება გაჰზრდია ფორმაში: გაჰზრდია მას ის), რომელიც ენაცვლება I და II სერიების სამპირიანი აქტივის სასხვისო ქცევის ფორმებს მესამე სერიაში. აქტანტების მიხედვით აქტივებსა და მათ კონვერსიულ პასივებს შორის III სერიაში ისეთივე მიმართებაა, როგორიც პირების მიხედვით გვქონდა I და II სერიებში: სამაქტანტიან აქტივს (გაუზრდია ის მას მისთვის) კონვერსიულ ცალად უდგას ორაქტანტიანი პასივი (გაჰზრდია ის მას ~ გაზრდილა ის მის-

თვის), მაშასადამე, დაკმაყოფილებულია როგორც გვარის, ისე ქცევის კატეგორიათა ოპოზიციები.

ვფიქრობთ, ნათელია, რომ სამპირიან აქტივთა და ორპირიან პასივთა ურთიერთობის სისტემა პარადიგმის ფარგლებში უცვლელია სერიათა მიხედვით: III სერიაშიც იგივე სისტემაა, რაც I და II სერიებში. მათ შორის სხვაობას ქმნის მარკირების წესები, რაც ვერ მოქმედებს სისტემურ ურთიერთობებზე; სისტემურ ურთიერთობებზე ვერც ირიბი ობიექტის თანდებულით წარმოდგენა მოქმედებს, რადგან ეს I და II სერიებში პირთა შორის ჩამოყალიბებულ კუთვნილებით ურთიერთობებს არ ცვლის III სერიაში. ამ მხრივ სიმპტომატურია, რომ I და II სერიისა, ერთი მხრით, და III სერიის ის ფორმები, მეორე მხრით, სადაც იცვლება პირდაპირი ობიექტის პირი და უცვლელია ირიბისა, ზუსტად ერთსა და იმავე მიმართებას გვიჩვენებენ, მაგალითად: **დამიყენა მან მე მას, დაგიყენა მან შენ მას, დაუყენა მან ის მას**; შდრ. **დავუყენებივარ მას მე მისთვის, დაუყენებიხარ მას შენ მისთვის, დაუყენებია მას ის მისთვის.**

ფორმათა მარკირება ორიენტირია კატეგორიათა გამოსაცნობად, **მაგრამ არსებითია პარადიგმის მოთხოვნა. კონკრეტულ პარადიგმას, რომლის ზუსტი განმსაზღვრელი არის სერი, შეუძლია თავის ფარგლებში კორექტივი შეიტანოს მარკირებულ ფორმათა საერთოდ მიღებულ გაგებაში**; ასე მაგალითად, თუ I და II სერიებში განსხვავებული ქცევა წარმოდგენილია Ø-ზრდის ~ ი-ზრდის ~ უ-ზრდის შეპირისპირებული ფორმებით, III სერიაში ქცევის მიხედვით დაპირისპირების ეს სახე გაუქმებულია; აქ დაპირისპირებულ სასხვისო და სათავისო ქცევის ფორმებს ერთვის **-თვის** თანდებულიანი სათანადო სახელი (არსებითი ან ნაცვალსახელი):

	სასხვისო				სათავისო
I	გამიზრდია				გამიზრდია
II	გაგიზრდია	} მისთვის	~	თავისთვის	{ გაგიზრდია
III	გაუზრდია				გაუზრდია

უნაცვალსახელო (ივარაუდება თანდებულიანი ნაცვალსახელი) ფორმა ნეიტრალურ ქცევას გამოხატავს (გამიზრდია, გაგიზრდია, გაუზრდია).

შესაძლებელია პარადიგმაში სათავისო ქცევის ფორმაც მოიქცეს ნეიტრალურად, მაგალითად: იგრძნო, იპოვა, შეინახა, დაიწყო და სხვა. თვით ნეიტრალური ქცევა, საერთოდ, კუთვნილებას არ გამოხატავს და, ბუნებრივია, ვერც სასხვისოდ იქცევა და ვერც სათავისოდ. მხოლოდ ნეიტრალური ქცევის ფონზე შეიძლება ლაპარაკი სასხვისო (შდრ. სათავისო) ქცევაზე. **როცა ზმნას ნეიტრალური ქცევის ფორმა აკლია, მაშინ მის ადგილს იჭერს მარკირებული ქცევის ფორმა: ი-გრძნო ~ უ-გრძნო, და-ი-წყო ~ და-უ-წყო, შე-ი-ნახა ~ შე-უ-ნახა** და სხვა. გამოხატავენ ნეიტრალურსა და სასხვისო ქცევებს, როგორც აღნიშნულია გრამატიკულ ლიტერატურაში. სათავისო ქცევა ამ დროს უკვე აღწერით იწარმოება: შევინახე ჩემთვის, შეინახე შენთვის, შეინახა თავისთვის და სხვა ან ასე:

I	შევინახე	
II	შეინახე	} თავისთვის
III	შეინახა	

შეიძლება დავასკვნათ: როდესაც განისაზღვრება პარადიგმის სერი, მარკირების ელემენტთა კვალიფიკაცია ხდება სერის მოთხოვნათა მიხედვით განსაზღვრული წესების საფუძველზე. ენის გრამატიკულ აღწერაში ამ წესთა გათვალისწინება აუცილებელია.

სერი და მარკირების ელემენტთა კვალიფიკაცია

პარადიგმის ფარგლებში ზმნის სემანტიკა სერის მიხედვით უცვლელია. თუ პარადიგმის შიგნით აუცილებელი გახდა პირთა მიმართების ფორმალური გამოხატულების შეცვლა, პარადიგმა ან დეფექტური უნდა გახდეს, ან ახალი ფორმები უნდა გაიჩინოს. ახლა სხვა ასპექტით მივმართოთ ზემოთ განხილულ III სერიის ფორმებს. I და II სერიებში აქტივთა ქცევის კატეგორიის მიხედვით კარგად დაპირისპირებული ფორმები III სერიაში პერფექტული ბუნების გამო დაპირისპირების ამ ფორმას ვეღარ ინარჩუნებენ: **პირის ნიშნებს მესამე სერიაში ინაწილებენ მხოლოდ სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი**, ირიბი აღუნიშნავი რჩება, I და II სერიებში კი, პირიქით, უმეტეს შემთხვევაში არ გამოიხატება პირდაპირი ობიექტი და მაშინ აუცილებლად გამოხატულია ბენეფაქტიური ირიბი ობიექტი. ამან შექმნა ფორმალურად განსხვავებული მიმართება პირებს შორის I და II სერიებში, ერთი მხრით, და III სერიაში, მეორე მხრით, რაც შეპირობებულია იმითაც, რომ ქართულ ზმნაში პირდაპირი და ირიბი ობიექტები ერთდროულად ვერ გამოიხატება. მატერიალური ნიშანი აქვს მხოლოდ პირცვალებად ობიექტს, პირუცვლელი კი ყველა პირში აღუნიშნელია (ჩვენს შემთხვევაში I და II სერიებში ჩვეულებრივ პირცვალებადია ირიბი ობიექტი, III სერიაში კი ყოველთვის – პირდაპირი ობიექტი).

პირმიუმართავ აქტანტად ქცეული ირიბი ობიექტი მესამე სერიაშიც განაგრძობს ფუნქციონირებას (გამოკვლევებსა თუ სახელმძღვანელოებში ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ სამპირიანი აქტივის ირიბი ობიექტი III სერიაში უბრალო ობიექტად მოიქცეაო), რამაც საშუალება მისცა ენას, პარადიგმაში შემოეყვანა იგი (მფლობელი ობიექტი) -თვის თანდებულიანი სახელის ფორმით: **გამიზრდია მისთვის, გაგიზრდია მისთვის...**).

უთანდებულო სახელის გარეშე ზმნის ფორმა ნეიტრალურ ფორმას გამოხატავს, რადგან თანდებულიანი სახელის

გარეშე ბენეფაქტიური აქტანტი (მფლობელი ობიექტი) არ ჩანს და სხვ. და სხვ. (იხ. ზემოთ). ნეიტრალური ქცევითა და -თვის თანდებულიანი სახელით შექმნილი აღწერითი ფორმები I და II სერიებშიც გვხვდება: აშენებს მისთვის იგივეა, რაც უშენებს მას და ა.შ.

ამიშენებია ფორმის ნეიტრალურ ქცევად მოქცევის ფაქტები კარგად გვიჩვენებს სერის უნარს, პარადიგმის ფარგლებში მარკერებს თავისი მოთხოვნილების მიხედვით უცვალოს გრამატიკული მნიშვნელობა.

კონკრეტულ კატეგორიათა აფიქსების კვალიფიკაცია ხდება სერთა მიხედვით.

ქართულში სუბიექტური მესამე პირი (S_3) გამოხატულია -ს ~ -ა ~ -ო სუფიქსებით (-ს-ს აქვს Ø ალომორფიც). მათ შორის არის როგორც მორფოლოგიური, ისე ფონოლოგიური შეპირობებულობა...

ამჟამად ჩვენთვის არსებითია მათი კავშირი ზმნურ ფორმათა სხვა ელემენტებთან, რომლებიც სერით განისაზღვრება: (ა) თუ აწმყოს მწკრივში -ებ თემისნიშნიან ზმნებს S_3-ის ნიშნად მოუდის -ს, მაშინ ი- პრეფიქსი სათავისო ქცევას გამოხატავს (ი-ვსებ-ს, ი-ღ-ებ-ს, ი-გ-ებ-ს...). (ბ) თუ ამავე ტიპის ზმნებში -ს-ს ადგილზე იქნება -ა S_3-ის ნიშნად, მაშინ ი- პრეფიქსი ვნებით გვარს გამოხატავს (ი-ვს-ებ-ა, ი-ღ-ებ-ა, ი-გ-ებ-ა...). ამ ძირითადი წესების მისადაგება ქცევისა და გვარის სხვა სახეობათა ფორმებზე სიძნელეს არ წარმოადგენს; ასე მაგალითად, აქტივთა სასხვისო ქცევის ფორმებში ი-/უ- პრეფიქსებსა და პირის -ს სუფიქსს შორის იგივე მიმართებაა, რაც გვქონდა (ა) შემთხვევაში (იხ. ზემოთ), ხოლო (ბ) შემთხვევის გავრცობა შეიძლება ე'ნიან და სხვა ტიპის ვნებითებზე.

ამ წესთა განშტოება შეიძლება საშუალ გვარზეც: (გ) თუ ფორმა ი- პრეფიქსით იწყება, მთავრდება S_3-ის -ს სუფიქსით და აქვს მომავალი დრო, ასეთი ფორმა მედიოაქტიურია, მაგ.: იჩქარებს, იწვალებს, იხარებს და ა.შ. (დ) თუ ფორმა ი- პრეფიქსით იწყება და მთავრდება S_3-ის -ა სუფიქ-

სით და აქვს მომავალი დრო, ასეთი ფორმა მედიოპასივია: ი-წვებ-ა, ი-დგებ-ა და სხვა.

ბოლოს უნდა დავუბრუნდეთ კაუზაციის კატეგორიას, რომელიც გვართან და ქცევასთან ერთად სერის აუცილებელი კომპონენტია აქტივებსა და პასივებში; საშუალი გვარის კაუზატივი არ არსებობს, თუმცა საშუალი გვარის ზმნათაგან ჩვეულებრივ იწარმოება მოქმედებითი გვარის კაუზატივები.

კაუზაციის კატეგორია სუბიექტურ პირს წარმოგვიდგენს ზმნით გამოხატული მოქმედების ან ინიციატორ-შემსრულებლად, ან ამ ქმედების მხოლოდ ინიციატორად, როცა ქმედებას ახორციელებს პირდაპირი ან ირიბი ობიექტი; მაგალითად: ცეკვავს ~ აცეკვებს — სუბიექტური პირი ორსავე ფორმაში -ს სუფიქსით გამოიხატება, ცეკვავს ზმნაში სუბიექტური პირი თვითონ ასრულებს „ცეკვა“ ქმედებას, ინიციატივაც მისია, რადგან არ ჩანს სხვა პირი, რომელიც აიძულებს მოქმედ პირს ამ ქმედებისთვის; აცეკვებს ფორმით კი კარგად ჩანს, რომ „ცეკვა“ ქმედებას ასრულებს პირდაპირი ობიექტი; „ის“ პირი (აცეკვებს ის მას) ინიციატორია და ზმნაში სუბიექტის ნიშნით ფორმდება; „მას“ პირი (აცეკვებს ის მას) ზმნით გამოხატული ქმედების ჩამდენია და გრამატიკულად წარმოადგენს პირდაპირ ობიექტს. ანალოგიური მიმართება გვაქვს დნება ~ ადნობს წყვილშიც („ვანო სიყვარულით დნება“: „ვანო სიყვარულით ადნობს თინას“): აქ წარმოდგენილი ორი წინადადებიდან პირველ წინადადებაში ზმნით გამოხატულ ქმედებას ასრულებს სუბიექტი, მეორეში კი პირდაპირი ობიექტი, სუბიექტი ვანო ამ ქმედების ინიციატორია მხოლოდ. სამპირიან აწერინებს ფორმაში მოქმედებას ასრულებს ირიბი ობიექტი, სუბიექტი აქაც ინიციატორია (შდრ. დააწერინა მან მას ის).

კაუზაციის ფორმები იწარმოება საშუალი გვარის ზმნათაგან, უნიშნო ვნებითთაგან და აქტივთაგან. კატეგორიის ფარგლებში დაპირისპირება ხდება ამოსავალ უშუალო კაუზაციის ფორმასა და მისგან ნაწარმოებ შუალობით კაუზაციურ ფორმას შორის: ცეკვავს ~ აცეკვებს, წევს ~ აწვენს, ქრება ~ აქრობს, წუხს ~ აწუხებს, წერს ~ აწერინებს და სხვა.

კაუზაციის ფორმებს, რომლებიც ნაწარმოებია უშუალოდ მედიუმისა და უნიშნო პასივთაგან, ეწოდება პირველადი კაუზატივები.

ყველა კაუზატივი, რომელიც ქმედების შემსრულებლად პირდაპირ ობიექტს წარმოადგენს, აქტივია; ასევე აქტივია სამპირიანი კაუზატივებიც, რომელთა ერთ-ერთი პირი უთუოდ პირდაპირი ობიექტია. **პასიურია ის კაუზატივები, რომელიც შედეგია აქტიურ კაუზატივთა ემპათიისა** – ჩვენს შემთხვევაში პასივიზაცია ხდება პირდაპირი ობიექტის სუბიექტად მოქცევით ისე, რომ მასზეა გადმოსული მოქმედების ჩადენის ინიციატივა, რომელიც აქტივში სუბიექტს ჰქონდა*. აქტივის დაკარგული სუბიექტის ინიციატივა გადაეცემა პასივის სუბიექტად მოქცეულ პირდაპირ ობიექტს პასივიზაციის პროცესის შედეგად: ახატვინებს ~ ეხატვინება (ის მას); „ის“ ყოფილი პირდაპირი ობიექტია მედიუმთა და პასივთაგან ნაწარმოები. პირველადი კაუზატივებისაგან იწარმოება მეორადი კაუზატივები: აცეკვებს → აცეკვებინებს, ადნობს → ადნობინებს და სხვა. ასეთივე გზით აქტივები ვერ იძლევიან პირველად კაუზატივებს (ვთქვათ: წერს → აწერებს, ხატავს → ახატვებს და სხვ.); აქტივების კაუზაცია ხდება მეორადი კაუზირების წესით: წერს → აწერინებს, ხატავს → ახატვინებს და ა.შ.

რადგან ენაში დაშვებულია პირველად კაუზატივთაგან, რომლებიც მიღებულია მედიუმთაგან და უნიშნო ვნებითთაგან, მეორადი კაუზატივების წარმოება, თეორიულად ვერ გამოირიცხება მეორადი კაუზატივების წარმოების გამეორება (ვთქვათ: აწერინებს → აწერინებინებს). ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკისა“ და თანამედროვე დიალექტების მონაცემთა მიხედვით ასეთი ფორმები არსებობდა საშუალ ქართულში და დღემდე შემორჩენილია დიალექტებში. გამოდის, საქმე გვაქვს ცალმაგ და ორმაგ კაუზაციასთან. რადგან კაუზაცია აუცილებლობით ინიციატივას ვარაუდობს, ორ-

---

*კაუზაციასთან დაკავშირებით ამას შეიძლება ეწოდოს ემპათია ინიციატივით.

მაგ კაუზატივებში ორი ინიციატორი ივარაუდება. ეს ხელშესახებია დღესაც პირველად კაუზატივთაგან მიღებულ მეორად კაუზატივებში: აწუხებს ის მას — „წუხ“ ქმედებას განიცდის პირდაპირი ობიექტი, სუბიექტი კი ინიციატორია იმისა, რომ „მას“ პირი (პირდაპირი ობიექტი) ამ ქმედებას ეწეოდეს; აწუხებინებს ის მას მას — აქაც პირდაპირი ობიექტია „წუხ“ ქმედების შემსრულებელი, შესაბამისად სუბიექტიცა და ირიბი ობიექტიც ინიციატორებია ამ ქმედებისა. ნეიტრალური კაუზაციის აქტივთაგან ნაწარმოებ კაუზატივებში (შუალობითი კონტაქტის ფორმებში) კი შემსრულებელი პირი ირიბი ობიექტია, იქ ინიციატორი სუბიექტია მხოლოდ და კაუზაციაც ცალმაგია, მაგალითად: წერს → აწერინებს ის მას მას (დააწერინა მან მას ის).

სალიტერატურო ქართულს არა აქვს პირველად აქტივთაგან ნაწარმოები ორმაგი კაუზატივები; სამპირიან პირველად კაუზატივებს ან ალარ ეწარმოებათ მეორადი კაუზატივები, ან მნიშვნელობით არ განსხვავდებიან ერთიმეორისაგან, მაგალითად: აგალობებს // აგალობებინებს, აყვარებს // აყვარებინებინებს და სხვ. მეორადი კაუზატივები არა აქვთ: აწუურებს (ის მას მას) — არ არის აწუურებინებინებს, აშივებს (ის მას მას) — არ არის აშივებინებს და სხვა.

კაუზატივებს აწარმოებს ა- პრეფიქსი, რომელიც შეიძლება გართულებული იყოს სპეციალური სუფიქსებით, როგორიცაა: -ინ, -ევინ, -ებინ და სხვა. კაუზაციური პასივები იწარმოება კაუზაციურ აქტივთაგან კონვერსიის პრინციპთა დაცვით: ახატვინებს ~ ეხატვინება, აშავებინებს ~ ეშავებინება, აწვალებინებს ~ ეწვალებინება და სხვა.

პირველად კაუზატივებს პასივი -დ სუფიქსით ეწარმოება: აწვალებს ~ წვალდება, ახურებს ~ ხურდება და სხვა. არის შემთხვევები, როცა პირველადი კაუზატივის ფორმები პასივს, ნაცვლად -დ სუფიქსისა, ი- პრეფიქსით იკეთებენ. პირველად კაუზატივთა კონვერსიული პასივების წარმოების ეს ორი წესი შეპირობებულია მორფოფონოლოგიური კანონზომიერებით: თუ პირველადი კაუზატივის ფუძე გახმოვანებულია, კონვერსიული პასივი უთუოდ -დ სუფიქსი-

ანი იქნება, მაგალითად: აწვალებს ~ წვალდება, ატარებს ~ ტარდება, აშენებს ~ შენდება და სხვა.; თუ პირველადი კაუზატივის ფუძე გაუხმოვანებელია, კონვერსიული პასივი ი- პრეფიქსიანი იქნება ყოველთვის, მაგალითად: აღებს ~ იღება, აგებს ~ იგება, ანთებს ~ ინთება (შდრ. გახმოვანებული იგივე ნთ ძირი: ა-ნათ-ებ-ს ~ ნათდება) და სხვა.

მართალია, აღებს, ანთებს, აგებს ტიპის ზმნებში კაუზაცია ნეიტრალიზებულია, რამდენადაც ქმედების შემსრულებლად სუბიექტი გამოდის, ნაცვლად პირდაპირი ობიექტისა (შდრ. ატირებს მას — ზმნა წარმოადგენს პირდაპირი ობიექტის ქმედებას), მაგრამ ა- — -ებ კონფიქსიანი წარმოება აწმყოში პირველადი კაუზატივის მოდელს წარმოადგენს და, ბუნებრივია, კონვერსიულ პასივთა სუფიქსური წარმოება იყო მოსალოდნელი, გვაქვს კი პრეფიქსიანი წარმოება; შდრ. ასევე კაუზაციის მიხედვით ნეიტრალიზებული გახმოვანებულძირიანი აქტივები: აშენებს, აკეთებს... რომელთაც, შესაბამისად წესისა, კონვერსიული პასივები ეწარმოება -დ სუფიქსით: შენდება, კეთდება.

პასივთა წარმოებაში მოდელის შეცვლა (სუფიქსიანი → პრეფიქსიანი, უნიშნო → პრეფიქსიანი) შეპირობებულია ფონემატურად: თანხმოვანთა არაბუნებრივი კომპლექსები, რომლებიც წარმოიქმნება -დ სუფიქსიან პასივებში (/დ/ არაბუნებრივია ნებისმიერი თანხმოვნის მომდევნოდ, მით უმეტეს თანხმოვანთა კომპლექსის მომდევნოდ), ადვილად დაიძლევა პასივის ი- პრეფიქსის მიერ შექმნილ ძლიერ პოზიციაში: ავსებს ~ *ვსდების კონვერსია მიუღებელი იყო ვსდ- კომპლექსის გამო პაუზის მომდევნოდ ხმოვნის წინ (#—V). ავსებს → ივსების წარმოება მისაღებია ფონემატურადაც, გარდა იმისა, რომ პასივი ყოველთვის აკმაყოფილებს აქტანტების ურთიერთობათა გარდაქმნის კონვერსიულ მოთხოვნას.

რაც შეეხება უნიშნო ვნებითებს: ფუძედრეკად ზმნებს უნდა მოეცათ უნიშნო ვნებითები კრბების (← კრებს), შრტების (← შრეტს), დრკების (← დრეკს), წმდების (← წმედს)... ტიპისა, კერძოდ ასეთივე უნდა ყოფილიყო *გრხების (←

გრეხს), *ჭურტების (← ჭურეტს), *გლჯების (← გლეჯს) და სხვა. პაუზის მომდევნოდ, კარგად ჩანს, ამ სიტყვებს ექმნებათ თანხმოვანთა არაბუნებრივი კომპლექსები; საერთოდ ფუძედრეკად ზმნათა -VC ტიპის მააქტივებელი ელემენტები უმეტეს წილად ჩქამიერი თანხმოვნით არიან წარმოდგენილი, როგორიცაა: -ედ, -ეტ, -ეთ, -ეფ, -ეჯ, -ეს, -ეკ, -ეხ, -ექ და სხვა. ამ სუფიქსთა შეკუმშვა იძლეოდა არაბუნებრივ კომპლექსებს ძირეულ თანხმოვნებთან ერთად (კრებ- → კრბ-, შრეტ → შრტ-, დრ-ეკ → დრკ- და სხვა). როდესაც ზმნისწინმა შეიძინა სრული ასპექტის გამოხატვის უნარი იმით, რომ აწარმოა მომავალი დრო აწმყოს ფორმებიდან, ენა მთლიანად გადაეიდა პასივთა ი- პრეფიქსიან წარმოებაზე: შეკრბების, დაშრტების, დადრკების... ფორმები შეიცვალა იკრიბების, იშრიტების, იდრიკების ფორმებით; კონვერსიული პასივები უკვე გახმოვანებული ფუძიდან იწარმოება, რითაც მოისპო ყოველგვარი უსერხულობა ფონემატური თვალსაზრისით.

კიდევ ერთხელ გვსურს აღვნიშნოთ, რომ ა- — -ებ კონფიქსით ნაწარმოები აქტივთა ფორმები პირველადი კაუზატივებია წარმოშობით, თუმცა ზოგი მათგანის განეიტრალება მოხდა კატეგორიის მიხედვით. ისტორიულად ამ აქტივებს ასეთივე კაუზატიური ბუნების კონვერსიული პასივები ჰქონდათ, რომლებიც {-ენ} სუფიქსის ფონეტიკური გარდაქმნების საფუძველზე -დ სუფიქსიან პასივებად ჩამოყალიბდნენ საბოლოოდ.

სავარაუდებელია, რომ ივსების, ინთების, იგების... ტიპის პასივები, რომლებიც ა- — -ებ კონფიქსიან აქტივებს უდგანან გვერდით, თავდაპირველი კონვერსიული ფორმებია ამ აქტივებისა, მაშასადამე, დ'ონიანი (←{-ენ}) კონვერსიული პასივები არასოდეს ჰქონიათ მათ. მაშასადამე, ფონემატური ფაქტორი ყოველთვის მოქმედებდა და შეიძლება დავასკვნათ, რომ თუ ენას აქვს ერთი და იმავე გრამატიკული გარდაქმნისთვის (ჩვენს შემთხვევაში კონვერსიისთვის) განსხვავებული მოდელები, იგი ირჩევს ფონემატურად უფრო მოხერხე-

ბულს; მომდევნო ისტორიული ცვლილებებიც ამ ტენდენციით იმართება.

გვარის, ქცევისა და კაუზაციის კატეგორიებს ორდინალური ფორმების გვერდით, ერთი შეხედვით, არაორდინალური ფორმებიც აქვთ. საჭიროდ მიგვაჩნია ამ კატეგორიებს კვლავ შევეხოთ სხვადასხვა თვალსაზრისით.

გვარის სახეობათა დიაქრონიული მიმართებებისა და მორფონოლოგიურ ცვლილებათათვის

უძველესი ჩანს ის ზმნები, რომლებიც ქმედებას გამოხატავენ ოდენ სუბიექტით; ხდება რაღაც, იქმნება რაღაც სიტუაცია: **ქრის, დის, წუხს... დგას, წევს** და ა.შ. ეს ზმნები გვარის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ მედიუმებს წარმოადგენენ. ამ ტიპის ზმნებში, როცა შემოვიდა პირდაპირი ობიექტი, წარმოიქმნა აქტივის ფორმები და ჩამოყალიბდა გვარის კატეგორია: მედიუმი ~ აქტივი. აზროვნების განვითარების კვალდაკვალ ყალიბდება პასიური ფორმებიც, გვარის მესამე სახეობა. პასივში ქმედება წარმოდგენილია პაციენსის ასპექტით, რეალური აგენსის გაუთვალისწინებლად.

სუბიექტი საშუალო გვარის ზმნაში ჩართულია ზმნით წარმოდგენილ მდგომარეობაში და, მიუხედავად სიტუაციის ნაირგვარობისა: **ჩქეფს თუ თუხთუხებს, დგას თუ წევს, რბის** თუ **კანკალებს** და სხვა., ზმნებს სტატიკური ბუნება აქვთ – ისინი სუბიექტის რაღაც მდგომარეობაში (მაგალითად, „კანკალ“ მდგომარეობაში) ყოფნას გადმოსცემენ. ამ ტიპის ზმნური ქმედება გრაფიკულად შეიძლება ასე გამოვხატოთ S →. ე.ბენვენისტის სიტყვებით რომ ვთქვათ, მედიუმში სუბიექტი პროცესის შიგნით იმყოფება და თვითვე არის ამ პროცესის აგენტი (ე.ბენვენისტი, 1974, 188). მედიუმში, გარდა სუბიექტისა, შეიძლება შევიდეს ირიბი ობიექტიც ადრესატის ფუნქციით: **ს-დი-ს, Ø-უწუხ-ს** და სხვა. სუბიექტი ორპირიან მედიუმებშიც ინარჩუნებს ინიციატორ-ექსეკუტორის როლს.

მედიუმთა აქტივად მოქცევა ხდება ორი გზით: (1) პირდაპირი ობიექტის შემოყვანით ფორმაში ისე, რომ მედიუმის სუბიექტი აქტივშიც სუბიექტად დარჩეს (ანუ დარჩეს ინიციატორად): **წუხ-ს → ს-წუხ-ს, ტირი-ს → ს-ტირი-ს**; მაგალითად: „რომელნი ტიროდეს (მრ. 16, 10)“, შდრ. „სტიროდეს მას ყოველნი“ (ლ. 8. 52). (2) უფრო გავრცელებულია მედიუმთა აქტივად მოქცევა კაუზაციის გზით: მედიუმის სუ-

ბიექტი აქტივის პირდაპირ ობიექტად მოიქცევა ექსეკუტორის როლის შენარჩუნებით; ზმნის ფორმაში შემოდის ქმედების ინიციატორი და სუბიექტადაც ის ფორმდება, მაგალითად: წუხს სული → სულს Ø-აწუხებ-ს; ჩქარობს ის — მას Ø-აჩქარებს და სხვა.

სავარაუდოა, რომ სწერს ტიპის აქტივებიც წარმოშობით მედიუმებია, რომელთაც აქტივიზაციის გზით შეიძინეს პირდაპირი ობიექტი, ოღონდ დღეს აღარ გვხვდება ამოსავალი *წერს ერთპირიანი მედიუმი, რომლის მნიშვნელობაც იქნებოდა „წერ-ს“ (ის) და არა „ს-წერ-ს“ (ის მას). პირველ შემთხვევაში გამოხატული იქნებოდა ოდენ „წერა“ მდგომარეობაში ყოფნა; შდრ. მღერის ის და მღერის ის მას.

მედიუმთა აქტივიზაციის ორი გზიდან კაუზაციას ახლავს აშკარა დინამიზაცია — ხდება ზმნის რადიკალური გარდაქმნა: ფორმაში შემოდის ინიციატორი და სახეზეა პაციენს-ექსეკუტორი [$O^{d\text{-}pat\text{-}ex} \leftarrow S^{m}$ — ეს ფორმულა გამოხატავს მედიუმის სუბიექტის (S^{m}) აქტივის პაციენს-ექსეკუტორად ($O^{d\text{-}pat\text{-}ex}$) მოქცევას]. პირველად კაუზატივებს არ უჭირთ გეზისა და ორიენტაციის წარმოება, რამდენადაც პროცესს გამოხატავენ. რაც შეეხება წუხს → სწუხს ტიპის გარდაქმნებს, რომელთა მოდელის მიხედვით ვივარაუდეთ ისტორიულად სწერს ტიპის აქტივთა გაჩენა ენაში, აქ, ერთი მხრივ, მოსალოდნელი იყო სტატიკურობის შენარჩუნება იმის გამო, რომ გარდაქმნის დროს მედიუმის სუბიექტი სუბიექტადვე რჩება ფორმაში პაციენსის შემოყვანის შემდეგაც (წუხს ის → სწუხს ის მას); მეორე მხრივ, პაციენსის ფორმაში შემოყვანას უნდა მოჰყოლოდა დინამიზაცია. ერთი ჯგუფის დინამიზაცია ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს: თუ მედიოაქტივს გაუჩნდება $O^{d\text{-}pat\text{-}ex}$, ის აქტივად გარდაიქმნება და, ბუნებრივია, დინამიკურიც გახდება (ს-ტირი-ს ის მას ~ Ø-ი-ტირებ-ს ის მას) და გეზისა და ორიენტაციის ზმნისწინებსაც იგუებს. ამ ჯგუფის აქტივებს მედიუმებთან საზიარო ფორმა აქვთ და ამიტომ უკონტექსტოდ ვერც გაირჩევა მედიუმთაგან. მეორე ჯგუფს — ს-წერ-ს ტიპის აქტივებს საზიარო ფორმები აღარ აქვთ მედიუმებთან, ამიტომ ჩამოყალიბებულ აქტივებად

გვეკლინებიან და არც ფორმათა სესხება სჭირდებათ, როგორც ს-წუხ-ს ტიპის აქტიევებს. ისინი ძველ ქართულამდევე ჩამოყალიბებულან აქტივთა ცალკე ჯგუფად; მათი რაოდენობა პირველად კაუზატივებთან შედარებით უმნიშვნელოა.

ახალი პირის შემოყვანას ამ გზით აქტივთა ფორმებშიც აქვს ადგილი: ს-წერ-ს (ორპირიანია) — ს-Ø-წერ-ს (სამპირიანია), ასევე ჰ-გლეჯ-ს და ჰ-Ø-გლეჯ-ს... მარკირებულია პირცვალებადი ობიექტი, პირუცვლელი (O_3) კი ნულოვანი ალომორფით არის წარმოდგენილი: გა-მ-გლიჯ-ა ფორმაში მ- პირდაპირი ობიექტის ნიშანია, თუ O_3^{ind}-ს შემოვიყვანთ ფორმაში („გა-მ-Ø-გლიჯ-ა მტერს ხელიდან"); ხოლო წინადადებაში „გა-მ-გლიჯ-ა მტერი ხელიდან" მ- O_1^{ind}-ის ნიშანია, პირუცვლელი კი ხდება O_3^d და გამოიხატება ნულოვანი ალომორფით. ამათ გვერდით ქცევის პრეფიქსიან ფორმებშიც არის შესაძლებელი გრამატიკული ფორმის შეცვლა პირის მიმატებით: მ-იჭირავ-ა (მან მე) ~ მ-Ø-იჭირავ-ა (მან მე მას), და-მ-იჭირ-ა ~ და-მ-Ø-იჭირა და სხვა.

აქტივთა პასივიზაცია, ანუ ყველა ჯურის აქტივთა კონვერსიული პასიევების ჩამოყალიბება ხდება საერთო წესით: აქტივის პაციენსი პასივში სუბიექტად უნდა მოიქცეს, მიუხედავად იმისა, ეს იქნება წმინდა პაციენსი, პაციენს-ექსეკუტორი თუ პაციენს-ინიციატორი, ანუ სუბიექტი (პაციენს-ინიციატორი ანუ სუბიექტი, რომელიც პასივშიც სუბიექტად გადადის, რადგან აქტივში პაციენსია, გვხვდება აქტივთა პერფექტულ ფორმებში: დამიხატავს ის ~ დახატულა ის), ე.ი. პასივში ქმედება გრამატიკულად პაციენსის ასპექტით უნდა წარმოდგეს, ამისთვის ენას აქვს სპეციალური მოდელი: აწმყოს ფორმებში თემის ნიშნის მომდევნოდ -ი სუფიქსი ნებისმიერ აქტივს პასივად მოაქცევს (ლ.კიკნაძე, 1947): მოაქცევს ~ მოიქც-ევ-ი-ს, დასც-ემ-ს ~ დაეც-ემ -ი-ს, მალ-ავ-ს ~ იმალ-ვ-ი-ს, აბ-ამ-ს ~ იბ-მ-ი-ს, წერ-ს ~ იწერ-ებ-ი-ს, აწუხ-ებ-ს ~შეწუხნ-ებ-ი-ს, განაშიშულ-ებ-ს ~ განშიშულ-დ-ებ-ი-ს. მარკირებულ პასივთა ყველა სახეობაა აქ წარმოდგენილი, მათი გამაერთიანებელია დაბოლოება: თემის ნიშანი (შეუკუმშავი ან შეკუმშუ-

ლი) + -ი სუფიქსი – ამით პასივის ფორმები განსხვავდებიან არაპასივთა ნებისმიერი ფორმისგან. ეს იმასაც ნიშნავს, რომ პასივებს არ სჭირდებოდათ სპეციფიკური მაწარმოებლები – პრეფიქსი იქნებოდა ეს თუ სუფიქსი თემის ნიშნის წინ [ი-, ე-, -ენ~-ნ (→ -დ)].

აქტივ-პასივთა კონვერსიული მიმართების საერთო წესს ემორჩილებიან ე.წ. „უნიშნო ვნებითებიც“, რომლებიც ასევე თემის ნიშანთა მომდევნო -ი სუფიქსით იწარმოებიან. თემის ნიშნად ყოველთვის -ებ სუფიქსი აქვთ*: შრების, ჭრების, წყრების, კრთების, დრკების, შრტების და სხვა – ესენია პასიები რაიმე სპეციფიკური მაწარმოებლის გარეშე, განსხვავებით მარკირებულ პასივთაგან, ამიტომაც სახელად მიიღეს „უნიშნო“.

უნიშნო ვნებითებიც პასივთა მეორეული წარმოების საერთო მოდელში ექცევა -ებ-ი დაბოლოებით აწმყოში. განვიხილავთ აქტივთა უნიშნო ვნებითად მოქცევის მექანიზმს. ფუძეთა მიხედვით უნიშნო ვნებითების ორ ჯგუფს გამოყოფენ. ერთ ჯგუფში კარგად ჩანს უნიშნო ვნებითად მოქცეული აქტივის კვალი, ესენია: შეკრბების, დაშრტების, დადრკების და სხვა. შესაბამისი აქტივებია შეკრებს, დაშრეტს, დადრეკს... აქტივ-პასივთა ეს კავშირი კარგად არის ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურაში. აქტივები რთული შედგენილობის არიან: -ებ, -ეკ, -ეტ... ფუძესთან მიხორცებული მააქტივებელი ელემენტებია, რომლებიც მაპასივებელი -ებ-ი რთული სუფიქსის დართვის შედეგად ხმოვანს კარგავენ (*კრ-ებ-ებ-ი-ს → კრ-ბ-ებ-ი-ს).

„უნიშნო ვნებითთა“ მეორე ჯგუფს ვუწოდებთ დნების ტიპის პასივებს. ისინიც რთული შედგენილობის უნდა იყოს, თუმცა ეს ისე მკაფიოდ არ ჩანს, როგორც კრბების ტიპის ზმნებში, ამიტომაც მათ ფუძეებს მარტივად მიიჩნევენ. ისევე

---

* „აწმყოში უნიშნო ვნებითთა“ დამახასიათებელი -ებ-ი დაბოლოება მათი „მეორეული ნიშანია“ (გ.მაჭავარიანი).

როგორც არსებობს კრთების, მაგრამ აღარ შემორჩენილა** კრეთს აქტივი და ძნელდება -თ სუფიქსის მიჩნევა -ეთ სუფიქსის ნაშთად (შდრ. ცუ-ეთ-ს ~ ცუ-თ-ებ-ი-ს), ჭრების ზმნაშიც რთულდება -რ სუფიქსის მიჩნევა *-ერ სუფიქსის ნაშთად. ამ თვალსაზრისით სრულიად ბუნებრივია დნების პასივის ამოსავლად მივიჩნიოთ დ-ენ ფუძე, რომელიც გვაქვს ა-დ-ენ-ს აქტივში*; თავის მხრივ ადენს მიღებულია დ-ი-ს მეღიუმისგან. ამ მსჯელობის მიხედვით აშრობს, აქრობს და მისთანანი, რომლებიც დღეს „უნიშნო ვნებითთა“ კონვერსიულ აქტივებს წარმოადგენენ, გვიანდელია, მომხდარა *(ა)ქერს ტიპის აქტივთა -ობ თემისნიშნიან წარმოებაზე გადასვლა. ამ გაგებით აქტივთა და პასივთა ფორმები ან ა- მაკაუზებელი პრეფიქსით განსხვავდებოდნენ, ან, შესაძლოა, სულაც ემთხვეოდნენ ერთიმეორეს (აქტივისა და პასივის საზიარო დადგა ფორმასთან დაკავშირებით გ.მაჭავარიანი წერდა: „ვნებითისა და მოქმედებითის გაუდიფერენცირებლობა არქაული ვითარების გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს“ (გ.მაჭავარიანი, 1959, 101).

„უნიშნო ვნებითთა“ აქტივთაგან წარმომავლობაზე მიუთითებს კაუზაციის -ომ სუფიქსიც, რომელიც ზოგი თვალსაზრისით პასივთა სპეციფიკას წარმოადგენს: წყრ-ომ-ა (წყრების), ჯდ-ომ-ა (ჯდების), კუდ-ომ-ა (კვდების), შურ-ომ-ა (შურების) და სხვა (ა.შანიძე, 1973, 559; ი.იმნაიშვილი, ვ.იმნაიშვილი, 1996, II, 567). პასივებს საწყისი არა აქვთ, საკუთარი საწყისი მათ არ სჭირდებათ, რადგან კონვერსიული აქტივის სემანტიკას ატარებენ — ეს იგივე ქმედებაა, რაც კონვერსიულ აქტივშია წარმოდგენილი, ოღონდ სამოქმედო აქტანტის ასპექტით დანახული. -ომ სუფიქსიანი საწყისები აქტივისაა, აქტივთა პირიანი ფორმებისგან არის ნაწარმოები — აქტივთა პირიან ფორმებში დასტურდება: ა-შრ-ომ-ებ-ს, აკრთომებს, აწყრომებს... ეს უკანასკნელი დღემდე

** გ.მაჭავარიანს ეს ჯგუფიც რთული წარმოშობისად მიაჩნდა (გ.მაჭავარიანი, 1959, 102).

*** ძველ ქართულში ადენს ტიპის წარმოება ნაშთის სახითაა შემორჩენილი, გავრცელებული იყო ადინებს ტიპი.

შემორჩა იმერულ დიალექტს და სამწერლობო ენაშიც შემოვიდა აკაკი წერეთლისა და გიორგი წერეთლის თხზულებებიდან. ძველი ქართულის მიხედვით კარგად ჩანს, რომ ერთი და იმავე აქტივის საწყისში შესაძლებელია მაკაუზებელ -ომ, -ობ, -ოლ... ელემენტთა მონაცვლეობა, მაგ.: **კრთ-ომ-ა/კრთ-ობ-ა/კრთ-ოლ-ა; ჭრ-ობ-ა/ჭრ-ოლ-ა** და სხვა.

არსებობს „უნიშნო ვნებითთა“ (resp. შესაბამის კონვერსიულ აქტივთა) ფორმების წარმომავლობის განსხვავებული გაგება, კერძოდ: (1) „უნიშნო ვნებითები“ უძველესი, გვარის კატეგორიამდელი, დინამიკური ზმნებია, ე.ი. დაპირისპირება შეეძლო მხოლოდ სტატიკურ ფორმებთან (ქ.ლომთათიძე, 1953, 77); (2) სხვა თვალსაზრისით რომელიმე დრეკ ფუძე ისტორიულად ორმორფემიანია, {*დერ-ეკ} სახით წარმოდგებოდა მორფოლოგიურ სისტემაში, იგი რეალიზდებოდა ორნაირად: /დრ-ეკ/ სახით აქტივში, /დერ-კ/ სახით კი — პასივში. მაშასადამე, გვარის კატეგორიაში მის სახეობათა დაპირისპირება ხდებოდა აბლაუტით: ძირის ან სუფიქსის სრული გახმოვანების შემთხვევაში მეორე მორფემა ნულოვანი გახმოვანებით უნდა ყოფილიყო და შესაბამისად იცვლებოდა გვარიც: ძირის სრულ საფეხურზე წარმოდგენილი იყო პასივი, სუფიქსის სრულ საფეხურზე კი — აქტივი. ამ საფუძველზე ავტორები ასკვნიდნენ, რომ აქტივისა და პასივის ფორმები ერთიმეორისგან არ გამოიყვანება (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, 179-182). ზემოთ წარმოდგენილი ჩვენი თვალსაზრისით კი „უნიშნო ვნებითებიც“ აქტივთაგან იწარმოება, როგორც პასივთა სხვა ტიპები. აქაც აქტივთა პასივად გარდაქმნის საერთო წესი მოქმედებს — ესაა სუფიქსაცია -ებ-ი დაბოლოებით (უფრო ზოგადად — თემის ნიშანი+-ი სუფიქსი) აწმყოს მწკრივში; პრეფიქსიან ვნებითებს შეიძლება სხვა თემის ნიშანიც ჰქონდეს (ვიმალვი, ვიბმი და სხვა).

ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეხებით აბლაუტის საკითხს გვარის კატეგორიასთან დაკავშირებით.

ზმნათა ერთი რიგისთვის დამახასიათებელია ფუძის დრეკა (გრეხს ~ გრიხა), რაც გამოიხატება ფუძეში ე/ი მონაცვლეობით: ე გვაქვს აქტივთა აწმყოში, ი კი — წყვეტილში.

ეხება თუ არა ფუძის დრეკა გრამატიკულ მნიშვნელობებს იმდენად, რომ ის გამოცხადდეს ამა თუ იმ კატეგორიის ერთადერთ მახასიათებლად და ამ საფუძველზე მივიჩნიოთ კონკრეტული აბლაუტური სისტემის რეალიზაციად?

გრეხს ~ გრიხა დაპირისპირება, ანუ მორფოლოგიური სისტემის აწმყო ~ წყვეტილი დაპირისპირება მაშინ იქნებოდა აბლაუტის ძირითადი მახასიათებელი, მის გვერდით რომ არ იყოს წერს ~ წერა ტიპის წყვილები, რომელთაც არ ახასიათებს ფუძის დრეკა, მაგრამ აბსოლუტურად იმავე ტიპის დაპირისპირებას გვიჩვენებენ ყველა გრამატიკული პარამეტრის მიხედვით, რაც გრეხს ~ გრიხა დაპირისპირებაში გვაქვს. ამიტომ გრეხს ~ გრიხა წარმოადგენს წერს ~ წერა მიმართების ქვეტიპს: წერს ~ წერა წყვილში დაპირისპირება აწმყო ~ წყვეტილი ხდება სუბიექტური მესამე პირის -ს ~ -ა სუფიქსთა მორფოლოგიურად შეპირობებულ დამატებით დისტრიბუციაზე დამყარებით: -ს (S_3) სუფიქსით დაბოლოებული ფორმა აწმყოა, -ა (S_3) სუფიქსიანი – წყვეტილი. ეს წესი საერთოა წერს ~ წერა და გრეხს ~ გრიხა ტიპებისთვის. სწორედ ამიტომ ვუწოდეთ გრეხს ~ გრიხა დაპირისპირებას ქვეტიპი: ამ დაპირისპირებაში ფუძის დრეკა ჭარბი ნიშანია; ამით გამოეყო გრეხს ~ გრიხა ძირითად ჯგუფს, სადაც არსებითია -ს ~ -ა დაპირისპირება, რომელიც ყველა ჯგუფს მოიცავს. წერს ~ წერა ჯგუფისაა: ტეხს ~ ტეხა, კვეთს ~ კვეთა, ხვეტს ~ ხვეტა... ხოლო დრეკს ~ დრიკა ჯგუფისაა: გლეჯს ~ გლიჯა, ხვრეტს ~ ხვრიტა, წუმედს ~ წუმიდა და სხვა.

„უნიშნო ვნებითებსა“ და მათ შესაბამის აქტივებს ძველ ქართულში განიხილავენ როგორც ფუძედრეკადი ზმნებით წარმოდგენილ აბლაუტური სისტემის წევრებს. კონვერსიული მიმართება გვარის სახეობებს შორის – აქტივი ~ პასივი უთუოდ მწკრივის ფარგლებში ყალიბდება. თუ კონვერსიულ წყვილში სხვადასხვა მწკრივის ფორმებია გაერთიანებული, ისინი შეგვიძლია მიეიჩნიოთ მხოლოდ გვარის (resp. გარდამავლობის) მიხედვით დაპირისპირებული პარადიგმის წევრებად, მაგრამ არავითარ შემთხვევაში კონვერსიულ წყვილებად.

სანიმუშოდ ავიღოთ ძველი ქართულის წყვილები: **მდრეკს ~ ვდრკები** და **მდრიკა ~ ვდერკ**. უდავოა, რომ **მდრეკს** აქტივი ამოსავალია **ვდრკები** პასივისთვის. აქტივის გასმოვანებულ ფუძეს უპირისპირდება პასივის გაუხმოვანებელი ფუძე. **მიზეზიც სახეზეა** – ფუძის ხმოვნის (დრეკ) რედუქციას იწვევს მაპასიეებელი **-ებ-**ი დაბოლოების **-ებ** თემის ნიშანი; ამასვე ვერ ვიტყვით **მდრიკა~ვდერკ** დაპირისპირების წყვილთა შესახებ, რადგან არ ჩანს მწკრივის შიგნით **მდრიკა** აქტივის პასივად მოქცევის მორფონოლოგიური მექანიზმი: როგორ გადაიქცა **დრიკ** ფუძე **დერკ-ად**?

თუ გავიზიარებთ დებულებას, რომ პასივთა ფორმები მიღებულია აქტივთა გარდაქმნით მწკრივის ფარგლებში (რაშიც ეჭვის შეტანა შეუძლებელია ე.წ. რთულ უნიშნო ვნებითებთან დაკავშირებულ აქტივ-პასივთა ფორმების ურთიერთობის ფონზე: შრეტს ~ შრტების, კრებს ~ კრბების და სხვა), რომ საქმე გვაქვს ტიპურ კონვერსიასთან (აქტივი ~ პასივი დაპირისპირებაში პასივის ფუძე მიიღება ამ ტიპის ზმნათათვის გარდაქმნის საერთო წესით), მაშინ უთუოდ დგება ფუძისეული **ე** ხმოვნის საკითხი პასივთა ფორმებში (ვშერტ, ვკერბ, ვდერკ...): რას წარმოადგენს **ე ვდერკ** ტიპის ფორმებში? ვიმეორებთ, იგი არ გამოიყვანება წარმოდგენილი გარდაქმნის წესით.

აბლაუტის თეორიის მიხედვით (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965, 179) **დრეკ ~ დერკ** ოდენ მორფოლოგიური დაპირისპირებაა და ეს ფორმები ერთიმეორისგან არ გამოიყვანება. ისიც ცნობილია, რომ ისტორიულად აბლაუტი მორფონოლოგიური პროცესია, ოღონდ, აბლაუტის თეორიის ავტორთა აზრით, ძველ და თანამედროვე ქართულში სრული მორფოლოგიზაციის საფუძველზე ფონემატური მიზეზი აღარ ჩანს.

რაც შეეხება აბლაუტური სისტემის ისტორიულ საფუძველს, ვფიქრობთ, ასეთი სისტემის ყოველი კომპონენტი დიაქრონიულად გამართლებული უნდა იყოს, კერძოდ: *დერ-ეკ მორფემათა სავარაუდო მიმართება (მიმართება ძირეულ და სუფიქსურ მორფემებს შორის) რომ

ჩამოყალიბებულიყო დრეკ~დერკ მორფოლოგიურ დაპირისპირებათა სახით, ამისთვის უნდა დავუშვათ ამოსავალ დიაქრონიულ ჭრილში CVS-VC ურთიერთობაში ისეთი ფონეტიკური პროცესიც, რომლის დროს -VC სუფიქსში შესაძლებელი იყო ხმოვნის ჩავარდნა CVS მორფემის მომდევნოდ, ე.ი. ადგილი უნდა ჰქონოდა CVS-VC → CVSC პროცესს. ქართველურ ენებში კარგად არის ცნობილი CVS-VC → CS-VC(*კარ-ებ → კრ-ებ, მაგ., კრებს) პროცესი, მაგრამ უცნობია CVS-VC → CVS-C (ვთქვათ, კარ-ებ → კარ-ბ) პროცესი, რაც ხელს უშლის უკანასკნელი მორფონოლოგიური პროცესის რეკონსტრუქციას, ყოველ შემთხვევაში, ძველი ქართული ენა და თანამედროვე ქართული ენა ამ ფონეტიკურ ცვლილებას არ გვიჩვენებენ. ვფიქრობთ, ამიტომ არის, რომ აბლაუტის თეორიას ესაჭიროება რიგი დაშვებები, როგორიცაა შეუკუმშავი ფუძის განვრცობა (დრეკ-ენ), ხან კი, პირიქით, შეკუმშული ფუძის განვრცობა (მეგრ. დირკი) და სხვანი.

შევეცდებით, რომ სხვა გზით ავხსნათ ე ხმოვნის გაჩენა ვ-დერკ ტიპის პასივებში. ჩვენ იგი მიგვაჩნია ანაპტიქსურ ხმოვნად, რომელიც გაჩნდა პასივის პარადიგმის აწმყოდან აორისტში გადმოსულ გაუხმოვანებელ ფუძეში.

მსჯელობას ვიწყებთ კითხვით: ზმნურ პარადიგმათა ფარგლებში რა მიმართებაა პირველ და მეორე სერიათა შორის, კონკრეტულად აწმყოსა და აორისტის ფუძეებს შორის? როგორც წესი, ამ დროს იკარგება თემის ნიშანი, ფუძის დანარჩენი ნაწილები კი განსხვავებულად იქცევიან: (1) ყველა -ებ თემისნიშნიანი ზმნა აორისტში იჩენს -ე დაბოლოებას (მას თემასაც უწოდებენ), მიუხედავად იმისა, ფუძე გახმოვანებულია თუ არ არის გახმოვანებული: ვ-ბად-ებ ~ დავბადე, ვ-ცხებ ~ მოვცხე... ამ -ე სუფიქსს იჩენენ ა- პრეფიქსიანი პირველადი კაუზაციის გახმოვანებული და გაუხმოვანებელი ფუძეები: ვ-ა-ტირ-ებ ~ ვატირე, ვაგებ ~ ვაგე... კაუზაციური წარმოშობის აქტივებს კონვერსიულ პასივთა წარმოება განსხვავებული აქვთ: (ა) თუ პასივი ი- ან ე- პრეფიქსით იწარ-

მოება, მათაც -ე სუფიქსი ექნებათ წყვეტილში: აღვიგე, აღვინთე და სხვ.; (ბ) თუ პირველადი კაუზატივის ფუძე გახმოვანებულია, მაშინ პასივი –ენ ~ -ნ ან -დ სუფიქსებით იწარმოება: გან-ვ-კაც-ენ, გან-კაც-ნ-ა, გან-ვ-მართლ-დ-ი, გან-მართლ-დ-ა და სხვა. -დ სუფიქსის მომდევნოდ პირველ და მეორე პირებში აუცილებელია -ი დაბოლოება (განვმართლ-დ-ი, გან-ჰ-მართლდ-ი), რომელიც მიჩნეულია ანაპტიქსურ ხმოვნად (ი.იმნაიშვილი, ვ.იმნაიშვილი, 1996, I, 351). წარმოდგენილი მსჯელობიდან არსებითია ისიც, რომ ფუძეები უცვლელად გადადიან აწმყოდან აორისტში: თუ აწმყოში ფუძე გაუხმოვანებელია, ასევე იქნება აორისტში, თუ გახმოვანებულია, აორისტშიც გახმოვანებული იქნება.

(2) -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნებს თუ ფუძე გახმოვანებული აქვთ, აორისტში თემის ნიშანს კარგავენ და იჩენენ -ე სუფიქსს: ვ-მალავ ~ ვ-მალე... თუ ძირი გაუხმოვანებელია, აორისტში -ე სუფიქსი არ გაუჩნდება ერთი რიგის ზმნებს, როგორიცაა: ვ-წუ-ავ ~ და-ვ-წუ-ი, ვ-სუამ ~ შევსუი (// შევსუ), ვთქუამ ~ ვთქუი (// ვთქუ); ვარტყამ ~ ვარტყი და სხვ.; მაშასადამე, ამ ტიპის ზმნებშიც აწმყოს გაუხმოვანებელი ფუძეები თემის ნიშნის მოცილების შემდეგ გაუხმოვანებლადვე გადადიან აორისტში და იჩენენ -ი დაბოლოებას (ანაპტიქსურ ხმოვანს), რომლის ფუნქცია არის თანხმოვანთა კომპლექსების რეალიზაცია გრამატიკული ფორმის ბოლოში. ამ -ი დაბოლოების აუცილებლობა უფრო თვალსაჩინო გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველ და მეორე პირთა მრავლობით რიცხვში ფორმებს ერთვის -თ სუფიქსი, რომელიც არაბუნებრივ კომპლექსებს ქმნის ნებისმიერი თანხმოვნის მომდევნოდ პაუზის წინ.

დავუბრუნდეთ ფუძედრეკად აქტივებსა და მათ კონვერსიულ პასივებს: ფუძედრეკადი აქტივებიც აორისტში იჩენენ -ე სუფიქსს. სწორედ მას მიეწერება ფუძის დრეკა დიაქრონიულ ასპექტში. ამათი კონვერსიული პასივები კი, ზემოთ ნაჩვენები წესის მიხედვით, გაუხმოვანებელი ფუძეებით გადადიოდა აორისტში, მაშასადამე, აწმყოს ვ-დრკ-ებ-ი, ს-დრკ-ებ-ი,

დრკ-ებ-ი-ს ფორმები აორისტის I და II პირებში უნდა გადასულიყო ვ-დრკ-, ს-დრკ- სახით. მათი ამ სახით წარმოდგენა კი უხმოვნობის გამო შეუძლებელი იყო. ენას გააჩნდა სხვადასხვა საშუალება მათ გასახმოვანებლად: (1) **ერთ-ერთი გზა იყო ზმნისწინით გახმოვანება.** ზმნისწინის ამ ფუნქციას — გააადვილოს მორფემათა არანჟირების წესებით შექმნილი არაბუნებრივი ფონემატური კომპლექსების წარმოთქმა, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა: ზმნისწინმა გადაარჩინა პირდაპირი ობიექტის მესამე პირის ნიშანი I სერიის ფორმებში, კერძოდ, ქადაგებს ტიპის ზმნებში ძველ ქართულში (იხ. ზემოთ, გვ.28); ჰ.ფოგტი კრბ- (უნიშნო ვნებითის კრბების) კომპლექსის რეალიზაციასთან დაკავშირებით წერდა: „ჩვენ მოგვიხდება ჩვენს სიაში ისეთი ჯგუფების შეტანა, რომლებიც არ არიან უშუალოდ დადასტურებული, მაგრამ რომელთა არსებობის დადგენა შეიძლება სხვა დამოწმებული ფორმებით, ასე მაგალითად: ძველი ტექსტები შეიცავენ ზმნის კრება პირველადი პასივის ბევრ მაგალითს ნულოვანი ვოკალიზმით, მაგრამ ფორმები ყოველთვის დასტურდება ზმნისწინით როგორც აწმყოში, ისე აორისტში (საზი ყველგან ჩემია — თ. უ.). ვინაიდან ზმნისწინის ქონა-არქონა არაა დამოკიდებული ფონემატური ფაქტორებისგან, ჩვენ ვიხილავთ მოსალოდნელი კრბ-ების, კრბ-ა და ა.შ. უქონლობას, როგორც შემთხვევითს...“ (ჰ.ფოგტი, 1961, 15).

უნიშნო ვნებითებთან დაკავშირებით ანალოგიურ განცხადებას აკეთებენ თ.გამყრელიძე და გ.მაჭავარიანი: „ძველ ქართულში (და ახალ ქართულშიც) აორისტის ფორმები ჩვეულებრივ პრევერბს დაირთავენ. მაგრამ ისტორიულად პრევერბი არ არის ზმნის ორგანული ნაწილი. ჩვენთვის ამჟამად საინტერესო საკითხის გასარკვევად პრევერბს მხედველობაში არ ვიღებთ“ (თ.გამყრელიძე, გ.მაჭავარიანი, 1965,180).

ზმნისწინის აუცილებლობა გაუხმოვანებელი ფუძეების წინ არ არის „შემთხვევითი“ ფაქტი ან მნიშვნელობას მოკლებული მორფონოლოგიური პროცესებისთვის: ზმნისწინის ხმოვანს მისი მარცვლის იმპლოზიურ ნაწილში

მიაქვს გაუხმოვანებელი ფუძის თანხმოვანი/თანხმოვნები დამარცვლის ქართული წესების დაცვით და ამით ხელს უწყობს გაუხმოვანებელ ფუძეთა რეალიზაციას (შეკრ-ბე-ბის, შეკრ-ბა და სხვა). ზმნისწინი ამ თვალსაზრისით საკმარისი იყო აორისტის III პირში, სადაც ფორმათა ბოლოში ჩნდება S_3-ის -ა და S_3^P-ის -ეს ხმოვნიანი სუფიქსები (შეკრბ-ა, შეკრბ-ეს), I და II პირებში კი ფორმათა ბოლოს გრამატიკული წესებით რაიმე ხმოვანი არ ივარაუდება, თანაც ფუძისეული კომპლექსები გართულებული იყო S_1-ისა და S_2-ის ნიშნებით (შე-ვ-კრბ-, შე-ჰ-კრბ-), რაც ფორმათათვის აუცილებელს ხდიდა მეორე ხმოვნის გაჩენას, რომელიც ზმნისწინის ხმოვანთან გაიყოფდა მორფემათა საზღვრებზე დაგროვებულ ხმოვნებს (ვ-კრ-ბ, ჰ-კრ-ბ).

ქართულ ენაში ამ მიზნით უძველესი პერიოდიდან მოყოლებული ხშირად გამოიყენებოდა ი ხმოვანი: უწყვეტელში სავრცობსა და მრავლობითობის -თ სუფიქსს შორის (ვწერდ-ი-თ), დ'ონიან პასივებში გვარის სუფიქსის მომდევნოდ (განვმართლდი), ზოგჯერ აორისტის ფორმებში -ენ სუფიქსის მომდევნოდ აქტივთა და პასივთა ფორმებში (დავმალენით, დავიმალენით) და სხვა. შექმნილ სიტუაციაში, რომელიც ზემოთ იყო წარმოდგენილი უნიშნო ვნებითებთან დაკავშირებით, მოსალოდნელი იყო ეს გავრცელებული ანაპტიქსური ი ხმოვანი, რაც იყო კიდეც რეალიზებული უნიშნო ვნებითთა ზოგიერთ ფორმაში, როგორიცაა: შთავარდი (I და II პირებში), დავბრმი, დაჰბრმი, წარვწყმდი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ I და II პირთა ფორმებს მრავლობით რიცხვში ბოლოს უნდა დართვოდა -თ სუფიქსი, თანხმოვანთგამყარი ხმოვანი აუცილებელი იყო.

ახალი ქართულის -ი სუფიქსი უნიშნო ვნებითთა ბოლოს ისტორიული -ი ანაპტიქსური ხმოვნით დაბოლოებული ფორმებისგან მომდინარეობს: რომელიმე მოვკუედ ვერ მოგვცემდა მოვკვდი ფორმას (მოვკუედით ფორმის ი ანაპტიქსური ხმოვანია და ფუძის ხმოვნის რედუქციას ვერ გამოიწვევს). ეს ფორმა მოვკვდი ისტორიულია; შემთხვევითი არ არის, რა თქმა

უნდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ერთიმეორის გვერდით გვხვდება მოვკვდი და მოვკვე (← მოვკვედ); ამათ გვერდით ძველი დავშთი ფორმის ადგილი უკავია დავრჩი ფორმას, რომლის -ი ანაპტიქსური ხმოვანია („რათგან დავრჩი, გვაღე, ვნახოთ“ 900, 4); „ქართლის ცხოვრება“ იცნობს დავშთი ფორმას, რომელიც უთუოდ დავშედ ფორმის პარალელურად არსებობდა, რადგან დავშედ ფორმა ვერ მოგვცემს გვიანდელ დავრჩი ფორმას (შდრ. ძვ. ქართულის დავშედით, განვტეფით... ტიპის ფორმები, სადაც ანაპტიქსური ი ხმოვანი, რომლის გაჩენა გამოიწვია ფუძის მომდევნოდ -თ სუფიქსის დართვამ, მოკლებულია რედუქციის უნარს).

გარდა ანაპტიქსური ი ხმოვნისა აქტივებში იყო ანაპტიქსური ე და ა ხმოვნებიც, კერძოდ, აწმყოსა და აორისტში I და II პირებში უძველესია გაუხმოვანებელი რცხ ფუძე: განვ-რცხ-ი (I), განჰ-რცხ-ი (II) — ეს ფორმები ამ პირებში საზიაროა აწმყოს, აორისტისა და II ხოლმეობითის მწკრივებისთვის. ეს რცხ უძველესი ფუძეა, რასაც ადასტურებს მეგრულისა და სვანურის ჩვენებაც. გვიან ფუძეში გაჩნდა ანაპტიქსური ე ხმოვანი: რცხ/რეცხ. გახმოვანებისთანავე წყვეტილში გაუჩნდა -ე სუფიქსი, თანახმად არსებული წესისა (იხ. ზემოთ): გავრეცხე, გაჰრეცხე; რთხ ფუძეც გაუხმოვანებელი იყო აწმყოში განართხამს (განართხმიდეს), წყვეტილშიც გაუხმოვანებლად გადადიოდა — განირთხ („განირთხ ჴელი შენი“ მ. 12, 13), C-ში წარმოდგენილია ანაპტიქსური ა ხმოვნით: განი-რათხ.

აქტივთა გაუხმოვანებელ ფუძეთა აწმყოდან აორისტში გაუხმოვანებლად გადასვლის მაგალითებია ესენიც: შთანთქ, შთაასხ. არაბუნებრივმა ნთქ კომპლექსმა განაპირობა შთაზმნისწინის ფუძესთან მიხორცება და ფუძეც გახმოვანდა (შთანთქ), ამის შემდეგ ამ ფუძესაც წყვეტილში, თანახმად წესისა, გაუჩნდა -ე სუფიქსი: ვ-შთანთქ-ე (I), შთანთქე (II); (უფრო ძველია შთახ-ნთქ, შთავ-ნთქ).

უნიშნო ვნებითებში ანაპტიქსური ი იწვევდა წყვეტილის ფორმათა დამთხვევას II ხოლმეობითის ფორმებთან: შთავარდი წყვეტილიც არის და II ხოლმეობითიც, ასევე წარ-

ვწუმდი, დავშთი... უნდა ვიფიქროთ, რომ ანაპტიქსური ე უნიშნო ვნებითთა წყვეტილის ფორმებში (ვ-დერკ, ვ-შერტ...) ცალსახად ასხვავებდა მათ მეორე ხოლმეობითის ფორმებისგან (მესამე პირები ისედაც გარჩეული იყვნენ). ამას უნდა მიეწეროს ძველ ქართულში ანაპტიქსურ ე- ხმოვნიან ფორმათა სიჭარბე ანაპტიქსურ ი- ხმოვნიან ფორმებთან შედარებით. -ი ხმოვნით დაბოლოებული ფორმები იმიტომ ემთხვეოდა ერთიმეორეს აღნიშნულ ორ მწკრივში, რომ ფუძე გაუხმოვანებლად იყო გადმოსული აწმყოდან (თუმცა -ი ხმოვანს წყვეტილისა და II ხოლმეობითის ბოლოს გრამატიკულად სრულიად სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა).

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ ანაპტიქსურ ხმოვანთა სიხშირე ქართულ დიალექტებში, როგორიცაა მთის დიალექტების მაქვის, მყავის, მწადის (ეს უკანასკნელი ძველ ქართულშიც გვხვდებოდა); სხვა დიალექტებში თანხმოვანთა კომპლექსებიდან კომპონენტები იკარგება: მაქ „მაქვს“, მყავ, მყამ „მყავს“ და სხვა, რამაც მოხსნა ანაპტიქსური ხმოვნის საჭიროება.

გვარის კატეგორიის არაორდინალური ფორმები

აქტივთა პასივად მოქცევას განსაზღვრული წესები აქვს — კონვერსიის პრინციპები, კერძოდ: (1) პასივად მოქცევისას აქტივის სუბიექტი იკარგება გრამატიკულად, ე.ი. ზმნაში აღარ არის მარკირებული; (2) აქტივის პირდაპირი ობიექტი სუბიექტად მოიქცევა; (3) ირიბი ობიექტი უცვლელად გადადის აქტივიდან პასივში. ეს საყოველთაო პრინციპები ქართულ ზმნასაც აკმაყოფილებს — არაპერფექტულ აქტივთა კონვერსიულ პასივებთან მიმართებაში.

ქართულ ენაში გვაქვს ისეთი პასივებიც, რომლებიც ამ პრინციპით ვერ მიიღება აქტივთაგან, კერძოდ, ესენია პასივთა ისეთი ფორმები, რომლებშიც წარმოდგენილია სუბიექტისა და ირიბი ობიექტის I და II პირთა კომბინაციები, როგორიცაა: $S_1O_2^{ind}$, $S_2O_1^{ind}$; $S_1PO_2^{ind}$ და სხვა — სულ რვა კომბინაცია.

რადგან პასივთა სუბიექტი მოდის აქტივის პირდაპირი ობიექტიდან (იხ. მეორე პრინციპი), სამპირიან აქტივში ერთიმეორის გვერდით უნდა გვევარაუდა პირდაპირი ობიექტისა და ირიბი ობიექტის I და II პირთა კომბინაციები, მაგ., $S_3O_1^dO_2^{ind}$, $S_3O_2^dO_1^{ind}$; $S_3O_1^dPO_2^{ind}$ და ა.შ., რაც არა გეხვედება ქართულ ზმნაში. აქტივში თეორიულად თექვსმეტი კომბინაცია იქმნება ასეთი. ამ რიგის სამპირიან აქტივებში სუბიექტი ყოველთვის მესამე პირშია და მხოლოდ რიცხვის მიხედვით იცვლება (ფორმაში წარმოდგენილია S_3 ან S_3P). სუბიექტი მესამე პირს ვერ შეიცვლის, რადგან დაემთხვევა პირველი ან მეორე პირის რომელიმე ობიექტის რომელობას, რაც აგრეთვე აკრძალულია, ე.ი. არ შეიძლება $S_2O_1^dO_2^{ind}$ ან $S_1O_1^dO_2^{ind}$ და ა.შ. – პირველი პირი სუბიექტადაც და ობიექტადაც გამორიცხულია; ეს ეხება მეორე პირებსაც, მხოლოდ მესამე პირებს შეუძლიათ თანაარსებობა სუბიექტისა და ობიექტის კომბინაციებში.

ზემოთ წარმოდგენილი ვითარების მიხედვით ცხადია, რომ ორპირიანი **მეხმარები, გეხმარები; მეხატები, გეხატები; მეჩვენები, გეჩვენები** და სხვა მსგავსი პასივები, სადაც თავს იყრის სუბიექტისა და ირიბი ობიექტის I და II პირების კომბინაციები, არაორდინალური ფორმებია, რადგან მათი მიღება სამპირიან აქტივთაგან კონვერსიის სამი პრინციპის მიხედვით შეუძლებელია. ამიტომ ვუწოდებთ მათ არაორდინალურ პასივებს (ორდინალურ ორპირიან პასივებს გვერდით უდგას სამპირიანი აქტივები, როგორც გათვალისწინებულია კონვერსიულ გარდაქმნათა პრინციპებით).

არაორდინალური პასივებიც, რა თქმა უნდა, აქტივთაგან არიან ნაწარმოები, რამდენადაც ყველა პასივი მეორეული ფორმაა და ამოსავალი აქტივი უთუოდ უნდა არსებობდეს ენაში; ამას ისიც ადასტურებს, რომ არაორდინალური პასივები ისევე არიან მარკირებული, როგორც კანონიკური პასივები (შდრ. მეხმარება, გეხმარება, Ø-ეხმარება და სხვა). მაშასადამე, საჭიროა იმ აქტივთა მიგნება, რომელთა კონვერსიითაც არიან მიღებული არაკანონიკური პასივები.

ბუნებრივია, საკითხის კვლევა დავიწყოთ იმით, არსებობდა თუ არა ენაში ისეთი სამპირიანი აქტივები, რომელთაც ერთი ობიექტი ჰქონდათ I პირში, მეორე ობიექტი კი — II პირში. ასეთი სამ ათეულამდე ფორმაა ცნობილი ძველი ქართულიდან (ი.იმნაიშვილი, 1971, 318, 319; ლ.შალვაშვილი, 1992). განვიხილავთ ზოგიერთს: **მო-მ-ც-ეს მე შენ მათ** (ე.ი. მათ ჩემი თავი მოგცეს შენ), **მიჩუენა მე შენ მან, მოგუცნა თქუენ მან ჩუენ** და სხვა. ეს ფორმები პირთა ასეთი კომბინირებით უჩვეულო იყო ძველი ქართულისთვისაც (ახალ ქართულში საეროდ არ გვხვდება გამონაკლისის სახითაც), მაგრამ სრულიად ბუნებრივი იყო იგივე ფორმები, თუ პირდაპირი ობიექტი იდგა III პირში: **მომცეს მე იგი მათ, მიჩუენა მე იგი მან, მოგუცნა მან ჩუენ იგინი** და სხვა.

როცა საჭირო იყო, რომ I პირის ირიბი ობიექტის გვერდით ევარაუდათ II პირის პირდაპირი ობიექტი, გარდა ზემოთ მოყვანილი ფორმებისა, ენა მიმართავდა ირიბის გადაყვანას პირმიუმართავ აქტანტად: **მომტაცეს მე შენგან** (შდრ. მომტაცეს მე შენ) — აქ I პირში დგას პირდაპირი ობიექტი. ამ გზით ნებისმიერ სამპირიან აქტივში შეგვიძლია ირიბი გადავიყვანოთ უბრალო ობიექტად, ვთქვათ: **მიმტაცა შენ ჩემგან**; შდრ. **მიმტაცა შენ მე მან** — აქ „მე“ ირიბი ობიექტია და ა.შ.

ძველი ქართულის იმ ფორმებს, რომელთაც პირდაპირი ობიექტი ჰქონდათ II პირში, ხოლო ირიბი I პირში, შეეძლო მოეცა ისეთი პასივები, რომელთაც ჩვენ ვუწოდეთ არაორდინალური; მაგალითად: **მომცეს მე შენ მათ ~ მომეც მე შენ**; თუ ირიბსა და პირდაპირ ობიექტებს შევუცვლით რომელობის ინდექსებს, მაშინაც მივიღებთ არაორდინალურ პასივს: **მომცეს მათ მე შენ ~ მოგეც მე შენ** (ანუ „მოცემულ ვიქმენ შენთვის“); **მიჩუენა** (მან მე შენ) ~ **მეჩუენე** (მე შენ) და სხვა. გასათვალისწინებელია, რომ **მიჩუენა** ტიპის ფორმებს შეიძლება ორნაირი გაგება ჰქონდეთ: (1) **მიჩუენა მან მე შენ** ($S_3O_1^{ind}O_2^{d}$) და (2) **მიჩუენა მან მე შენ** ($S_3O_1^{d}O_2^{ind}$). პირველ შემთხვევაში ივარაუდება „მიჩუენა მან მე შენი თავი“, მეორე შემთხვევაში — „გიჩვენა მან შენ

ჩემი თავი“. „მიჩუენა“ ფორმას კიდევ ორი განსხვავებული გაგება შეიძლება ჰქონდეს: (3) **მიჩუენა მან მე იგი** და (4) **მიჩუენა მან მე მას**. ფორმები, რომლებიც სრულიად განსხვავებულია გრამატიკულად, გამოხატულების პლანში ერთიმეორეს ემთხვევა იმიტომ, რომ ობიექტთა კომბინაციაში ყოველთვის მარკირებულია მცირე ინდექსით წარმოდგენილი „უმცროსი“ (ი.იმნაიშვილის ტერმინია. იხ. ი.იმნაიშვილი, 1971, 319), ე.ი. ობიექტთა 12 (პირველი, მეორე) კომბინაციაში მარკირებულია 1- (პირველი), 23 კომბინაციაში კი აღინიშნება 2- (მეორე პირის ობიექტი). მნიშვნელობა არა აქვს ობიექტთა გვარობას – პირდაპირია თუ ირიბი, მარკირებისთვის არსებითი უმცროსობაა რომელობის ინდექსის მიხედვით.

თანამედროვე ქართულში აღარც ის იშვიათი სამპირიანი ფორმები გვხვდება. სავარაუდოა, რომ ისინი ძველ ქართულშივე ხელოვნური იყო – მწიგნობართა მიერ შექმნილი ან კალკირებული სხვა ენიდან. ასეთი ფორმების ადგილზე დღეს გვაქვს ისეთი სამპირიანი აქტივები, რომელთაც პირდაპირ ობიექტად აქვთ კუთვნილებითი ნაცვალსახელებით (ჩემი ან შენი; ჩვენი ან თქვენი) განსაზღვრული უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი: **მომცა მან მე შენი თავი, მოგცა მან შენ ჩემი თავი** და სხვ. ძველი ქართულის ნორმაც შეიცვალა: რადგან ფორმებში დღეს პირცვალებადი მხოლოდ ირიბი ობიექტია, ზმნაშიც მხოლოდ მისი ნიშანია წარმოდგენილი (თავი ნაცვალსახელი წარმოადგენს O_3^d-ს); I პირში **მ-**, მეორეში – **გ-** პრეფიქსი (შდრ. ძვ. ქართული: **მომცა მან მე შენ** – $S_3O_1^{ind}O_2^d$ და **მომცა მან მე შენ** – $S_3O_1^dO_2^{ind}$ – ორივეგან პირველი პირის ობიექტია გამოხატული, მაგრამ პირველ შემთხვევაში ირიბი, მეორე შემთხვევაში კი პირდაპირი).

ჩემი, შენი; ჩვენი, თქვენი განსაზღვრების მქონე უკუქცევითნაცვალსახელიანი სამპირიანი ფორმები იძლევა არაორდინალურ პასივებს: **მეხმარები ~ მახმარებს ის მე შენ თავს, გეხმარები ~ გახმარებს ის შენ ჩემ თავს** და სხვ., მაშასადამე, აქტივის მესამე პირის უკუქცევითი თავი

პირდაპირი ობიექტის მოქცევა პასივის I ან II პირის სუბიექტად ხდება კუთვნილებითი ნაცვალსახელებით გამოხატულ განსაზღვრებათა მიხედვით: (1) თუ უკუქცევით ნაცვალსახელს I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი აქვს განსაზღვრებად, პასივში ის სუბიექტურ პირველ პირად (S_1) მოიქცევა, მაგალითად: **მან შენ დაგიბრუნა ჩემი თავი ~ შენ დაგიბრუნდი მე**; (2) თუ უკუქცევით თავი ნაცვალსახელს მრავლობით რიცხვში დასმული II პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი აქვს მსაზღვრელად, კონვერსიულ პასივში ის მოიქცევა S_2^P-დ; მაგალითად: **მან მე დამიბრუნა თქვენი თავი ~ მე დამიბრუნდით თქვენ** და ა.შ.

ქცევის კატეგორიის არაორდინალური ფორმები

ქცევის კატეგორიაში პირველადი დაპირისპირების წყვილებია ნეიტრალური და სასხვისო ქცევის ფორმები. სათავისო ქცევა, განკუთვნების ერთ-ერთი ქვესახეობა, შედარებით გვიანდელი ჩანს. იგი განვითარებული გონების შექმნილია, ქცევის საკმაოდ რთულ სახეობას წარმოადგენს — მიღებულია რეციპიენტის კორეფერენციით სუბიექტთან, რაც განხორციელებულია კონვერსიის განსაზღვრული პრინციპებით, კერძოდ, სასხვისო ქცევა → სათავისო ქცევა გარდაქმნისთვის საჭიროა, რომ

(1) დაიკარგოს სასხვისო ქცევის სამპირიანი აქტივის სუბიექტი;

(2) სასხვისო ქცევის ირიბი ობიექტი (რეციპიენტი) მოიქცეს სათავისოს სუბიექტად;

(3) სასხვისო ქცევის პირდაპირი ობიექტი უცვლელად გადაიდეს სათავისო ქცევაში.

სასხვისო ქცევის სიმბოლოა $Vers^o$ (o ინდექსი მიუთითებს **საობიექტო ვერსიაზე**), სათავისო ქცევის სიმბოლო იქნება $Vers^s$ — სასუბიექტო ვერსია. ქცევის კატეგორიაში კონვერსიული გარდაქმნის [**საობიექტო ქცევა** → **სასუბიექტო ქცევა** ($Vers^o$ → $Vers^s$)] ფორმულა მიიღებს

ასეთ სახეს $SO^{ind}O^{d} \rightarrow SO^{d}$: უსხამს ის ($S_3$) მას ($O_3^{ind}$) ღვინოს ($O_3^{d}$) → ისხამს ის ($S_3$) ღვინოს ($O_3^{d}$).

სათავისო ქცევის სუბიექტი კონვერსიული სასხვისო ქცევის ირიბი ობიექტია – ისინი ერთსა და იმავე რეციპიენტზე მიუთითებენ: დავითს უსხამს ღვინოს → დავითი ისხამს ღვინოს. ქვემოთ განვიხილავთ სასხვისო და სათავისო ქცევის ფორმათა კონვერსიულ მიმართებებს.

I. კონვერსიაში (სასხვისო ქცევა → სათავისო ქცევა) სამპირიანი ზმნის სუბიექტი ($SVers^{o}$) იკარგება, სათავისო ქცევის ერთი ფორმა შეიძლება მივიღოთ სასხვისო ქცევის ოთხი ან ექვსი ფორმისგან, რომელთა O^{ind} O^{d} ემთხვევა ერთიმეორეს. ფორმათა რაოდენობა უდრის დაკარგულ სუბიექტთა რაოდენობას:

		$Vers^{O}$			$Vers^{S}$
მე	(S_1)	ვ-უსხამ	მას (O_3^{ind})	ღვინოს (O_3^{d})	~ისხამს ის(S_3) ღვინოს (O_3^{d})
შენ	(S_2)	Ø-უსხამ	მას	ღვინოს	
ის	(S_3)	უსხამ-ს	მას	ღვინოს	
ჩვენ	(S_1^{P})	ვ-უსხამთ	მას	ღვინოს	
თქვენ	(S_2^{P})	Ø-უსხამთ	მას	ღვინოს	
ისინი	(S_3^{P})	უსხამ-ენ	მას	ღვინოს	

სასხვისო ქცევის ექვსივე ფორმის სუბიექტი დაიკარგა სათავისოდ მოქცევისას; $O_3^{ind}(Vers^{o})$ იქცა $S_3(Vers^{s})$-დ, პირდაპირი ობიექტი კი უცვლელად გადავიდა სასხვისო ქცევიდან სათავისოში. სასხვისო ქცევის ექვსმავე ფორმამ სათავისოდ გარდაქმნით ერთი და იგივე ფორმა მოგვცა, რადგან სუბიექტის დაკარგვის შემდეგ ქცევის განსხვავებულ ფორმებში ერთი და იგივე აქტანტები მიემართებიან ერთიმეორეს [$O^{ind}(Vers^{o})$ → $S(Vers^{s})$, O^{d} კი უცვლელია].

როცა სასხვისო ქცევის რეციპიენტი I ან II პირია, ბუნებრივია, ფორმაში არ იქნება S_1 ან S_2, შესაბამისად იმისა, რომელ პირშია სასხვისო ქცევის რეციპიენტი; ასევე გამო-

რიცხულია S_1^P და S_2^P-ც: ერთ ფორმაში ორი პირველი ან ორი მეორე პირი დაუშვებელია. ამ აკრძალვათა შემდეგ სასხვისო ქცევის ოთხი ფორმა მოგვცემს სათავისოს ერთ ფორმას.

II. სასხვისო ქცევის სამპირიანი აქტივის ობიექტთა პირცვალებადობა-პირუცვლელობა განსაზღვრავს კონვერსიულ სათავისო ქცევის ფორმათა სუბიექტური და ობიექტური წყობის ფორმებს.

(ა) თუ სასხვისო ქცევის აქტივის ფორმაში პირცვალებადია ირიბი ობიექტი, კონვერსიული სათავისო ქცევის ფორმები სუბიექტური წყობისა იქნება:

	$Vers^O$		$Vers^S$
I	**და-მ-ი-ყენ-ა**	→	**და-ვ-ი-ყენ-ე**
	(მან მე ის მოჯამაგირედ)		(მე ის მოჯამაგირედ)
II	**და-გ-ი-ყენ-ა**	→	**და-Ø-ი-ყენ-ე**
III	**და-Ø-უ-ყენ-ა**	→	**და-ი-ყენ-ა** და ა.შ.

რადგან იცვლებოდა $O^{ind}(Vers^o)$ პირი, შესაბამისად იცვლებოდა $S(Vers^s)$-ის პირიც.

(ბ) თუ სასხვისო ქცევაში პირცვალებადია პირდაპირი ობიექტი, კონვერსიული სათავისო ქცევის ფორმები ობიექტური წყობისა იქნება:

	$Vers^o$		$Vers^s$
I	**და-მ-ი-ყენ-ა**	→	**და-მ-ი-ყენ-ა**
	(მან მე მას მოჯამაგირედ)		(მან მე მოჯამაგირედ)
II	**და-გ-ი-ყენ-ა**	→	**და-გ-ი-ყენ-ა**
III	**და-Ø-უ-ყენ-ა**	→	**და-ი-ყენ-ა** (**და-Ø-ი-ყენ-ა**)

რადგან $O^{ind}(Vers^o)$ყველგან მესამე პირია, შესაბამისად $S(Vers^s)$-იც ყველგან მხოლოდ მესამე პირია (დამიყენ-ა, დაგიყენ-ა, დაიყენ-ა), პირდაპირი ობიექტი კი ორივე ვერსიაში

(სასხვისოსა და სათავისოში) პირცვალებადია და ერთნაირად არის პირთა მიხედვით წარმოდგენილი შესაბამისი პრეფიქსებით (დამიყენა, დაგიყენა, და-Ø-იყენა).

აქამდე ვიხილავდით სასხვისო და სათავისო ქცევათა ორდინალურ ფორმებს. მათ ვიღებდით $SO^{ind}O^{d}Vers^{o} \rightarrow SO^{d}Vers^{s}$ კონვერსიული გარდაქმნის საფუძველზე. მათი მიღება, ბუნებრივია, შეიძლება შებრუნებული მიმართულებითაც: სათავისო ქცევა → სასხვისო ქცევა; მაგალითად: ვისხამ (მე ღვინოს) → მისხამს ის (მე ღვინოს) – სათავისო ქცევის სუბიექტი მოიქცა სასხვისო ქცევის ირიბ ობიექტად (ქცევის ამ ფორმებში ისინი ერთსა და იმავე რეციპიენტზე მიუთითებენ), პირდაპირი უცვლელად რჩება (ეს აუცილებელი პირობაა კონვერსიისა ქცევაში), სასხვისო ქცევაში შემოდის ახალი სუბიექტი:

ვისხამ – $S_1O_3^{d}(Vers^{S}) \rightarrow S{+}O_1^{ind}O_3^{d}(Vers^{o})$ მისხამს

მიღებული სასხვისო ქცევის ფორმულა მოცემულ შემთხვევაში გადაიწერება ოთხი სახით სუბიექტის იმ სახეობათა მიხედვით, რომლებიც შემოდის კონვერსიული სასხვისო ქცევის ფორმებში: $S_2O_1^{ind}O_3^{d}(Vers^{o})$, $S_2{}^{P}O_1^{ind}O_3^{d}(Vers^{o})$, $S_3O_1^{ind}O_3^{d}(Vers^{o})$ და $S_3{}^{P}O_1^{ind}O_3^{d}(Vers^{o})$. S_1 სასხვისო ქცევის ფორმებში გამორიცხულია, რადგან მათ აქვთ O_1^{ind}.

*

* *

ქცევის იმ ფორმებს, რომლებიც სასხვისოდან სათავისოში (ან პირუკუ) გადასვლის ორდინალურ ფორმალურ გარდაქმნას არ ექვემდებარებიან, ვუწოდებთ ქცევის არაორდინალურ ფორმებს. ესენია სათავისო ქცევის ის ფორმები, რომლებშიც წარმოდგენილია I და II პირთა კომბინაციები და მათი კონვერსიული სასხვისო ქცევის ფორმები, კერძოდ: დამიყენე (შენ მე მოჯამაგირედ), დაგიყენე (მე შენ მოჯამაგირედ) და სხვა. ამ ტიპის სათავისო ქცევის ფორმებს სამპირიან სასხვისო ქცევის ფორმად მოქცევისას უნდა

წარმოექმნა ობიექტთა I და II პირის კომბინაციები, რაც შეუძლებელია ქართულ ენაში. თეორიულად ეს ნიშნავს ასეთ გარდაქმნას: $S_2O_1^d(Vers^S)$ (დამიყენე შენ მე მოჯამაგირედ) → $*S_3+O_2^{ind}O_1^d(Vers^o)$. თეორიულად გამოყვანილი სასხვისო ქცევის რეალიზაცია ქართულში არ ხდება, რადგან სამპირიან აქტივში არ დაიშვება ობიექტების I და II პირთა კომბინაციები ($O_1^{ind}O_2^d$, $O_2^{ind}O_1^d$, $O_1^{indp}O_2^d$ და ა.შ.), ე.ი. არ არსებობს აქტივები, როგორც $S_3O_2^{ind}O_1^d(Vers^o)$, ისე $S_3PO_2^{ind}O_1^d(Vers^o)$...

რადგან ჩვენ სათავისო ქცევას მივიჩნევთ სასხვისო ქცევისგან მიღებულ მეორეული წარმოების სახეობად, ბუნებრივია დავსვათ კითხვა: საიდან არის მიღებული სათავისო ქცევის ის ფორმები, რომელთაც არ უკეთდებათ კონვერსიული სასხვისო ქცევის ზემოთ მინიშნებული სინთეტური ფორმები, ე.ი. რომლებიც ვერ მიიღება გარდაქმნის ორდინალური წესით?

ამავე დროს, რადგან პირთა აღნიშნული კომბინაციების ფორმალური რეალიზაცია იმავე რიგისაა, რომელიც გვაქვს ორდინალურ ფორმებში, მათ ერთიმეორეს ვერ დავაცილებთ, ე.ი. რომელიმე დამიყენე (შენ მე), ერთი მხრით, და, მეორე მხრით, დავიყენე (მე ის), დამიყენა (მან მე) და სხვა ერთი პარადიგმის წევრებია – ისინი სემანტიკურად და ფორმალურად ერთნაირად უნდა დახასიათდნენ.

I და II პირთა შემცველი სათავისო ქცევის ზმნები წარმოადგენენ აღწერით სასხვისო ქცევის ზმნათა კონვერსიულ ფორმებს. აღწერით სასხვისო ქცევის ფორმებს პირდაპირ ობიექტად აქვთ უკუქცევითი ნაცვალსახელი თავი, რომელსაც განსაზღვრებად მოუდის კუთვნილებითი ნაცვალსახელები. სწორედ ეს ნაცვალსახელები განსაზღვრავენ I და II პირებს; მაგალითად: დაგიყენა მან შენ ჩემი თავი მოჯამაგირედ → დამიყენე შენ მე მოჯამაგირედ; დამიყენა მან მე შენი თავი მოჯამაგირედ → დაგიყენე მე შენ მოჯამაგირედ. სამპირიანი სასხვისო ქცევის ფორმის მესამე პირის პირდაპირი ობიექტის (თავი) სათავი-

სო ქცევის ფორმაში I ან II პირად მომქცევია კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი:

$S_3O_2^{ind}O_3^d$ (ჩემი თავი) (Vers°)→ $S_2O_1^d$(Vers^S); $S_3O_1^{ind}O_3^d$ (შენი თავი) (Vers°)→ $S_1O_2^d$(Vers^S). ამ შემთხვევებში სათავისო ქცევის ფორმები ყოველთვის ობიექტური წყობის იქნება, რადგან სასხვისო ქცევაში O_3^d რეალიზებულია I ან II პირის კუთვნილებით ნაცვალსახელიანი განსაზღვრების მქონე **თავი** ნაცვალსახელით, იგი კონვერსიულ სათავისო ქცევაში მოიქცევა ობიექტურ I პირად (როცა **თავი** განისაზღვრება **ჩემი** ან **ჩვენი** ნაცვალსახელებით) ან II პირად (როცა ნაცვალსახელი **თავი** განისაზღვრება **შენი** ან **თქვენი** ნაცვალსახელებით) – როცა ფორმაში პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი შემოდის, მისი წყობა ობიექტური ხდება (იხ. ზემოთ).

კუთვნილებითი ნაცვალსახელით განსაზღვრული უკუქცევითი ნაცვალსახელი **თავი** ჩვეულებრივია მესამე პირშიც, რამდენიმე მაგალითი ი.ჭავჭავაძის თხზულებებიდან (1951, ტ. I): „ჩემი **თავი** გადავირჩინე“ (186, 31); „შენი **თავი** თვით შეიბრალე“ (351, 25); „შენს **თავს** მტლად დაუდებ შენსა მამულსა“ (151, 25)... ამ წინადადებებიდან შესაძლებელია ამოვიღოთ კუთვნილებითი ნაცვალსახელები: ჩემი, შენი, შენს. ისინი გრამატიკულად აქ მხოლოდ მსაზღვრელის როლს ასრულებენ და ამ მხრივ აზუსტებენ აზრს. ამ წინადადებებში ამავე დროს **თავი** შეიძლება შეიცვალოს სხვა სახელით: შენი *ძმა* თვით შეიბრალე, შენი *მტერი* თვით შეიბრალე და სხვა. ამათ ბუნებრივად უკეთდებათ კონვერსიული სასხვისო ქცევის ფორმები: **მან შეგაბრალა შენ თავი** (*ძმა/მტერი*...). პირდაპირ ობიექტად წარმოდგენილ სახელებს კუთვნილებითი ნაცვალსახელი იმდენად სჭირდებათ, რამდენადაც რომელიმე სხვა განსაზღვრება (კარგი, ძლიერი, მოყვარე და სხვა). რაც შეეხება **შემიბრალე** (შენ მე), **შეგიბრალე** (მე შენ) ორპირიან სათავისო ქცევის ფორმებს, მათ კონვერსიულ სასხვისო ქცევის სამპირიან ფორმებში აუცილებელია როგორც **თავი** ნაცვალსახელი პირდაპირ ობიექტად, ისე ამ ობიექტის განსაზღვრებად I ან II პირის კუთვნილებითი ნაც-

ვალსახელი. ავიღოთ კონვერსიულ წყვილთა ფორმები, ერთი მხრით, **შეიბრალე ~ შეგაბრალა, დაიყენე ~ დაგიყენა** (მან შენ ის მოჯამაგირედ) და, მეორე მხრით, **შემიბრალე ~ შეგაბრალა** ან **დამიყენე ~ დაგიყენა** (მან შენ) **ჩემი თავი** (მოჯამაგირედ) და სხვა.

დაიყენე (შენ ის მოჯამაგირედ) ~ **დაგიყენა** (მან შენ ის მოჯამაგირედ) დაპირისპირებულ წყვილებში — ორივეგან „ის“ შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერი სახელით (დაიყენე ვანო მოჯამაგირედ) ~ **დაგიყენა** (ვანო მოჯამაგირედ); ამ სახელს შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრება, მათ შორის კუთვნილებითი ნაცვალსახელით გამოხატულიც, **დამიყენე** (შენ მე მოჯამაგირედ) ~ **დაგიყენა** (მან შენ) ჩემი თავი (მოჯამაგირედ) წყვილში კი სამპირიან სასხვისო ქცევის ფორმას თუ არ ექნება **თავი** ნაცვალსახელი და მას განსაზღვრებად არ ექნება **ჩემი** კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ვერ მივიღებთ კონვერსიულ **დამიყენე** (შენ მე მოჯამაგირედ) ფორმას. **დაგიყენე ~ დამიყენა** შენი თავი წყვილის სასხვისო ფორმაში **შენი თავი** პირდაპირ ობიექტად აუცილებელი პირობაა, რომ მისგან მივიღოთ კონვერსიული სათავისო ქცევის **დაგიყენე** (მე შენ მოჯამაგირედ).

ანალოგიური წყვილებია **შემიამხანაგე ~ შეგიამხანაგა** ჩემი თავი, **შეგიამხანაგე ~ შემიამხანაგა** შენი თავი; **დამიმეგობრე** (შენ მე) ~ **დაგიმეგობრა** ჩემი თავი (მან შენ) და სხვა და სხვა.

ქცევა კაუზაციის სახეობათა მიხედვით

პირველადი კაუზაციის ფორმათა სპეციფიკა ნეიტრალური კაუზაციის ფორმებთან შედარებით ის არის, რომ მათ განსხვავებული შემსრულებლები ჰყავთ: ნეიტრალური კაუზაციის ნეიტრალური ქცევის ფორმებში სუბიექტი ინიციატორიც არის და შემსრულებელიც ($S^{init\text{-}ex}$), პირველადი კაუზაციის ფორმებში კი სუბიექტი მხოლოდ ინიციატორია (S^{init}), შე-

მსრულებელი ქმედებისა (ექსეკუტორი) კი პირდაპირი ობიექტია ($O^{d\text{-}ex}$):

Caus^{n} (ნეიტრალური კაუზაცია): **ის წერს განცხადებას** – $S_3{}^{init\text{-}ex}O_3{}^{d}$

Caus^{I} (პირველადი კაუზაცია): **ის აწუხებს ამხანაგს** – $S_3{}^{init}O_3{}^{d\text{-}ex}$

სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს შორის როლთა ასეთი განაწილება ამ განსხვავებული ტიპის ზმნებში ბუნებრივია: ნეიტრალური კაუზაციის ფორმებში სუბიექტს არავინ აიძულებს რაიმეს გაკეთებას, იგი თვით, თავისი ნებით არის აღძრული ქმედებად, პირველად კაუზაციაში კი, რამდენადაც საქმე გვაქვს იძულებასთან – სხვისი ნებით ქმედებად აღძვრასთან, სუბიექტი მხოლოდ ინიციატორია, შემსრულებელი კი იძულებული პირი – პირდაპირი ობიექტია, რომლის ქმედებაზეც მიუთითებს ზმნის ფუძე.

პირველადი კაუზაციის ნეიტრალური ქცევის ზმნიდან სასხვისო ქცევა მიიღება ფორმაში ირიბი ობიექტის შეყვანით, ანუ რეციპიენტის შეყვანით, როგორც ხდება ნეიტრალური კაუზაციის ფორმებში: **აწვალებს** → **უწვალებს** – $S^{init}O_3{}^{d\text{-}ex}$ → $S_3{}^{init}O_3{}^{ind\text{-}rec}O_3{}^{d\text{-}ex}$.

სათავისო ქცევა მიიღება სასხვისოსგან ირიბის კორეფერენციით სუბიექტურ პირთან: **უწვალებს** → **იწვალებს (თავს)** $S_3{}^{init}O_3{}^{ind\text{-}rec}O_3{}^{d\text{-}ex}$ → $S_3{}^{init\text{-}rec}O_3{}^{d\text{-}ex}$. პირდაპირი ობიექტი პირველად კაუზატიურ ფორმებში ყველგან შემსრულებელი პირია. სასხვისო ქცევიდან სათავისოდ მოქცევა ხორციელდება სასხვისო ქცევის სუბიექტის დაკარგვით და, როგორც ითქვა, ირიბი ობიექტის სუბიექტად მოქცევით, რომელიც ავტომატურად იღებს ინიციატორობასაც და ინარჩუნებს რეციპიენტის ფუნქციასაც, როგორც სათავისო ქცევის ნებისმიერ ფორმაშია. მაშასადამე, ნეიტრალური და პირველადი კაუზაციის ფორმათა შორის სხვაობას ქმნის შემსრულებელი პირის ფუნქციის განაწილება: ნეიტრალური კაუზაციის ზმნებში ეს ფუნქცია სუბიექტსა აქვს ყველა სახეობაში, პირველადი კაუზაციის ზმნათა ქცევის ყველა სახეობაში კი – პირდაპირ ობიექტს: ნეიტრალური კაუზაციის ფორმებში

პირდაპირი ობიექტი წმინდა ობიექტია, ე.ი. ოდენ სამოქმედო აქტანტია (O^{d}), პირველადი კაუზაციის ფორმებში კი იგი ობიექტ-შემსრულებელია ($O^{d\text{-}ex}$).

ნეიტრალური და პირველადი კაუზაციის ფორმები ერთიმეორისგან არ მიიღება, მაგრამ ორივესგან შეიძლება ვაწარმოოთ მეორადი კაუზაციის ფორმები ($Caus^{II}$): ა) $Caus^{n}$ წერს → $Caus^{II}$ აწერინებს – $S_3{}^{init\text{-}ex}O_3{}^{d}$ → $S^{init}O^{ind\text{-}ex}O_3{}^{d}$, ბ) $Caus^{I}$ აწუხებს → $Caus^{II}$ აწუხებინებს – $S_3{}^{init}O^{d\text{-}ex}$ → $S^{init}O^{ind\text{-}med\text{-}init}O_3{}^{d\text{-}ex}$. ა) შემთხვევაში მეორადი კაუზატივის ფორმაში ერთი ინიციატორია, შემსრულებელ პირად ირიბი ობიექტია წარმოდგენილი ($O^{ind\text{-}ex}$), პირდაპირი ობიექტი კი წმინდა ობიექტია, ხოლო სამოქმედო აქტანტი – პაციენსი (O^{d}).

ბ) შემთხვევაში კი პირველთან შედარებით, გარდა სუბიექტ-ინიციატორისა, სხვა პირთა როლები განსხვავებულად არის განაწილებული: აქ ირიბი ობიექტიც ზმნით გამოხატული ქმედების ინიციატორია, ოღონდ ინიციატორული იერარქიის მეორე საფეხურზე დგას – მას ევალება სუბიექტური ინიციატივის შესრულების ხელმძღვანელობა – მედიატორობა, ამიტომ ვუწოდოთ მას (ამ ირიბ ობიექტს) მედიატორ – ინიციატორი ($O^{ind\text{-}med\text{-}init}$), განსხვავებით სუბიექტისგან, რომელიც ინიციტივის შემქმნელია; შემსრულებელ პირად კვლავ პირდაპირი ობიექტი რჩება ($O^{d\text{-}ex}$), როგორც ამოსავალ პირველად კაუზაციურ ფორმაში იყო.

ორივე სახის მეორად კაუზატივებს: $S_3{}^{init}O_3{}^{ind\text{-}ex}O_3{}^{d}$ (აწერინებს) და $S_3{}^{init}O_3{}^{ind\text{-}med\text{-}init}O_3{}^{d\text{-}ex}$ (აწუხებინებს), მიუხედავად სამპირიანობისა, არა აქვთ მიმღები ობიექტი – რეციპიენტი, ამიტომ ქცევის მიხედვით ნეიტრალური არიან. მეორადი კაუზაციის სამპირიანი ფორმები რომ სასხვისო ქცევის ფორმებად მოიქცნენ, საჭიროა ფორმაში ახალი აქტანტის შემოყვანა, რომელიც, ბუნებრივია, პირმიუმართავი იქნება, რადგან სამივე პირი დაკავებულია. მაშასადამე, პირიანობა ვეღარ შეიცვლება, მაგრამ ზმნა ოთხვალენტიანი გახდება, მაგალითად:

I აწერინებს → უწერინებს

II აწუხებინებს → უწუხებინებს

პირმიუმართავი აქტანტი ორივეგან შემსრულებელ აქტანტად შემოდის: უწერინებს ის მას წერილს მეზობელს; უწუხებინებს ის მას ბავშვს მეზობელს. როცა ფორმაში შემსრულებელი აქტანტიც არის და მიმღებიც, იქ სასხვისო ქცევა სახეზეა: მიწერინებს, გიწერინებს, უწერინებს... მიწუხებინებს, გიწუხებინებს, უწუხებინებს და სხვა.

მეორადი კაუზაციის ოთხვალენტიანი სასხვისო ქცევის ფორმები საკმაოდ არის აღწერილი სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ., მაგალითად, ა.შანიძე, 1973, 366-368). ისინი დღესაც ჩვეულებრივ გამოიყენება განსაზღვრული მნიშვნელობის ზმნებთან, მაგალითად: „კარგ მხატვარს მიხატვინებს სურათს“ (ის მე); „კარგ ოსტატს მიჭედინებს ხატს“; „წამიხდენინა უვიცს აწყობილი საქმე“ და სხვა. არსებითი აქ ისიც არის, რომ ქცევის კატეგორიის შექმნაში მონაწილეობს პირმიუმართავი აქტანტი, რომლის გარეშე მეორადი კაუზაციის ფორმები ქცევის გაგებას ვერ მიიღებდნენ. სწორედ ამათგან კეთდება მეორადი კაუზაციის სათავისო ქცევის ფორმები: დამიხატვინა (სასხვისო) → დავიხატვინე (სათავისო), გამიკეთებინა → გავიკეთებინე და სხვა.

რადგან მეორადი კაუზაციის სათავისო ქცევისთვის აუცილებელია და საკმარისი ინიციატორ-მიმღები სუბიექტი და პირდაპირი ობიექტი, სასხვისო ქცევის ირიბი ობიექტის სათავისოში სუბიექტად მოქცევის შემდეგ ფორმაში რჩება მხოლოდ პირდაპირი ობიექტი; სასხვისო ქცევის სუბიექტთან ერთად ამ პროცედურაში იკარგება პირმიუმართავი შემსრულებელი აქტანტიც. როგორც ვნახეთ, პირველად კაუზატივებში O^d პაციენს-ექსეკუტორია, მეორად კაუზატივებში ეს ფუნქციები ნაწილდება პირდაპირ ობიექტსა (პაციენსი) და ირიბ ობიექტს (ექსეკუტორი) შორის. კაუზატიური წარმოების ისეთ ფორმებს, რომელთაც ვერ უხერხდებათ ინიციატორი აქტანტის აქტუალიზე-

ბა, ვუწოდებთ კაუზატივთა ანომალიურ სახეობებს.

კაუზატივთა ერთპირიან სახეობაში არ ჩანს ინიციატორი; მაგალითად; მაციებს „ციება მივლის", მახურვებს „ხურვება მიელის", მაცახცახებს „ცახცახი მაქვს ატეხილი" (ქეგლი) და სხვა. აქ წარმოდგენილ ზმნებში, რომელთა ტიპის ზმნები თითებზე ჩამოსათვლელია, სუბიექტი ფორმალურად მარკირებულია -ს სუფიქსით, მაგრამ წინადადებაში მისი აქტუალიზება ვერ ხდება, ე.ი. არ ჩანს აქტანტი, რომელსაც მიეწერება ზმნური ქმედების ინიციატივა. მიუხედავად ამისა, ამ ზმნათა კაუზატიური ბუნება ეჭვს არ იწვევს, რადგან (1) მათი წარმოება პირველადი კაუზაციის წესით ხდება: ა- — -ებ კონფიქსით აწმყოში (შდრ. პირველადი კაუზაციის ზმნები: ა-წვალ-ებ-ს, ა-ცინ-ებ-ს და სხვა); (2) პირველად კაუზატივთა ანომალიურ ფორმებში გამორიცხულია ქმედების ჩამდენის ნება, ანუ ავადობის გამოწვევა (მაციებს, მაკანკალებს, მახურვებს...) ავადმყოფის ნების გარეშე ხდება.

„მაციებს" ტიპის ზმნებში ექსეკუტორი პირდაპირი ობიექტია (გააცივა, ააკანკალა... ის); შდრ. მათოვს, მაწვიმს უსუბიექტო ზმნები — ესენი საზედაო სიტუაციას გამოხატავენ ა- პრეფიქსით და არა კაუზაციას, არც ა- — -ებ წარმოება აქვთ აწმყოში და არც პირდაპირი ობიექტი.

კაუზატივის ანომალიური ფორმაა ის ზმნაც, რომელსაც წარმოება აქვს სამპირიანი კაუზატივისა, მაგრამ მხოლოდ ორი პირის აქტუალიზება შეუძლია. ვერ იწყობს ინიციატორ აქტანტს, თუმცა მორფოლოგიურად მისი ნიშანი თავის ადგილზე ზის, ასეთია მაცემინებს (ცხვირს) ზმნა.

პირველადი კაუზატივები აქტიური ზმნებია, კონვერსიული პასივებიც აქვთ. ანომალიურ პირველად კაუზატივებს კი კონვერსიული პასივები არ მოეპოვებათ, რადგან ფორმას მხოლოდ ერთი პირის გაგება აქვს. ეს შემთხვევა კარგად მიუთითებს ზმნური სემანტიკის გათვალისწინების აუცილებლობაზე ფორმათა ანალიზის დროს.

„მაციებს" ტიპის ზმნებს შეიძლება მიეცეს ტიპური პირველადი კაუზატივის გაგებაც, როცა აქტუალიზების შემთხვე-

ვაში მათ სუბიექტური აქტანტი (ქვემდებარე) გაუჩნდება; ასე მაგალითად: „გამჭოლი ქარი მაცივებს“ ან „შემაჟრჟოლებს ცელქი სიო“ და სხვა. – ესენი ნორმალური წარმოების პირველადი კაუზატივებია და მათ, ანომალიურ კაუზატივთაგან განსხვავებით, კონვერსიული პასივებიც მოეპოვებათ: მაცივებს ~ ვცივდები, მაჟრჟოლებს ~ ავჟრჟოლდები, მაკანკალებს ~ ავკანკალდები და სხვა.

ზმნათა წარმოება სერთა მიხედვით

კონექტურ კატეგორიათა სახეების კომბინირებით შესაძლებელია ქართული ზმნის ყველა შესაძლო სერის პარადიგმის გამოყოფა. სერში კაუზაციისა და ქცევის კატეგორიები წარმოდგენილია გვარის ფარგლებში. მოქმედებით გვარში ქცევისა და კაუზაციის ცხრა კომბინაცია არის შესაძლებელი (3×3).

G^{act} – მოქმედებითი გვარი				
კაუზაცია		ქცევა		
		სასხვისო	სათავისო	ნეიტრალური
I	ნეიტრალური	+	+	+
II	პირველადი	+	+	+
III	მეორადი	+	+	+

ქართულ ენაში დასტურდება ცხრილში წარმოდგენილი ცხრავე კომბინაცია (კატეგორიათა კვეთაზე აღინიშნება პლუს (+) ნიშნით).

სერები ცხრილში იკითხება ჰორიზონტალურად რიგთა მიხედვით (I, II, III,); მაგალითად: I რიგში წარმოდგენილია

სამი სერი, კერძოდ: მოქმედებითი გვარის, ნეიტრალური კაუზაციისა და სასხვისო ქცევის მქონე ზმნა; მოქმედებითი გვარის, ნეიტრალური კაუზაციისა და სათავისო ქცევის მქონე ზმნა და მოქმედებითი გვარის, ნეიტრალური კაუზაციისა და ნეიტრალური ქცევის მქონე ზმნა.

ცხრილში მოქმედებითი გვარის ფარგლებში იცვლება კაუზაცია და ქცევა. ფლექსიური გარდაქმნების ფორმულათა შესადგენად და პარადიგმატული წესების სიმბოლიზაციისათვის შემოგვაქვს შემდეგი პირობითი აღნიშვნები: G^{act} – მოქმედებითი გვარი, G^{pass} – ვნებითი გვარი, G^{m} – საშუალი გვარი; $Caus^{I}$ – პირველადი კაუზაცია, $Caus^{II}$ – მეორადი კაუზაცია, $Caus^{n}$ – ნეიტრალური კაუზაცია; $Vers^{O}$ – სასხვისო ქცევა, $Vers^{S}$ – სათავისო ქცევა, $Vers^{n}$ – ნეიტრალური ქცევა. პირველი რიგის პირველი სერი ასე წარმოდგება $G^{act}Caus^{n}Vers^{O}$.

ცხრილს ადევს შემდეგი აკრძალვა: თუ ზმნას აქვს ნეიტრალური კაუზაცია, მას არ ექნება პირველადი კაუზაცია, ე.ი. თუ ცხრილში რეალიზებულია I რიგის ფორმები, არ იქნება მეორე რიგის ფორმები; მესამე რიგის ფორმები მიიღება როგორც I, ისე II რიგის ფორმათაგან. ისინი ნებისმიერ აქტივს აქვს.

ყოველი კონკრეტული აქტიური ზმნისთვის ცხრილი იძლევა ექვს კომბინაციას – ექვს სერს, ე.ი. ასეთ ზმნას შეუძლია შექმნას ექვსი მიკროპარადიგმა. პარადიგმები შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობის: მცირე პარადიგმაში წარმოდგენილია ერთი რომელიმე სერის ყველა ფორმა; ასე მაგალითად, ორპირიანი აქტივისთვის რაოდენობრივად ეს უდრის 335 გრამატიკულ ფორმას [(28×12)–1]. 28 არის ორპირიანი აქტივის ფორმათა რაოდენობა ერთ მწკრივში, 12 არის მწკრივთა რაოდენობა; ერთი ფორმა, რომელიც აკლდება პარადიგმის წევრთა რაოდენობას (–1), არის ბრძანებითი მწკრივის I პირის ფორმა მხოლობით რიცხვში. დიდი პარადიგმა ორპირიანი აქტივისა გააერთიანებს მის ყველა სერის ფორმებს, რომელთა რაოდენობა უდრის 2010 (335×6). სრული პარადიგმა ამა თუ იმ ზმნისა ვარაუდობს ყველა გვარის

დიდ პარადიგმათა ჯამს უზმნისწინოდ და ზმნისწინებით, რომელიც ზმნისწინს გრამატიკული ფუნქცია აქვს (ანუ აწარმოებს გეზსა და ორიენტაციას) და არ იწვევს საუღლებელი ფუძის ლექსიკური მნიშვნელობის ცვლას. პარადიგმაში შემავალ ფორმათა რიცხვი, გასაგებია, საგრძნობლად გაიზრდება. ამ რიცხვის გამოსაანგარიშებლად, გარდა გვართა მიხედვით დიდი პარადიგმების შეჯამებისა, საჭიროა ზმნისწინთა ფლექსიური შემგუებლობის კონკრეტული მონაცემებიც, ე.ი. რომელი ზმნისწინის დართვა უცვლის ზმნას ლექსიკურ მნიშვნელობას და რომელი ვერ უცვლის. პარადიგმაში, ცხადია, რჩება ის ფორმები, რომელთაც ზმნისწინის დართვით ლექსიკური მნიშვნელობა არ ეცვლებათ.

ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისით განვიხილოთ პასიურ ზმნათა პარადიგმების სერთა სახეობანი. თეორიულად პასივებში კონექტურ კატეგორიათა მხოლოდ 6 კომბინაციაა შესაძლებელი: აქტივთაგან განსხვავებით, პასივებში კომბინაციებს გამოაკლდება ჯგუფები, რომლებშიც მონაწილეობს სათავისო ქცევა, რადგან ეს უკანასკნელი დაკავშირებულია პირდაპირ ობიექტთან, რომელიც გამორიცხულია პასივში.

G^{pass} — ვნებითი გვარი				
Caus კაუზაცია		Vers ქცევა		
		$Vers^{n}$ ნეიტრალური	$Vers^{O}$ ობიექტური	$Vers^{S}$ სუბიექტური
I	$Caus^{n}$ ნეიტრ.	+	+	
II	$Caus^{I}$ პირველ.	+	+	
III	$Caus^{II}$ მეორადი	+	+	

ზემოთ მიღებული სიმბოლური ნიშნებით I რიგის პირველი სერი — ვნებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის ნეიტ-

რალური ქცევა გამოიხატება ასე: $G^{pass}Caus^{n}Vers^{n}$, ამავე რიგის მეორე სერი კი ასე: $G^{pass}Caus^{n}Vers^{o}$ და ა.შ.

განმარტება ცხრილისთვის: აქტივთა პირველად კაუზატივებს კონვერსიულად ეწარმოებათ დ'ონიანი პასივი (აშავებს ~ შავდება, უშავებს ~ უშავდება; აფითრებს ~ ფითრდება; უფითრებს ~ უფითრდება და სხვა); თუ პირველადი კაუზატივის ძირი გაუხმოვანებელია, მაშინ მორფონოლოგიური მიზეზით კონვერსიული პასივი ი- პრეფიქსიან წარმოებაზე გადადის (აღა-ვს-ებს ~ აღ-ი-ვს-ების, ა-გებს ~ ი-გ-ების, ა-ღ-ებს ~ ი-ღ-ების და სხვა. ასევეა თანამედროვე ქართულში: იუსება, იგება, იღება...). ამათ აღარა აქვთ, აქტივთაგან განსხვავებით, კაუზატიური ბუნება, მხოლოდ ფორმა აქვთ სპეციფიკური, რითაც გამოირჩევიან ი-/ე-პრეფიქსიან პასივთაგან.

არ არის ძნელი კაუზაციის მოშლის მიზეზის მიგნება ერთპირიან დ'ონიან პასივებში: როცა პირველადი კაუზატივებისგან, რომლებშიც ექსეკუტორის როლს ასრულებს პირდაპირი ობიექტი, მივიღეთ ერთპირიანი პასივი, მოიშალა კაუზაციის პირობა — ვეღარ ხერხდება ქმედების შემსრულებელი პირისა და ქმედებად აღმძვრელის, ანუ ინიციატორის ერთდროული წარმოდგენა.

რაც შეეხება ორპირიან პასივებს, რამდენიმეს დღემდე შემორჩა კაუზაციური გაგება, კერძოდ, კაუზაციურ აყვარებს, აძულებს აქტივთა კონვერსიულ პასივებს: ჰყვარდება, სძულდება, როცა ისინი ასეთი გაგებითაა ნახმარი: „თავს აყვარებს", „თავს აძულებს." ამ პასივებში სუბიექტის მაკაუზებელი როლი ადვილი დასანახია; შდრ. უყვარდება ფორმა, რომელშიც სუბიექტი მხოლოდ სიტუაციას ქმნის და არ აიძულებს ირიბ ობიექტს ქმედების ჩადენას.

სძულდება კონტექსტის მიხედვით შეიძლება ვიხმაროთ როგორც ჰყვარდება, ისე უყვარდება ფორმათა გრამატიკული გაგებით.

მეორად კაუზატივებს პასივში მხოლოდ ერთი ფორმა აქვთ, ესაა ე- პრეფიქსიანი კაუზატივები: ეხატვინება, ეწვალებინება და სხვ. ვითარება აქ გართულებულია, ამისი მი-

ზეზი არის ის, რომ ნეიტრალური და სასხვისო ქცევის აქტიურ კაუზატივებს პირთა თანაბარი რაოდენობა აქვთ, განსხვავებას მათ შორის ქმნის ვალენტობა: **ახატვინებს ის მას მას და უხატვინებს ის მას მას (მას)**. ფრჩხილებში ჩასმული „მას“ შემსრულებელი ობიექტია და ზმნაში ვერ აისახება ფორმალურად (იხ. ზემოთ, გვ.137). ანალიზს ჩავატარებთ წყვეტილის ფორმათა მიხედვით, რათა პირები გარჩეული იყოს ბრუნვათა მიხედვითაც.

დაახატვინა ფორმაში არ არის ბენეფაქტივი; არის მხოლოდ ექსეკუტორი (შემსრულებელი); **დაუხატვინა** ფორმაში კი არის ბენეფაქტივი (დაუხატვინა მან მას), მაგრამ ექსეკუტორი ფორმაში ვერ შემოდის როგორც პირი. ორივეს პასივია **დაეხატვინა**, რომლის ირიბი ობიექტი მხოლოდ შემსრულებელია, ფორმას არა აქვს ბენეფაქტივი და, ბუნებრივია, ქცევის გაგებაც აღარა აქვს. **საპირისპირო ფორმათა არარსებობის გამო ქცევის გაგება მოშლილია**. აქტივებშიც იშვიათია სინთეტური ფორმები (უხატვინებს, იხატვინებს), ენა გადასულია აღწერით ფორმებზე: **ახატვინებს მისთვის** (სასხვისო), **ახატვინებს თავისთვის** (სათავისო) და სხვა (იხ. ზემოთ). საბოლოოდ პასივს აღმოაჩნდა სერის ექვსი სახეობა. ერთპირიან პასივთა მცირე პარადიგმაში გაერთიანდება 71 ფორმა [6×12-1], ორპირიან პასივთა მცირე პარადიგმაში – 335 [28×12-1]; პასივთა დიდი პარადიგმა კი მოიცავს 883 ფორმას [335×2+71×3].

ბოლოს განვიხილოთ საშუალი გვარის ზმნების სერთა პარადიგმები ზოგადად.

G^m – საშუალი გვარი				
კაუზაცია		ქცევა		
		სასხვისო	სათავისო	ნეიტრალური
I	ნეიტრალური	+		+
II	პირველადი			
III	მეორადი			

საშუალი გვარის I რიგის პირველი სერი ასე გამოიხატება მიღებული სიმბოლოებით: $G^mCaus^nVers^o$ – საშუალი გვარის, ნეიტრალური კაუზაციისა და სასხვისო ქცევის სერი.

საშუალი გვარის კაუზაციური (პირველადი ან მეორადი) ფორმები არ არსებობს, ამიტომ სერთა ცხრილში არ იქნება მეორე და მესამე რიგები (ისინი დაშტრიხულია). პირველ რიგში გამორიცხულია სათავისო ქცევა, რადგან საშუალი გვარის ზმნებს არა აქვთ პირდაპირი ობიექტი.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საშუალი გვარის ზმნებს ქცევის კატეგორია ან არა აქვთ საერთოდ, ან დეფექტურად გამოეხატებათ მწკრივთა მიხედვით (ა.შანიძე, 1973; 342,345,346.370 და შემდეგ).

ერთპირიან და ორპირიან მედიოაქტივებში ქცევის მარკერები ან დროს გამოხატავენ (ჩქარობს ~ იჩქარებს, წვალობს ~ იწვალებს... ჰყარაულობს ~ უყარაულებს, ექიმობს ~ უექიმებს..) და არაფერი აქვთ საერთო ქცევის კატეგორიასთან; ცალ-ცალკე თუ ავიღებთ, აწმყოსა და მყოფადის მწკრივის აღნიშნულ ფორმებს ქცევის მიხედვით არაფერი უპირისპირდება მწკრივის ფარგლებში, მაშასადამე, ქცევის კატეგორია არ არსებობს. ქცევის მიხედვით დაპირისპირება თუ რომელსამე მწკრივში გვაქვს, ისიც დეფექტურია მთლიანი პარადიგმის ფარგლებში: **დუღს ~ უდუღს, წუხს ~ უწუხს, ხურს ~ უხურს**... ამათ მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივებში აქვთ და-

პირისპირებული ფორმები. არა აქვთ საპირისპირო ფორმები ორპირიან მედიოპასივებს: **სძულს, ჰშურს...** და, მიუხედავად ქცევის ნიშნების ქონისა, უქცევოა მიყვარს, მიძნელს და სხვა. მათ არა აქვთ საპირისპირო ცალები. და ბოლოს, ერთპირიან მედიოპასივებს, როგორიცაა: წევს, დგას, ზის უჩნდებათ ოპოზიციური უწევს, უდგას, უზის. ესენი მიჰყვებიან უნიშნო ვნებითთა ყალიბს (შრება ~ უშრება, ქრება ~ უქრება...). დაპირისპირება გრძელდება სხვა მწკრივებშიც პასივთავე წესით, კერძოდ, გამოყენებულია ი- და ე- ქცევის ნიშნები: იწვება ~ ეწვება (მყოფადი); იწვა ~ ეწვა, წოლილა ~ სწოლია და სხვა. ზოგჯერ ე'ნიანთა პარალელურად სასხვისო ქცევის ი-/-უ მაწარმოებლიანი ფორმებიც ჩნდება (მიჯდა, გიჯდა, უჯდა, უწვა და სხვა).

ზემოთ, როცა ვეხებოდით პარადიგმის შიდა მიმართებების შეცვლას, ვთქვით, რომ ამას უნდა მოჰყოლოდა დეფექტი უღლებაში ან იმავე სერით ახალი ფორმების შექმნა (იხ. ზემოთ). მიზეზი ასეთი ვითარებისა არის ის, რომ სასხვისო ქცევისთვის, გარდა სუბიექტ-ინიციატორისა, აუცილებელია ბენეფაქტიური ირიბი და პირდაპირი ობიექტები მოქმედებით გვარში, ვნებითში კი სუბიექტად მოქცეული აქტივის პირდაპირი ობიექტი და აქტივიდანვე უცვლელად გადმოყოლილი ბენეფაქტიური ირიბი ობიექტი, რომელსაც ახლა სუბიექტი განეკუთვნება, საშუალი გვარის ზმნებს კი არც ერთი აქვთ და არც — მეორე. ქცევის მიხედვით დაპირისპირებული ფორმები მთელ პარადიგმაში შექმნეს მხოლოდ ერთპირიანმა მედიოპასივებმა ორპირიანებთან მიმართებით ვნებითი გვარის ყაიდაზე ვნებითი გვარისავე ზმნათა ქცევის ნიშნების გამოყენებით [იწვება ~ ეწვება (მყოფადი); შდრ. პასიური ისვრება ~ ესვრება]. საქმე გვაქვს ცდასთან, საშუალ გვარში ქცევა ჩამოყალიბდეს დინამიკურ ზმნათა კვალობაზე, რაც ჯერჯერობით ჩანასახის შთაბეჭდილებას უფრო ქმნის, ვიდრე გამართული სისტემისა.

სერთა პარადიგმატული ცხრილები

I მოქმედებითი გვარი. მოქმედებით გვარში გამოვყავით 9 სერი. ესენია:

1. $G^{act}Caus^{n}Vers^{o}$ – მოქმედებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის სასხვისო ქცევა.

2. $G^{act}Caus^{n}Vers^{s}$ – მოქმედებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის სათავისო ქცევა.

3. $G^{act}Caus^{n}Vers^{n}$ – მოქმედებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის ნეიტრალური ქცევა.

4. $G^{act}Caus^{I}Vers^{o}$ – მოქმედებითი გვარის პირველადი კაუზაციის სასხვისო ქცევა.

5. $G^{act}Caus^{I}Vers^{s}$ –მოქმედებითი გვარის პირველადი კაუზაციის სათავისო ქცევა.

6. $G^{act}Caus^{I}Vers^{n}$ – მოქმედებითი გვარის პირველადი კაუზაციის ნეიტრალური ქცევა.

7. $G^{act}Caus^{II}Vers^{o}$ – მოქმედებითი გვარის მეორადი კაუზაციის სასხვისო ქცევა.

8. $G^{act}Caus^{II}Vers^{s}$ – მოქმედებითი გვარის მეორადი კაუზაციის სათავისო ქცევა.

9. $G^{act}Caus^{II}Vers^{n}$ – მოქმედებითი გვარის მეორადი კაუზაციის ნეიტრალური ქცევა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთსა და იმავე აქტიურ ზმნას არ შეიძლება ჰქონდეს ცხრავე სერი: თუ ექნება 1, 2, 3, არ ექნება 4, 5, 6 და, პირიქით, თუ ექნება 4, 5, 6, არ ექნება 1, 2, 3. აქტივთაგან 7, 8, 9 ადვილად იწარმოება. დებულებები განვიხილოთ მასალის მიხედვით.

ხატავს, წერს, თვლის... პირველად აქტივთა არაკაუზაციური ფორმები ცხრილში შესულია „მოქმედებითი გვარის ნეიტრალური კაუზაციის“ სახელით. ამათ არ ეწარმოება პირველადი კაუზაციის ($Caus^{I}$) ფორმები, მაგრამ ეწარმოებათ მეორადი კაუზაციის ($Caus^{II}$) ფორმები (ახატვინებს, აწერინებს, ათვლევინებს).

პირველადი კაუზაციის ფორმები ორპირიანი აქტივებია, მათი პირდაპირი ობიექტი ზმნით გამოხატული მოქმედების შემსრულებელია (შეაწუხა ის, გაამხეცა ის; სუბიექტის ნებით „შეწუხება“ და „გამხეცება“ ხორციელდება „ის“ პირის მიერ), განსხვავებით ნეიტრალური კაუზაციის ფორმებისგან, რომლებშიც ზმნით გამოხატული მოქმედების შემსრულებელი არის სუბიექტი (დაწერა მან, დახატა მან...). ნეიტრალური და პირველადი კაუზაციის ფორმათაგან განსხვავებით, მეორად კაუზატივებში ზმნით გამოხატულ მოქმედებას ასრულებს ირიბი ობიექტი (დააწერინა მას, დაახატვინა მას; შეაწუხებინა მას, გაამხეცებინა მას).

მაშასადამე, მოქმედებითი გვარის სამი ჯგუფი გამოყოფილია ქმედების შემსრულებელი აქტანტის მიხედვით. იგი შეიძლება იყოს სუბიექტი, პირდაპირი ობიექტი ან ირიბი ობიექტი. კაუზაციური ჯგუფები სწორედ ამათ ასახვას წარმოადგენს. პირველ ჯგუფში სუბიექტი შემსრულებელიც არის და ბუნებრივი ინიციატორიც ქმედებისა, რადგან სხვისი ნების გარეშე (იძულების გარეშე) მოქმედებს. მეორე და მესამე ჯგუფებში გამოკვეთილია ქმედების ინიციატორი. გრამატიკული ინიციატორი ყველგან სუბიექტია.

შესაძლოა ზმნამ დაკარგოს კაუზაციური გაგება, ასეთია, მაგალითად; აშენებს, აკეთებს. ორივე ზმნას ამოსავლად უდევს სახელი: შენ (შდრ „ქოხი“, „სამყოფი“, ძირი ნასესხებია; კეთილ (შდრ. კეთილ, სიკეთე), ე.ი. აშენებს თავდაპირველად ნიშნავდა „შენ“-ად მოქცევას, ხოლო აკეთებს — „კეთილ-ად“ (ძველ ქართულში კეთილი ნიშნავდა კარგს) მოქცევას: *აკეთილებს → *აკეთლებს → აკეთებს (გ.მაჭავარიანი). ამჟამად ეს ზმნები ისევ კაუზატივთა უღლებას მიჰყვებიან, თუმცა სემანტიკურად კაუზაციურად ნეიტრალურ ზმნებს შეუერთდნენ, რაც იმით გამოიხატება, რომ მათი ობიექტი არ გაიგება ზმნით გამოხატული მოქმედების ჩამდენად. ასეთივეა ასახლებს ზმნა, როცა ის გამოხატავს „საცხოვრებლად სხვა ადგილზე გადაყვანას“, მაგრამ „სახლად გადაქცევის“ მნიშვნელობით მას კაუზაციური სემანტიკა შემორჩენილი აქვს.

ორპირიან აქტივებს, კაუზაციის რომელ ტიპსაც არ უნდა განეკუთვნებოდნენ, მწკრივის ფარგლებში აქვთ 28 ფორმა. ქართული გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით, ორპირიან და სამპირიან აქტივებს მწკრივის ფარგლებში თვრამეტ-თვრამეტი ფორმა ეთვლება, ასე რომ პირის მატება ფორმათა ზრდას ვერ იწვევს (ა.შანიძე, 1973, 231; არნ.ჩიქობავა, 1950, 056).

თუ ტერმინ „გრამატიკულ ფორმას“ არ გავუთანაბრებთ მხოლოდ გამოხატულების პლანს და გამოხატულების ფორმასთან ერთად გავითვალისწინებთ ამ ფორმის გრამატიკულ მნიშვნელობასაც (იხ. ზემოთ, გვ. 87 და შემდეგ), ორპირიან აქტივებს ექნებათ 28 ფორმა, სამპირიანებს კი — 56 ან 112, იმის მიხედვით, მხოლოდ ირიბი ობიექტია პირმონაცვლე თუ პირდაპირ ობიექტსაც შეუძლია პირმონაცვლეობა, როცა ირიბი პირუცვლელია.

საკითხის ასე გადაწყვეტა მართებულია, რადგან გამოხატულების პლანი ვერ იქნება ნიშნის შემადგენილი შინაარსის პლანის გარეშე — ისინი ერთად ქმნიან ნიშანს.

ორპირიანი აქტივის სინთეტურ ფორმათა პარადიგმატული ცხრილი

S \ O	1	2	3	1^P	2^P	3^P
1	11	12	13	11^P	12^P	13^P
2	21	22	23	21^P	22^P	23^P
3	31	32	33	31^P	32^P	33^P
1^P	1^P1	1^P2	1^P3	1^P1^P	1^P2^P	1^P3^P
2^P	2^P1	2^P2	2^P3	2^P1^P	2^P2^P	2^P3^P
3^P	3^P1	3^P2	3^P3	3^P1^P	3^P2^P	3^P3^P

თუ ზმნა ორპირიანი აქტივია („ვკიდებ მე სურათს კედელზე“), მას ექნება 36 შესაძლო კომბინაციიდან 28; 8 სინთეტური ფორმა ქართულში გამორიცხულია (ცხრილში შავად არის დაშტრიხული). ორპირიან აქტივში პირისა და რიცხვის მიხედვით იცვლება როგორც სუბიექტი, ისე პირდაპირი ობიექტი, რასაც სრულად ასახავს წარმოდგენილი ცხრილი.

ცხრილის 28-ვე ფორმა ერთიმეორისგან განსხვავებულია გრამატიკული შინაარსით, თუმცა გამოხატულების პლანში ზოგი ემთხვევა ერთიმეორეს. რადგან ფორმათა გრამატიკული დამთხვევა არ ხდება, რომელიმე ფორმის გამორიცხვა მსჯელობიდან დაუშვებელია (იხ. ზემოთ, გვ. 87).

ცხრილში პირველი რიცხვი გამოხატავს სუბიექტს, მომდევნო რიცხვი — პირდაპირ ობიექტს, P ინდექსი გამოხატავს მრავლობით რიცხვს (pluralis). ცხრილის ერთეულები ისევე არ ემთხვევიან ერთიმეორეს გრამა-

ტიკული მნიშვნელობით, როგორც არ ემთხვევიან ერთიმეორეს რიცხვით სიმბოლოთა კომბინაციებით.

ეს ცხრილი გარკვეული დამატებით შეიძლება გამოვიყენოთ სამპირიანი აქტივებისთვისაც. ორპირიანი აქტივების ცხრილში ორივე პირი ცხრილშია მოქცეული და, როგორც ვთქვით, სრულად აისახება სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის ყველა კომბინაცია პირისა და რიცხვის მიხედვით. როცა ცხრილს ვიყენებთ სამპირიანი აქტივისთვის, ვითარება იცვლება — ობიექტი უკვე ორია, რის გამოც ერთი ობიექტი ცხრილის გარეთ რჩება.

ცხრილის გარეთ დარჩენილი ობიექტის კომბინირება ცხრილში მოქცეული სუბიექტისა და მეორე ობიექტის კომბინაციებთან ხორციელდება დამატებითი ოპერაციით, რაც ხდება + (პლუს) ნიშნის საშუალებით.

O / S	1	2	3	1^P	2^P	3^P
1	11	12	13	11^P	12^P	13^P
2	21	22	23	21^P	22^P	23^P
3	31	32	33	31^P	32^P	33^P
1^P	1^P1	1^P2	1^P3	1^P1^P	1^P2^P	1^P3^P
2^P	2^P1	2^P2	2^P3	2^P1^P	2^P2^P	2^P3^P
3^P	3^P1	3^P2	3^P3	3^P1^P	3^P2^P	3^P3^P

$+O_3$

გარეთა ობიექტის რაობა (პირდაპირია თუ ირიბი) განისაზღვრება ცხრილის შიგნითა ობიექტის მიხედვით.

ცხრილის შიგნით არის პირცვალებადი და რიცხვცვალებადი სუბიექტისა და ასევე პირცვალებადი და რიცხვცვალებადი ობიექტის კომბინაციები; ცხრილის გარედან მათ ემატება პირუცვლელი ობიექტი მესამე პირში, მაშასადამე: თუ ცხრილში გვაქვს პირცვალებადი და რიცხვცვალებადი სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის კომბინაციები, მათ გარედან ემატება ირიბი ობიექტი მესამე პირში. გარეთა ობიექტს ეცვლება მხოლოდ რიცხვი: შეუძლია იდგეს როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში. რიცხვის მიხედვით განსხვავებული გარეთა ობიექტი ცალკე მიემატება ცხრილის შიდა კომბინაციებს.

აღნიშნულ მიმართებათა ზოგადი ფორმულაა $SO+O_3$. პლუს (+) ნიშნის მარცხნივ ყოველთვის დგას პირცვალებად და რიცხვცვალებად პირთა კომბინაციები, მარჯვნივ კი მესამე პირში მდგომი მხოლოდ რიცხვცვალებადი ობიექტი. ამის გათვალისწინებით სამპირიანი აქტივის ზოგადი ფორმულა $SO+O_3$ გადაიწერება ოთხი სახით:

a. $SO^{ind}+O_3{}^{d}$

b. $SO^{ind}+O_3{}^{dp}$

c. $SO^{d}+O_3{}^{ind}$

d. $SO^{d}+O_3{}^{indp}$

ამათი სახით საქმე გვაქვს აქტივის მიკროპარადიგმებთან, რომელთაც სიმბოლურად ასე გამოვხატავთ $G^{act\text{-}a}$, $G^{act\text{-}b}$, $G^{act\text{-}c}$ და $G^{act\text{-}d}$.

$G^{act\text{-}a}$ არის იმ აქტივის პარადიგმა, რომელსაც აქვს პირცვალებადი სუბიექტი, პირცვალებადი ირიბი ობიექტი და პირუცვლელი პირდაპირი ობიექტი მხოლობით რიცხვში ($O_3{}^{d}$); $G^{act\text{-}b}$-ს პარადიგმაში პირცვალებად აქტანტთა მიმართება რჩება უცვლელად, მაგრამ იცვლება $O_3{}^{d}$-ს რიცხვი – იგი მრავლობითშია გადასული ($O_3{}^{dp}$) და ა.შ.

გამოდის, რომ სამპირიან აქტივს, რომელსაც შეიძლება შეეწყოს როგორც პირცვალებადი ირიბი, ისე პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი ისე, რომ ზმნურ ფორმაში ამავე დროს იყოს მეორე პირუცვლელი ობიექტიც, აქვს ოთხი მიკროპარა-

დიგმა, თითოეული 28 ფორმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთ სამპირიან აქტივს მთლიან პარადიგმაში ექნება 112 გრამატიკული ფორმა (28×4), რომელთაგან თითოეული სხვა დანარჩენთაგან (ერთი დანარჩენი 111-ისგან) განსხვავებულია გრამატიკული მნიშვნელობით.

როგორც წინა მსჯელობიდან ჩანს, ყველა სამპირიან ზმნას არ ექნება 112 ფორმა, ექნებათ მხოლოდ იმათ, რომელთაც შეუძლიათ პირცვალებად ობიექტად შეიწყონ როგორც ირიბი, ისე პირდაპირი. ასეთი ზმნების რაოდენობა განსაზღვრული ჩანს, თუმცა მათი რიცხვი არც ისე ცოტაა ენაში. ქვემოთ გავაანალიზებთ ასეთ სამპირიან ზმნას წყვეტილის მწკრივში, რათა ადვილად დავინახოთ განსხვავება პირცვალებადობის მიხედვით ირიბსა და პირდაპირს შორის.

ილია „გლახის ნაამბობში“ წერს: „თავდაპირველად ამადევნეს ჩემოდენა ბატონისშვილსა, დათიკოსა“ (ი.ჭავჭავაძე, მოთხრობები, ტ. II, თავი III, 1985). სამპირიანი ამადევნეს (მათ მე მას) ფორმაში **პირცვალებადია** პირდაპირი ობიექტი: მე ამადევნეს ბატონიშვილს (შენ ა-გ-ადევნეს ბატონიშვილს, ის (გაბრიელი) ა-Ø-ადევნეს ბატონიშვილს); ისიც ნათელია, რომ „ბატონიშვილს“ ირიბი ობიექტია და **პირუცვლელია**, ყველგან მესამე პირში დგას. იგივე ფორმა ამადევნეს შეიძლება ვიხმაროთ სხვა მნიშვნელობითაც: „ამადევნეს მე ბატონიშვილი – აქ პირცვალებადი უკვე ირიბი ობიექტია (შენ ა-გ-ადევნეს, **მას** (გაბრიელს) ა-Ø-ადევნეს ბატონიშვილი). რა თქმა უნდა, **ამ ცვლილებით** (ირიბი ობიექტია პირცვალებადი თუ პირდაპირი) **არსებითი ხასიათის გარდაქმნა ხდება** წინადადებაში, რომელიც ცხადია პრაგმატული თვალსაზრისით (ფრიად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, **მე ამადევნეს მას თუ ის ამადევნეს მე**) და ასევე **არსებითია ფორმალური თვალსაზრისითაც** ზმნის გლობალურ პარადიგმატულ სისტემაში: „ამადევნეს მე ბატონიშვილს“ პასივში კონვერსიულად იძლევა „ავედევნე მე ბატონიშვილს“, „**ამადევნეს მე ბატონიშვილი**“ კი „**ამედევნა მე ბატონიშვილი**“ მიმართებას მოგვცემს. გასაგებია, ერთსა და იმავე აქტივს (ამადევნეს) არ შეეძლო გარდაქმნის

ერთი წესით მოეცა პასივის განსხვავებული კონვერსიული ფორმები: **ავედევნე და ამედევნა. ამოსავალში ორი აქტიური ფორმაა, რომლებიც მხოლოდ გამოხატულების პლანით ემთხვევიან ერთიმეორეს და არა გრამატიკულად,** კონვერსიული ფორმებიც ამიტომ არის განსხვავებული. ძირითად და გარდაქმნილ კონვერსიულ ფორმათა შესახებ ქვემოთ უფრო ვრცლად ვიმსჯელებთ და აღნიშნული სამპირიანი ზმნების სიასაც წარმოვადგენთ დღევანდელი შესაძლებლობის ფარგლებში.

ქართულში მრავლად არის ისეთი სამპირიანი აქტივები, რომელთაც პირცვალებადი მხოლოდ ირიბი ობიექტი შეეწყობა, მაგალითად, დამიმალა (მან მე ის). შეიძლება თავისუფლად ვცვალოთ ირიბი ობიექტი (შენ და-გ-იმალა, მას და-Ø-უმალა), მაგრამ ვერ შევადგენთ წინადადებას, სადაც გვხვდება „მე დამიმალა მას", „შენ დაგიმალა მას"... ე.ი. პირცვალებადი იყოს პირდაპირი ობიექტი, ხოლო პირუცვლელი — ირიბი ობიექტი. ასეთ სამპირიან აქტივებს ექნებათ გრამატიკულად განსხვავებული 56 ფორმა (28×2): 28 ფორმაში პირდაპირი ობიექტი დგას მხოლობით რიცხვში (დამიმალა ის...), მეორე 28 ფორმაში კი — მრავლობით რიცხვში (დამიმალა ისინი...). კონვერსიაში „დამიმალა ის" და „დამიმალა ისინი" განსხვავებულ ფორმებად გარდაიქმნებიან: დამიმალა ის ~ დამემალა ის; დამიმალა ისინი ~ დამემალნენ ისინი. აქაც გასაგებია, რომ გრამატიკულად იდენტურ ფორმებს გარდაქმნის ერთი საერთო წესით არ შეეძლო განსხვავებული ფორმების მოცემა — **პასივთა სხვაობა შედეგია აქტივთა განსხვავებისა.**

დამიმალა ტიპის სამპირიან მოქმედებითი გვარის ზმნებს ექნებათ $G^{act\text{-}a}$ და $G^{act\text{-}b}$ მიკროპარადიგმები.

$G^{act\text{-}a}$

O^{ind} / S	1	2	3	1^P	2^P	3^P
1	11	12	13	11^P	12^P	13^P
2	21	22	23	21^P	22^P	23^P
3	31	32	33	31^P	32^P	33^P
1^P	1^P1	1^P2	1^P3	1^P1^P	1^P2^P	1^P3^P
2^P	2^P1	2^P2	2^P3	2^P1^P	2^P2^P	2^P3^P
3^P	3^P1	3^P2	3^P3	3^P1^P	3^P2^P	3^P3^P

$+O_3^d$

$G^{act\text{-}b}$

O^{ind} / S	1	2	3	1^P	2^P	3^P
1	11	12	13	11^P	12^P	13^P
2	21	22	23	21^P	22^P	23^P
3	31	32	33	31^P	32^P	33^P
1^P	1^P1	1^P2	1^P3	1^P1^P	1^P2^P	1^P3^P
2^P	2^P1	2^P2	2^P3	2^P1^P	2^P2^P	2^P3^P
3^P	3^P1	3^P2	3^P3	3^P1^P	3^P2^P	3^P3^P

$+O_3^{dp}$

ძველ ქართულში G^{act-a} და G^{act-b} განსხვავებულ ფორმებს იძლეოდნენ, რადგან პირდაპირი ობიექტის სიმრავლე ზმნის ფორმაში გამოიხატებოდა {-ენ} სუფიქსით, რომელსაც ჰქონდა /-ენ/ და /-ნ/ ალომორფები. ზემოთ G^{act-b} მიკროპარადიგმაში წარმოდგენილი ფორმები ძველ ქართულში მიიღებდნენ ასეთ სახეს: **დაგიმალენ ისინი** (მე შენ), **და-Ø-უმალენ ისინი** (მე მას), **დაგიმალენ ისინი** (მე თქუენ), **და-Ø-უმალენ ისინი** (მე მათ) და სხვა. S_1-ის ვ- ნიშანი, როგორც წესი, სასხვისო ქცევის უ- პრეფიქსის წინ წარმოდგენილი იყო ნულოვანი ალომორფით, რაც შეპირობებულია ფონოლოგიურად: /ო, უ/ ლაბიალური ხმოვნების წინ იკარგებოდა ლაბიალური /ვ-/, რადგან ქართული ენისთვის უჩვეულოა ძირეული (დაუშლელი) /ვუ/ და /ვო/ კომპლექსები.

გავეცანით სამპირიან ზმნათა ორ სახეობას, რომელთაგან ნაკლებ გაურცელებულს (რომელსაც პარალელურად აქვს როგორც პირცვალებადი ირიბი, ისე პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი) უკეთდება 112 გრამატიკული ფორმა, ხოლო მეორეს (რომელსაც პირცვალებადი მხოლოდ ირიბი ობიექტი აქვს) უკეთდება 56 ფორმა. **კონვერსიული პასივის პარადიგმაში ერთსაც და მეორესაც მხოლოდ 28 ფორმა აქვს.** მაშასადამე, ერთ შემთხვევაში ორპირიანი პასივის 28 ფორმა კონვერსიულ მიმართებაშია აქტივის 112, ხოლო მეორე შემთხვევაში – 56 ფორმასთან. ამის გეერდით ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ პასივის ყველა ფორმა არ უნდა იყოს დაკავშირებული აქტივთა მოცემულ ცხრილებთან, კერძოდ, პასივის I და II პირთა კომბინაციების მქონე ფორმები (**მემალები შენ მე, გემალები მე შენ; მემალებით თქვენ მე** და სხვა) აქტივად ვერ შემობრუნდება, რადგან სამპირიან აქტივში გამორიცხულია I და II პირის ობიექტთა კომბინაციები (ძველ ქართულში რამდენიმე ფორმა მოგროვდა, რომელთაც ობიექტები I და II პირებში აქვთ წარმოდგენილი: **მიჩუენა მან შენ მე, მომცეს მათ მე შენ** და სხვა. ჩვეულებრივ ასეთ ფორმებში I პირთან ან II პირთან წარმოდგენილია III პირი: **მიჩუენა მან მე ის**

და სხვა. იშვიათი ფორმები ძველი ქართულისთვისაც ხელოვნურ-მწიგნობრული ჩანს და ვერ პოვეს განვითარება ენაში. თანამედროვე ქართულში ეს მწიგნობრული ფორმები აღარ იხმარება). თუ ასეთი აქტივები არ არსებობს, ბუნებრივია, ამ რიგის პასივებსაც ვერ მივიღებდით მათგან (იხ. გვარის კატეგორიის არაორდინალური ფორმები, გვ. 130 და შემდეგ).

წარმოდგენილი ფაქტებისა და დებულებების საფუძველზე ჩვენ წინაშე დგება რიგი საკითხები, რომელთაგან პირველ რიგში ყურადღებას იქცევს შემდეგი: (1) რადგან გრამატიკულად არსებითია — ზმნის ესა თუ ის პირი მხოლობითშია თუ მრავლობითში, პირველია ეს პირი თუ მეორეა ან მესამე, პირთა რა კომბინაციებია წარმოდგენილი სუბიექტისა და ობიექტთა მიხედვით, აუცილებლად უნდა განვასხვაოთ აქტივის 112-ივე ფორმა; (2) რადგან პასივს 28 გრამატიკული ფორმა აქვს, მნიშვნელოვანია ისიც, აქტივის რომელი და რამდენი ფორმა მიემართება მათ კონვერსიულად; (3) როგორ აისახება აქტივის ობიექტთა პირცვალებადობა-პირუცვლელობის მიხედვით განსხვავებული მიმართებები შესაბამის კონვერსიულ პასივებში.

სანიმუშოდ ავიღოთ სამპირიანი **დამიმორჩილა**. ამ ერთ ფორმას აქვს ოთხი ერთიმეორისგან განსხვავებული გრამატიკული მნიშვნელობა მიკროპარადიგმათა მიხედვით:

$C^{act\text{-}a}$	—	**დამიმორჩილა მან მე ის**	(პირუცვლელია O_3^d)
$C^{act\text{-}b}$	—	**დამიმორჩილა მან მე ისინი**	(პირუცვლელია O_3^{dp})
$C^{act\text{-}c}$	—	**დამიმორჩილა მან მე მას**	(პირუცვლელია O_3^{ind})
$C^{act\text{-}d}$	—	**დამიმორჩილა მან მე მათ**	(პირუცვლელია O_3^{indp})

პირთა კომბინაციების სადიფერენციაციოდ ვიყენებთ პლუსის მარჯვენა მხარის პირუცვლელ ობიექტს, რომელიც მხოლოდ ერთი სახით უკავშირდება პირცვალებად აქტანტებს და უცვლელია მიკროპარადიგმაში (იხ. გვ.156).

ენაში იშვიათია, როგორც ა.შანიძემ აღნიშნა, ისეთი შემთხვევები, როდესაც პირუცვლელი ირიბი ობიექტია (მხო-

ლობით ან მრავლობით რიცხვში); თითქმის შეუზღუდველია შემთხვევები, როდესაც პირუცველელი პირდაპირი ობიექტია (მხოლობით ან მრავლობით რიცხვში). ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ „იშვიათი ფორმები“ (რომელთა არსებობა ზოგ გამოკვლევაში უარყოფილიც კი არის — იხ. ზემოთ) კანონზომიერად არის წარმოდგენილი რიგ პირველად და ნასახელარ ზმნებში. მათ პირობით ვარქმევთ მიცემა და დაახლოება-დაშორება ტიპის ზმნებს.

მიმცა მან მე მას ($SO_1^dO_3^{ind}$) ~ მომცა მან მე ის ($SO_1^{ind}O_3^d$)

ამ შეპირისპირებულ ფორმებში და ქვემოთ მოყვანილ მასალაშიც O_3 (O_3^d ან O_3^{ind}) პირუცველელი ობიექტია, ფორმები კი შეპირისპირებულია იმით, რომ ერთს თუ ირიბი ობიექტი აქვს პირუცველელი, მეორეს, პირიქით, პირუცველელი პირდაპირი ობიექტი აქვს. სუბიექტზე რომელობისა და რიცხვის ინდექსის გარეშე ვუთითებთ, რადგან იგი შეიძლება იყოს ნებისმიერ პირსა და რიცხვში უკვე ცნობილ შეზღუდვათა ფარგლებში.

დამაცილეს	($SO_1^dO_3^{ind}$) ~	დამაცილეს	($SO_1^{ind}O_3^d$)
დამაკლეს	($SO_1^dO_3^{ind}$) ~	დამაკლეს	($SO_1^{ind}O_3^d$)
მიმათხოვეს	($SO_1^dO_3^{ind}$) ~	მომათხოვეს	($SO_1^{ind}O_3^d$)
წამგლიჯეს	($SO_1^dO_3^{ind}$) ~	წამგლიჯეს	($SO_1^{ind}O_3^d$)
(მი)მადევნეს	($SO_1^dO_3^{ind}$) ~	(მო)მადევნეს	($SO_1^{ind}O_3^d$)
(მი)მაწერეს	($SO_1^dO_3^{ind}$) ~	(მო)მაწერეს	($SO_1^{ind}O_3^d$)
(მი)მაკუთვნეს	($SO_1^dO_3^{ind}$) ~	(მო)მაკუთვნეს	($SO_1^{ind}O_3^d$)

და სხვ.

დამიახლოვეს ($SO_1^dO_3^{ind}$ მათ მე მას) ~ დამიახლოვეს ($SO_1^{ind}O_3^d$ მათ მე ის); როცა ფორმაში პირცვალებადია პირდაპირი ობიექტი, უფრო ა- პრეფიქსიანი ფორმა არის გამოყენებული: დამაახლოვეს (მათ მე მას).

დამაშორეს	$(SO_1{}^dO_3{}^{ind})$ ~	დამაშორეს	$(SO_1{}^{ind}O_3{}^d)$
მიმამატეს	$(SO_1{}^dO_3{}^{ind})$ ~	მიმამატეს	$(SO_1{}^{ind}O_3{}^d)$
დამაძმობილეს	$(SO_1{}^dO_3{}^{ind})$ ~	დამაძმობილეს	$(SO_1{}^{ind}O_3{}^d)$
დამამეგობრეს	$(SO_1{}^dO_3{}^{ind})$ ~	დამამეგობრეს	$(SO_1{}^{ind}O_3{}^d)$
დამააშხანაგეს	$(SO_1{}^dO_3{}^{ind})$ ~	დამააშხანაგეს	$(SO_1{}^{ind}O_3{}^d)$

და სხვ.

წარმოდგენილ მასალაში მხოლოდ წარმოების ტიპზე მითითება გვინდოდა, წარმოების ფორმალურ სახეობათა შესახებ ქვემოთ გვექნება მსჯელობა. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ მსგავსი დაპირისპირება ჩვეულებრივია მეორად კაუზატივებში, როგორიცაა:

ჩამაწერინა$(SO_1{}^dO_3{}^{ind})$~ ჩამაწერინა$(SO_1{}^{ind}O_3{}^d)$

დამახატვინა$(SO_1{}^dO_3{}^{ind})$~ დამახატვინა$(SO_1{}^{ind}O_3{}^d)$

დამამტკიცებინა$SO_1{}^dO_3{}^{ind})$~დამამტკიცებინა$(SO_1{}^{ind}O_3{}^d)$

ახლა შეიძლება დავსვათ კითხვა: ორპირიანი კონვერსიული პასივი, რომელსაც მხოლოდ ერთი ცხრილი აქვს (28 ფორმა), სამპირიან აქტივთა მიკროპარადიგმებიდან (resp. ოთხი ცხრილიდან) რომელიმე ერთს მიემართება თუ რამდენიმეს ან ყველას ერთად? ამ კითხვის პასუხზეა დამოკიდებული, აქტივის მიკროპარადიგმები ცალ-ცალკე პარადიგმებად წაეა თუ ერთ გლობალურ პარადიგმას შექმნიან. **ეს უკანასკნელი მოხდება მაშინ, თუ პასივის ერთი პარადიგმა აქტივის ყველა მიკროპარადიგმას მიემართება განსაზღვრული კანონზომიერებით.**

ზოგი რამის თქმა წინასწარ შეიძლება: ის მიკროსისტემები, რომელთაც, გარდა სუბიექტისა, აქვთ ერთი და იგივე პირცვალებადი და პირუცვლელი ობიექტები და განსხვავდებიან მხოლოდ პირუცვლელი ობიექტის რიცხვით, შეადგენენ ერთ პარადიგმას. ამ საფუძველზე a და b მიკროსისტემები

ერთ პარადიგმას შეადგენენ, c და d – მეორეს. რამდენად შესაძლებელია ამ ორი ჯგუფის მიკროსისტემათა გაერთიანება? მათ ობიექტთა კომბინაციები აქვთ განსხვავებული: პირველში (a, b) გაერთიანებულია პირცვალებადი ირიბი და პირუცვლელი პირდაპირი, მეორეში (c, d) – პირცვალებადი პირდაპირი და პირუცვლელი ირიბი ობიექტები, მაგრამ მათ აქვთ საერთო ზოგადი ფორმულა SO^dO^{ind} და ერთი სისტემის ვარიანტებს წარმოადგენენ, რაც კონვერსიულ პასივთან ურთიერთობაში უნდა გამოჩნდეს.

კონვერსიულ პასივს, ისევე როგორც ნებისმიერ ორპირიან დინამიკურ ზმნას, ერთი მწკრივის ფარგლებში აქვს 28 ფორმა. გასარკვევია პასივის პარადიგმის 28 წევრის მიმართება აქტივის 56 ან 112 წევრთან: თუ პასივს კონვერსიული მიმართებისათვის ოთხივე პარადიგმის ფორმები (112) დასჭირდება, მაშინ აუცილებელია a-b და c-d ჯგუფების გაერთიანება. ისინი ერთი პარადიგმის წევრები ყოფილან; თუ a-b ჯგუფის ფორმები (56) და c-d ჯგუფის ფორმები (56) სხვადასხვა ცხრილის პასივებს მიემართებიან, მაშინ აქტივთა ამ ჯგუფებს, რა თქმა უნდა, ერთ პარადიგმაში ვერ გავაერთიანებთ.

ერთი რამ ახლავე ნათელია: პასივს თუ მხოლოდ ერთი პარადიგმა აქვს, მაშინ გამორიცხულია აქტივთა ორ ჯგუფად დაყოფა პასივთა რაიმე ორი ჯგუფის მიხედვით. სხვა თვალსაზრისისთვის რაც გვრჩება, ის არის, რომ აქტივთა რომელიმე ჯგუფი (a და b ან c და d) საერთოდ არ მიემართება პასივს ან პასივთა ცხრილი განსხვავებულად იკითხება კონვერსიულ აქტივთა განსხვავებულ ჯგუფებთან მიმართებით, თუმცა ამ შემთხვევაშიც დასადგენია, რამდენად ცვლის პარადიგმის არსებით ნიშნებს ეს სხვაობა.

ორპირიანი პასივების პირთა კომბინაციები

S \ O^{ind}	1	2	3	1P	2P	3P
1	11	12		11P	12P	
2	21	22		21P	22P	
3	31					
1P	1P1	1P2		1P1P	1P2P	
2P	2P1	2P2		2P1P	2P2P	
3P						

ცხრილში ჰორიზონტალურად დაშტრიხულია ის კომბინაციები, რომლებიც ვერ ხორციელდება პასიურ ზმნათა სინთეტურ ფორმებში: შეუძლებელია პირველი ან მეორე პირი ერთ ფორმაში სუბიექტიც იყოს და ობიექტიც... ვერტიკალურად დაშტრიხულია პირველი და მეორე პირის კომბინაციები, რომელთაც შეუძლებელია ჰქონდეთ სინთეტური კონვერსიული აქტივები: თუ სუბიექტი პირველი პირია (ცხრილში მარცხენა რიცხვი სუბიექტის ინდექსია), ხოლო ირიბი – მეორე (მარჯვენა რიცხვი ობიექტის ინდექსია, იხ. 12 გრაფა, იკითხება **პირველი, მეორე** და არა თორმეტი), ასეთი ფორმის აქტივად მოქცევისას მასში შემოსული სუბიექტის (ეს ის სუბიექტია, რომელიც პასივში აღარ გადადის აქტივის კონვერსიული შემობრუნების დროს. პასივის აქტივად შემობრუნებისას კი, ბუნებრივია, თავის ადგილს იკავებს) გვერდით განლაგდებიან პირდაპირი ობიექტი პირველ პირში – O_1^d (ის მიღებულია პასივის S_1-ისგან) და ირიბი ობიექტი მეორე პირში – O_2^{ind}, რომელიც პირდაპირ გადმოდის პასივიდან. **ამის შედეგად სამპირიან აქტივში თავს იყრის, გარდა მესამე პირის სუბიექტისა, პირდაპირი**

ობიექტი პირველ პირში და ირიბი ობიექტი მეორე პირში ($O_1{}^dO_2{}^{ind}$), **ეს კი ნებისმიერი სუბიექტის გვერდით ობიექტთა შეუძლებელი კომბინაციაა ქართულ ზმნაში.** ქართულ სამპირიან ზმნაში დაუშვებელია როგორც $S_3O_1{}^dO_2{}^{ind}$, ასევე $S_3O_2{}^dO_1{}^{ind}$ და სხვა სინთეტური ფორმები, სულ თექვსმეტი კომბინაცია (იხ. გვარის კატეგორიის არაორდინალური ფორმები, გვ.130).

თავიდანვე თუ გამოვრიცხავთ არარსებულ კომბინაციებსა და იმ კომბინაციებს, რომელთაც კონვერსიული აქტივი ვერ შეექმნება, პასივის ცხრილში დაგვრჩება 20 ფორმა [36-(8+8)], რომელთაც აქტივში უნდა ჰქონდეთ კონვერსიული ფორმები. ახალი ამოცანაც ნათლად გამოიკვეთა: **პასივის ოცი ფორმისთვის** უნდა მოვძებნოთ კონვერსიული ცალები აქტივის **56** ან **112** ფორმაში.

პასივის ცხრილის დარჩენილ ფორმებში (რომელთაც კონვერსიული აქტივები ევარაუდებათ) **ყველგან მონაწილეობს მესამე პირი, იგი ან პირველ ადგილზე დგას** (ე.ი. სუბიექტია) **ან მეორეზე** (ე.ი. ირიბი ობიექტია). ამის მიხედვით ზმნათა ფორმებიც ან სუბიექტური წყობისაა ან ობიექტური: **როცა მესამე პირი ირიბ ობიექტს გამოხატავს** (ე.ი. კომბინაციის მარჯვენა წევრია), **ზმნურ ფორმათა წყობა იქნება სუბიექტური. როცა მესამე პირი სუბიექტია** (ე.ი. კომბინაციის მარცხენა წევრია), **ზმნურ ფორმათა წყობა იქნება ობიექტური.** დავარქვათ მათ I ჯგუფის პასივები და II ჯგუფის პასივები.

I ჯგუფის პასივებში იცვლება სუბიექტის პირი, უცვლელია ირიბი ობიექტისა (მესამეა), ფორმულა $SO_3{}^{ind}$, ფორმათა რაოდენობა უდრის 8-ს.

II ჯგუფის პასივებში იცვლება ირიბი ობიექტის პირი, უცვლელია სუბიექტისა (ყოველთვის მესამეა), ფორმულა $O^{ind}S_3$, ფორმათა რაოდენობა უდრის 12-ს.

ამ ფორმულათა მიღება შეიძლება აქტივის a, b, c, d მიკროსისტემებიდანაც: c და d იძლევიან სუბიექტური წყობის პასივებს, a და b კი – ობიექტური წყობისას, რაც ფორმულებით შემდეგნაირად გამოიხატება:

$G^{act\text{-}c} - SO^{d}+O_3{}^{ind} \rightarrow G^{pass} - S+O_3{}^{ind}$; ანალოგიური ვითარებაა d-ში:

$G^{act\text{-}d} - SO^{d}+O_3{}^{indp} \rightarrow G^{pass} - S+O_3{}^{indp}$.

c-სა და d-ს შორის განსხვავება მხოლოდ ირიბი ობიექტის რიცხვშია. პასივთა შორისაც იგივე განსხვავებაა.

$G^{act\text{-}a} - SO^{ind}+O_3{}^{d} \rightarrow G^{pass} - O^{ind}+S_3$

$G^{act\text{-}b} - SO^{ind}+O_3{}^{dp} \rightarrow G^{pass} - O^{ind}+S_3{}^{p}$

ჩატარებული ოპერაციების მიხედვით კარგად ჩანს, $G^{act\text{-}c}$ და $G^{act\text{-}d}$ მიკროსისტემათა ფორმები მიემართება G^{pass}-ის სუბიექტური წყობის ფორმებს (ფორმულებიც ეწყებათ სუბიექტით: $SO_3{}^{ind}$ და $SO_3{}^{indp}$), $G^{act\text{-}a}$ და $G^{act\text{-}b}$ მიკროპარადიგმათა ფორმები კი – G^{pass}-ის ობიექტური წყობის ფორმებს (ფორმულებიც ეწყებათ ობიექტით: $O^{ind}S_3$ და $O^{ind}S_3{}^{p}$).

აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ორპირიან პასივებში მესამე პირთა კომბინაციებში წყობა მუდამ ობიექტური იქნება: მაშინაც, როცა სუბიექტი მიღებულია პირუცვლელი პირდაპირი ობიექტისგან და მაშინაც, როცა სუბიექტი მიღებულია პირცვალებადი პირდაპირი ობიექტისგან.

ვფიქრობთ, სრულიად ნათლად გამოჩნდა, რომ პასივის 20 ფორმას მიემართება აქტივის 112 ფორმა. ამათგან პასივის სუბიექტური წყობის 8 ფორმა (ეცვლებათ სუბიექტის პირი, უცვლელია ირიბი ობიექტის პირი) მიემართება იმ აქტივებს, რომელთაც აქვთ პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი I და II პირებში (სწორედ ეს პირები ხდებიან 8 პასიური ფორმის სუბიექტებად პირთა რომელობის ინდექსისა და რიცხვის დაცვით), ხოლო ობიექტური წყობის 12 პასიურ ფორმას (რომელთაც ეცვლებათ ირიბი ობიექტის პირი და არ ეცვლებათ სუბიექტის პირი) მიემართება აქტივის ის ფორმები, რომელთა პირდაპირი ობიექტი მესამე პირშია. $G^{act\text{-}c}$ და $G^{act\text{-}d}$ მიკროპარადიგმათა ფორმები საკმაოდ მრავალფეროვანია: ი-/ უ- პრეფიქსიანთა გვერდით გვხვდება ა- და Ø- პრეფიქსიანი ფორმები:

(1) „მამაჩემმა ერთ ვაჭარს და-მ-Ø-ი-ყენ-ა მოჯამაგირედ.“

(2) „მამაჩემმა და-მ-Ø-ა-ახლოვ-ა ერთ ვაჭარს.“

(3)„მამაჩემმა მო-მ-Ø-წყვიტ-ა ძველ მეგობარს“

სამსავე დაშლით წარმოდგენილ ფორმაში პირდაპირი ობიექტი I პირშია. ისინი ეკუთვნიან $G^{act\text{-}c}$ მიკროპარადიგმას. პირველი რიგის ფორმები უფრო იშვიათად გვხვდება მეორე და მესამე რიგის ფორმებთან შედარებით. ესენი შეიძლება ორად დავაჯგუფოთ: ი-/უ- პრეფიქსიანები, ერთი მხრით, და, მეორე მხრით, Ø და ა- პრეფიქსიანები. ი-/უ- პრეფიქსიანები ბენეფაქტიური ფორმებია, Ø და ა- პრეფიქსიანები კი — უფრო ხშირად მალეფაქტიურია. მიმდინარე ანალიზში ამ მიმართებებს ვერ გავითვალისწინებთ, რადგან ამჯერად არსებითია სამპირიან აქტივთა კონვერსიული მიმართება შესაბამის ორპირიან პასივებთან სხვადასხვა რიცხვის მქონე პირცვალებადი და პირუცვლელი ობიექტების კომბინაციაში და დადგენა იმისა, პასივის ამა თუ იმ ფორმას რომელი ფორმები შეესაბამება კონვერსიული აქტივის პარადიგმაში.

ვიდრე კონკრეტულ მიმართებებზე გადავიდოდეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ პასივთა ფორმები მესამე პირთა კომბინაციებით ყოველთვის ობიექტური წყობისაა, რადგან სუბიექტური მესამე პირის ნიშანი სუფიქსია, ირიბი ობიექტის მესამე პირის ნიშანი კი — პრეფიქსი.

ამის შემდეგ ყალიბდება ასეთი დებულება: პასივის ყველა კომბინაცია, რომელიც იწყება 3 ინდექსით (ეს უდრის S_3-ს), იძლევა ობიექტური წყობის ფორმებს, ხოლო ის კომბინაციები, რომლებიც ბოლოვდება 3 ინდექსით (მაგრამ არ იწყება 3-ით), იძლევა სუბიექტური წყობის ფორმებს, ესენი სუბიექტური პირველი და მეორე პირების მესამე პირთან შექმნილი კომბინაციებია.

პასივის ცხრილში ობიექტური წყობის ფორმებს იძლევა შემდეგი კომბინაციები: 31, 32, 33, 31^{P}, 32^{P}, 33^{P}; $3^{P}1$, $3^{P}2$, $3^{P}3$, $3^{P}1^{P}$, $3^{P}2^{P}$, $3^{P}3^{P}$; სუბიექტური წყობის ფორმებს კი

იძლევა შემდეგი კომბინაციები: 13, 23, 1P3, 2P3; 13P, 23P, 1P3P, 2P3P.

აქტივები, რომელთა პირდაპირი ობიექტი პირუცვლელია და პირის მიხედვით ეცვლება მხოლოდ ირიბი ობიექტი (G^{act-a} და G^{act-b}), კონვერსიულ პასივებში, რა თქმა უნდა, გარდაიქმნებიან მხოლოდ ობიექტური წყობის ფორმებად: აქტივის მესამე პირის ობიექტი პასივში გადადის მესამე პირის სუბიექტად, რის გამოც ზმნის დასაწყისში პირცვალებადი ირიბი ობიექტის ნიშნები განლაგდებიან მხოლოდ. სანიმუშოდ ავიღოთ G^{act-a} მიკროპარადიგმიდან $21+O_3{}^d$ კომბინაცია (შენ მე ის – ჯერ პირცვალებადი სუბიექტი და ობიექტია წარმოდგენილი, შემდეგ – პირუცვლელი ობიექტი): **და-მ-ი-ახლოვ-ე** (შენ მე სტუმარი), ამის კონვერსიული პასივია **და-მ-ი-ახლოვ-დ-ა** (სტუმარი მე). ვნახოთ იგივე ზოგადი მიმართება G^{act-b} მიკროპარადიგმის მიხედვით (ამ პარადიგმაში იცვლება მხოლოდ პირუცვლელი ობიექტის რიცხვი: ეს არის $O_3{}^{dP}$); ფორმულა $21O_3{}^{dP}$ (შენ მე ისინი): **დამიახლოვე** (შენ მე სტუმრები), ამის კონვერსიული პასივია **დამიახლოვდნენ** (სტუმრები მე). ორსავე შემთხვევაში პირუცვლელი პირდაპირი ობიექტი იძლევა S_3-ს (resp. $S_3{}^P$-ს), რის გამოც ზმნის ფორმებს იწყებს პირცვალებადი ირიბი ობიექტი I პირში მ- პრეფიქსით (რადგან ეს პირი მხოლობით რიცხვშია), II პირში **მ-**ს ადგილს დაიჭერს გ- (ირიბი ობიექტის მეორე პირის ნიშანი), მესამეში – ჰ- ან ს-, ან Ø- (ირიბი ობიექტის მესამე პირის ნიშანი). **ფორმათა ობიექტური წყობა G^{act-a} და G^{act-b} პარადიგმათა აქტივების კონვერსიულ პასივებში, მაშასადამე, გარდაუვალია, რადგან აუცილებელია ირიბი ობიექტის პირის ცვლა და მუდმივი S_3** (მხოლობით ან მრავლობით რიცხვში). პასივის ცხრილში არის 28 გრამატიკული ფორმა. მას საპირისპიროდ უდგას კონვერსიულ აქტივთა 112 ფორმა. უნდა მოინახოს კანონზომიერება, რომლითაც აქტივთა და პასივთა ფორმები დაჯგუფდებიან კონვერსიულ შესატყვისებად.

კონვერსიის ძირითადი პრინციპები ქართულ ენაში ცნობილია: აქტივის პირდაპირი ობიექტი მოიქცევა პასივის სუ-

ბიექტად, ირიბი ობიექტი აქტივიდან პასივში გადადის უცვლელად; აქტივის სუბიექტი პასივში აღარ გადავა – დაიკარგება გრამატიკულად.

რადგან პასივის ფორმები თავმოყრილია ერთი ცხრილის ფარგლებში, უმჯობესია კონვერსიის პრინციპებით აქტივ-პასივთა დაწყვილება საბოლოოდ მოვახდინოთ პასივთა ცხრილის ფორმებიდან ამოსვლით.

ჯერ გასარკვევია: პასივის ერთ ფორმას აქტივის რამდენი ფორმა უდგას კონვერსიულ ცალად? ეს კითხვა იმიტომ დგება, რომ აქტივის რამდენიმე ფორმას შეიძლება ჰქონდეს პირდაპირი და ირიბი ობიექტების იდენტური კომბინაცია და რადგან აქტივის პასივად მოქცევისას სუბიექტი უკვალოდ იკარგება და კონვერსიული გარდაქმნის პროცედურა მხოლოდ ობიექტებს ეხება, ბუნებრივია, აქტივთა ის ფორმები, რომლებიც მხოლოდ სუბიექტით განსხვავდებიან, ობიექტთა კომბინაციების მიხედვით კი მსგავსნი არიან, კონვერსიის შედეგად პასივში საზიარო ფორმას მოგვცემენ. ამაზე ა.შანიძემ მიუთითა, როცა მმალავ, მმალავს; მმალავთ, მმალავენ ფორმათა კონვერსიულ პასივს ეხებოდა. რადგან აღნიშნულ აქტივთა პირდაპირი ობიექტი ერთია (O_1^d), კონვერსიული პასივიც საზიარო აღმოაჩნდათ – ვიმალები (ა.შანიძე, 1973, 284). ასეთივე ვითარება იქნება მაშინაც, როცა პირდაპირი ობიექტი მრავლობით რიცხვში იქნება: გვმალავ (ჩვენ), გვმალავს (ჩვენ), გვმალავთ (ჩვენ), გვმალავენ (ჩვენ) – ამათი კონვერსიული პასივია ვიმალებით. ანალოგიურია II პირის პირდაპირი ობიექტის მქონე აქტივთა და მათი კონვერსიული პასივის მიმართება. აქაც აქტივის ოთხ ფორმას შეესაბამება პასივის ერთი ფორმა როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში.

ვითარება განსხვავებულია მესამე პირში. ცნობილია, აქტივის ფორმებში დაუშვებელია პირველი ან მეორე პირის გამეორება (პირველი პირი სუბიექტად და ობიექტად; მეორე პირი სუბიექტად და ობიექტად; პირდაპირი და ირიბი ობიექტები პირველ პირში ან მეორე პირში); ასევე დაუშვებელია ერთ ფორმაში პირდაპირი და ირიბი ობიექტის დგომა I და

II პირებში, ვთქვათ, პირდაპირი I პირში, ირიბი II პირში და ა.შ.

განსხვავებით I და II პირთა კომბინაციებისგან, შესაძლებელია მესამე პირის კომბინაცია როგორც I და II პირებთან, ისე მესამე პირთან. სწორედ ამის გამო პასივის ერთ ფორმას აქტივში კონვერსიულად უდგას ექვსი ფორმა, მაგალითად:

S	მე	და-ვ-უ-მალ-ე	მას ის ~ და-Ø-ე-მალ-ა მას ის
	შენ	და-Ø-უ-მალ-ე	
	მან	და-Ø-უ-მალ-ა	
	ჩვენ	და-ვ-უ-მალ-ე-თ	
	თქვენ	და-Ø-უ-მალ-ე-თ	
	მათ	და-Ø-უ-მალ-ეს	
			($O_3^{ind}O_3^{d}$) ($S_3O_3^{ind}$)

აქტივებში პირდაპირი ობიექტი (O_3^{d}) ყველგან მესამეა, მხოლობით რიცხვშია და, ბუნებრივია, პასივში მოიქცა S_3-დ, ირიბი „მას“ უცვლელად გადმოვიდა, რის გამოც ექვსივე აქტივს ერთი და იგივე კონვერსიული პასივი აქვს – დაემალა.

როგორც ზემოთ ვთქვით, სამპირიან აქტივებში პირცვალებადი პირდაპირი ობიექტის მიმართება ირიბთან ქართულში სამნაირად გამოიხატება: ი-/უ- პრეფიქსებით, ა- და Ø- პრეფიქსებით. უფრო გავრცელებულია ა- და Ø- პრეფიქსიანი ფორმები, ცოტაა ი-/უ- პრეფიქსიანი ფორმები. მაგრამ იგივე ფორმები გამოყენებულია ისეთი ვითარებისთვისაც, როცა პირცვალებადია ირიბი ობიექტი, პირდაპირი კი პირუცვლელია. ამ გაგებით ეს ფორმები საყოველთაო ხმარებისაა და ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით მათ.

ახლა ვიხილავთ პირცვალებად პირდაპირობიექტიან ფორმებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისინი საზიაროა პირცვალებად ირიბობიექტიან გრამატიკულ ფორმებთან. საქმე

გვაქვს სხვადასხვა გრამატიკული შინაარსის მქონე ფორმათა გამოხატულების პლანის აბსოლუტურ დამთხვევასთან, რაც განპირობებულია იმით, რომ თანამედროვე ქართულში პირდაპირ და ირიბ ობიექტებს ერთი და იგივე პირის ნიშნები აქვთ სამსავე პირსა და ორსავე რიცხვში.

საილუსტრაციო მასალა „საზიარო“ ფორმათათვის

I. ა- პრეფიქსიანი ფორმები

და-მ-ა-მსგავს-ა	მან მე მას მან მე ის	გადა-მ-ა-მტერ-ა	მან მე მას მან მე ის
და-მ-ა-ვიწყ-ა	მან მე მას მან მე ის	შე-მ-ა-ხვედრ-ა	მან მე მას მან მე ის
შე-მ-ა-ევედრ-ა	მან მე მას მან მე ის	და-მ-ა-კრ-ა	მან მე მას მან მე ის
შე-მ-ა-ბრალ-ა	მან მე მას მან მე ის	მ-ა-მსახურ-ა	მან მე მას მან მე ის

და სხვ.

II. Ø- პრეფიქსიანი ფორმები

მო-მ-წყვიტ-ა { მან მე მას / მან მე ის

მო-მ-გლიჯ-ა { მან მე მას / მან მე ის

მო-მ-კვეთ-ა { მან მე მას / მან მე ის

შე-მ-წირ-ა { მან მე მას / მან მე ის

III. ი-/ უ- პრეფიქსიანი ფორმები

და-მ-ი-უენ-ა { მან მე მას / მან მე ის

და-მ-ი-მორჩილ-ა { მან მე მას / მან მე ის

და-მ-ი-მონ-ა { მან მე მას / მან მე ის

IV. „საზიარო" ფორმებში ზოგჯერ განსხვავება მყარდება ზმნისწინთა საშუალებით: პირცვალებად პირდაპირობიექტიან ფორმებში გამოყენებულია მი- პრეფიქსი, პირცვალებად ირიბობიექტიან ფორმებში კი მო- პრეფიქსი.

მი-მ-ა-ქირავ-ა	მან მე მას (I პირში პირდაპირი ობიექტია)
მო-მ-ა-ქირავ-ა	მან მე ის (I პირში ირიბი ობიექტია)
მი-მ-ც-ა	მან მე მას
მო-მ-ც-ა	მან მე ის
მი-მ-ა-ყენ-ა	მან მე მას
მო-მ-ა-ყენ-ა	მან მე ის
მი-მ-ა-ჭყლიტ-ა	მან მე მას
მო-მ-ა-ჭყლიტ-ა	მან მე ის
მი-მ-ყიდ-ა	მან მე მას
მო-მ-ყიდ-ა	მან მე ის

ზმნისწინთა ასეთი განაწილება გასაგებიც არის — ადრესატი ხომ ყოველთვის ირიბი ობიექტია: თუ ის მესამე პირია, ორიენტაცია საიქეთო იქნება, თუ ის პირველი პირია ან მეორე — სააქეთო.

ამ ზმნათაგან (ოთხივე ჯგუფიდან) მსჯელობის სიცხადისთვის უმჯობესია ავირჩიოთ ისეთი, რომელიც ნაცნობ ფორმებს იძლევა c, d და a, b ჯგუფთა მიხედვით. ეს გაგვიადვილებს კონვერსიულ მიმართებაში არსებული სხვაობის გარჩევას; ასეთია, მაგალითად, შეწირვა ზმნის სამპირიანი ფორმები.

(1) $G^{act\text{-}c}$ — შე-მ-წირ-ა მან მე მას ($S_3O_1{}^dO_3{}^{ind}$) ~ G^{pass} შე-ვ-ე-წირ-ე მე მას ($S_1O_3{}^{ind}$);

(2) $G^{act\text{-}a}$ — შე-მ-წირ-ა მან მე ის ($S_3O_1{}^{ind}O_3{}^d$) ~ G^{pass} შე-მ-ე-წირ-ა ის მე ($S_3O_1{}^{ind}$).

პირველ შემთხვევაში ობიექტური I პირი პირდაპირია, მეორე შემთხვევაში კი ობიექტური პირველი პირი ირიბია. გამოხატულების პლანი საზიაროა, მაგრამ როგორც გრამატიკული ფორმები, ისინი ფრიად განსხვავებულია. მათ კონვერსიული პასივები განსხვავებული აქვთ როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით.

ასევე ნათელია სხვაობა II პირში c და a აქტივების მიკროპარადიგმათა ფორმების კონვერსიულ მიმართებაში:

$G^{act\text{-}c}$ – შე-გ-წირ-ა მან შენ მას ~ G^{pass} – შე-Ø-ე-წირ-ე შენ მას

$G^{act\text{-}a}$ – შე-გ-წირ-ა მან შენ ის ~ G^{pass} – შე-გ-ე-წირ-ა ის შენ

მსჯელობას აღარ განვაგრძობთ. სხვადასხვა მიკროპარადიგმათა აქტივების განსხვავებაზე არსებითი უკვე ითქვა. ისღა დაგვრჩენია, პასივთა I და II პირის სუბიექტური წყობისა და ობიექტური წყობის ფორმათა კონვერსიულ აქტივებზე მივუთითოთ a, b, c, d მიკროპარადიგმათა მიხედვით და აღვნუსხოთ მათი რაოდენობა კონკრეტულად, მესამე პირთა კომბინაციები კი ცალკე განვიხილოთ.

რადგან კონვერსიულ აქტივებს ვეძებთ მხოლოდ სუბიექტური წყობის ორპირიანი პასივებისთვის, განსახილველი გვაქვს მხოლოდ $G^{act\text{-}c}$ და $G^{act\text{-}d}$ მიკროპარადიგმათა ფორმები და მსჯელობიდან უნდა გამოვთიშოთ $G^{act\text{-}a}$ და $G^{act\text{-}b}$ მიკროპარადიგმები.

თუ სუბიექტური წყობის ორპირიან პასივთა ფორმაში სუბიექტი I ან II პირშია (S_1 ან S_2), ხოლო O_3^{ind} არის მხოლობით რიცხვში, მისი კონვერსიული აქტივი იქნება $G^{act\text{-}c}$ მიკროპარადიგმაში; თუ ირიბი ობიექტი მრავლობით რიცხვშია სუბიექტის იმავე სახეობებთან, მაშინ მისი კონვერსიული აქტივი იქნება $G^{act\text{-}d}$ მიკროპარადიგმაში:

G^{pass} – შე-ვ-ე-წირ-ე მას ~ $G^{act\text{-}c}$ – შე-მ-წირ-ა მას

G^{pass} – შე-Ø-ე-წირ-ე მას ~ $G^{act\text{-}c}$ – შე-გ-წირ-ა მას

G^{pass} – შე-ვ-ე-წირ-ე მათ ~ $G^{act\text{-}d}$ – შე-მ-წირ-ა მათ

G^{pass} – შე-Ø-ე-წირ-ე მათ ~ $G^{act\text{-}d}$ – შე-გ-წირ-ა მათ

სუბიექტი პასივებში და პირდაპირი ობიექტი აქტივებში ყველგან მხოლობით რიცხვშია, იცვლებოდა მხოლოდ ირიბი ობიექტის რიცხვი. როგორც აქ წარმოდგენილი ფორმებიდან ჩანს, $G^{act\text{-}c}$ და $G^{act\text{-}d}$ ფორმები გამოხატულების პლანში ემთხვევა აბსოლუტურად პირთა მიხედვით, მაგრამ გრამატიკულად განსხვავებულია, რადგან ირიბი ობიექტი სხვადასხვა რიცხვშია როგორც პასივებში, ისე მათ კონვერსიულ აქტივებში.

რადგან პასივის თითოეულ ფორმას, რომლებშიც სუბიექტი I ან II პირშია, კონვერსიულად აქტივის ოთხი ფორმა შეესაბამება, პასივის I და II პირების სუბიექტური წყობის რვა ფორმა (მე შევეწირე მას, მე შევეწირე მათ; შენ შეეწირე მას, შენ შეეწირე მათ; ჩვენ შევეწირეთ მას, ჩვენ შევეწირეთ მათ; თქვენ შეეწირეთ მას, თქვენ შეეწირეთ მათ) მოითხოვს 32 ფორმას კონვერსიულ $G^{act\text{-}c}$ და $G^{act\text{-}d}$ მიკროპარადიგმებში.

სანიმუშოდ წარმოვადგენთ პირველ პირთან დაკავშირებულ ოთხივე პასივის კონვერსიული აქტივების ფორმებს მათ მიკროპარადიგმებზე მითითებით.

1. მე შე-ვ-ე-წირ-ე ~ მას ($S_1O_3^{ind}$)

- მან შე-მ-წირ-ა
- შენ შე-მ-წირ-ე
- მათ შე-მ-წირ-ეს
- თქვენ შე-მ-წირ-ე-თ

→ მე მას ($O_1^dO_3^{ind}$) – $G^{act\text{-}c}$

2. მე შე-ვ-ე-წირ-ე ~ მათ ($S_1O_3^{indp}$)

- მან შე-მ-წირ-ა
- შენ შე-მ-წირ-ე
- მათ შე-მ-წირ-ეს
- თქვენ შე-მ-წირ-ე-თ

→ მე მათ ($O_1^dO_3^{indp}$) – G^{act-d}

3. ჩვენ შე-ვ-ე-წირ-ე-თ ~ მას ($S_1^pO_3^{ind}$)

- მან შე-გვ-წირ-ა
- შენ შე-გვ-წირ-ე
- მათ შე-გვ-წირ-ეს
- თქვენ შე-გვ-წირ-ე-თ

→ ჩვენ მას ($O_1^{dp}O_3^{ind}$) – G^{act-c}

4. ჩვენ შე-ვ-ეწირ-ე-თ ~ მათ ($S_1^pO_3^{indp}$)

- მან შე-გვ-წირ-ა
- შენ შე-გვ-წირ-ე
- მათ შე-გვ-წირ-ეს
- თქვენ შე-გვ-წირ-ე-თ

→ ჩვენ მათ ($O_1^{dp}O_3^{indp}$) –G^{act-d}

აქ წარმოდგენილია აქტივის (G^{act-c} და G^{act-d} მიკროპარადიგმებიდან) 16 ფორმა, ზუსტად ამდენივე იქნება II პირის ოთხი პასივის კონვერსიული აქტივების რაოდენობა, რაც საბოლოო ჯამში სუბიექტური I პირისა და II პირების მქონე პასივებთან იძლევა 32 აქტიურ ფორმას, რომელთაც პირდაპირი ობიექტი აქვთ I და II პირებში.

ახლა განვიხილოთ ობიექტური წყობის I და II პირის პასივები და მათი კონვერსიული აქტივები. როგორც უკვე ითქვა, ობიექტური წყობის ამ პასივთა კონვერსიული აქტივები განეკუთვნებიან G^{act-a} და G^{act-b} მიკროპარადიგმებს. ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს 8 ფორმასთან: შემეწირა (ის მე), შეგვეწირა (ის ჩვენ); შეგეწირა (ის შენ), შეგეწირათ (ის თქვენ), შემეწირნენ (ისინი მე), შეგვეწირნენ (ისინი ჩვენ); შეგეწირნენ (ისინი შენ), შეგეწირნენ (ისინი თქვენ).

თითოეულს ჩამოთვლილ ფორმათაგან ოთხი კონვერსიული აქტივი დაუდგება გეერდით $G^{act\text{-}a}$ (როცა მესამე პირის პირდაპირი ობიექტი მხოლობით რიცხვშია) და $G^{act\text{-}b}$ (როცა მესამე პირის პირდაპირი ობიექტი მრავლობით რიცხვშია) მიკროპარადიგმებიდან; მაგალითად:

1. მე შე-მ-ე-წირ-ა ~ ის

შე-მ-წირ-ა მან	მე ის
შე-მ-წირ-ე შენ	
შე-მ-წირ-ეს მათ	$(O_1^{ind}O_3^{d})$ – $G^{act\text{-}a}$
შე-მ-წირ-ე-თ თქვენ	

2. მე შე-მ-ე-წირ-ნენ ~ ისინი

შე-მ-წირ-ა მან	მე ისინი
შე-მ-წირ-ე შენ	
შე-მ-წირ-ეს მათ	$(O_1^{ind}O_3^{dp})$ – $G^{act\text{-}b}$
შე-მ-წირ-ე-თ თქვენ	

3. ჩვენ შე-გვ-წირ-ა ~ ის

შე-გვ-წირ-ა მან	ჩვენ ის
შე-გვ-წირ-ე შენ	
შე-გვ-წირ-ეს მათ	$(O_1^{indp}O_3^{d})$ – $G^{act\text{-}a}$
შე-გვ-წირ-ე-თ თქვენ	

4. ჩვენ შე-გვ-ე-წირ-ნენ ~ ისინი

შე-გვ-წირ-ა მან	ჩვენ ისინი
შე-გვ-წირ-ე შენ	
შე-გვ-წირ-ეს მათ	$(O_1^{ind}O_3^{dp})$ – $G^{act\text{-}b}$
შე-გვ-წირ-ე-თ თქვენ	

თუ აქაურ აქტივებს შევადარებთ ზემოთ წარმოდგენილ სუბიექტური წყობის პასიეთა კონვერსიულ აქტივებს, **გამოხატულების პლანის დამთხვევა სრული იქნება**, თუმცა გრამატიკული შინაარსით ისინი განსხვავდებიან, რაზეც მიუთითებს ფორმათა გვერდით მიწერილი ფორმულები (resp. ნაცვალსახელები): რომელიმე **შემწირა** ორნაირად გაიგება ქართულში: (1) **შე-მ-წირ-ა მან მე მას** (G^{act-c}) და (2) **შე-მ-წირ-ა მან მე ის** (G^{act-a}) – თუ პირველ შემთხვევაში პირველი პირი შესწირეს მესამე პირს, მეორე შემთხვევაში, პირიქით, მესამე პირს სწირავენ პირველს.

ობიექტური წყობის პასიეთა I და II პირის ზემოთ ჩამოთვლილი რვა ფორმა იძლევა 32 ფორმას აქტივში (8×4): 16-ს G^{act-a} მიკროპარადიგმიდან (სადაც მესამე პირის პირდაპირი ობიექტი მხოლობით რიცხვშია) და 16-ს G^{act-b} მიკროპარადიგმიდან (სადაც მესამე პირის პირდაპირი ობიექტი მრავლობით რიცხვშია).

ამგვარად: სუბიექტური და ობიექტური წყობის პასიეთა I და II პირთა 16 ფორმას (8+8) აქტივში შეესაბამება 64 ფორმა [(8×4)+(8×4)].

ზემოთ ვთქვით, რომ ერთი მწკრივის ფარგლებში პასიეთა 28 ფორმიდან კონვერსიული აქტივი უკეთდება მხოლოდ 20-ს (იხ. გვ.167); ამათგან უკვე განვიხილეთ 16, განსახილველი დარჩა 4 ფორმა, ესენია **მესამე პირის ობიექტთა კომბინაციები**: 33, 33^{P}; $3^{P}3$, $3^{P}3^{P}$ (შეეწირა ის მას, შეეწირა ის მათ; შეეწირნენ ისინი მას, შეეწირნენ ისინი მათ).

მესამე პირთა ფორმები პასივსა (S_3O_3...) და აქტივში (SO_3O_3..), ისევე როგორც მესამე პირთა კომბინაციები მესამესთან აქტივში ($S_3O_3O_3$...), ორნაირი გრამატიკული მნიშვნელობით იხმარება, კერძოდ:

(1) შე-ს-წირ-ა (მან მას ის) ~ (2) შე-ს-წირ-ა (მან ის მას) – რაც პირველ შემთხვევაში იყო პირდაპირი ობიექტი, მეორე შემთხვევაში ის ირიბი ობიექტია და, პირიქით, მეორე შემთხვევაში ირიბი მოიქცა პირდაპირად, პირდაპირი – ირიბად. მკაფიო გარჩევისთვის ნაცვალსახელები შევცვალოთ არსებითი სახელებით: (1) „მან **მოყვარე** შესწირა **მოწინა-**

აღმდეგეს“ და (2) „მან მოყვარეს შესწირა მოწინააღმდეგე“. გამოხატულების პლანში დამთხვევა ბუნებრივია, რადგან, თუმცა განსხვავებული ფუნქციით, მაგრამ ერთი და იგივე პირები მონაწილეობენ ზმნის ფორმის შექმნაში, სადაც თითოეულ პირს მისი ნიშნისთვის ერთი და იგივე ადგილი აქვს მიჩენილი.

ასევე ორნაირი გაგება ექნება აღნიშნულ აქტივთა კონვერსიულ პასივებს: (1) შე-Ø-ე-წირ-ა (მას ის) და შე-Ø-ე-წირ-ა (ის მას): (1) „შეეწირა მოყვარე მოწინააღმდეგეს“ და „შეეწირა მოყვარეს მოწინააღმდეგე“. პირველი „შეეწირა“ არის სუბიექტური წყობის ფორმათა რიგისა, მეორე კი — ობიექტური წყობის ფორმათა რიგისა:

(1)	შე-ვ-ე-წირ-ე მე	} მას	(2)	შე-მ-ე-წირ-ა მე	} ის
	შე-Ø-ე-წირ-ე შენ			შე-გ-ე-წირ-ა შენ	
	შე-Ø-ე-წირ-ა ის			შე-Ø-ე-წირ-ა მას	

33 ($S_3O_3^{ind}$) კომბინაციის ერთ პასივს, როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, შეესაბამება 6 აქტივი (იხ. გვ. 172).

როცა პასივის 20 ფორმაზე ვმსჯელობთ, იქვე უნდა აღინიშნოს, რომ 33 (სამი, სამი) კომბინაციები (33, 33P, 3P3, 3P3P) ორ-ორი მნიშვნელობით იხმარება (როგორც მათი კონვერსიული პასივები), მაგალითად: (1) შეეწირა (ის მას) და (2) შეეწირა (მას ის). როგორც განსხვავებულია „შეეწირე მე მას“ და „შემეწირა ის მე“, ასევეა განსხვავებული პირველი და მეორე შეეწირა.

შეეწირე ფორმა ცალკე განვიხილეთ სუბიექტური წყობის პასივებში, ასევე ცალკე განვიხილეთ შემეწირა ფორმა ობიექტური წყობის პასივებში; ცალ-ცალკე უნდა იქნეს განხილული განსხვავებული მნიშვნელობის, მაგრამ საზიარო გამოხატულების მქონე შეეწირა. მსჯელობისათვის ქვემოთ ვიღებთ ასეთ პირობას:

(1) თუ სახელობითში დასმული მესამე პირის ნაცვალსახელი წინ წავუმძღვარეთ მიცემითში დასმულ ამავე ნაცვალსახელს, ფორმას მივიჩნევთ იმ მიკროპარადიგმის წევრად,

სადაც პირცვალებადია პირდაპირი ობიექტი; (2) თუ მიცემითში დასმული მესამე პირის ნაცვალსახელი წინ წავუმძღვარეთ ამავე პირის სახელობით ბრუნვაში დასმულ ფორმას, ზმნის ფორმას მივიჩნევთ იმ მიკროპარადიგმის წევრად, სადაც პირცვალებადია ირიბი ობიექტი, მაშასადამე: (1) შესწირა (ის მას) ვარაუდობს იმ პარადიგმას, სადაც გვაქვს შემწირა (მე მას) და შეგწირა (შენ მას), ხოლო (2) შესწირა (მას ის) ვარაუდობს იმ პარადიგმას, სადაც გვაქვს შემწირა (მე ის), შეგწირა (შენ ის). პირველ რიგში პირცვალებადია პირდაპირი ობიექტი, მეორეში — ირიბი.

როგორც ვნახეთ, მესამე პირთა კომბინაციები პასივში გვაძლევს ოთხ ფორმას (იხ. გვ. 169). თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პასივთაგან თითოეულს აქვს ორნაირი მნიშვნელობა, ფაქტობრივად საქმე გვაქვს 8 ფორმასთან (4+4). 33 (სამი, სამი) კომბინაციის თითოეულ პასივს კონვერსიულად შეესაბამება 6 აქტივი, მაშასადამე, 8 პასივს კონვერსიულად გვერდით დაუდგება 48 აქტივი (8×6), რომელთაგან 24 აქტიური ფორმა მიემართება 4 პასივს, რომლებიც სუბიექტური წყობის ფორმათა დამახასიათებელ პირთა მიმართებას იცავენ (შეეწირე მე მას, შეეწირე შენ მას, შეეწირა ის მას; დანარჩენი 24 ფორმა აქტივისა კი მიემართება იმ ოთხ პასივს, რომლებიც ობიექტური წყობის ფორმათა დამახასიათებელ პირთა მიმართებებს იცავენ (შემეწირა მე ის, შეგეწირა შენ ის, შეეწირა მას ის).

გამოხატულების პლანის სრული დამთხვევის გამო პირებისა და მათი გამომხატველი სიმბოლოების მიხედვით წარმოვადგენთ 48-ვე ფორმას აქტივთა მიკროპარადიგმებზე მითითებით (აქტივში სუბიექტის მომდევნოდ ვწერთ პირცვალებად ობიექტს).

I. $G^{pass} \sim G^{actc\text{-}d}$ ($S_3O_3^{ind} \sim SO_3^{d}O_3^{ind}$)

1. $S_3O_3^{ind} \sim SO_3^{d}O_3^{ind}$–$G^{act\text{-}c}$

შე-Ø-ე-წირ-ა ~	შე-ვ-წირ-ე	მე		
	შე-ს-წირ-ე	შენ		
	შე-ს-წირ-ა	მან	(S)	ის მას
ის მას $S_3O_3^{ind}$	შე-ვ-წირ-ე-თ	ჩვენ		$O_3^{d}O_3^{ind}$
	შე-ს-წირ-ე-თ	თქვენ		
	შე-ს-წირ-ეს	მათ		

2. $S_3O_3^{indp} \sim SO_3^{d}O_3^{indp}$–$G^{actd}$

	შე-ვ-წირ-ე	მე		
	შე-ს-წირ-ე	შენ		
შე-Ø-ე-წირ-ა ~	შე-ს-წირ-ა	მან		ის მათ
ის მათ	შე-ვ-წირ-ე-თ	ჩვენ	(S)	$O_3^{d}O_3^{indp}$
$S_3O_3^{indp}$	შე-ს-წირ-ე-თ	თქვენ		
	შე-ს-წირ-ეს	მათ		

3. $S_3{}^{p}O_3^{ind} \sim SO_3^{dp}O_3^{ind} - G^{act\text{-}c}$

	შე-ვ-წირ-ე	მე		
	შე-ს-წირ-ე	შენ		
შე-Ø-ე-წირ-ნენ~	შე-ს-წირ-ა	მან		ისინი მას
ისინი მას	შე-ვ-წირ-ე-თ	ჩვენ	(S)	$O_3^{dp}O_3^{ind}$
$S_3{}^{p}O_3^{ind}$	შე-ს-წირ-ე-თ	თქვენ		
	შე-ს-წირ-ეს	მათ		

4. $S_3{}^{p}O_3{}^{indp} \sim SO_3{}^{dp}O_3{}^{indp} - G^{act-d}$

	შე-ვ-წირ-ე	მე	
	შე-ს-წირ-ე	შენ	
	შე-ს-წირ-ა	მან	
შე-Ø-ე-წირ-ნენ ~	შე-ვ-წირ-ე-თ	ჩვენ (S)	ისინი მათ
ისინი მათ	შე-ს-წირ-ე-თ	თქვენ	$O_3{}^{dp}O_3{}^{indp}$
$S_3{}^{p}O_3{}^{indp}$	შე-ს-წირ-ეს	მათ	

წარმოდგენილია პასივის ოთხი ფორმა მესამე პირთა კომბინაციებით, რომელთა კონვერსიული აქტივები შედიან G^{act-c} და G^{act-d} მიკროპარადიგმებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ფორმები ეკუთვნის აქტივთა იმ რიგს, სადაც პირ-ცვალებადია პირდაპირი ობიექტი.

გამოხატულების მიხედვით იგივე, მაგრამ გრამატიკულად განსხვავებული მნიშვნელობით განვიხილოთ პასივის ოთხივე ფორმა შესაბამისი კონვერსიული აქტივებით.

II. $G^{pass} \sim G^{acta-b}$ ($S_3O_3{}^{ind} \sim SO_3{}^{ind}O_3{}^{d}$)

1. $S_3O_3{}^{ind} \sim SO_3{}^{ind}O_3{}^{d}-G^{act-a}$

	შე-ვ-წირ-ე	მე		
	შე-ს-წირ-ე	შენ		
შე-Ø-ე-წირ-ა	შე-ს-წირ-ა	მან	(S)	ის მას
ის მას $S_3O_3{}^{ind}$	შე-ვ-წირ-ე-თ	ჩვენ		$O_3{}^{d}O_3{}^{ind}$
	შე-ს-წირ-ე-თ	თქვენ		
	შე-ს-წირ-ეს	მათ		

2. $S_3{}^{p}O_3{}^{ind} \sim SO_3{}^{ind}O_3{}^{dp} - G^{act\text{-}b}$

შე-Ø-ე-წირ-ა ~	შე-ვ-წირ-ე	მე	ის მათ
	შე-ს-წირ-ე	შენ	
ის მათ $S_3O_3{}^{indp}$	შე-ს-წირ-ა	მან	$O_3{}^{d}O_3{}^{indp}$
	შე-ვ-წირ-ე-თ	ჩვენ (S)	
	შე-ს-წირ-ე-თ	თქვენ	
	შე-ს-წირ-ეს	მათ	

3. $S_3O_3{}^{indp} \sim SO_3{}^{indp}O_3{}^{d} - G^{act\text{-}a}$

შე-Ø-ე-წირ-ნენ ~	შე-ვ-წირ-ე	მე	ისინი მას
	შე-ს-წირ-ე	შენ	
ისინი მას $S_3{}^{p}O_3{}^{ind}$	შე-ს-წირ-ა	მან	$O_3{}^{dp}O_3{}^{ind}$
	შე-ვ-წირ-ე-თ	ჩვენ (S)	
	შე-ს-წირ-ე-თ	თქვენ	
	შე-ს-წირ-ეს	მათ	

4. $S_3{}^{p}O_3{}^{indp} \sim SO_3{}^{indp}O_3{}^{dP} - G^{act\text{-}b}$

შე-Ø-ე-წირ-ნენ ~	შე-ვ-წირ-ე	მე	ისინი მათ
	შე-ს-წირ-ე	შენ	
ისინი მათ $S_3{}^{p}O_3{}^{indp}$	შე-ს-წირ-ა	მან (S)	$O_3{}^{dp}O_3{}^{indp}$
	შე-ვ-წირ-ე-თ	ჩვენ	
	შე-ს-წირ-ე-თ	თქვენ	
	შე-ს-წირ-ეს	მათ	

სუბიექტური წყობის 8 პასივს შეესაბამება 32 აქტიური ფორმა: ამ კომბინაციებში წარმოდგენილია I და II პირის სუბიექტები (resp. პირდაპირი ობიექტი აქტივთა კონვერსიულ ფორმებში) და მესამე პირის ირიბი ობიექტი მხოლობით და მრავლობით რიცხვში.

ობიექტური წყობის 8 პასივს კონვერსიულად შეესაბამება 32 აქტიური ფორმა: ამ კომბინაციებში მონაწილეობენ I და II პირის ირიბი ობიექტები (ირიბი ობიექტი აქტივებშიც) და მესამე პირის სუბიექტი მხოლობით და მრავლობით რიცხვში (პირდაპირი ობიექტი კონვერსიულ აქტივთა მიხედვით).

მესამე პირთა კომბინაციები პასივში (მესამე პირის ობიექტთა კომბინაციები კონვერსიულ აქტივში), რომელთა რაოდენობა უდრის ოთხს, ორნაირი გრამატიკული მნიშვნელობით იხმარება: ერთი მნიშვნელობა მათ ეძლევა პირცვალებადი პირდაპირი ობიექტის შემცველი პარადიგმის მიხედვით, რომელიც პასივში სუბიექტად არის მოქცეული:

$$G^{act}S+\left.\begin{matrix}O_1{}^{d}\\O_2{}^{d}\\O_3{}^{d}\end{matrix}\right\}+O_3{}^{ind} \sim G^{pass}\left\{\begin{matrix}S_1\\S_2+O_3{}^{ind}\\S_3\end{matrix}\right. \quad (\alpha)$$

მეორე მნიშვნელობა მათ ეძლევა იმ პარადიგმის მიხედვით, სადაც პირცვალებადია ირიბი ობიექტი, რომელიც პასივში ისევ ირიბად რჩება:

$$G^{act}S+\left.\begin{matrix}O_1{}^{ind}\\O_2{}^{ind}\\O_3{}^{ind}\end{matrix}\right\}+O_3{}^{d} \sim G^{pass}\left.\begin{matrix}O_1{}^{ind}\\O_2{}^{ind}\\O_3{}^{ind}\end{matrix}\right\}+S_3 \quad (\beta)$$

პასივის თითოეული ფორმა, სადაც მესამე პირის კომბინაციებია წარმოდგენილი კონვერსიულად მიემართება აქტივის 6 ფორმას, მაშასადამე, პასივის 8 ფორმას კონვერსიულად მიემართება აქტივის 48 ფორმა (8×6): პასივის იმ ოთხ ფორმას, რომელთა სუბიექტი პირცვალებად ობიექტთაგან მო-

დის, შეესაბამება აქტივთა 24 ფორმა (G^{act-c} და G^{act-d}); აქტივთა დანარჩენი 24 ფორმა კი ეკუთვნის იმ პასიებს, რომელთა სუბიექტი მესამე პირია მხოლოდ და მოდის პირუცვლელი პირდაპირი ობიექტისაგან (ე.ი. იმ პირდაპირისაგან, რომელიც მუდამ მესამე პირშია).

α და β სქემებში წარმოდგენილ ობიექტურ მესამე პირთა კომბინაციებს აქტივში ექნებათ ოთხ-ოთხი გრამატიკული ფორმა (პასიეშიც, სადაც აქტივის პირდაპირი ობიექტი მოქცეულია სუბიექტად რომელობის ინდექსის შენარჩუნებით): α) $-O_3{}^{d}O_3{}^{ind}$, $-O_3{}^{dp}O_3{}^{ind}$, $-O_3{}^{d}O_3{}^{indp}$, $-O_3{}^{dp}O_3{}^{indp}$ და β) $-O_3{}^{ind}O_3{}^{d}$, $-O_3{}^{indp}O_3{}^{d}$, $-O_3{}^{ind}O_3{}^{dp}$, $-O_3{}^{indp}O_3{}^{dp}$. წარმოდგენილ კომბინაციებში, თუ მხოლოდ აქტანტთა მიხედვით (გამოტოვებულია S წევრი) ვიმსჯელებთ, შემადგენლობით ყველა ერთნაირია, რადგან კომბინაციათა კომპონენტები მესამე პირის პირდაპირი და ირიბი ობიექტებია მხოლოდ. მაგრამ ისინი განსხვავდებიან ან თანამიმდევრობით, ან, თუ თანამიმდევრობა ემთხვევა, კომპონენტთა რიცხვის მიხედვით. გრამატიკული სხვაობის წარმოსაჩენად მოგვყავს სათანადო მაგალითები ტექსტებიდან: „მე კვლა მიმცა ალმან მურსა“ (ვტ. 398, 4) **მი-მ-ც-ა** G^{act-c}. „მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა “ (ვტ. 812, 3) **მო-მ-ა-შორვ-ა** G^{act-c}. „მე და სრულად სახლი ჩემი დახოცასა დაგვსხენ ამით“ (ვტ. 1107, 3) **და-გვ-ხს-ენ** — G^{act-c}. საილუსტრაციო მასალა ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძლებიდანაც“ (1973): „ფატმან წამგვარა გრძნეულთა“ (ვტ. 1298, 3) **წა-მ-გვარ-ა** G^{act-c}. „დავიბადე, მიმაბარე ნაბიჭვარად მეცხოვრეთა“ („როსტ.“ II, 4786“) **მი-მ-ა-ბარ-ე** G^{act-c}. იხ. გვ. 232 „...მამაჩემმა დიდყურაანთ დამიყენა მოჯამაგირედ“ (ვაჟა, „პატარა მწყემსის ფიქრები“, V, 27, 5). „შენ ქუეყანამან წმიდად და სათნოდ მიგიპყრა ღმერთსა“ („ქებაჲ წმ. ჰაბოდსი“).

ესენი იშვიათი ხმარების ფორმებია, როგორც ა.შანიძე შენიშნავს. თითოეული ამ ფორმათაგან შეიძლება სხვანაირადაც გავიგოთ, ე.ი. ამავე ფორმით შესაძლებელია განსხვავებული გრამატიკული მნიშვნელობის გადმოცემა; მაგ., „ვე-

ფხისტყაოსნის“ „მე სოფელმან მომაშორვა ჩემსა მზესა“ ასე გადაკეთდება: მე სოფელმან მომაშორვა ჩემი მზე. აქ I პირში უკვე ირიბი ობიექტია, პირდაპირი — მესამეში. ენაში უფრო ასეთი ფორმებია გავრცელებული. კიდევ: მე კვლა მომცა ალმან მური (სჯობს ზმნისწინიც შევცვალოთ, იხ. ზემოთ). ფატმან წამგვარა გრძნეულნი (ძვ. ქართული ნორმით: ფატმან წამგუარნა გრძნეულნი). მომაბარე მეცხოვრენი (სჯობს ზმნისწინიც შევცვალოთ) და სხვა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ გამონატულების პლანის დამთხვევებს და ანალიზს მოვახდენთ გრამატიკულ ფორმათა მიხედვით, მაშინ პასივის 24 გრამატიკული ფორმის კონვერსიულად უნდა მივიჩნიოთ აქტივის 112 ფორმა. პასივის ცხრილი ერთია (ე.ი. ფორმები მიიჩნევა ერთი პარადიგმის წევრებად), აქტივი კი წარმოვადგინეთ ოთხი მიკროპარადიგმის ცხრილებით ($G^{act\text{-}a}$, $G^{act\text{-}b}$, $G^{act\text{-}c}$ და $G^{act\text{-}d}$). როცა კონვერსიულ მიმართებებზე ვმსჯელობთ, აუცილებელია იმის გარკვევა, აღნიშნული ოთხი მიკროპარადიგმა ერთი პარადიგმის შემადგენელია, თუ ისინი განსხვავებულ და დამოუკიდებელ პარადიგმებს ქმნიან. მეორე შემთხვევაში გაუმართლებელი იქნებოდა სახელწოდება „მიკროპარადიგმა“, რომელიც შეიძლება ვუწოდოთ ერთი პარადიგმის წევრთა გარკვეულ ნაწილს, რომელშიც ფორმები გაერთიანებულია რაღაც კერძო, არაპარადიგმატული, ნიშნით მსჯელობის მოხერხებულად წარმართვის მიზნით, ვთქვათ, რიცხვის (მხოლობითი ~ მრავლობითი), წყობის (სუბიექტური ~ ობიექტური), ობიექტთა ურთიერთობის სახეობათა (O^dO^{ind} ~ $O^{ind}O^d$) მიხედვით.

გარკვეული თვალსაზრისი ამ მხრივ უკვე არის გამოთქმული: ა.შანიძე (1) დამავიწყეს (მათ მე მას) და (2) დამავიწყეს (მათ მე ის) აქტივების (ჩვენი კლასიფიკაციით $G^{act\text{-}c}$ და $G^{act\text{-}a}$) შესაბამის კონვერსიულ პასივებად გამოყოფს დავავიწყდი და დამავიწყდა ფორმებს. განსხვავებული ობიექტის მქონე აქტივთა საზიარო ფორმას ა.შანიძე ლექსიკურ ომონიმიად მიიჩნევდა — მისი კვალიფიკაციით ისინი პოლისემიური ფორმებია. ამის შესახებ მსჯელობა

გვქონდა ზემოთ. ამ მოვლენას აქ ვრცლად არ განვიხილავთ, ოღონდ გავიმეორებთ დებულებას, რომ საქმე გვაქვს გრამატიკულ ომონიმიასთან: საზიარო გამოხატულების პლანის მქონე აქტივებიცა და პასივებიც ერთი პარადიგმის წევრებია.

კონვერსიულ მიმართებათათვის ქცევის კატეგორიაში

ქცევის, როგორც კატეგორიის, არსებობისათვის აუცილებელია ზმნას ჰქონდეს ორი აქტანტი: შემსრულებელი (ექსეკუტორი) და მიმღები (რეციპიენტი). ამათ გარეშე ზმნა ქცევის მიხედვით ნეიტრალური იქნება — ვერ გამოხატავს განკუთვნებას. ქცევის კატეგორიაზე მსჯელობა უნდა წარიმართოს ექსეკუტორისა და რეციპიენტის ტერმინებში.

ქცევა მოქმედებითი გვარის ზმნებში

კაუზაციის მიხედვით განირჩევა აქტივთა სამი სახეობა: ნეიტრალური კაუზაციის ($Caus^{n}$) აქტივები (წერს, ხატავს, ჭრის), პირველადი კაუზაციის ($Caus^{I}$) აქტივები (ახარებს, აცინებს, ადნობს...), მეორადი კაუზაციის ($Caus^{II}$) აქტივები.

აქტივთა სამივე სახეობა ერთიმეორისგან განსხვავდება სუბიექტისა და ობიექტთა დანიშნულებით ქცეით მიმართებაში:

I. ნეიტრალური კაუზაციის აქტივთა სუბიექტი, გარდა ინიციატორობისა, შემსრულებელი (Exekutor) აქტანტიც არის (S^{exec}), პირდაპირი ობიექტი წმინდა პაციენსია (O^{dpat}).

$Caus^{n}$ აქტივებში სასხვისო ქცევა იქმნება ფორმაში ბენეფაქტიური აქტანტის (რეციპიენტის) შემოყვანით (O^{indrec}); მაგალითად: $Caus^{n}$ წერს ($S^{exec}O^{dpat}$) → უწერს ($S^{exec}O^{dpat}O^{indrec}$).

აქტიურ ზმნათა ქცევის მეორე სახეობაა სათავისო ქცევა, რომელიც სუბიექტში აერთიანებს სასხვისო ქცევის სუ-

ბიექტისა და რეციპიენტის ფუნქციებს, პაციენსი უცვლელად გადმოდის სასხვისო ქცევიდან; მაგ.: იწერს ($S^{exec\text{-}rec}O^{dpat}$). პირველად და მეორად კაუზატივებში სუბიექტი არასოდეს იქნება შემსრულებელი. იგი მხოლოდ ინიციატორი სუბიექტია (S^{init}). ამათი ობიექტები ფუნქციით განსხვავდებიან როგორც $Caus^{n}$ აქტივთა ობიექტებისგან, ისე ერთიმეორისგან.

II. პირველად კაუზატივთა ნეიტრალური ქცევის ფორმებში S^{init}-ის გვერდით წარმოდგენილია მხოლოდ პირდაპირი ობიექტი, რომელიც ამავე დროს ქმედების შემსრულებელი აქტანტიც არის (O^{dexec}): ატირებს (მას) სწორედ ეს „მას“ – პირდაპირი ობიექტი ეწევა „ტირილ“ ქმედებას. სასხვისო ქცევა ამ ტიპის ორპირიან ზმნებს გაუჩნდება მაშინვე, როგორც კი ფორმაში შემოვა მიმღები აქტანტი (O^{indrec}); მაგალითად: ატირებს ($S^{init}O^{dexec}$) → უტირებს (S^{init}-$O^{dexec}O^{indrec}$); პირდაპირი ობიექტის ქმედება გამიზნულია ირიბისთვის.

ნასახელარი ორპირიანი კაუზატივები: ამტერებს „მტრად მოაქცევს“, ამონებს „მონად ხდის“, ამეგობრებს „მეგობრად აქცევს“ და სხვა. იშვიათია, მაგრამ ბუნებრივია კაცი → აკაცებს, მგელი → ამგელებს... გარდაქმნათა გვერდით. ამტერებს ტიპის ფორმებს ადვილად მიერთვის ირიბი ობიექტი, მაგალითად: მამონებს (ის მე მას) „მის მონად მხდის“ და სხვა. ასევე პერფექტული მედიუმებისგან, როგორიცაა: სძულს, უყვარს, აქვს, ჰყავს... აგრეთვე მიიღება პირველადი კაუზაციის სამპირიანი ფორმები: აძულებს, აუყვარებს, აუოლებს, აქონებს... ამ ფორმებშიც ყველგან არის შემსრულებელი ობიექტი (O^{dexec}) და მიმღები ირიბი ობიექტი (O^{indrec}). პირველადი კაუზაციის ზემოთ განხილულ ტიპთა სამპირიან ფორმებს შეიძლება პირცვალებადი ჰქონდეს როგორც პირდაპირი ობიექტი (მაშინ ირიბი პირუცვლელია), ისე ირიბი ობიექტი (მაშინ პირდაპირი პირუცვლელია). შესაბამისად იცვლება რეციპიენტიც, მაგალითად:

(1) დამამეგობრა მან მე მას

(2) დამამეგობრა მან მე ის.

რა თქმა უნდა, ორსავე შემთხვევაში რეციპიენტი ირიბი ობიექტია, მაგრამ იდენტური გამოხატულების ფორმებში ირიბი ობიექტი პირველ შემთხვევაში მესამე პირშია („მას“), მეორე შემთხვევაში კი — პირველ პირში („მე“). ამ ტიპის ზმნებს სასხვისო ქცევის 112 ფორმა ექნება ეროი მწკრივის ფარგლებში, ე.ი. ორჯერ მეტი Caus^{n} სამპირიან აქტივებზე და იმ სამპირიან პირველად კაუზატივებზე, რომელთაც არა აქვთ პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი. სათავისო ქცევა ამ ჯგუფებშიც ირიბი ობიექტის სუბიექტთან კორეფერენციით მიიღება:

აუტირა ($S^{init}O^{dexec}O^{indrec}$) ~ აიტირა ($S^{initrec}O^{dexec}$).

დამამეგობრა ($S^{init}O_1^{dexec}O_3^{indrec}$) ~ დამიმეგობრა ($S_3^{init}O_1^{dexec}$)

დამამეგობრა ($S_3^{init}O_1^{indrec}O_3^{dexec}$) ~ დავიმეგობრე ($S_1^{init}O_3^{dexec}$).

სასხვისო და სათავისო ქცევის ფორმები განსხვავებულია როგორც პირთა მიმართების, ისე ფორმათა მიხედვითაც.

დამიმეგობრა ფორმას, მსგავსად დამამეგობრა ფორმისა, შეიძლება სამპირიანის გაგებაც ჰქონდეს: დამიმეგობრა (მან მე ის). ამ შემთხვევაში მ- პრეფიქსი აღნიშნავს ირიბ ობიექტს, პირდაპირი კი პირუცვლელია მესამე პირში და გამოხატულია ნულოვანი ალომორფით.

კონკრეტულ მიმართებათა გასარკვევად არსებითია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ობიექტის ნიშნები დგას მაქცევარ პრეფიქსთა წინ და რომელი ობიექტია ნულოვანი ალომორფით წარმოდგენილი.

III. მეორად კაუზატივებს, მართალია, სუბიექტისა და პაციენსის გარდა, ირიბი ობიექტიც აქვთ, მაგრამ ქცევის მიხედვით ისინი მაინც ნეიტრალურნი არიან, რადგან მათი სუბიექტი მხოლოდ ინიციატორია, პირდაპირი ობიექტი — წმინდა პაციენსი, ირიბი ობიექტი კი — მხოლოდ შემსრულებელი ($O^{indexec}$). მეორად კაუზატივთა სასხვისო ქცევას ვერ ჰყოფნის აღნიშნული სამი პირი (აწერინებს, აქრობინებს, აწვალებინებს და სხვა). სასხვისო ქცევა რომ შეიქმნეს, საჭიროა კიდევ ბენეფაქტიური აქტანტი — ვისთვისაც იქნება განკუთვნილი პირდაპირი ობიექტი.

სასხვისო ქცევის გაგებას მეორად კაუზატივებს აძლევს მიცემით ბრუნვაში დასმული პირმიუმართავი აქტანტი. იგი დამატებით შემოდის სამპირიან მეორად კაუზატივში. ამ აქტანტს ვუწოდებთ „O^{ind} – პირმიუმართავს“ ($O^{ind\text{-}up}$). ამის გვერდით O^{indrec} იქნება პირმიმართი ირიბი ობიექტი, მაშასადამე, სამვალენტიანი მეორადი კაუზატივები ნეიტრალური ქცევის ფორმებია, ხოლო ოთხვალენტიანი მეორადი კაუზატივები – სასხვისო ქცევისა: როგორც კი ზმნის სემანტიკაში აისახება პირმიუმართავი O^{ind}, ნეიტრალური ქცევის სამვალენტიანი და სამპირიანი მეორადი კაუზატივი მოიქცევა სასხვისო ქცევის მქონე ოთხვალენტიან და სამპირიან მეორად კაუზატივად; მაგ.: **დააწერინა** ($S^{init}O^{indexec}O^{dpat}$) → **დაუწერინა** ($S^{init}O^{indrec}O^{dpat}O^{ind\text{-}upexec}$). ნეიტრალური ქცევის პირმიმართი ირიბი დამატება, რომელიც მხოლოდ შემსრულებელი იყო (დამაწერინა **მე**), გადაიქცევა მიმღებად (დამიწერინა **მე**), შემსრულებელი აქტანტის ფუნქცია კი გადაეცემა $O^{ind\text{-}up}$-ს (დამიწერინა მე **მას**). ვალენტობის სრული წარმოჩენით იქნება ასე: **დამიწერინა მან მე მას ის.**

მეორად კაუზატივთა სასხვისო ქცევის ოთხვალენტიანი ფორმებიდან მიიღება სათავისო ქცევის ორპირიანი და ორვალენტიანი ფორმები. სათავისო ქცევაში არსებითია ურთიერთობა პირდაპირ ობიექტსა და სუბიექტს შორის; ექსეკუტორის მითითება მეორად კაუზატივებში შესაძლებელია უბრალო ობიექტის – პირმიუმართავი აქტანტის სახითაც; მაგალითად: **მოიქსოვინა, გაიკეთებინა** და სხვა. ამ ტიპის ფორმებში **-ინ** სუფიქსი მიუთითებს იმაზე, რომ ქმედებას განაგებს ინიციატორი, სათავისო ქცევის **ი-** პრეფიქსი მიუთითებს ბენეფაქტიური აქტანტის არსებობაზე, რომლის ნებაც გამოხატულია კაუზაციური გზით: **მოიქსოვინა დარჩენილი ფულით** (ან დაზოგილი სახსრებით ან დედის შემწეობით და სხვა და სხვა). ექსეკუტორი შეიძლება გამოვტოვოთ, მაგრამ სუბიექტის ინიციატორული სახე უთუოდ უნდა გამოიხატოს; შესაძლოა ფორმაში მკაფიოდ გამოიხატოს ინიციატორის საკუთარ თავზე ზემოქმედება; მაგ.: გული არ გაიტეხინა, ე.ი. სუბიექტმა აიძულა თავი, რომ გული არ გასტეხოდა.

სასხვისო ქცევა → სათავისო ქცევა კონვერსიაში სასხვისოს პირდაპირი ობიექტი სათავისოს სუბიექტის კუთვნილება ხდება, მისი ირიბთან კორეფერენცია კი გამოხატულია სათანადო კუთვნილებითი ნაცვალსახელით: თუ სასხვისოს ბენეფაქტიური ირიბი I პირია, სათავისო ქცევაში ის წარმოდგენილი იქნება I პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელით (მე → ჩემი) და ა.შ.

დამიხატვინა მან მე მხატვარს სურათი ~ დაიხატვინა მან ჩემი სურათი. წარმოვადგენთ სამივე ტიპის აქტივთა ნეიტრალური, სასხვისო და სათავისო ქცევის ფორმულებს:

	ნეიტრალური ქცევა		სასხვისო ქცევა		სათავისო ქცევა
ნეიტრ. კაუზ. (Caus^{n})	$S^{exec}O^{d}$	→	$S^{exec}O^{d}O^{indrec}$	→	$S^{recexec}O^{d}$
I კაუზ. (Caus^{I}).	$S^{init}O^{dexec}$	→	$S^{init}O^{dexec}O^{indrec}$	→	$S^{initrec}O^{dexec}$
II კაუზ. (Caus^{II})	$S^{init}O^{d}O^{indexec}$	→	$S^{init}O^{d}O^{indrec}O^{ind\text{-}up}$	→	$S^{init}O^{d}O^{indpron}$

O^{ind} (pron) სიმბოლო აღნიშნავს კუთვნილებით ნაცვალსახელად მოქცეულ სასხვისო ქცევის პირმიმართ ირიბს (მე → ჩემი, შენ → შენი, მას → მისი. მაგალითად: დამიწერინა მე განცხადება → დაეწერინა ჩემი განცხადება; დაგიწერინა შენ განცხადება → დაეწერინა შენი განცხადება და ა.შ.).

ზემოთ წარმოდგენილ ფორმულებში შეიძლება შევაბრუნოთ ისრები, შესაბამისად შეიცვლება სუბიექტ-ობიექტთა კუთვნილებითი ურთიერთობები კონვერსიული პრინციპით: ნეიტრალური კაუზაციის 28 ფორმიდან, რომელთაც აქვთ სუბიექტი და პირცვალებადი ობიექტი (ხატავს, ჭრის, თოხნის...), სასხვისო ქცევის ფორმებად გარდაიქმნებიან ისინი, რომლებიც მიიღებენ რეციპიენტს (O^{indrec}). ასეთია მხოლოდ ის ფორმები, რომელთაც პირდაპირი ობიექტი მესამე პირში

აქვთ, ესენია: 13, 13ᵖ; 23, 23ᵖ; 33, 33ᵖ; 1ᵖ3, 1ᵖ3ᵖ; 2ᵖ3, 2ᵖ3ᵖ; 3ᵖ3, 3ᵖ3ᵖ.

სანიმუშოდ ავიღოთ კომბინაცია $S_1O_3^d$ (ანუ 1 3)

13 ვხატავ (მე მას) ~
- გიხატავ შენ
- ვუხატავ მას
- გიხატავთ თქვენ
- ვუხატავ მათ

ოთხსავე ფორმაში O_3^d (ანუ 3) მხოლობით რიცხვშია; თუ მას გადავიყვანთ მრავლობით რიცხვში, კიდევ ოთხი ფორმა მიემატება.

13 (ერთი და სამი) კომბინაციიდან, ე.ი. ფორმიდან, რომლის შექმნაში მონაწილეობდნენ S_1 (1) და O_3^d (3), სხვა გარდაქმნა სასხვისო ქცევის ფარგლებში გამორიცხულია. მაშასადამე, ნეიტრალური კაუზაციის ორპირიანი აქტივის 13 კომბინაცია იძლევა სასხვისო ქცევის ოთხ ფორმას; ასევე 13ᵖ იძლევა ოთხ ფორმას. ანალოგიური ვითარება იქმნება მაშინაც, როცა სუბიექტი II პირია, ე.ი. გვაქვს კომბინაცია 23. ეს კომბინაციაც სასხვისო ქცევაში მოგვცემს 4 ფორმას და ა.შ.

ცალკე სუბიექტური I პირისა და ცალკე სუბიექტური II პირის ობიექტურ III პირთან რიცხვის მიხედვით განსხვავებული კომბინაციები ნეიტრალური კაუზაციის ორპირიან აქტივში წარმოდგენილია ოთხ-ოთხჯერ, სულ — რვაჯერ (4×2). ამ კომბინაციათაგან თითოეული იძლევა სასხვისო ქცევის ოთხ ფორმას, რაც საბოლოო ჯამში მოგვცემს სასხვისო ქცევის 32 ფორმას (8×4). ორი მესამე პირის (S_3 და O_3^d) რიცხვის მიხედვით განსხვავებული კომბინაციები რეციპიენტის მიმატებით იძლევა სასხვისო ქცევის ექვს ფორმას. სანიმუშოდ ავიღოთ 33 (სამი-სამი) კომბინაცია (ხატავს ის მას).

33 ხატავს ის მას ~

- მიხატავს მე ის მას
- გიხატავს შენ ის მას
- უხატავს მას ის მას
- გვიხატავს ჩვენ ის მას
- გიხატავთ თქვენ ის მას
- უხატავს მათ ის მას

თუ პირდაპირ ობიექტს გადავიყვანთ მრავლობით რიცხვში (კომბინაცია 33P), მივიღებთ კიდევ ექვს ფორმას და ა.შ. მესამე პირთა კომბინაციები ნეიტრალური კაუზაციის ორპირიან აქტივებში წარმოდგენილია ოთხჯერ, რაც მოგვცემს სასხვისო ქცევის 24 ფორმას (6×4).

თუ შევაჯამებთ სამივე პირის ფორმათა გარდაქმნის შედეგებს, ნეიტრალური კაუზაციის ორპირიან აქტივთა სასხვისო ქცევის ფორმებად გარდაქმნით სულ ვიღებთ 56 გრამატიკულ ფორმას (32+24). განხილულ 56 ფორმას იძლევა ნეიტრალური კაუზაციის ორპირიანი აქტივების სუბიექტისა და პირდაპირი ობიექტის მხოლოდ 12 (თორმეტი) კომბინაცია (იხ. გვ. 161), ცხრილში კი წარმოდგენილია 28 კომბინაცია (იხ. გვ. 50), ე.ი. განსახილველია კიდევ 16 კომბინაცია, ესენია: 12, 12P; 31, 32, 3P1 და ა.შ. ეს კომბინაციები შეიძლება დავაჯგუფოთ ორად:

(1) პირველ ჯგუფს ქმნიან I და II პირთა კომბინაციები (ერთი სუბიექტია, მეორე – ობიექტი);

(2) მეორე ჯგუფის ფორმებში სუბიექტად ყველგან III პირია, ხოლო ობიექტად – I ან II პირი. ორივე ჯგუფს აერთიანებს ის, რომ მათში წარმოდგენილია პირცვალებადი პირდაპირი ობიექტი O_1^d-სა და O_2^d-ის სახით.

სასხვისო ქცევაში ან პირდაპირი ობიექტი იცვლება პირთა მიხედვით, ან ირიბი; ერთდროულად ორივეს ცვლა პირთა მიხედვით შეუძლებელია ქართულ ზმნაში: (1) არის ზმნე-

ბი, სადაც მხოლოდ ირიბს შეუძლია პირის რომელობის შეცვლა, ესენია ნეიტრალური კაუზაციის აქტივები; (2) კაუზაციურად მარკირებულ ზმნებში არის ისეთებიც, რომლებშიც შეიძლება პირის მიხედვით იცვალოს ნებისმიერი ობიექტი იმ პირობით, რომ იმავე ფორმის მეორე ობიექტი პირუცვლელი იქნება. პირველ შემთხვევაში, მაშასადამე, იცვლება რეციპიენტის პირი, ე.ი. ერთი და იგივე პირდაპირი ობიექტი განეკუთვნება ხან პირველ პირში დასმულ ირიბს, ხან მეორე პირში დასმულს, ხანაც მესამე პირში დასმულს; მეორე შემთხვევაში კი რეციპიენტი უცვლელია — მხოლოდ მესამე პირში დგას, იცვლება მისთვის განკუთვნილი პირდაპირი ობიექტის პირი, ე.ი. O_3^{indrec}-ს ეკუთვნის ხან O_1^d, ხან O_2^d, ხანაც — O_3^d. რადგან ნეიტრალური კაუზაციის აქტივები ახორციელებენ სასხვისო ქცევის პირველ შემთხვევაში აღწერილ მიმართებებს, გასაგებია რატომ ვერ იღებენ რეციპიენტს ის ფორმები, რომლებშიც მონაწილეობენ O_1^d და O_2^d (12, 12P, 31, 32, 3P1 და ა.შ.) — **ორი პირცვალებადი ობიექტი ერთდროულად შეუძლებელია ქართულ ზმნაში; იცვლება ირიბი პირის მიხედვით, მაშასადამე, პირდაპირი შეიძლება იდგეს მხოლოდ მესამე პირში.**

იმ კაუზატივებს, რომლებიც შეიწყობენ როგორც პირცვალებად პირდაპირ ობიექტს, ისე პირცვალებად ირიბს, სასხვისო ქცევის გაგება უზრუნველყოფილი აქვთ, რადგან მათი პირდაპირი ობიექტი შემსრულებელია (O^{dex}), ხოლო ირიბი ობიექტი — მიმღებია (O^{indrec}).

სასხვისო ქცევის ფორმათა რაოდენობა, რომელთაც მხოლოდ პირცვალებადი ირიბი ობიექტი ჰქონდათ, უდრიდა 56-ს, როგორც ზემოთ ვნახეთ. ამათ დაემატება **პირველადი კაუზაციის პირცვალებადი პირდაპირი ობიექტის მიერ პირუცვლელ ირიბთან შექმნილი 56 ფორმა**, ესენია $G^{act\text{-}c}$ და $G^{act\text{-}d}$ მიკროპარადიგმის ფორმები (იხ. გვ. 157). სულ, მაშასადამე, კაუზატიურ პირცვალებად პირდაპირობიექტიანი

და პირცვალებად ირიბობიექტიანი ზმნები იძლევა სასხვისო ქცევის მქონე 112 ფორმას (56+56).

სანიმუშოდ წარმოვადგენთ ორ მიკროპარადიგმას: ერთში პირცვალებადია ირიბი, მეორეში კი – პირდაპირი ობიექტი.

Gact-a

S \ O^ind	1	2	3	1P	2P	3P
1		შეგაყვარე	შევაყვარე		შეგაყვარეთ	შევაყვარე
2	შემაყვარე		შეაყვარე	შეგვაყვარე		შეაყვარე
3	შემაყვარა	შეგაყვარა	შეაყვარა	შეგვაყვარა	შეგაყვარათ	შეაყვარა
1P		შეგაყვარეთ	შევაყვარეთ		შეგაყვარეთ	შევაყვარეთ
2P	შემაყვარეთ		შეაყვარეთ	შეგვაყვარეთ		შეაყვარეთ
3P	შემაყვარეს	შეგაყვარეს	შეაყვარეს	შეგვაყვარეს	შეგაყვარეს	შეაყვარეს

Gact-c

O^d / S	1	2	3	1^p	2^p	3^p
1		შეგაყვარე	შეგაყვარე		შეგაყვარეთ	შეგაყვარე
2	და ა.შ					
3						
1^p						
2^p						
3^p						

$G^{act\text{-}b}$ და $G^{act\text{-}d}$ პარადიგმებში მხოლოდ გარე ობიექტთა რიცხვი შეიცვლება: $G^{act\text{-}b}$-ში გარე ობიექტის რიცხვი იქნება მრავლობითი (O_3^{dp}), $G^{act\text{-}d}$-ში კი მრავლობითში გადავა ირიბი ობიექტი (O_3^{indp}). $G^{act\text{-}a}$ მიკროპარადიგმაში მესამე პირის პირდაპირი ობიექტი ირიბის სამსავე პირს ეკუთვნის (მათი რომელობა ზემოთა რიცხვებით გამოიხატება), $G^{act\text{-}c}$ პარადიგმაში კი სხვადასხვა პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის მესამე პირის ირიბს (იგი გატანილია სქემის გარეთ).

განსახილველი დაგვრჩა მეორადი კაუზაციის ნეიტრალური ქცევის აქტივთაგან სასხვისო ქცევის წარმოება. ინვერსიის საკითხებთან დაკავშირებით აღვნიშნეთ, რომ **მეორადი კაუზატივები**, მიუხედავად იმისა, რომ სამი პირი აქვთ და ერთ-ერთი მათგანი ირიბია, **სასხვისო ქცევის გაგებას მაინც ვერ იძლევიან, რადგან მათი ირიბი შემსრულებელი აქტანტია (O^{index}) და არა მიმღები (O^{indrec})**. ამ უკანასკნელის გარეშე კი სასხვისო ქცევა ვერ წარმოიქმნება (იხ. ზემოთ 99). აღინიშნა ისიც, რომ სასხვისო ქცევა მეორადი კაუზატივის სამვალენტიანი (resp. სამპირიანი) ფორმებისგან მიიღება მათი ოთხვალენტიანად გარდაქმნით. პირიანობა ამ გარდაქმნის დროს არ იცვლება, ოღონდ **შემსრულებელი ობიექტი როლს იცვლის, ხდება მიმღები ობიექტი (O^{indrec}), როგორც კი შემსრულებელი პირმიუმართავი ობიექტი შემოვა ზმნის სემანტიკაში**; მაგალითად: გამაკეთებინე (შენ მე ის) ფორმაში „მე“ პირი მხოლოდ შემსრულებელია, გამიკეთებინე (შენ მე ის მას) ფორმაში კი „მე“ მიმღებ ირიბად იქცა, მისი ძველი ფუნქცია შემსრულებელი ობიექტისა დაეკისრა ზმნის სემანტიკაში შემოსულ პირმიუმართავ „მას“ ობიექტს (O^{upex} პირმიუმართავს).

მეორადი კაუზატივები განსაზღვრული წესით იგუებენ როგორც პირცვალებად ირიბ, ისე პირდაპირ ობიექტს; ასე მაგალითად: (1) დამახატვინა მან მე ის და (2) დამა-

ხატვინა მან მე მას. პირველ შემთხვევაში „მე“ ირიბი ობიექტია, მეორე შემთხვევაში – პირდაპირი.

განსხვავებით პირველადი კაუზაციის სამპირიან ფორმათაგან (იხ. ზემოთ), რომელთაც შეეძლოთ ეცვალათ ხან ერთი და ხან მეორე ობიექტის პირი და იძლეოდნენ სასხვისო ქცევის 112 ფორმას, მეორადი კაუზაციის ფორმებში პირმიუმართავი მეოთხე აქტანტის მიმატებით სასხვისო ქცევის გაგებას მხოლოდ 56 ფორმა იღებს, კერძოდ, $G^{act\text{-}a}$ და $G^{act\text{-}b}$ მიკროპარადიგმათა ფორმები, რომელთაც აქვთ პირცვალებადი ირიბი და პირუცვლელი პირდაპირი. სწორედ ეს პირცვალებადი ირიბი იქცევა რეციპიენტად პირუცვლელი მეოთხე აქტანტის ზმნის სემანტიკაში შემოსვლით:

დამახატვინე შენ მე ის → დამიხატვინე შენ მე ის მას

დაგახატვინე მე შენ ის → დაგიხატვინე მე შენ ის მას და ა. შ.

ქვემოთ წარმოვადგენთ მეორადი კაუზატივის ნეიტრალური ფორმების სასხვისო ქცევის ფორმებად გარდაქმნის სქემას.

ნეიტრალური ქცევა

S \ O^{ind}	1	2	3	1^{p}	2^{p}	3^{p}
1		დაგახატვინე	დავახატვინე		დაგახატვინეთ	დავახატვინე
2	დამახატვინე		დაახატვინე	დაგვახატვინე		დაახატვინე
3	დამახატვინა	დაგახატვინა	დაახატვინა	დაგვახატვინა	დაგახატვინათ	დაახატვინა
1^{p}		დაგახატვინეთ	დავახატვინეთ		დაგახატვინეთ	დავახატვინეთ
2^{p}	დამახატვინეთ		დაახატვინეთ	დაგვახატვინეთ		დაახატვინეთ
3^{p}	დამახატვინეს	დაგახატვინეს	დაახატვინეს	დაგვახატვინეს	დაგახატვინეს	დაახატვინეს

↓

სასხვისო ქცევა

O^{ind} / S	1	2	3	1^P	2^P	3^P
1		დაგიხატვინე	დავუხატვინე		დაგიხატვინეთ	დავუხატვინე
2	დამიხატვინე		დაუხატვინე	დაგვიხატვინე		დაუხატვინე
3	დამიხატვინა	დაგიხატვინა	დაუხატვინა	დაგვიხატვინა	დაგიხატვინათ	დაუხატვინა
1^P		დაგიხატვინეთ	დავუხატვინეთ		დაგიხატვინეთ	დავუხატვინეთ
2^P	დამიხატვინეთ		დაუხატვინეთ	დაგვიხატვინეთ		დაუხატვინეთ
3^P	დამიხატვინეს	დაგიხატვინეს	დაუხატვინეს	დაგვიხატვინეს	დაგიხატვინეს	დაუხატვინეს

ნეიტრალური ქცევა → სასხვისო ქცევა

ფორმალურად ეს გარდაქმნა შეიძლება ასე გამოიხატოს $SO^{index}O_3{}^d \rightarrow SO^{indrec}O_3{}^dO^{ind\text{-}up\text{-}ex}$ პირმიუმართავი.

$G^{acl\text{-}b}$-ში შეიცვლება მხოლოდ პირდაპირი ობიექტის რიცხვი (ე.ი. ცხრილში იქნება $O_3{}^{dp}$).

$G^{acl\text{-}c}$ და $G^{acl\text{-}d}$ მიკროპარადიგმების გადაყვანა სასხვისო ქცევაში ვერ ხერხდება, რადგან ამ მიკროპარადიგმათა სინთეტური ფორმები ვერ გუობენ მეოთხე შემსრულებელ აქტანტს: რომელიმე **დამიხატვინე** (შენ მე ის მას) ფორმაში შეუძლებელია პირდაპირი ობიექტის შეცვლა პირის მიხედვით, ე.ი. ზმნისთვის ასეთი შინაარსის მიცემა – „**დამახატვინე** შენ მე მისთვის მხატვარს“, ანუ „ჩემი თავი დაახატვინე შენ მისთვის მხატვარს“ (შდრ. **დამიხატვინე** შენ მე ის მხატვარს, **დაახატვინე** შენ ის ჩემთვის მხატვარს“).

ნეიტრალური ქცევის მეორად კაუზატივში (დამახატვინა) ირიბი მხოლოდ ექსეკუტორი ობიექტია, პირდაპირი ობიექტი კი – წმინდა პაციენსი; სუბიექტი ოდენ ინიციატორია ქმედებისა. ქცევის გამოსახატავად ამათ აკლია O^{indrec} – მიმღები აქტანტი.

თუ პირდაპირ ობიექტს პირცვალებადად მოვაქცევთ (**დამახატვინა** მე მას მან, **დაგახატვინა** შენ მას მან), ფორმაში უნდა შემოვიდეს მიმღები ირიბი ობიექტი მესამე პირში (რადგან პირდაპირი ობიექტი პირცვალებადია, ირიბი შეიძლება მხოლოდ მესამე პირში იდგეს), ე.ი. უკვე არსებულ შემსრულებელ ირიბს უნდა მიემატოს მიმღები ირიბი, რაც სასხვისო ქცევაში მოგვცემდა **დამიხატვინა** მან მე მას მას ფორმასა და პირთა კომბინაციას. **ასეთი მიმართება ქართულ ზმნას არა აქვს** (ერთი „მას“ იქნებოდა შემსრულებელი, მეორე „მას“ კი – მიმღები). ასეთ შემთხვევაში ენა იყენებს ნეიტრალური ქცევის ფორმას, რომელსაც ურთავს პირმიუმართავ ირიბს: **დამახატვინა მან მე მას მისთვის** „მან ჩემი თავი დაახატვინა მას მისთვის“ (ან შენთვის და სხვა); **დაგახატვინა მან შენ მას სხვისთვის** (ჩემთვის/მისთვის...).

დამიხატვინა და სხვა ამ რიგის ოთხვალენტიანი ფორმები კი რჩება $G^{act\text{-}a}$ და $G^{act\text{-}b}$ პარადიგმათაგან მიღებული სასხვისო ქცევის ფორმებად, რომლებშიც პირდაპირი ობიექტი მხოლოდ მესამე პირშია (პირუცვლელია) და ბუნებრივია მიცემითში დასმული მიმღები და შემსრულებელი აქტანტები (**დამიხატვინა მან მე ის მას — დამიხატვინა მეგობარმა მე სურათი მხატვარს**). უფრო დაწვრილებითი ანალიზი იხ. ზემოთ (გვ. 136).

სასხვისო ქცევა ვნებითი გვარის ზმნებში

ვნებით გვარს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ნეიტრალური და სასხვისო ქცევა კაუზაციის ნეიტრალურ და პირველად სახეთა ფარგლებში. ვნებით გვარში მეორადი კაუზაციის ზმნები ქცევის გაგებას მოკლებული არიან დაპირისპირებულ ფორმათა უქონლობის გამო. ქვემოთ ცალ-ცალკე განვიხილავთ ქცევით დაპირისპირებას კაუზაციის სახეობათა მიხედვით.

თუ ფორმაში არსებობს S^{exec} და O^{indrec} აქტანტები, სასხვისო ქცევა უზრუნველყოფილია. ამ აქტანტთაგან რომელიმეს გარეშე ქცევა ნეიტრალური იქნება. ნეიტრალური კაუზაციის აქტივებში, როგორც ვნახეთ, ორპირიანი ნეიტრალური ქცევის ფორმებს უპირისპირდებოდა სამპირიანი სასხვისო ქცევის ფორმები, რომელთაც ვაწარმოებდით პირველადი ორპირიანი ნეიტრალური ქცევის ფორმებში ირიბი ობიექტის — მიმღები აქტანტის (რეციპიენტის) შემოყვანით: **წერს ის ლექსს → უწერს ის ლექსს მას** და სხვა. **აქტივის ამ მიმართებათა გადმოტანა პასივში ხდება აქტივის ფორმათა შესაბამისი კონვერსიული პასივების შეპირისპირებით**. აქტივის პასივად მოქცევისას გარკვეული ოპერაციების შედეგად (იხ. ზემოთ, გვ. 164) ორპირიანი აქტივი მოიქცევა ერთპირიან პასივად, ხოლო სამპირიანი აქტივი — ორპირიან პასივად. თუ აქტივები დაპირისპირებული

იყო ქცევის მიხედვით, ეს დაპირისპირება გადავა პასივებში, ოღონდ აქტანტთა გრამატიკული ფუნქციების განსაზღვრული ცვლილებებით: **აქტივის პირდაპირი ობიექტი, რომელიც წმინდა პაციენსს წარმოადგენდა, პასივში მოიქცევა სუბიექტ-შემსრულებლად** (S^{exec}), ე.ი. მისი ბუნება ისეთივეა, როგორიც ნეიტრალური კაუზაციის სუბიექტს ჰქონდა. ირიბი ობიექტი კვლავ მიმღებ ობიექტად რჩება.

რადგან პასივის ფორმაში არის **ექსეკუტორიცა** (S^{exec} – სუბიექტ-შემსრულებელი) და **მიმღები ირიბიც** (O^{indrec}), სასხვისო ქცევა უზრუნველყოფილია აქაც. სასხვისო ქცევის მქონე ნეიტრალური კაუზაციის ორპირიან პასივთა საპირისპირო ნეიტრალურ ქცევას ქმნის **ერთპირიანი** პასივი, რომელიც მიღებულია ნეიტრალური ქცევის ორპირიანი აქტივისაგან ი- პრეფიქსით (წერს →იწერება). რადგან ერთპირიან პასივს მხოლოდ შემსრულებელი სუბიექტი აქვს (S^{exec}), ბუნებრივია, რეციპიენტის გარეშე მისი ქცევა ნეიტრალური იქნება. მაშასადამე, იწერება ~ ეწერება წყვილი ქცევის მიხედვით დაპირისპირებულ ფორმებს აერთიანებს, როგორც მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ესენი პასივში აგრძელებენ აქტივში არსებულ დაპირისპირებას ქცევის კატეგორიის მიხედვით.

ნეიტრალური კაუზაციის აქტივთა პირდაპირი და ირიბი ობიექტები რომელობის თავ-თავისი ინდექსებით გადადიან კონვერსიულ პასივებში. თუ ამ აქტანტთა რომელობას აღვნიშნავთ α და β ინდექსებით, აღნიშნული მიმართება შეიძლება ასე გამოვხატოთ – Act. $S^{exec}O_{\alpha}^{ind}O_{\beta}^{d}$ → $PassS_{\beta}^{exec}O_{\alpha}^{ind}$: Act. S^{exec} პასივში ველარ გადადის, $PassS_{\beta}^{exec}$ აქტივის O_{β}^{d}-სგან მოდის და ამიტომ ინარჩუნებს მის ინდექსს და ა.შ.

განსახილველია კიდევ ერთი საკითხი ნეიტრალური კაუზაციის პასივთა ქცევით ურთიერთობაში, კერძოდ: ორპირიან პასივს ოცდარვა ფორმა აქვს, როგორც ზემოთ ვთქვით (გვ. 50), ერთპირიან პასივს კი მხოლოდ ექვსი. როგორ ხდება

ამათი დაწყვილება ქცევის მიხედვით (ნეიტრალური ~ სასხვისო)?

ერთპირიანი ნეიტრალური ქცევის ფორმებს აქტივში ერთზე მეტი სასხვისო ფორმა უდგას საპირისპიროდ: სუბიექტის (S^{exec}) ინდექსი მათ საზიარო აქვთ. სასხვისო ქცევის პასივებს (ე-ნიან ვნებითებს) ეცვლებათ ირიბი ობიექტი. I და II პირებში ნეიტრალური ქცევის თითო ფორმას უპირისპირდება სასხვისო ქცევის **ოთხ-ოთხი** ფორმა ერთი რიცხვის ფარგლებში, III პირში კი შეფარდება არის 1:6. ვნახოთ თითო მაგალითი.

	O^{ind}	S_1^{exec}
S_1^{exec} **ვიხატები მე** ~	**გეხატები შენ**	**მე**
	ვეხატები მას	**მე**
	გეხატებით თქვენ	**მე**
	ვეხატები მათ	**მე**

S_3^{exec} **იხატება ის** ~	**მეხატება მე**	**ის**
	გეხატება შენ	**ის**
	ეხატება მას	**ის**
	გვეხატება ჩვენ	**ის**
	გეხატებათ თქვენ	**ის**
	ეხატება მათ	**ის**

წარმოდგენილი მიმართებით ნეიტრალური კაუზაციის ნეიტრალური ქცევის ერთპირიანი პასივის ფორმა უპირისპირდება ნეიტრალური კაუზაციის სასხვისო ქცევის ორპირიანი პასივის ოთხ (I ან II პირის რომელსამე რიცხვში) და ექვს (III პირის რომელსამე რიცხვში) ფორმას.

საბოლოოდ: ერთპირიანი პასივის ნეიტრალური ქცევის **ექვსი** ფორმიდან **ოთხს** (I და II პირებს მხოლობით და მრავლობით რიცხვებში) უპირისპირდება სასხვისო ქცევის **თექვსმეტი** ფორმა (4×4), ხოლო **ორს** (III პირი მხოლობით და მრავლობით რიცხვში) – **თორმეტი** ფორმა (6×2), რაც ქცევის მიხედვით დაპირისპირებულ პასივთა პირიანობის (ერთპირიანი ნეიტრალური ~ ორპირიანი სასხვისო) მიხედვით გვაძლევს 6:28 შეფარდებას.

ქცევა პირველადი კაუზაციის პასიურ ფორმებში

აქტიურ პირველად კაუზატივებში, განსხვავებით ნეიტრალური კაუზაციის აქტივებისგან, პირდაპირი ობიექტი მოქმედების შემსრულებელიც (O^{dex}) არის (ატირებს ის მას, აწუხებს ის მას, აწვალებს ის მას და სხვა). ამათი სუბიექტი მხოლოდ ინიციატორია ქმედებისა. სასხვისო ქცევა ამ ტიპის აქტივებში ჩნდება ირიბი ობიექტის შემოყვანით (შეაწუხა მან ის → შეუწუხა მან ის მას, აატირა მან ის → აუტირა მან ის მას და სხვა). ირიბის შემოყვანით ზმნაც შესაბამისად სამპირიანი ხდება.

ორპირიან პირველად კაუზატიურ აქტივებს კონვერსიულად ეწარმოებათ ერთპირიანი დ′ონიანი პასივი, ხოლო სამპირიან პირველად კაუზატიურ აქტივებს – ორპირიანი დ′ონიანი პასივი (წუხდება ~ უწუხდება, წვალდება ~ უწვალდება და ა.შ.).

პირველად კაუზატივებში მოქმედებითი გვარის შემსრულებელი ობიექტი შესაბამის პასივში სუბიექტად მოიქცევა, **ოღონდ აქტივის სუბიექტისგან დამატებით იღებს ინიციატორის ფუნქციასაც** (იხ. გვ. 112). ამ შემთხვევაშიც ერთპირიანი პასივის 6 ფორმას დაუპირისპირდება ორპირიანი პასივის 28 ფორმა. როგორც ზემოთ იყო წარმოდგენილი ნეიტრალური კაუზაციის ფორმებში.

უნიშნო ვნებითთაგან ნაწარმოებ კაუზატივებს (ადნობს, აშრობს, აქრობს...) კონვერსიულ პასივებად უნიშნო ვნე-

ბითის ამოსავალი ფორმები აქვთ (დნება, შრება, ქრება...), თუმცა საწყისი მხოლოდ პირველადი კაუზაციის აქტივისაა (გადნობა, გაშრობა, გაქრობა...). მიმართება პასივთა შორის ისეთივეა, როგორიც ზემოთ იყო ნეიტრალური და პირველადი კაუზატივების ერთპირიან და ორპირიან პასივებს შორის: **ქრება ~ უქრება, დნება ~ უდნება, შრება ~ უშრება** და სხვა. აქ მსჯელობას მათ შესახებ აღარ განვაგრძობთ, არც სქემატურად წარმოვადგენთ, რადგან ზუსტად მიჰყვებიან ნეიტრალური კაუზაციის ფორმებში აღწერილ ურთიერთობებს.

ქცევითი ოპოზიციური მიმართებები მოიშლება შეაყვარებს, შეაძულებს, შეაშურვებს... ტიპის მოქმედებითი გვარის კაუზატივთა კონვერსიულ პასივებში. ამ სამპირიან აქტივებს წარმოება აქვთ პირველადი კაუზატივებისა, მაგრამ ფუნქციონირებენ როგორც მეორადი კაუზატივები, კონვერსიულად დ'ონიან პასივებად მოიქცევიან: შეჰყვარდება, შესძულდება, შეშურდება... რომლებმაც გარკვეული სემანტიკური ცვლილებაც განიცადეს. ამ ორპირიან პასივებს არა აქვთ საპირისპირო ერთპირიანი დ'ონიანი პასივი, ე.ი. ვერ უპირისპირდებიან ერთიმეორეს განსხვავებული ქცევის ერთპირიანი და ორპირიანი პასივები – **ქცევის კატეგორია აქ მოშლილია.**

წერს, ხატავს... ნეიტრალური კაუზაციის და აწუხებს, ატირებს... პირველადი კაუზაციის აქტივები კაუზაციის მეორე საფეხურზე ერთგვარი წარმოებით ხასიათდებიან: აწერინებს, ახატვინებს... აწუხებინებს, ატირებინებს და სხვა. პასივიც ამათ ერთნაირად ე- პრეფიქსით ეწარმოებათ: **ეწერინება, ეხატვინება... ეწუხებინება, ეტირებინება** და სხვა.

ეწერინება, ეტირებინება ფორმებში სუბიექტი ინიციატორობას იღებს აქტივის დაკარგული სუბიექტისგან, ამიტომ პასივთა სუბიექტიც ოდენ ინიციატორია ქმედებისა; შემსრულებელ აქტანტად კვლავ ირიბი რჩება; არა აქვს მიმღები ობიექტი და, ბუნებრივია, ვერც სასხვისო ქცევას გამოხატავს. **ქცევის კატეგორია პასივში მოშლილია.** სწორედ ამავე მიზეზების გამო არა ჰქონდა ქცევის გაგება

ზემოთ განხილულ ორპირიან დ'ონიან პასივებს, როგორიცაა **სძულდება, ჰყვარდება...**

სასხვისო ქცევა საშუალი გვარის ზმნებში

საშუალი გვარის ზმნებს უჭირს სასხვისო ქცევის წარმოება.

I. მედიოაქტივებს, როგორიცაა: წუხს, დუღს, ტირის, ყვირის და სხვა, აწმყოს წრეში უკეთდება საპირისპირო სასხვისო ქცევის ფორმები: უყვირის, უტირის და სხვა (უყვიროდა, უტიროდა; უყვიროდეს, უტიროდეს). ამნაირ წყვილებს მყოფადის წრეში ნასესხები ფორმები აქვთ: იტირებს ~ უტირებს, იყვირებს ~ უყვირებს და სხვა. სასხვისო ქცევის ფორმები ჩვეულებრივ სამპირიანი გაგებით იხმარება (უტირებს ის მას ბავშვს, უწუხებს ის მას გულს და ა.შ.). ესენი, რა თქმა უნდა, მოქმედებითი გვარის ზმნებია; მათ (ამ ფორმებმა) რომ საშუალი გვარი შეინარჩუნონ, ორპირიანებად უნდა დარჩნენ. ამათ შეიძლება ასეთი გაგებაც (ორპირიანი მედიუმის) მივცეთ: „ბავშვი მიტირებს მე“ ან „მოვა და მიტირებს“ („იტირებს ჩემს დასანახად“). *მიტირებს სათავისო ქცევის ფორმადაც გამოიყენება: მე მიტირებს შვილი („დამიტირებს“, ამ შემთხვევაშიც აქტივთან გვაქვს საქმე). ამათი არსებობა სალიტერატურო ქართულში უმეტეს წილად ვირტუალურად უნდა მივიჩნიოთ, დიალექტებში კი არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით.

წარმოვადგენთ ერთპირიან ნეიტრალურ და მისგან ნაწარმოებ სასხვისო ქცევის ფორმათა სქემებს I და III პირებში.

I პირი ვტირი მე ~ { გიტირი შენ მე; ვუტირი მას მე; გიტირით თქვენ მე; ვუტირი მათ მე }

III პირი ტირის ის ~ { მიტირის მე ის; გიტირის შენ ის; უტირის მას ის; გვიტირის ჩვენ ის; გიტირით თქვენ ის; უტირის მათ ის }

სასხვისო ქცევის ფორმებში სუბიექტი შემსრულებელია (S^{exec}), ირიბი ობიექტი კი — რეციპიენტი (O^{indrec}). ნეიტრალური ქცევის ფორმებს I და II პირებში საპირისპიროდ ექნება სასხვისო ქცევის ოთხ-ოთხი ფორმა, III პირში კი — ექვს-ექვსი.

გაანალიზებული ზმნების გვერდით უნდა განვიხილოთ ნასახელარი მედიუმები, როგორიცაა (ძმა →) ძმობს — მიძმობს, (მეგობარი →) მეგობრობს — მიმეგობრებს და სხვა. ასეთ წყვილთა შექმნა ყოველთვის თავისუფლად ვერ ხერხდება, ვთქვათ, (ცული →) ცულობს — მიცულებს „ცულობას გამიწევს“, მხოლოდ კონტექსტურია; უფრო ადვილია გვიმდივნებს ფორმის მიღება („დღეს რუსუდანი გვიმდივნებს“ — კრების თავმჯდომარის ასეთი განცხადება ბუნებრივად აღიქმება).

გვიმდივნებს ფორმაში S^{exec} და O^{indrec} აქტანტებია წარმოდგენილი, რაც უზრუნველყოფს სასხვისო ქცევას. ასეთი წარმოებაც ვირტუალურად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მიდანობს, მიღილობს, მიპერანგობს და სხვა ჩვეულებრივი წარმოება არ არის, თუმცა სრულიად მისაღე-

ბია გარკვეულ კონტექსტში. სწორედ ასეა შექმნილი ვაჟასეული მიხმლობს „ალუდა ქეთელაურში“ („რაად მინდარის, ვერ მიხმლობს...“, ე.ი. „ხმლობას ვერ გამიწევსო“).

ზოგი ამ ტიპის მედიოაქტიური წყვილი ჩვეულებრივია ენაში, ესენია: **ყარაულობს ~ ჰყარაულობს, დარაჯობს ~ სდარაჯობს** და სხვა. გარკვეულია, რომ მედიოაქტივები ფორმებს „სესხებით“ იცვლიან სხვადასხვა მწკრივთა წარმოებისას. ფორმათა ცვლა მედიალურ წყვილებს ხელს არ უშლის შეინარჩუნონ ფორმალური და ფუნქციონალური დაპირისპირება ქცევის მიხედვით I და II სერიებში, მაგალითად: **ყარაულობს ~ ჰყარაულობს** (აწმყო), **იყარაულებს ~ უყარაულებს** (მყოფადი), **იყარაულა ~ უყარაულა** (წყვეტილი). III სერიაში ფორმათა დაპირისპირება ხდება აღწერით, კერძოდ: **მიყარაულია** (ერთპირიანი) ~ **მიყარაულია** (სხვისთვის: შენთვის/მისთვის და სხვა). თუ წინადადებაში ზმნასთან არ ივარაუდება თანდებულიანი რეციპიენტი (ჩემთვის, შენთვის, მისთვის და სხვა), ქცევა ნეიტრალურია; თუ ასეთი რეციპიენტი წარმოდგენილია, მაშინ ზმნა სასხვისო ქცევის გაგებას იღებს. ფორმათა მიმართებისათვის წარმოვადგენთ სქემებს I და III პირებში.

ვმდივნობ მე ~
- **გიმდივნებ შენ მე**
- **ვუმდივნებ მას მე**
- **გიმდივნებთ თქვენ მე**
- **ვუმდივნებ მათ მე**

მდივნობს ის ~
- **მიმდივნებს მე ის**
- **გიმდივნებს შენ ის**
- **უმდივნებს მას ის**
- **გვიმდივნებს ჩვენ ის**
- **გიმდივნებთ თქვენ ის**
- **უმდივნებს მათ ის**

II. მედიოპასივებსაც ისევე უჭირს ქცევის გამოხატვა, როგორც მედიოაქტივებს. ერთპირიან მედიოპასივებს თავისი სემანტიკის მიხედვით ადვილად უკეთდება ორპირიანი სახვისო ქცევის ფორმები: ზის ~ უზის, დგას ~ უდგას, წევს ~ უწევს, მიდის ~ მიუდის (ვოქვათ, „შინ მიუდის“). მწკრივთა მიხედვით ამათაც სჭირდებათ „სესხება“ და ეცვლებათ ფორმები, მაგრამ ინარჩუნებენ ფორმალურ და ფუნქციონალურ განსხვავებას, მაგალითად: წევს ~ უწევს (აწმყო), იწვება ~ ეწვება (მყოფადი), იწვა ~ ეწვა ‖ უწვა (წყვეტილი), წოლილა ~ სწოლია. ამ ორპირიან მედიოპასიურ ზმნათა სუბიექტი შემსრულებელ-ინიციატორი აქტანტია ($S^{init\text{-}ex}$), ირიბი ობიექტი კი მიმღები აქტანტია (O^{indrec}), ამიტომაც შეძლეს მათ სასხვისო ქცევის გამოხატვა.

მიყვარს, მძულს ტიპის მედიოპასივებში, რომლებიც კაუზაციის პერფექტულ ფორმებს წარმოადგენენ, სუბიექტი მხოლოდ ინიციატორი აქტანტია (სახელობით ბრუნვაში დასმული სახელი), ირიბი ობიექტი კი შემსრულებელია, აკლია მიმღები ობიექტი (O^{indrec}), რომლის გარეშე არ არსებობს სასხვისო ქცევა. სწორედ ამ მიზეზით ორპირიან მედიოპასივებს არ შეუძლიათ სასხვისო ქცევის გადმოცემა.

გვხვდება ისეთი სამაქტანტიანი ზმნები, რომელთაც ორი აქტანტი მიცემით ბრუნვაში აქვთ, მაგალითად: მისხია (მე ვენახს ყურძენი), მიტკივა (მე ცხენს ფეხი), გვიწყინა (ჩვენ იონჯამ საქონელს), გამიყვა (მე მეზობელს ძაღლი) და სხვა. პირის ნიშნით გამოხატული მიცემითში დასმული სახელი ირიბი ობიექტია, ფუნქციით მიმღები აქტანტია (O^{indrec}). მოყვანილ მაგალითებში იგი ყველგან I პირში დგას. შემსრულებელ აქტანტად წარმოდგენილია მიცემითში დასმული მეორე სახელი (მისხია მე ვენახს ყურძენი; მიტკივა მე ცხენს ფეხი).

შეჰპირდა (ასევე დაჰპირდა) ზმნაში პირმიმართი ირიბი მიმღები აქტანტია (O^{indrec}), სუბიექტი არის შემსრულებელი აქტანტი (S^{exec}) — სასხვისო ქცევა უზრუნველყოფილია ამათი მონაწილეობით. მიცემითში დასმული მეორე ობიექტი

(შეჰპირდა ის მას ვაშლს) ზმნასთან დაკავშირებულია პირმიუმართავად და ქცევაში ასრულებს პაციენსის როლს.

დასკვნის მაგიერ

წინამდებარე ნაშრომში ცალ-ცალკეა განხილული ზმნური კატეგორიები მათს აბსტრაქტულ პარადიგმებში, ნაწილობრივ ასევე აბსტრაქტულ ურთიერთმიმართებებში — ესაა ზმნური სისტემის აღწერის ცდა მიკროპარადიგმატული ანალიზის გზით.

ვფიქრობთ, შემდგომი ძიება უნდა შეეხოს გრამატიკული სისტემის შიდა დინამიკას, ძირითადად, ხილული პერიოდის (V საუკუნიდან დღემდე) მონაცემთა მიხედვით. წინა პლანზე წამოიწევს ფორმაცვალებად მეტყველების ნაწილთა (ზმნისა და სახელების) ურთიერთობის კანონზომიერება. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ასპექტის ზმნისწინზე დამყარებული სისტემა, რომელიც გენეზისით სახელთა თანდებულიან სისტემასთან ჩანს დაკავშირებული: „შე-ვიდა სახლსა შინა“ წინადადებაში გრამატიკული სიჭარბეა უდავოდ — შე- ზმნისწინი და შინა თანდებული ერთსა და იმავე გეზზე მიუთითებენ. ეს მეორეული ვითარებაა, უფრო ძველია „შევიდა სახლსა“. თანდებულის გაჩენა სახელთან იმავე გეზისთვის, რაც ზმნაში უკვე იყო წარმოდგენილი ზმნისწინით, ამ უკანასკნელს ახალი გრამატიკული მნიშვნელობის (სრული ასპექტის) გამოხატვის საშუალებას აძლევს.

არსებითია აგრეთვე საზიარო კატეგორიების მარკირება განსხვავებულ მეტყველების ნაწილებში; კონკრეტულ მორფემათა დისტრიბუციის გაფართოება-დავიწროება, გაქრობა-წარმოქმნა და სხვ. თანმხლები მორფოფონოლოგიური გარდაქმნებით დიაქრონიულ ჭრილებში.

Ф.Г.Утургаидзе

Грамматические категории глагола и их взаимоотношения в грузинском языке

Целью настоящего исследования является рассмотрение грамматических категорий грузинского глагола как по отдельности, так и в их взаимодействии.

Грамматические категории глагола в настоящей работе рассматриваются как флективные. Несмотря на то, что элементы флективных систем в специфических ситуациях могут переходить в деривационную систему (например, превербы, исполняющие в грамматической системе функции направления и ориентации действия, в определенных случаях могут также влиять на лексическое значение), в данной работе изменения лексических значений глаголов не затрагиваются.

Категории глагола прежде всего связаны с участниками выраженного глаголом действия — актантами, часть которых в глагольной форме представлена своими маркерами — они называются личными актантами; часть актантов не обозначается в глаголе, их можно называть неличными актантами.

В грузинском языке субъектом (S) является инициатор действия (агенс может стать субъектом лишь в том случае, если он и инициатор), прямым объектом (O^d) — пациенс глагола действительного залога, а косвенным объектом (O^{ind}) — адресат действия. Они являются разными категориями глагола и каждая из них имеет свои собственные элементы в виде первого, второго и третьего лиц в единственном и множественном числах.

Грузинский глагол известен своим полиперсонализмом — в глагольной форме, кроме субъекта, личными показателями обозначаются прямой и косвенный объекты.

Связывая полиперсонализм с маркированием актантов глагольной формой, часть ученых считает, что грузинский язык, кроме одноличных, может иметь двух- и трехличные глаголы

(А.Г.Шанидзе и др.), но другие ученые (Т.В.Гамкрелидзе и др.), рассматривая валентность и допустимое количество лиц в грузинском глаголе, высказывают мнение, что грузинский глагол не может быть трехличным, так как в нем невозможно одновременное маркирование более двух лиц.

Чтобы разобраться в полиперсонализме и возможном количестве лиц грузинского глагола, сперва рассмотрим личные показатели субъекта и объектов и их возможные комбинации.

Знаки субъектного лица (S)

	Ед.ч.	Мн.ч.
I	v- ~ Ø-	v- ~ Ø- ——— -t
II	h- ~ s- ~ x- ~ Ø-	h- ~ s- ~ x- ~ Ø- ——— -t
III	-s ~ -Ø ~ -a ~ -o	-en ~ -an ~ -nen ~ -n ~ -es

Знаки прямого объекта (O^d)

	Ед.ч.	Мн.ч.
I	m-	gv-
II	g-	g- ——— -t
III	h- ~ s- ~ Ø-	h- ~ s- ~ Ø- ——— (-t)

Знаки косвенного объекта (O^{ind})

	Ед.ч.	Мн.ч.
I	m-	gv-
II	g-	g- ——— -t
III	h- ~ s- ~ Ø-	h- ~ s- ~ Ø- ——— -t

Из схем субъектного и объектных лиц явствует, что (1) лицо и его множественность можно передать разными аффиксами (напр., мн.число S_1 (S_1^p): v- ——— -t, см. выше), как это и присуще агглютинативным языкам, или же (2) обе категории передаются единой морфемой (напр., -en ... -es суффиксы в форме S_3^p, см. выше).

В одной форме двухличный глагол может одновременно материально представить показатели субъектного и объектного (прямого или косвенного) лиц, напр., g-xaṭav-s „он рисует тебя", m-xaṭav-s „он рисует меня"; m- и g- показатели объектных лиц, а -s — субъектного лица. Кроме рассмотренных, есть и такие формы действительного и страдательного залогов, в которых субъектное лицо материально не представлено; напр.: Ø-g-xaṭav ($S_1O_2^d$) „рисую я тебя", m-Ø-xaṭav ($S_2O_1^d$) „рисуешь ты меня" или Ø-g-exaṭebi ($S_1O_2^{ind}$) „рисуюсь я тебе"... Нулевые алломорфы обусловлены фонологически: в комбинации $S_1O_2^d$ в начале слова встречаются v- (показатель S_1-ого) и g- (показатель O_2^d-ого), однако фонематической структуре грузинского языка запрещаются комбинации /v+шумная фонема/ в рамках одной морфемы. Это правило действует и на стыке морфем, вследствие чего S_1 представлено нулевой алломорфой, в комбинации же $S_2O_1^d$ встречающиеся комплексы фонем /m/ и /h/ также запрещаются в рамках морфем и поэтому вместо /h-/ и здесь выступает нулевая алломорфа S_2 лица.

Что же касается вопроса о существовании трехличных глаголов, при его решении ученые основываются в обоих случаях (см. выше) на ошибочных тезах, а именно: (1) прямой объект в трехличных глаголах всегда стоит в третьем лице и (2) прямой объект в третьем лице не имеет своего маркера.

Конечно, глагол, имея O_3^d, не обозначенный собственным показателем, не может быть трехличным, так как в этом случае остаются лишь два актанта, (S и O^{ind}), имеющих возможность обозначаться в глагольной форме своими показателями. Оба положения неверны: начиная с „ханметного" периода (V в.) по сей день O_3^d обозначается показателем, позже (с IX в. по сей день) в безпревербных формах вместо {h -} выступает ее нулевая алломорфа, что по морфологическим причинам, конечно, не является поводом для отрицания прямого объекта в третьем лице.

Принимая во внимание наличие в грузинском языке трехактантных (S, O^{ind}, O^{d}) глаголов, в которых, кроме субъекта, по лицам может меняться лишь один из объектов (O^{ind} или O^{d}), тогда как другой может стоять только в третьем лице и по морфонологическим причинам выражаться лишь нулевой алломорфой, существование трехличных глаголов не может вызывать сомнения. Ниже приводятся парадигмы, в которых поочередно по лицам меняется один из объектов.

(1) По лицам меняется O^{d}, O^{ind} стоит в третьем лице

I	še-m-ċir-a man me mas	„пожертвовал он мной ему“
II	še-g-ċir-a man šen mas	„пожертвовал он тобой ему“
III	še-s-ċir-a man is mas	„пожертвовал он им ему“

Префиксы m-, g- и s- являются показателями прямого объекта; O_3^{ind}, который перед основой ċir- должен иметь своим показателем морфему {s-}, здесь во всех формах парадигмы представлен фонетически обусловленной нулевой алломорфой: комбинации личных показателей и согласной фонемы основ, восстановленных теоретически (здесь *msċ-, *gsċ-, *ssċ-: *še-m-s-ċir-a, *še-g-s-ċir-a, *še-s-s-ċir-a), фонологически неприемлемы, вследствие чего показатель O_3^{ind} выпадает из форм представленной парадигмы материально. Следовательно, приведенные выше формы грамматически изображаются в следующем виде:

I še-m-Ø-ċir-a

II še-g-Ø-ċir-a

III še-s-Ø-ċir-a

(2) По лицам меняется O^{ind}, O^{d} стоит в третьем лице.

I šе-m-Ø-çir-a man me is „пожертвовал он мне им"

II šе-g-Ø-çir-a man šen is „пожертвовал он тебе им"

III šе-s-Ø-çir-a man mas is „пожертвовал он ему им"

Если по лицам будет меняться O^{ind}, а прямой объект все время будет стоять в третьем лице, то морфонологически повторятся все те явления, которые были показаны выше, так как O^{d} и O^{ind} имеют идентичные показатели лиц, однако нулевой алломорфой в данном случае будет представлен $O_3{}^{d}$.

Очевидно, что так как $O_3{}^{d}$, так и $O_3{}^{ind}$ закономерно представлены то материально, то нулевой алломорфой, это дает право говорить о существовании в грузинском языке трехличного глагола.

Лицо, т.е. актант, представленный собственным показателем в форме глагола, может быть субъектным, прямо-объектным или косвенно-объектным. Когда говорящий является субъектом, мы имеем дело с первым субъектным лицом (S_1); когда субъект в диалоге является адресатом — это субъектное второе лицо (S_2); субъект, который находится вне диалога, является третьим субъектным лицом (S_3). Соединением функций пациенса и говорящего или адресата в диалоге, или же пациенса вне диалога образуются $O_1{}^{d}$, $O_2{}^{d}$ и $O_3{}^{d}$; таким же образом можно определить косвенно-объектные лица ($O_1{}^{ind}$, $O_2{}^{ind}$, $O_3{}^{ind}$), если на место пациенса поставить бенефактив (resp. малефактив).

Субъект, прямой объект и косвенный объект — разные грамматические категории: субъект — инициатор действия, прямой объект — пациенс действия, косвенный объект — адресат действия. Каждая из этих категорий имеет свои элементы в виде лиц, определяющихся по роли участия в диалоге.

Комбинации лиц

Встреча субъектных и объектных лиц в глагольной форме происходит по определенным правилам: запрещаются комбина-

ции первых и вторых лиц ($S_1O_1{}^dO_1{}^{ind}$, $S_2O_2{}^dO_2{}^{ind}$, $S_1{}^PO_1{}^dO_1{}^{ind}$ и т.д.), так как в диалоге как говорящим, так и адресатом может быть только один актант — субъект или один из объектов; допущены комбинации третьих лиц, являющихся актантами вне диалога, т.е. $S_3O_3{}^dO_3{}^{ind}$, $S_3{}^PO_3{}^d$, $S_3O_3{}^{indp}$, $S_3{}^PO_3{}^dO_3{}^{indp}$ и др., вне всякого сомнения, являются естественными комбинациями.

Теоретически ничего не должно препятствовать комбинациям первого и второго лиц объектов ($S_3O_1{}^dO_2{}^{ind}$, $S_3O_2{}^dO_1{}^{ind}$, $S_3O_1{}^{dp}O_2{}^{ind}$ и др.[1]), но они не допускаются в современном грузинском языке, редко встречаются и в древнегрузинском; выявлено всего около тридцати случаев. Надо полагать, они не нашли продолжения в языке из-за совпадения в плане выражения с более распространенными комбинациями с третьим лицом объекта: $S_2O_1O_3$ ($S_2O_1{}^dO_3{}^{ind}$, $S_2O_3{}^dO_1{}^{ind}$...), $S_3O_3O_1$ ($S_3O_3{}^dO_1{}^{ind}$, $S_3O_1{}^dO_3{}^{ind}$...), $S_1O_2O_3$ ($S_1O_2{}^dO_3{}^{ind}$, $S_1O_2{}^{ind}O_3{}^d$...). Например, можно назвать такую общую форму из четвероглава IX в.: mimca man me šen (И.19,11 с) „отдал он меня тебе“ ($S_3O_1{}^dO_2{}^{ind}$, см. А.Г.Шанидзе, 1945). Эта же форма выражает и комбинацию $S_3O_1{}^dO_3{}^{ind}$- „отдал он меня ему/ей“.

